1939

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

3

თბილისი
1939

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

Тбилисский филиал
Библиотека
Имэл при ЦК ВКП (б)

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

წელიწადი მეთექვსმეტე

3

19 მარტი 39
ხახელგამი

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქცია:
ტფილისი, მაჩაბლის 13,
მწერალთა სახლი
ტ. 3-7..-84

პანტურა:
ტფილისი, ქიროვის ქ. № 7
სახელგამი
პერიოდსექტორი

პ/მგ. რედაქტორი — ალიო მაშაშვილი

პ/მგ. მდივანი — ლევან ასათიანი

გად. წარმ. 13/III — 39; ხელმ. დასაბ. — 17/IV — 39 წ.
შეკვ. № 759. მთავლ. რწმ. № ხ — 3805. ტირ. 6000.

სახელგამის პოლიგრაფკომბინატი, ეორესის ქ. № 5.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. ბ. სტალინი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. ბ. სტალინი

საანგარიშო მოხსენება პარტიის XVIII ყრილობაზე საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ

I

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა

ამხანაგებო! პარტიის XVII ყრილობის შემდეგ ხუთმა წელმა განვლო. პერიოდი, როგორც ხედავთ, მცირე როდია. ამ ხნის განმავლობაში მსოფლიომ უკვე მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. სახელმწიფოები და ქვეყნები, მათი ურთიერთშორის დამოკიდებულებანი ბევრ რამეში სულ სხვანაირი გახდნენ.

სახელდობრ რა ცვლილებები მოხდა ამ პერიოდში საერთაშორისო ვითარებაში? სახელდობრ რა შეიცვალა ჩვენი ქვეყნის საგარეო და საშინაო მდგომარეობაში?

კაპიტალისტური ქვეყნებისათვის ეს პერიოდი იყო უაღრესად სერიოზულ შერყევათა პერიოდი როგორც ეკონომიკის დარგში, ისე პოლიტიკის დარგშიც. ეკონომიურ დარგში ეს წლები იყო დეპრესიის წლები, ხოლო შემდეგ, 1937 წლის მეორე ნახევრიდან დაწყებული, — ახალი ეკონომიური კრიზისის წლები, მრეწველობის ახალი დაცემის წლები ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთში, — მაშასადამე, ახალ ეკონომიურ გართულებათა წლები. პოლიტიკურ დარგში ეს წლები იყო სერიოზულ პოლიტიკურ კონფლიქტთა და შერყევათა წლები. უკვე მეორე წელია სწარმოებს ახალი იმპერიალისტური ომი, რომელიც გაჩაღდა უდიდეს ტერიტორიაზე შანხაიდან გიბრალტარამდე და რომელმაც 500 მილიონზე მეტი მოსახლეობა ჩაითრია. ძალმომრეობით ხდება ევროპის, აფრიკის, აზიის რუკის შეცვლა. ძირფესვიანად შერყეულია ომის შემდგომი ეგრეთწოდებული მშვიდობიანი რეჟიმის მთელი სისტემა.

საბჭოთა კავშირისათვის, პირიქით, ეს წლები იყო მისი ზრდისა და აყვავების წლები, მისი შემდგომი ეკონომიური და კულტურული აღმავ-

ლობის წლები, მისი პოლიტიკური და სამხედრო ძლიერების შემდგომი ზრდის წლები, მთელს მსოფლიოში მშვიდობიანობის შენარჩუნებისათვის მისი ბრძოლის წლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთია საერთო სურათი.

განვიხილოთ კონკრეტული მონაცემები საერთაშორისო ვითარებაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ.

1. ახალი ეკონომიური კრიზისი კაპიტალისტურ ქვეყნებში. ბრძოლის გამწვავება გასაღების ბაზრებისათვის. ნედლეულის წყაროებისათვის. მსოფლიოს ახალი გადანაწილებისათვის

ეკონომიური კრიზისი, რომელიც კაპიტალისტურ ქვეყნებში 1929 წლის მეორე ნახევარში დაიწყო, 1933 წლის დამლევამდე გრძელდებოდა. ამის შემდეგ კრიზისი დეპრესიაში გადავიდა, ხოლო მერე დაიწყო მრეწველობის ერთგვარი გამოცოცხლება, მისი ერთგვარი აღმავლობა. მაგრამ მრეწველობის ეს გამოცოცხლება არ გადასულა აყვავებაში, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე გამოცოცხლების პერიოდში. პირიქით, 1937 წლის მეორე ნახევრიდან მოყოლებული დაიწყო ახალი ეკონომიური კრიზისი, რომელიც უწინარეს ყოვლისა მოედო ამერიკის შეერთებულ შტატებს, ხოლო მათ შემდეგ — ინგლისს, საფრანგეთსა და მთელ რიგ სხვა ქვეყნებს.

ამრიგად, კაპიტალისტურმა ქვეყნებმა ვერც კი მოასწრეს წელში გამართვა ამასწინანდელი ეკონომიური კრიზისის მიერ მიყენებული ზიანის შემდეგ, რომ ისინი ახალი ეკონომიური კრიზისის წინაშე აღმოჩნდნენ.

ამ გარემოებამ ბუნებრივად გამოიწვია უმუშევრობის გაძლიერება. კაპიტალისტურ ქვეყნებში უმუშევართა რიცხვი, რომელიც 30 მილიონ კაციდან 1933 წელს თითქოს შემცირდა 14 მილიონამდე 1937 წელს, ახალი კრიზისის შედეგად ახლა კვლავ გაიზარდა 18 მილიონ კაცამდე.

ახალი კრიზისის დამახასიათებელი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ბევრად განსხვავდება წინანდელი კრიზისისაგან, ამასთან განსხვავდება არა უკეთესი მხრით, არამედ უარესი მხრით.

ჯერ ერთი, ახალი კრიზისი დაიწყო მრეწველობის არა აყვავების შემდეგ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 1929 წელს, არამედ დეპრესიისა და ერთგვარი გამოცოცხლების შემდეგ, რაც, მაინც აყვავებაში არ გადასულა. ეს ნიშნავს, რომ ახლანდელი კრიზისი უფრო მძიმე იქნება და მასთან ბრძოლა უფრო ძნელი იქნება, ვიდრე წინანდელ კრიზისთან.

შემდეგ, ახლანდელი კრიზისი გაჩაღდა არა მშვიდობიანობის დროს, არამედ უკვე დაწყებული მეორე იმპერიალისტური ომის პერიოდში, როდესაც იაპონია, რომელიც უკვე მეორე წელია ჩინეთს ეომება, ახდენს ჩინეთის თვალუწვდენი ბაზრის დეზორგანიზაციას და თითქოს მიუწვდომელს ხდის მას სხვა ქვეყნების საქონლისათვის, როდესაც იტალიამ და გერმანიამ უკვე გადაიყვანეს თავისი სახალხო მეურნეობა სამ-

ხედრო ეკონომიკის რელსებზე, გაანიავეს რა ამ საქმისთვის ნედლეულისა და ვალუტის თავისი მარაგი, როდესაც ყველა დანარჩენი დიდი კაპიტალისტური სახელმწიფო იწყებს სამხედრო ყაიდაზე თავის გადაყენებას. ეს ნიშნავს, რომ კაპიტალიზმს ახლანდელი კრიზისიდან ზომალეგა გამოსვლისათვის გაცილებით ნაკლები რესურსები ექნება, ვიდრე წინანდელი კრიზისის პერიოდში.

დასასრულ, წინანდელი კრიზისისაგან განსხვავებით, ახლანდელი კრიზისი წარმოადგენს არა საყოველთაო კრიზისს, არამედ, ჯერჯერობით უმთავრესად მოიცავს ეკონომიურად მძლავრ ქვეყნებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ გადასულან სამხედრო ეკონომიკის რელსებზე. რაც შეეხება აგრესიულ ქვეყნებს, როგორიცაა იაპონია, გერმანია და იტალია, რომლებმაც უკვე გარდაჰქმნეს თავისი ეკონომიკა სამხედრო ყაიდაზე, ისინი, გაძლიერებით ანვითარებენ რა თავის სამხედრო მრეწველობას, ჯერ კიდევ არ განიცდიან ჭარბი წარმოების კრიზისის მდგომარეობას, თუმცა კი უახლოვდებიან მას. ეს ნიშნავს, რომ იმ დროს, როდესაც ეკონომიურად ძლიერი, არააგრესიული ქვეყნები დაიწყებენ კრიზისის პერიოდიდან გამოსვლას, აგრესიული ქვეყნები, გამოლევენ რა ომის ციებ-ცხელების პროცესში თავის ოქროსა და ნედლეულის მარაგს, იძულებული იქნებიან შევიდნენ უსასტიკესი კრიზისის პერიოდში.

ამას თვალსაჩინოდ ასურათებენ თუნდაც მონაცემები კაპიტალისტურ ქვეყნებში ოქროს ხილვადი მარაგის არსებობის შესახებ.

ოქროს ხილვადი მარაგი კაპიტალისტურ ქვეყნებში

(ოქროს ძველი დოლარები მილიონებში)

	1936 წლის დამლევი	1938 წლის სექტემბერი
ს უ ლ	12.980	14.301
ამერიკის შეერთ. შტატ.	6.649	8.126
ინგლისი	2.029	2.396
საფრანგეთი	1.769	1.435
ჰოლანდია	289	595
ბელგია	373	318
შვეიცარია	387	407
გერმანია	16	17
იტალია	123	124
იაპონია	273	97

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ გერმანიის, იტალიისა და იაპონიის ოქროს მარაგი ერთად აღებული წარმოადგენს უფრო ნაკლებ თანხას, ვიდრე მარტო შვეიცარიის მარაგი.

აი ზოგიერთი ციფრობრივი მონაცემები, რომლებიც ასურათებენ კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობის კრიზისულ მდგომარეობას უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში და სამრეწველო აღმავლობის მოძრაობას სსრ კავშირში.

სამრეწველო პროდუქციის მოცულობა პროცენტებში 1929 წელთან შედარებით (1929 = 100)

ეროვნული ბიბლიოთეკა

	1934	1935	1936	1937	1938
ამერიკის შეერთ. შტატ.	66,4	75,6	88,1	92,2	72,0
ინგლისი	98,8	105,8	115,9	123,7	112,0
საფრანგეთი	71,0	67,4	79,3	82,8	70,0
იტალია	80,0	93,8	87,5	99,6	96,0
გერმანია	79,8	94,0	106,3	117,2	125,0
იაპონია	128,7	141,8	151,1	170,8	165,0
სსრ კავშირი	238,3	293,4	382,3	424,0	477,0

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ საბჭოთა კავშირი წარმოადგენს მსოფლიოში ერთადერთ ქვეყანას, რომელიც არ იცნობს კრიზისებს და რომლის მრეწველობა მუდამ აღმავლობის გზით მიდის.

შემდეგ, ამ ცხრილიდან სჩანს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა, ინგლისსა და საფრანგეთში უკვე დაიწყო და ვითარდება სერიოზული ეკონომიური კრიზისი.

შემდეგ, ამ ცხრილიდან სჩანს, რომ იტალიასა და იაპონიაში, რომლებმაც გერმანიაზე ადრე გადაიყვანეს თავისი სახალხო მეურნეობა სამხედრო ეკონომიკის რელსებზე, 1938 წელს უკვე დაიწყო მრეწველობის დაქვეითების პერიოდი.

ამ ცხრილიდან, დასასრულ, სჩანს, რომ გერმანიაში, რომელმაც იტალიაზე და იაპონიაზე უფრო გვიან გარდაჰქმნა თავისი ეკონომიკა სამხედრო ყაიდაზე, მრეწველობა ჯერჯერობით კიდევ განიცდის ერთგვარი, მართალია მცირე, მაგრამ მაინც აღმასვლის მდგომარეობას, — იმის შესაბამისად, როგორც ამას უკანასკნელ დრომდე ადგილი ჰქონდა იაპონიასა და იტალიაში.

არ შეიძლება დაეჭვება, რომ თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, გერმანიის მრეწველობა უნდა დაადგეს დაქვეითების იმავე გზას, რომელსაც უკვე დაადგნენ იაპონია და იტალია. ვინაიდან რას ნიშნავს ქვეყნის მეურნეობის გადაყვანა სამხედრო ეკონომიკის რელსებზე? ეს ნიშნავს, რომ მრეწველობას მისცე ცალმხრივი, სამხედრო მიმართულება, ყოველნაირად გააფართოო ომისათვის საჭირო საგნების წარმოება, რაც დაკავშირებული არ არის მოსახლეობის მოხმარებასთან, ყოველნაირად შეჰკვეცო წარმოება და განსაკუთრებით მოსახლეობის მოხმარების საგნების გამოშვება ბაზარზე, — მაშასადამე, შეამცირო მოსახლეობის მოხმარება და ქვეყანა ეკონომიური კრიზისის წინაშე დააყენო.

ასეთია კაპიტალისტურ ქვეყნებში ახალი ეკონომიური კრიზისის მოძრაობის კონკრეტული სურათი.

გასაგებია, რომ სამეურნეო საქმეთა ასეთ არახელსაყრელ ვითარებას არ შეეძლო არ გამოეწვია სახელმწიფოებს შორის ურთიერთობათა გამწვავება. უკვე წინანდელმა კრიზისმა არივ-დარია მთელი ანგარიშები და

გამოიწვია ბრძოლის გამწვავება გასაღების ბაზრებისათვის, ნედლეულის წყაროებისათვის. იაპონიის მიერ მანჯურიისა და ჩრდილოეთ ჩინეთის დაპყრობამ, იტალიის მიერ აბისინიის დაპყრობამ, — ყოველივე ამან ასახა სახელმწიფოებს შორის ბრძოლის სიმწვავე. ახალმა ეკონომიურმა კრიზისმა უნდა გამოიწვიოს და ის ნამდვილადაც იწვევს იმპერიალისტური ბრძოლის შემდგომ გამწვავებას. ლაპარაკია უკვე არა ბაზრებზე კონკურენციის შესახებ, არა სავაჭრო ომის შესახებ, არა დემპინგის შესახებ. ბრძოლის ეს საშუალებანი უკვე დიდი ხანია მიჩნეულია არასაკმაოდ. ახლა ლაპარაკია საომარ მოქმედებათა გზით მსოფლიოს, გავლენათა სფეროების, კოლონიების ახალ გადანაწილებაზე.

იაპონიამ იწყო თავისი აგრესიული მოქმედების გამართლება იმით, რომ 9 სახელმწიფოს ხელშეკრულების დადების დროს მას წილი დააკლეს და საშუალება არ მისცეს გაეფართოებინა თავისი ტერიტორია ჩინეთის ხარჯზე, მაშინ, როდესაც ინგლისი და საფრანგეთი უდიდეს კოლონიებს ჰფლობენ. იტალიამ გაიხსენა, რომ მას დააკლეს წილი პირველი იმპერიალისტური ომის შემდეგ ნადავლის გაყოფის დროს და რომ მან ეს უნდა აინაზღაუროს ინგლისისა და საფრანგეთის გავლენის სფეროების ხარჯზე. გერმანია, რომელიც სერიოზულად დაზარალდა პირველი იმპერიალისტური ომისა და ვერსალის ზავის შედეგად, შეუერთდა იაპონიასა და იტალიას და მოითხოვა თავისი ტერიტორიის გაფართოება ევროპაში, იმ კოლონიების დაბრუნება, რომლებიც მას პირველ იმპერიალისტურ ომში გამარჯვებულებმა წაართვეს.

ასე დაიწყო სამი აგრესიული სახელმწიფოს ბლოკის შექმნა.

დღის წესრიგში დადგა ომის საშუალებით მსოფლიოს ახალი გადანაწილების საკითხი.

2. საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობის გამწვავება. სამშვიდობო ხელშეკრულებათა ომისშემდგომი სისტემის მარცხი. ახალი იმპერიალისტური ომის დასაწყისი

აი საანგარიშო პერიოდში მომხდარი იმ უმნიშვნელოვანესი ამბების ნუსხა, რომლებმაც დასაბამი მისცეს ახალ იმპერიალისტურ ომს. 1935 წელს იტალია თავს დაესხა აბისინიას და დაიპყრო იგი. 1936 წლის ზაფხულში გერმანიამ და იტალიამ მოაწყეს სამხედრო ინტერვენცია ესპანეთში, ამასთან გერმანია დამკვიდრდა ესპანეთის ჩრდილო ნაწილსა და ესპანეთის მაროკოში, ხოლო იტალია — ესპანეთის სამხრეთ ნაწილსა და ბალეარის კუნძულებზე. 1937 წელს იაპონია, მანჯურიის დაპყრობის შემდეგ, შეიჭრა ჩრდილოეთ და ცენტრალურ ჩინეთში, დაიკავა პეკინი, ტიანძინი, შანხაი და იწყო თავისი უცხოელი კონკურენტების განდევნა ოკუპაციის ზონიდან. 1938 წლის დამდეგს გერმანიამ დაიპყრო ავსტრია, ხოლო 1938 წლის შემოდგომაზე — ჩეხოსლოვაკიის სუდეტის ოლქი. 1938 წლის დამლევს იაპონიამ დაიპყრო კანტონი, ხოლო 1939 წლის დამდეგს — ხაინანის კუნძული.

ამრიგად, ომმა, რომელიც ასე შეუმჩნევლად მიეპარა ხალხებს, თავის ორბიტში ჩაითრია ხუთას მილიონზე მეტი მოსახლეობა, გაავრცელა თავისი მოქმედების სფერო უდიდეს ტერიტორიაზე — ტანგერიდან, შანხაიდან და კანტონიდან აბისინიით გიბრალტარამდე.

პირველი იმპერიალისტური ომის შემდეგ, გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა, უმთავრესად ინგლისმა, საფრანგეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, შეჰქმნეს ქვეყნებს შორის ურთიერთობათა ახალი რეჟიმი, მშვიდობიანობის ომისშემდგომი რეჟიმი. ამ რეჟიმის მთავარი საფუძვლები იყო შორეულ აღმოსავლეთში — ცხრა სახელმწიფოს ხელშეკრულება, ხოლო ევროპაში — ვერსალისა და მთელი რიგი სხვა ხელშეკრულებანი. ერთა ლიგა მოწოდებული იყო მოეწესრიგებინა ქვეყნებს შორის ურთიერთობანი ამ რეჟიმის ჩარჩოებში სახელმწიფოთა ერთიანი ფრონტის საფუძველზე, სახელმწიფოთა უშიშროების კოლექტიური დაცვის საფუძველზე. მაგრამ სამმა აგრესიულმა სახელმწიფომ და მათ მიერ დაწყებულმა ახალმა იმპერიალისტურმა ომმა თავდაყირა დააყენეს ომისშემდგომი სამშვიდობო რეჟიმის მთელი ეს სისტემა. იაპონიამ დაარღვია ცხრა სახელმწიფოს ხელშეკრულება, გერმანიამ და იტალიამ კი — ვერსალის ხელშეკრულება. უფრო თავისუფლად რომ ემოქმედნათ, სამივე ეს სახელმწიფო ერთა ლიგიდან გამოვიდა.

ახალი იმპერიალისტური ომი ფაქტი გახდა.

ჩვენს დროში არც ისე ადვილია ერთბაშად აიწყვიტო თავი და პირდაპირ გადაეშვა ომში ისე, რომ ანგარიში არ გაუწიო სხვადასხვაგვარ ხელშეკრულებებს, ანგარიში არ გაუწიო საზოგადოებრივ აზრს. ბურჟუაზიულმა პოლიტიკოსებმა ეს საკმაოდ კარგად იციან. იციან ეს ფაშისტმა მესვეურებმაც. ამიტომ ფაშისტმა მესვეურებმა, სანამ ისინი ომში გადაეშვებოდნენ, გადასწყვიტეს ერთგვარად დაემუშავებინათ საზოგადოებრივი აზრი, ე. ი. შეეყვანათ იგი შეცდომაში, მოეტყუებინათ იგი.

გერმანიისა და იტალიის სამხედრო ბლოკი ინგლისისა და საფრანგეთის ინტერესების წინააღმდეგ ევროპაში? რას ბრძანებთ, რა ბლოკია ეს! „ჩვენ“ არავითარი სამხედრო ბლოკი არა გვაქვს. „ჩვენ“ გვაქვს მხოლოდდამხოლოდ უწყინარი „ღერძი ბერლინი — რომი“, ე. ი. ერთგვარი გეომეტრიული ფორმულა ღერძის შესახებ. **(სიცილი).**

გერმანიის, იტალიისა და იაპონიის სამხედრო ბლოკი ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ინტერესების წინააღმდეგ შორეულ აღმოსავლეთში? არაფერი ამის მსგავსი! „ჩვენ“ არავითარი სამხედრო ბლოკი არა გვაქვს. „ჩვენ“ გვაქვს მხოლოდდამხოლოდ უწყინარი „სამკუთხედი ბერლინი — რომი — ტოკიო“, ე. ი. მცირეოდენი გატაცება გეომეტრიით. **(საერთო სიცილი).**

ომი ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესების წინააღმდეგ? რა სათქმელია! „ჩვენ“ ომს ვაწარმოებთ კომინტერნის წინააღმდეგ, და არა ამ სახელმწიფოთა წინააღმდეგ. თუ არა გჯე-

რათ, წაიკითხეთ „ანტიკომინტერნული პაქტი“, დადებული იტალიასა, გერმანიასა და იაპონიას შორის.

ასე ფიქრობდნენ საზოგადოებრივი აზრის დამუშავებას ბატონი აგრესორები, თუმცა ძნელი არ იყო იმის მიხვედრა, რომ შენიღბვის ეს უშნო თამაში თეთრი ძაფით არის ნაკერი, ვინაიდან სასაცილოა კომინტერნის „კერების“ ძებნა მონღოლეთის უდაბნოებში, აბისინიის მთებში, ესპანეთის მაროკოს ულრან ტყეებში. **(სიცილი).**

მაგრამ ომი ულმობელია. მას ვერავითარი საბურველით ვერ დამალავ. ვინაიდან არავითარი „ღერძებით“, „სამკუთხედებით“ და „ანტიკომინტერნული პაქტებით“ არ შეიძლება იმ ფაქტის დამალვა, რომ იაპონიამ ამ ხნის განმავლობაში ხელთ ჩაიგდო ჩინეთის უზარმაზარი ტერიტორია, იტალიამ — აბისინია, გერმანიამ — ავსტრია და სუდეტის ოლქი, გერმანიამ და იტალიამ ერთად — ესპანეთი, — ყოველივე ეს არააგრესიულ სახელმწიფოთა ინტერესების წინააღმდეგ. ომი ისევ დარჩა ომად, აგრესორთა სამხედრო ბლოკი — სამხედრო ბლოკად, ხოლო აგრესორები — აგრესორებად.

ახალი იმპერიალისტური ომის დამახასიათებელი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ჯერ კიდევ არ გამხდარა საყოველთაო, მსოფლიო ომი. ომს აწარმოებენ აგრესორი სახელმწიფოები, ყოველნაირად ჰლახავენ რა არააგრესიული სახელმწიფოების, უწინარეს ყოვლისა ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს, ხოლო ეს სახელმწიფოები უკუიწევენ და უკან იხევენ, ზედიზედ უთმობენ რა აგრესორებს.

ამრიგად, ჩვენს თვალწინ ხდება მსოფლიოს და გავლენის სფეროების აშკარა გადანაწილება არააგრესიულ სახელმწიფოთა ინტერესების ხარჯზე ამ უკანასკნელთა მხრივ წინააღმდეგობის გაწევის რაიმე ცდის გარეშე და ერთგვარი წაყრუების პირობებშიც კი.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია.

რით უნდა აიხსნას ახალი იმპერიალისტური ომის ასეთი ცალმხრივი და უცნაური ხასიათი?

როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ არააგრესიულმა ქვეყნებმა, რომლებსაც უზარმაზარი შესაძლებლობანი მოეპოვებათ, ასე იოლად და წინააღმდეგობის გაუწევლად აიღეს ხელი თავიანთ პოზიციებზე და თავიანთ ვალდებულებებზე აგრესორების საამებლად?

ხომ არ აიხსნება ეს არააგრესიულ სახელმწიფოთა სისუსტით? რა თქმა უნდა, არა! არააგრესიული, დემოკრატიული სახელმწიფოები, ერთად აღებულნი, ეკონომიურადაც და სამხედრო მხრივაც უდავოდ უფრო ძლიერნი არიან, ვიდრე ფაშისტური სახელმწიფოები.

რითლა უნდა აიხსნას ამ შემთხვევაში ამ სახელმწიფოთა სისტემატური დათმობანი აგრესორების მიმართ?

ეს შეიძლებოდა აგვეხსნა, მაგალითად, შიშის გრძნობით რევოლუციის წინაშე, რევოლუციისა, რომელმაც შეიძლება იფეთქოს, თუ არა-

აგრესიული სახელმწიფოები ომში ჩაებმებიან, და ომი მსოფლიო ხასიათს მიიღებს. ბურჟუაზიულმა პოლიტიკოსებმა, რა თქმა უნდა, იციან, რომ პირველმა მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა მოგვცა რევოლუციის გამარჯვება ერთერთ ყველაზე დიდ ქვეყანაში. მათ ეშინიათ, რომ მეორე მსოფლიო იმპერიალისტურ ომსაც შეიძლება მოჰყვეს რევოლუციის გამარჯვება ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში.

მაგრამ ეს ახლა არ არის ერთადერთი და არ არის მთავარი მიზეზიც კი. მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ არააგრესიული ქვეყნების უმეტესობამ და, უწინარეს ყოვლისა, ინგლისმა და საფრანგეთმა ხელი აიღეს კოლექტიური უშიშროების პოლიტიკაზე, აგრესორებისადმი კოლექტიური წინააღმდეგობის გაწევის პოლიტიკაზე, რომ ისინი გადავიდნენ ჩაურევლობის პოზიციაზე, „ნეიტრალიტეტის" პოზიციაზე.

ჩაურევლობის პოლიტიკა ფორმალურად შეიძლებოდა შემდეგნაირად დაგვეხასიათებინა: „დეე თვითეულმა ქვეყანამ დაიცვას თავი აგრესორებისაგან ისე, როგორც მას სურს და როგორც შეუძლია, ეს ჩვენი საქმე არ არის, ჩვენ განვაგრძობთ ვაჭრობას აგრესორებთანაც და მათს მსხვერპლებთანაც". ნამდვილად კი ჩაურევლობის პოლიტიკა ნიშნავს აგრესიისადმი წაყრუებას, ომის გაღვივებას, — მაშასადამე, მის მსოფლიო ომად გადაქცევას. ჩაურევლობის პოლიტიკაში გამოსჭვივის მისწრაფება, სურვილი — ხელი არ შეუშალონ აგრესორებს აკეთონ თავიანთი შავბნელი საქმე, ხელი არ შეუშალონ, ვთქვათ, იაპონიას ჩაებას ომში ჩინეთთან, ხოლო კიდევ უკეთესი — საბჭოთა კავშირთან, ხელი არ შეუშალონ, ვთქვათ, გერმანიას ჩაეფლოს ევროპის საქმეებში, ჩაებას ომში საბჭოთა კავშირთან, აცალონ ომის ყველა მონაწილეთ ღრმად ჩაეფლან ომის ჭაობში, ჩუმჩუმად წააქეზონ ისინი ამაში, აცალონ მათ დაასუსტონ და დააუძლურონ ერთმანეთი, ხოლო შემდეგ, როდესაც ისინი საკმაოდ დასუსტდებიან, — გამოვიდნენ სცენაზე ახალი ძალებით, გამოვიდნენ, რა თქმა უნდა, „მშვიდობიანობის ინტერესებისათვის", და თავიანთი პირობები უკარნახონ ომის დასუსტებულ მონაწილეებს.

იაფიცაა და კარგიც!

ავიღოთ, მაგალითად, იაპონია. დამახასიათებელია, რომ ჩრდილოეთ-ჩინეთში იაპონიის შეჭრის დაწყების წინ საფრანგეთისა და ინგლისის ყველა გავლენიანი გაზეთი ხმამაღლა გაჰყვიროდა, რომ ჩინეთი სუსტია, რომ მას წინააღმდეგობის გაწევის უნარი არა აქვს, რომ იაპონიას თავისი არმიით ჩინეთის დაპყრობა ორ-სამ თვეში შეეძლებაო. შემდეგ ევროპა-ამერიკის პოლიტიკოსებმა იწყეს ლოდინი და თვალყურის დევნება. მერე კი, როდესაც იაპონიამ გააჩაღა საომარი მოქმედება, დაუთმეს მას შანხაი, უცხოეთის კაპიტალის გული ჩინეთში, დაუთმეს კანტონი, ინგლისის მონოპოლური გავლენის კერა სამხრეთ-ჩინეთში, დაუთმეს ხაინანი, საშუალება მისცეს გარსშემორტყმოდა გონკონგს. ხომ მართალია, ყოველივე ეს ძალიან წააგავს აგრესორის წაქეზებას: სულ უფროდაუფრო შესტოპეთ ომში, მერე კი ვნახავთო.

ან, მაგალითად, ავიღოთ გერმანია. მას დაუთმეს ავსტრია, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ვალდებულება — დაეცვათ მისი დამოუკიდებლობა, დაუთმეს სუდეტის ოლქი, ბედის ანაბარა შიგდეს ჩეხოსლოვაკია, დაარღვიეს რა ყველა და ყოველგვარი ვალდებულებანი, შემდეგ კი მოსდგნენ და პრესაში ხმამაღლა გაიძახოდნენ ტყუილებს „რუსეთის არმიის სისუსტეზე", „რუსეთის ავიაციის დაშლაზე", „არეულობაზე" საბჭოთა კავშირში, რითაც უბიძგებდნენ გერმანელებს უფრო შორს აღმოსავლეთისაკენ, ჰპირდებოდნენ მათ იოლ ნადავლს და თან დასძენდნენ: თქვენ ოღონდ დაიწყეთ ომი ბოლშევიკებთან, შემდეგ კი ყველაფერი კარგად წავაო. უნდა ვაღიაროთ, რომ ესეც ძალიან წააგავს აგრესორის წაგულიანებას, წაქეზებას.

დამახასიათებელია ის ხმაური, რომელიც ასტეხა ინგლის-საფრანგეთისა და ჩრდილოეთ-ამერიკის პრესამ საბჭოთა უკრაინის შესახებ. ამ პრესის მოღვაწენი ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდნენ, რომ გერმანელები საბჭოთა უკრაინაზე მიდიან, რომ მათ ახლა ხელთ უპყრიათ ეგრეთწოდებული კარპატის უკრაინა, სადაც დაახლოებით 700 ათასი მცხოვრებია, რომ გერმანელები საბჭოთა უკრაინას, სადაც 30 მილიონზე მეტი მცხოვრებია, არაუგვიანეს ამა წლის გაზაფხულისა შეუერთებენ ეგრეთწოდებულ კარპატის უკრაინას. გამოდის, რომ ეს საეჭვო ხმაური მიზნად ისახავდა აღენთო საბჭოთა კავშირის გააფთრება გერმანიის წინააღმდეგ, მოეწამლა ატმოსფერო და პროვოკაციულად გამოეწვია კონფლიქტი გერმანიასთან საამისოდ აშკარა საფუძვლების უქონლად.

რა თქმა უნდა, სავსებით შესაძლებელია, რომ გერმანიაში მოიპოვებიან გიჟები, რომელნიც ოცნებობენ იმაზე, რომ შეუერთონ სპილო, ე. ი. საბჭოთა უკრაინა, ბუზანკალას, ე. ი. ეგრეთწოდებულ კარპატის უკრაინას. და თუ იქ მართლაც მოიპოვებიან ასეთი გადარეულნი, შეიძლება ეჭვი არ შევიტანოთ იმაში, რომ ჩვენს ქვეყანაში საჭირო რაოდენობით აღმოჩნდება დამამშვიდებელი პერანგი ასეთი გიჟებისათვის. **(მქუხარე ტაში).** მაგრამ თუ თავს დავანებებთ გიჟებს და მივმართავთ ნორმალურ ადამიანებს, განა ცხადი არ არის, რომ სასაცილო და უაზროა სერიოზულად ლაპარაკი საბჭოთა უკრაინის შეერთებაზე ეგრეთწოდებული კარპატის უკრაინისადმი? აბა დაფიქრდით. მივიდა ბუზანკალა სპილოსთან და დოინჯშემოყრით ეუბნება მას: „ეჰ, ჩემო ძმაო, რარიგ მებრალები... ცხოვრობ უმემამულეებოდ, უკაპიტალისტებოდ, ნაციონალური ჩაგვრის გარეშე, ფაშისტი მესვეურების გარეშე, — რაღა ცხოვრებაა ეს... გიცქერი და არ შემიძლია არ შევნიშნო, — შენთვის სხვა ხსნა არ არის, თუ არ ჩემთან შემოერთება... **(საერთო სიცილი).** მაშ ასე, ნებას გრთავ შეუერთო შენი პატარა ტერიტორია ჩემს თვალუწვდენელ ტერიტორიას..." **(საერთო სიცილი და ტაში).**

კიდევ უფრო დამახასიათებელია, რომ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთი პოლიტიკოსნი და პრესის მოღვაწენი, რომელთაც დაუკარგავთ მოთმინება „საბჭოთა უკრაინაზე ლაშქრობის"

მოლოდინში, თვითონ იწყებენ ჩაურევლობის პოლიტიკის ნამდვილი სარჩულის მხილებას. ისინი პირდაპირ ამბობენ და შავით თეთრზე სწერენ, რომ გერმანელებმა მათ სასტიკად „გაუცრუეს ბედი“ ბოლშევიკებისგან, ნაცვლად იმისა, რომ დაძრულიყვნენ უფრო შორს აღმოსავლეთისაკენ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მათ, წარმოიდგინეთ, დასავლეთისაკენ იბრუნეს პირი და თავისთვის კოლონიებს მოითხოვენ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ გერმანელებს მისცეს ჩეხოსლოვაკიის რაიონები, როგორც საფასური ვალდებულებისა — აეტეხათ ომი საბჭოთა კავშირთან, ხოლო გერმანელები უარს ამბობენ რა ახლა თამასუქის განაღდებაზე, სადღაც უფრო შორს ჰგზავნიან მათ.

მე სრულებითაც არ ვაპირებ ჩაურევლობის პოლიტიკის გამო მორალის ქადაგება დავიწყო, ვილაპარაკო ღალატზე, გამცემლობაზე და სხვ. გულუბრყვილობაა მორალი უკითხო იმ ადამიანებს, რომელნიც ადამიანის მორალს არ სცნობენ. პოლიტიკა არის პოლიტიკა, როგორც ამბობენ ძველი, გაქნილი ბურჟუაზიული დიპლომატები. მაგრამ საჭიროა შევნიშნოთ, რომ დიდი და სახიფათო პოლიტიკური თამაში, რომელიც ჩაურევლობის პოლიტიკის მომხრეებმა დაიწყეს, შეიძლება მათთვის სერიოზული მარცხით დამთავრდეს.

ასეთია ამჟამად გაბატონებული ჩაურევლობის პოლიტიკის ნამდვილი სახე.

ასეთია პოლიტიკური ვითარება კაპიტალისტურ ქვეყნებში.

3. საბჭოთა კავშირი და კაპიტალისტური ქვეყნები

ომმა ახალი ვითარება შეჰქმნა ქვეყნების ურთიერთობაში. მან ამ ურთიერთობაში შეიტანა შფოთვისა და რწმენის უქონლობის ატმოსფერო. ძირი გამოუთხარა რა ომისშემდგომი სამშვიდობო რეჟიმის საფუძვლებს და თავდაყირა დააყენა რა საერთაშორისო სამართლის ელემენტარული ცნებანი, ომმა კითხვის ქვეშ დააყენა საერთაშორისო ხელშეკრულებათა და ვალდებულებათა ღირებულება. პაციფიზმი და განიარაღების პროექტები დასამარებული აღმოჩნდა. მათი ადგილი შეიარაღების ციებ-ცხელებამ დაიკავა. შეიარაღება იწყო ყველამ, მცირე და დიდმა სახელმწიფოებმა, მათ შორის და უწინარეს ყოვლისა იმ სახელმწიფოებმა, რომლებიც ჩაურევლობის პოლიტიკას ატარებენ. უკვე ალარავის სჯერა მოთაფლული სიტყვები იმის შესახებ, რომ მიუნხენში აგრესორების წინაშე დათმობებზე წასვლამ და მიუნხენის შეთანხმებამ, თითქოს, დასაბამი მისცეს „მშვიდობისმყოფლობის“ ახალ ხანას. არ სჯერათ ეს აგრეთვე თვით მიუნხენის შეთანხმების მონაწილეებსაც, ინგლისსა და საფრანგეთს, რომლებმაც სხვებზე არანაკლებ იწყეს თავისი შეიარაღების გაძლიერება.

გასაგებია, რომ სსრ კავშირს არ შეეძლო გვერდი აევლო ამ მრისხანე ამბებისათვის. უეჭველია, რომ აგრესორების მიერ სადმე მსოფლიოს

შორეულ კუთხეში დაწყებული ყოველგვარი მცირე ომიც კი საფრთხეს
წარმოადგენს მშვიდობისმოყვარე ქვეყნებისათვის. მით უმეტეს სერი-
ოზულ საფრთხეს წარმოადგენს ახალი იმპერიალისტური ომი, რომელ-
მაც უკვე მოასწრო თავის ორბიტში ჩაეთრია აზიის, აფრიკისა ევროპის
ხუთას მილიონზე მეტი მოსახლეობა. ამის გამო ჩვენმა ქვეყანამ, გა-
ნუხრელად ატარებს რა მშვიდობიანობის შენარჩუნების პოლიტიკას,
ამასთან ერთად უალრესად სერიოზული მუშაობა გააჩაღა ჩვენი წითელი
არმიის, ჩვენი წითელი სამხედრო-საზღვაო ფლოტის საბრძოლო მზად-
ყოფნის გაძლიერებისათვის.

ამასთან ერთად თავისი საერთაშორისო პოზიციების განმტკიცების
ინტერესებისათვის საბჭოთა კავშირმა გადასწყვიტა ზოგიერთი სხვა ნა-
ბიჯიც გადაედგა. 1934 წლის დამლევს ჩვენი ქვეყანა შევიდა ერთა ლი-
გაში იმ მოსაზრებით, რომ მიუხედავად მისი სისუსტისა, იგი შეიძლება
მაინც გამოგვადგეს, როგორც აგრესორთა სამხილებელი ადგილი და
მშვიდობიანობის ერთგვარი, თუმცალა სუსტი, ინსტრუმენტი, რომელსაც
შეუძლია ომის გაჩაღების შეფერხება. საბჭოთა კავშირი სთვლის, რომ
ასეთ საგანგაშო დროს არ უნდა უგულებელვყოთ ისეთი სუსტი სა-
ერთაშორისო ორგანიზაციაც კი, როგორიც ერთა ლიგა არის. 1935 წლის
მაისში საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დაიდვა ხელშეკრულე-
ბა აგრესორთა შესაძლო თავდასხმის წინააღმდეგ ურთიერთ დახმარების
შესახებ. იმავე დროს ანალოგიური ხელშეკრულება დაიდვა ჩეხო-სლოვა-
კიასთან. 1936 წლის მარტში საბჭოთა კავშირმა დასდო ხელშეკრულება
მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასთან ურთიერთდახმარების შესახებ.
1937 წლის აგვისტოში დაიდვა ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და ჩი-
ნეთის რესპუბლიკას შორის ურთიერთთავდაუსხმელობის შესახებ.

ამ მძიმე საერთაშორისო პირობებში ატარებდა საბჭოთა კავშირი თა-
ვის საგარეო პოლიტიკას, იცავდა რა მშვიდობიანობის შენარჩუნების
საქმეს.

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა ნათელი და გასაგებია:

1. ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობიანობას და საქმიანი კავშირის გან-
მტკიცებას ყველა ქვეყანასთან, ვდგავართ და ვიდგებით ამ პოზიციაზე,
რამდენადაც ეს ქვეყნები ასეთსავე ურთიერთობაში იქნებიან საბჭოთა
კავშირთან, რამდენადაც ისინი არ შეეცდებიან დაარღვიონ ჩვენი ქვეყ-
ნის ინტერესები.

2. ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობიან, ახლობელ და კეთილმეზობლურ
ურთიერთობას ყველა მეზობელ ქვეყანასთან, რომელთაც სსრ კავ-
შირთან საერთო საზღვარი აქვთ, ვდგავართ და ვიდგებით ამ პოზიციაზე,
რამდენადაც ეს ქვეყნები ასეთსავე ურთიერთობაში იქნებიან საბჭოთა
კავშირთან, რამდენადაც ისინი, არ შეეცდებიან დაარღვიონ, პირდაპირ
თუ არაპირდაპირ, საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრების მთლიანობისა და
ხელშეუხებლობის ინტერესები.

3. ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ დახმარება გაეწიოს ხალხებს, რომლებიც აგრესიის მსხვერპლნი გახდნენ და თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან.

4. ჩვენ არ გვეშინია აგრესორთა მუქარისა და მზადა ვართ ორმაგი დარტყმით ვუპასუხოთ დარტყმას ომის გამჩაღებლებისას, რომლებიც ცდილობენ დაარღვიონ საბჭოთა საზღვრების ხელშეუხებლობა.

ასეთია საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა. **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში).**

თავის საგარეო პოლიტიკაში საბჭოთა კავშირი ეყრდნობა:

1. თავის მზარდ სამეურნეო, პოლიტიკურ და კულტურულ ძლიერებას;

2. ჩვენი საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას;

3. ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობას;

4. თავის წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო წითელ ფლოტს;

5. თავის სამშვიდობო პოლიტიკას;

6. მორალურ მხარდაჭერას ყველა ქვეყნის მშრომელთა მხრივ, რომლებიც სისხლხორცეულად არიან დაინტერესებულნი მშვიდობიანობის შენარჩუნებით;

7. იმ ქვეყნების კეთილგონიერებას, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით არ არიან დაინტერესებულნი მშვიდობიანობის დარღვევაში.

★

პარტიის ამოცანები საგარეო პოლიტიკის დარგში:

1. მომავალშიც გაატაროს მშვიდობიანობისა და ყველა ქვეყანასთან საქმიანი კავშირის განმტკიცების პოლიტიკა;

2. დაიცვას სიფრთხილე და საშუალება არ მისცეს ომის პროვოკატორებს, რომლებიც მიჩვეული არიან სხვისი ხელით ნარის გლეჯას, კონფლიქტებში ჩაითრიონ ჩვენი ქვეყანა;

3. ყოველნაირად განამტკიცოს ჩვენი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო წითელი ფლოტის საბრძოლო ძლიერება;

4. განამტკიცოს მეგობრობის საერთაშორისო კავშირი ყველა ქვეყნის მშრომელებთან, რომლებიც დაინტერესებული არიან ხალხთა შორის მშვიდობიანობითა და მეგობრობით.

II

საბჭოთა კავშირის საშინაო მდგომარეობა

გადავიდეთ ჩვენი ქვეყნის საშინაო მდგომარეობაზე.

საბჭოთა კავშირის საშინაო მდგომარეობის თვალსაზრისით საანგარიშო პერიოდი წარმოადგენს მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი

აღმავლობის, კულტურის ზრდის, ქვეყნის პოლიტიკური ძლიერების განმტკიცების სურათს.

სახალხო მეურნეობის განვითარების დარგში ყველაზე მნიშვნელოვან შედეგად საანგარიშო პერიოდში მიჩნეული უნდა იქნას მრეწველობისა და მიწათმოქმედების რეკონსტრუქციის დამთავრება ახალი, თანამედროვე ტექნიკის საფუძველზე. ჩვენ უკვე აღარა გვაქვს, ან თითქმის აღარა გვაქვს ძველი ქარხნები მათი ჩამორჩენილი ტექნიკით და ძველი გლეხური მეურნეობანი მათი ადამისდროინდელი მოწყობილობით. ჩვენი მრეწველობისა და მიწათმოქმედების საფუძველს ამჟამად შეადგენს ახალი, თანამედროვე ტექნიკა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ წარმოების ტექნიკის თვალსაზრისით, მრეწველობისა და მიწათმოქმედების ახალი ტექნიკით აღჭურვის თვალსაზრისით, ჩვენი ქვეყანა ყველაზე მოწინავეა შედარებით ყველა სხვა ქვეყანასთან, სადაც ძველი მოწყობილობა ჰბორკავს წარმოებას და აფერხებს ახალი ტექნიკის დანერგვის საქმეს.

ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების დარგში ყველაზე მნიშვნელოვან მონაპოვრად საანგარიშო პერიოდში უნდა იქნას მიჩნეული ექსპლუატატორული კლასების ნაშთების საბოლოო ლიკვიდაცია, მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის დარაზმვა ერთ საერთო შრომის ფრონტად, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცება, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის განმტკიცება და, როგორც ყოველივე ამის შედეგი, — ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების სრული დემოკრატიზაცია, ახალი კონსტიტუციის შექმნა. ვერავინ გაბედავს სადავო გახადოს, რომ ჩვენი კონსტიტუცია ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციაა მსოფლიოში, ხოლო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, ისევე როგორც მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნების შედეგები — ყველაზე მჭერმეტყველია.

ყოველივე ამის შედეგად ჩვენ გვაქვს საშინაო მდგომარეობის სრული სიმყარე და ქვეყანაში ხელისუფლების ისეთი სიმტკიცე, როგორიც მსოფლიოში ყოველ მთავრობას შეშურდებოდა.

განვიხილოთ კონკრეტული მონაცემები ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

1. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა

ა) **მრეწველობა.** საანგარიშო პერიოდში ჩვენი მრეწველობის მოძრაობა წარმოადგენს განუხრელი აღმავლობის სურათს. ეს აღმავლობა გამოხატავს არა მარტო პროდუქციის ზრდას საერთოდ, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ერთი მხრივ — სოციალისტური მრეწველობის აყვავებას და მეორე მხრივ — კერძო მრეწველობის დალუპვას.

აი სათანადო ცხრილი:

სსრ კავშირის მრეწველობის ზრდა 1934 — 1938 წლებში

	1933 წ.	1934 წ.	1935 წ.	1936 წ.	1937 წ.	1938 წ.	%%-ით წინა წელთან შედარებით 1934 წ.	1935 წ.	1936 წ.	1937 წ.	1938 წ.	1938 წ. %% 1933 წ. შედარებით
	მილიონ მანეთობით 1926/27 წ. წ. ფასებში											
მთელი პროდუქცია	42.030	50.477	62.137	80.929	90.166	100.375	120,1	123,1	130,2	111,4	111,3	238,8
აქედან:												
1. სოციალისტური მრეწველობა	42.002	50.443	62 114	80.898	90.138	100.349	120,1	123,1	130,2	111,4	111,3	238,9
2. კერძო მრეწველობა	28	34	23	31	28	26	121,4	67,6	134,8	90,3	92,9	92,9
	პ რ ო ც ე ნ ტ ო ბ ი თ											
მთელი პროდუქცია	100	100	100	100	100	100						
აქედან:												
1. სოციალისტური მრეწველობა	99,93	99,93	99,96	99,96	99,97	99,97						
2. კერძო მრეწველობა	0,07	0,07	0,04	0,04	0,03	0,03						

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ ჩვენი მრეწველობა საანგარიშო პერიოდში ერთიორად და უფრო მეტად გაიზარდა, ამასთან პროდუქციის მთელი ზრდა სოციალისტური პროდუქციის ხარჯზე მიმდინარეობდა.

შემდეგ, ამ ცხრილიდან სჩანს, რომ სოციალისტური სისტემა წარმოადგენს სსრ კავშირის მრეწველობის ერთადერთ სისტემას.

ბოლოს, ამ ცხრილიდან სჩანს, რომ კერძო მრეწველობის საბოლოო დაღუპვა არის ფაქტი, რომლის უარყოფა ახლა ბრმებსაც კი არ შეუძლიათ.

კერძო მრეწველობის დაღუპვა არ შეიძლება შემთხვევითად ჩაითვალოს. იგი დაიღუპა, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მეურნეობის სოციალისტური სისტემა წარმოადგენს უმაღლეს სისტემას კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით. მეორე, იგი დაიღუპა იმიტომ, რომ მეურნეობის სოციალისტურმა სისტემამ ჩვენ შესაძლებლობა მოგვცა რამდენიმე წელიწადში ხელახლა შეგვეიარაღებინა მთელი ჩვენი სოციალისტური მრეწველობა ახალ, თანამედროვე ტექნიკურ ბაზაზე. მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა არ იძლევა და მას არც შეუძლია ასეთი შესაძლებლობის მოცემა. ეს ფაქტია, რომ წარმოების ტექნიკის თვალსაზრისით, სამრეწველო წარმოების ახალი ტექნიკით აღჭურვის მოცულობის თვალსაზრისით, ჩვენი მრეწველობა პირველ ადგილზეა მსოფლიოში.

თუ ავიღებთ ჩვენი მრეწველობის ზრდის ტემპებს პროცენტებში ომამდელი დონის მიმართ და შევადარებთ მათ მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობის ზრდის ტემპებს, მივიღებთ შემდეგ სურათს:

სსრ კავშირისა და მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობის ზრდა 1913 — 1938 წლებში

	1913 წ.	1933 წ.	1934 წ.	1935 წ.	1936 წ.	1937 წ.	1938 წ.
სსრ კავშირი	100,0	380,5	457,0	562,6	732,7	816,4	908,8
ამერიკის შეერთებული შტატები	100,0	108,7	112,9	128,6	149,8	156,9	120,0
ინგლისი	100,0	87,0	97,1	104,0	114,2	121,9	113,3
გერმანია	100,0	75,4	90,4	105,9	118,1	129,3	131,6
საფრანგეთი	100,0	107,0	99,0	94,0	98,0	101,0	93,2

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ ჩვენი მრეწველობა ომამდელ დონესთან შედარებით ცხრაჯერ და უფრო მეტად გაიზარდა, მაშინ, როდესაც მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობა განაგრძობს ერთი ადგილის ტკეპნას ომამდელი დონის გარშემო, აჭარბებს რა მას მხოლოდ 20-30 პროცენტით.

ეს ნიშნავს, რომ ზრდის ტემპების მხრივ ჩვენი სოციალისტური მრეწველობა პირველ ადგილზე დგას მსოფლიოში.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, გამოდის, რომ ჩვენი მრეწველობის წარმოების ტექნიკისა და ზრდის ტემპების მხრივ ჩვენ უკვე დავეწიეთ და გავუსწარით მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს.

მაშ რაში ჩამოვრჩებით? ჩვენ ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით ეკონომიური მხრივ, ე. ი. მოსახლეობის თვითეულ სულზე ჩვენი სამრეწველო წარმოების ოდენობის მხრივ. 1938 წელს ჩვენ დავამზადეთ დაახლოებით 15 მილიონი ტონა თუჯი, ხოლო ინგლისმა — 7 მილიონი ტონა. თითქოს, ჩვენში უკეთ არის საქმე, ვიდრე ინგლისში. მაგრამ თუ თუჯის ამ ტონებს მოსახლეობის რაოდენობაზე გავანაწილებთ, გამოვა, რომ ინგლისში თითო სულ მოსახლეზე 1938 წელს მოდიოდა 145 კილოგრამი თუჯი, სსრ კავშირში კი — მხოლოდ 87 კილოგრამი. ან კიდევ: ინგლისმა 1938 წელს დაამზადა 10 მილიონი და 800 ათასი ტონა ფოლადი და გამოიმუშავა დაახლოებით 29 მილიარდი კილოვატ-საათი (ელექტროენერგიის წარმოება), ხოლო სსრ კავშირმა დაამზადა 18 მილიონი ტონა ფოლადი და გამოიმუშავა 39 მილიარდზე მეტი კილოვატ-საათი. თითქოს, ჩვენში უკეთ არის საქმე, ვიდრე ინგლისში. მაგრამ თუ ყველა ამ ტონას და კილოვატ-საათებს მოსახლეობის რაოდენობაზე გავანაწილებთ, გამოდის, რომ ინგლისში მოსახლეობის თვითეულ სულზე 1938 წელს მოდიოდა 226 კილოგრამი ფოლადი და 620 კილოვატ-საათი, მაშინ, როდესაც სსრ კავშირში მოსახლეობის თვითეულ სულზე მოდიოდა სულ 107 კილოგრამი ფოლადი და 233 კილოვატ-საათი.

მაშ რაშია საქმე? იმაში, რომ მოსახლეობა ჩვენში რამდენჯერმე უფრო მეტია, ვიდრე ინგლისში, მაშასადამე, მოთხოვნილებაც უფრო მეტია, ვიდრე ინგლისში: საბჭოთა კავშირში 170 მილიონი მცხოვრებია, ხოლო ინგლისში არა უმეტეს 46 მილიონისა. მრეწველობის ეკონომიური ძლიერება გამოიხატება არა სამრეწველო პროდუქციის მოცულობაში საერთოდ, ქვეყნის მოსახლეობისაგან დამოუკიდებლად, არამედ სამრეწველო პროდუქციის მოცულობაში, რომელიც აღებულ უნდა იქნას მოსახლეობის თვითეული სულის მიერ ამ პროდუქციის მოხმარების ოდენობასთან პირდაპირ კავშირში. რამდენადაც უფრო მეტი სამრეწველო პროდუქცია მოდის თითო სულ მოსახლეზე, მით უფრო მაღალია ქვეყნის ეკონომიური ძლიერება, და პირიქით, რამდენადაც უფრო ნაკლები პროდუქცია მოდის თითო სულ მოსახლეზე, მით უფრო დაბალია ქვეყნისა და მისი მრეწველობის ეკონომიური ძლიერება. მაშასადამე, რაც უფრო მეტია მოსახლეობა ქვეყანაში, მით უფრო მეტია ქვეყანაში მოხმარების საგნების მოთხოვნილება, მაშასადამე, მით უფრო მეტი უნდა იქნეს ასეთი ქვეყნის სამრეწველო წარმოების მოცულობა.

ავიღოთ, მაგალითად, თუჯის წარმოება. ეკონომიურად რომ გავუსწროთ ინგლისს თუჯის წარმოების დარგში, რომლის პროდუქცია 1938 წელს იქ 7 მილიონ ტონას შეადგენდა, თუჯის ყოველწლიური გამოდნობა ჩვენ 25 მილიონ ტონამდე უნდა ავიყვანოთ. ეკონომიურად რომ გავუსწროთ გერმანიას, რომელმაც 1938 წელს დაამზადა სულ 18 მილიონი

ტონა თუჯი, თუჯის ყოველწლიური გამოდნობა ჩვენ 40-45 მილიონ ტონამდე უნდა ავიყვანოთ. ხოლო იმისათვის, რომ ეკონომიურად გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს, მხედველობაში [illegible] რა არა 1938 კრიზისიანი წლის დონეს, როცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სულ 18,8 მილიონი ტონა თუჯი დაამზადეს, არამედ 1929 წლის დონეს, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში მრეწველობის აღმავლობა იყო და როცა იქ დაახლოებით 43 მილიონი ტონა თუჯი მზადდებოდა, — თუჯის ყოველწლიური გამოდნობა ჩვენ უნდა ავიყვანოთ 50-60 მილიონ ტონამდე.

იგივე უნდა ითქვას ფოლადის, ნაგლინის წარმოებაზე, მანქანათმშენებლობაზე და სხვ., რადგან მრეწველობის ყველა ეს დარგი, ისევე, როგორც დანარჩენი დარგები, საბოლოო ანგარიშში თუჯის წარმოებაზეა დამოკიდებული.

მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს ჩვენ გავუსწარით წარმოების ტექნიკისა და მრეწველობის განვითარების ტემპების მხრივ. ეს ძალიან კარგია. მაგრამ ეს ცოტაა. საჭიროა გავუსწროთ მათ აგრეთვე ეკონომიურადაც. ჩვენ შეგვიძლია ამის გაკეთება და კიდეც უნდა გავაკეთოთ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიურად გავუსწრებთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს, შეგვიძლია ჩვენ იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი ქვეყანა სულ სავსე იქნება მოხმარების საგნებით, ჩვენ გვექნება პროდუქტების სიუხვე, და შესაძლებლობა მოგვეცემა კომუნიზმის პირველი ფაზიდან გადავიდეთ მის მეორე ფაზაში.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ ეკონომიურად გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს? ამისათვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, წინსვლის სერიოზული და დაუცხრომელი სურვილი და მზადყოფნა გავიღოთ მსხვერპლი, მოვახდინოთ სერიოზული კაპიტალური დაბანდებანი ჩვენი სოციალისტური მრეწველობის ყოველმხრივ გაფართოებისათვის. გვაქვს თუ არა ჩვენ ეს მონაცემები? უეჭველად გვაქვს! შემდეგ, ამისათვის საჭიროა წარმოების მაღალი ტექნიკისა და მრეწველობის განვითარების მაღალი ტემპების არსებობა. გვაქვს თუ არა ჩვენ ეს მონაცემები? უეჭველად გვაქვს! და, ბოლოს, ამისთვის საჭიროა დრო. დიაღ, დრო, ამხანაგებო! საჭიროა ვაშენოთ ახალი ქარხნები. საჭიროა გამოვჭედოთ ახალი კადრები მრეწველობისათვის. მაგრამ ამისათვის საჭიროა დრო, და არცთუ მცირე დრო. შეუძლებელია 2-3 წელიწადში ეკონომიურად გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ამისათვის საჭიროა რამდენადმე უფრო მეტი დრო. ავიღოთ, მაგალითად, იგივე თუჯი და მისი წარმოება. დროის რა პერიოდის განმავლობაში შეგვიძლია ეკონომიურად გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს თუჯის წარმოების დარგში? სახელმწიფო-საგეგმო კომისიის ძველი შემადგენლობის ზოგიერთი მუშაკი წინადადებას იძლეოდა მეორე ხუთწლიანი გეგმის შედგენისას თუჯის წარმოება მეორე ხუთწლედის დასასრულისათვის დაგვეგეგმა 60 მილიონი ტონის რაოდენობით. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი შე-

ხაძლოდ სთვლიდნენ თუჯის გამოდნობის საშუალო წლიურ მატებას 10 მილიონი ტონის რაოდენობით. ეს, რასაკვირველია, ფანტასტიკა იყო, თუ უარესი არა. თუმცა, ეს ამხანაგები ფანტასტიკაში ვარდებოდნენ არა მარტო თუჯის წარმოების დარგში. ისინი სთვლიდნენ, მაგალითად, რომ მეორე ხუთწლედის განმავლობაში მოსახლეობას სსრ კავშირში ყოველწლიურად უნდა მომატებოდა 3-4 მილიონი კაცი, ან კიდევ უფრო მეტიც. ესეც ფანტასტიკა იყო, თუ უარესი არა. მაგრამ, თუ უკუვაგდებთ ფანტაზიორებს და დავდგებით რეალურ ნიადაგზე, მაშინ შეგვიძლია მივიღოთ, როგორც სავსებით შესაძლებელი, თუჯის გამოდნობის საშუალო წლიური მატება ორი-ორნახევარი მილიონი ტონის რაოდენობით, გვაქვს რა მხედველობაში თუჯის გამოდნობის ტექნიკის ახლანდელი მდგომარეობა. მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის, მრეწველობის ისტორია გვიჩვენებს, რომ ყოველწლიური მატების ეს ნორმა დაძაბულია, მაგრამ სავსებით მისაღწევია.

მაშასადამე, საჭიროა დრო, და არცთუ მცირე დრო, იმისათვის, რომ ეკონომიურად გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს. და რამდენადაც უფრო მაღალი იქნება ჩვენში შრომის ნაყოფიერება, რამდენადაც უფრო გაუმჯობესდება ჩვენში წარმოების ტექნიკა, მით უფრო მალე შეგვეძლება ამ უმნიშვნელოვანესი ეკონომიური ამოცანის შესრულება, მით უფრო მეტად შეგვეძლება ამ ამოცანის შესრულების ვადების შემცირება.

ბ) **სოფლის მეურნეობა.** სოფლის მეურნეობის განვითარება საანგარიშო პერიოდში, ისევე როგორც მრეწველობის განვითარება, აღმავლობის ხაზით მიდიოდა. ეს აღმავლობა გამოიხატება არა მარტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდაში, არამედ, უწინარეს ყოვლისა, სოციალისტური სოფლის მეურნეობის ზრდასა და განმტკიცებაში — ერთის მხრივ, ერთპიროვნული მეურნეობის დაღუპვაში — მეორე მხრივ. მაშინ, როდესაც კოლმეურნეობათა მარცვლეულის სათესი ფართობი 1933 წელს არსებული 75 მილიონი ჰექტარიდან 1938 წელს 92 მილიონ ჰექტარამდე გადიდდა, ერთპიროვნულ მეურნეთა მარცვლეულის სათესი ფართობი ამ პერიოდის განმავლობაში 15,7 მილიონი ჰექტარიდან შემცირდა 600 ათას ჰექტარამდე, ე. ი. მარცვლეულის მთელი სათესი ფართობის 0,6 პროცენტამდე. მე აღარაფერს ვამბობ ტექნიკური კულტურების სათეს ფართობთა შესახებ, სადაც ერთპიროვნული მეურნეობის როლი დაყვანილია ნოლამდე. ცნობილია, გარდა ამისა, რომ კოლმეურნეობებში ამჟამად გაერთიანებულია 18 მილიონი 800 ათასი გლეხური კომლი, ე. ი. ყველა გლეხური კომლის 93,5 პროცენტი, თუ არ ჩავთვლით თევზისმჭერ და სარეწაო კოლმეურნეობებს.

ეს ნიშნავს, რომ კოლმეურნეობანი საბოლოოდ განმტკიცდნენ და გამაგრდნენ, ხოლო მეურნეობის სოციალისტური სისტემა ამჟამად ჩვენი მიწათმოქმედების ერთადერთ ფორმას წარმოადგენს.

თუ ყველა კულტურის სათეს ფართობთა მოძრაობას საანგარიშო პერიოდში შევადარებთ რევოლუციამდელი პერიოდის სათეს ფართობთა ოდენობას, შემდეგ სურათს მივიღებთ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა კულტურის სათესი ფართობები სსრ კავშირში

მილიონ ჰექტარობით

	1913 წ.	1934 წ.	1935 წ.	1936 წ.	1937 წ.	1938 წ.	1938 წ. %%-ებში 1913 წ. შედარ.
მთელი სათესი ფართობი	105,0	131,5	132,8	133,8	135,3	136,9	130,4
აქედან:							
ა) მარცვლეული კულტურები . .	94,4	104,7	103,4	102,4	104,4	102,4	108,5
ბ) ტექნიკური კულტურები . . .	4,5	10,7	10,6	10,8	11,2	11,0	244,4
გ) საბოსტნე-საბაღჩე კულტურები	3,8	8,8	9,9	9,8	9,0	9,4	247,4
დ) საკვები კულტურები	2,1	7,1	8,6	10,6	10,6	14,1	671,4

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ სათესი ფართობები ჩვენში გადიდდა ყველა კულტურის მიხედვით და, უწინარეს ყოვლისა, — საკვებ, ტექნიკურ და საბოსტნე-საბაღჩე კულტურათა ხაზით.

ეს ნიშნავს, რომ ჩვენი მიწათმოქმედება უფრო კვალიფიციური და პროდუქტიული ხდება, ხოლო სწორი თესლბრუნვის დანერგვას რეალური ნიადაგი ექმნება.

თუ როგორ იზრდებოდა ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შეიარაღება ტრაქტორებით, კომბაინებითა და სხვა მანქანებით საანგარიშო პერიოდში, — ამის პასუხს შემდეგი ცხრილები იძლევა:

1) ტრაქტორების პარკი სსრ კავშირის სოფლის მეურნეობაში

	1933 წ.	1934 წ.	1935 წ.	1936 წ.	1937 წ.	1938 წ.	1938 წ. %%-ებში 1933 წ. შედარ.
ა) ტ რ ა ქ ტ ო რ ე ბ ი ს რ ა ო დ ე ნ ო ბ ა (ათას ცალობით)							
სულ ტრაქტორები	210,9	276,4	360,3	422,7	454,5	483,2	229,3
აქედან:							
ა) ტრაქტორები მტს-ებში . . .	123,2	177,3	254,7	328,5	365,8	394,0	319,8
ბ) ტრაქტორები საბჭოთა მეურნეობებსა და დამხმარე სას.-სამ. საწარმოებში	83,2	95,5	102,1	88,5	84,5	85,0	102,2
ბ) ს ი მ ძ ლ ა ვ რ ე ა თ ა ს ო ბ ი თ ც ხ ე ნ ძ ა ლ ა შ ი							
ყველა ტრაქტორებისა	3.209,2	4.462,8	6.184,0	7.672,4	8.385,0	9.256,2	288,4
აქედან:							
ა) ტრაქტორებისა მტს-ებში . .	1.758,1	2.753,9	4.281,6	5.856,0	6.679,2	7.437,0	423,0
ბ) ტრაქტორებისა საბჭოთა მეურნეობებსა და დამხმარე სას.-სამ. საწარმოებში	1.401,7	1.669,5	1.861,4	1.730,7	1.647,5	1.751,8	125,0

2) კომბაინებისა და სხვა მანქანების პარკი სსრ კავშირის სოფლის მეურნეობაში (ათას ცალობით, წლის დამლევისათვის)

ეროვნული ბიბლიოთეკა

	1933 წ.	1934 წ.	1935 წ.	1936 წ.	1937 წ.	1938	1938 წ. %%-ებში 1933 წ. შედარ.
კომბაინები	25,4	32,3	50,3	87,8	128,8	153,5	604,3
შინაგანი წვის ძრავები და ლოკომობილები	48,0	60,9	69,1	72,4	77,9	83,8	174,6
მარცვლეულის რთული და ნახევრადრთული სალეწი მანქანები	120,3	121,9	120,1	123,7	126,1	130,8	108,7
სატვირთო ავტომობილები	26,6	40,3	63,7	96,2	144,5	195,8	736,1
მსუბუქი ავტომობილები (ცალობით)	3.991	5.533	7.555	7.630	8.156	9.594	240,4

თუ ამ ციფრებს დავუმატებთ იმ ფაქტს, რომ ჩვენში მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რაოდენობა საანგარიშო პერიოდში 1934 წელს არსებული 2.900 ერთეულიდან 1938 წელს 6.350 ერთეულამდე გაიზარდა, მაშინ ყველა ამ მონაცემის საფუძველზე დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი მიწათმოქმედების რეკონსტრუქცია ახალი, თანამედროვე ტექნიკის საფუძველზე — ძირითადად უკვე დამთავრებულია.

მაშასადამე, ჩვენი მიწათმოქმედება არის არა მარტო ყველაზე მსხვილი და მექანიზებული, და ამრიგად ყველაზე უფრო სასაქონლო მიწათმოქმედება, არამედ თანამედროვე ტექნიკით ყველაზე უფრო აღჭურვილიც, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყნის მიწათმოქმედება.

თუ ავიღებთ მარცვლეულ და ტექნიკურ კულტურათა პროდუქციის ზრდის მოძრაობას საანგარიშო პერიოდში რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით, მონაცემები შემდეგ სურათს იძლევა:

მარცვლეულ და ტექნიკურ კულტურათა საერთო პროდუქცია სსრ კავშირში

	მილიონ ცენტნერებში						1938 წ. %%-ში 1913 წელთან შედარებით
	1913 წ.	1934 წ.	1935 წ.	1936 წ.	1937 წ.	1938 წ.	
მარცვლეული	801,0	894,0	901,0	827,3	1.202,9	949,9	118,6
ბამბა (ნედლი)	7,4	11,8	17,2	23,9	25,8	26,9	363,5
სელი (ბოჭკო)	3,3	5,3	5,5	5,8	5,7	5,46	165,5
შაქრის ჭარხალი	109,0	113,6	162,1	168,3	218,6	166,8	153,0
ზეთოვანი	21,5	36,9	42,7	42,3	51,1	46,6	216,7

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ, მიუხედავად 1936 წ. და 1938 წლის გვალვისა აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში და მიუხედავად

უმაგალითოდ მაღალი მოსავლისა 1913 წელს, მარცვლეულისა და ტექნიკური კულტურების საერთო პროდუქცია ჩვენში საანგარიშო პერიოდში განუხრელად იზრდებოდა 1913 წლის დონესთან შედარებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით საინტერესოა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მარცვლეული წარმოების საქონლიანობის საკითხი. ცნობილმა სტატისტიკოსმა ამხ. ნემჩინოვმა გამოიანგარიშა, რომ ომამდელი დროის ხუთი მილიარდი ფუთი მარცვლეულის საერთო პროდუქციიდან ბაზარზე გამოჰქონდათ სულ დაახლოებით 1 მილიარდი 300 მილიონი ფუთი სასაქონლო მარცვლეული, რაც შეადგენს მაშინდელი მარცვლეული წარმოების საქონლიანობის 26 პროცენტს. ამხ. ნემჩინოვი სთვლის, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების, როგორც მსხვილი წარმოების, საქონლიანობა, მაგალითად, 1926-1927 წლებში შეადგენდა საერთო პროდუქციის დაახლოებით 47 პროცენტს, ხოლო ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის საქონლიანობა — დაახლოებით 12 პროცენტს. თუ საქმეს უფრო ფრთხილად მივუდგებით და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 1938 წლის წარმოების საქონლიანობას საერთო წარმოების 40 პროცენტად ვივარაუდებთ, მაშინ გამოვა, რომ ჩვენს სოციალისტურ მარცვლეულ მეურნეობას შეეძლო გამოეტანა და ამა წელს მან მართლაც გამოიტანა დაახლოებით ორი მილიარდი და სამასი მილიონი ფუთი სასაქონლო მარცვლეული, ე. ი. 1 მილიარდი ფუთით მეტი სასაქონლო მარცვლეული, ვიდრე ომამდელმა მარცვლეულმა წარმოებამ.

მაშასადამე, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების წარმოების მაღალი საქონლიანობა წარმოადგენს ამ წარმოების უმნიშვნელოვანეს თავისებურებას, რომელსაც უაღრესად სერიოზული მნიშვნელობა აქვს ქვეყნის მომარაგებისათვის.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სწორედ ამ თავისებურებაში მდგომარეობს იმის საიდუმლოება, რომ ჩვენმა ქვეყანამ ასე ადვილად და სწრაფად შესძლო გადაეწყვიტა მარცვლეულის პრობლემა, სასაქონლო მარცვლეულით უზარმაზარი ქვეყნის საკმაოდ მომარაგების პრობლემა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მარცვლეულის ყოველწლიური დამზადება ჩვენში ერთ მილიარდ ექვსას მილიონ ფუთზე დაბლა არ ჩამოდიოდა, ზოგჯერ კი, მაგალითად, 1937 წელს ერთ მილიარდ 800 მილიონ ფუთამდე ადიოდა. თუ ამას დავუმატებთ ყოველწლიურად დაახლოებით 200 მილიონი ფუთი მარცვლეულის შესყიდვას და კიდევ მარცვლეულის საკოლმეურნეო ვაჭრობის ხაზით მიღებულ რამდენიმე ასეულ მილიონ ფუთს, მაშინ ჩვენ საერთოდ მივიღებთ კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა მიერ გამოტანილი სასაქონლო პურის იმ ჯამს, რომელიც ზევით იყო მოხსენებული.

შემდეგ, საინტერესოა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სასაქონლო მარცვლეულის ბაზამ გადაინაცვლა უკრაინიდან, რომელიც წინათ ჩვენი ქვეყნის ბელლად ითვლებოდა, ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთისაკენ, ე. ი. რუსეთის სფს რესპუბლიკისაკენ. ცნობილია, რომ ამ უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში უკრაინა ყოველწლივ დაახლოებით სულ 400 მილიონ ფუთ მარცვლეულს ამზადებს, მაშინ, როდესაც რუსეთის სფს რესპუბლიკა ამ წლების განმავლობაში ყოველწლიურად მილიარდ ას — მილიარდ ორას მილიონ ფუთ სასაქონლო მარცვლეულს ამზადებს.

ასეთია მდგომარეობა მარცვლეულის წარმოების მხრივ.

რაც შეეხება მეცხოველეობას, უკანასკნელ წლებში სოფლის მეურნეობის ამ ყველაზე ჩამორჩენილ დარგშიც დაისახა სერიოზული ძვრები. მართალია, ცხენის სულადობისა და მეცხვარეობის მხრივ ჩვენ ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით რევოლუციამდელ დონეს, მაგრამ მსხვილი რქოსანი პირუტყვისა და მეღორეობის მხრივ ჩვენ უკვე გადავაბიჯეთ რევოლუციამდელ დონეს.

აი ცნობები ამის შესახებ:

პირუტყვის სულადობა სსრ კავშირში (მილიონ სულობით)

	1916 წ. აღ-ნერის ცნობების მიხედვით	ივლისისათვის						1938 წ. %%-ებში	
		1933 წ.	1934 წ.	1935 წ.	1936 წ.	1937 წ.	1938 წ.	1916 წ. შედარებით (აღ-ნერის მიხედვით)	1933 წ. შედარებით
ცხენი	35,8	16,6	15,7	15,9	16,6	16,7	17,5	48,9	105,4
მსხვილი რქოსანი პირუტყვი . . .	60,6	38,4	42,4	49,2	56,7	57,0	63,2	104,3	164.6
ცხვარი და თხა . .	121,2	50,2	51,9	61,1	73,7	81,3	102,5	84,6	204,2
ღ ო რ ი	20,9	12,1	17,4	22,5	30,5	22,8	30,6	146,4	252,9

ეჭვს გარეშეა, რომ მეცხენეობისა და მეცხვარეობის დარგში ჩამორჩენა ლიკვიდირებულ იქნება უახლოეს დროში.

გ) **საქონელბრუნვა, ტრანსპორტი.** მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობასთან ერთად ჩვენს ქვეყანაში იზრდებოდა საქონელბრუნვაც. სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის საცალო ქსელი საანგარიშო პერიოდში 25 პროცენტით გაიზარდა. სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის საცალო ბრუნვა 178 პროცენტით გაიზარდა. საკოლმეურნეო-საბაზრო ვაჭრობის ბრუნვა გაიზარდა 112 პროცენტით.

აი სათანადო ცხრილი:

საქონელბრუნვა

	1933 წ.	1934 წ.	1935 წ.	1936 წ.	1937 წ.	1938 წ.	1938 წ. % -ში 1933 წ. შედარებით
1. სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის საცალო ქსელი (მაღაზიები და ფარდულები) — წლის დამლევისათვის	285,355	286.236	268,713	289.473	327,361	356.930	125,1
2. სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის საცალო ბრუნვა (საზოგადოებრივი კვების ჩათვლით) — მილიონ მანეთებში	49.789,2	61.814,7	81.712,1	106.760,9	25.943,2	138.574,3	278,3
3. საკოლმეურნეო საბაზრო ვაჭრობის ბრუნვა მილიონ მანეთებში	11.500,0	14.000,0	14.500,0	15.607,2	17.799,7	24.3[illegible]9,2	212,2
4. კვების მრეწვ. სახ. კომისარიატის, მსუბუქი მრეწვ. სახ. კომისარიატის, მძიმე მრეწვ. სახ. კომისარიატის, სატყეო მრეწ. სახ. კომისარიატის, მოკავშირე რესპუბლიკათა ადგილობრივი მრეწვ. სახ. კომისარიატების საოლქო საეკონომო გამსაღებელი ბაზები — წლის დამლევისათვის	718	836	1.141	1.798	1.912	1.994	277,7

გასაგებია, რომ საქონელბრუნვა ჩვენს ქვეყანაში ასე ვერ გაიმარჯვებდა სატრანსპორტო ტვირთზიდვის ერთგვარი ზრდის გარეშე. და მართლაც, ტვირთზიდვა საანგარიშო პერიოდში გაიზარდა ყველა სახის ტრანსპორტის, განსაკუთრებით რკინიგზისა და საჰაერო ტრანსპორტის დარგში. ტვირთზიდვა გაიზარდა აგრეთვე წყლის ტრანსპორტზე, მაგრამ დიდი რყევით, ხოლო 1938 წელს ტვირთზიდვა წყლის ტრანსპორტზე, სამწუხაროდ, რამდენამდე შემცირდა წინა წელთან შედარებით.

აი სათანადო ცხრილი:

ტვირთბრუნვა

	1933 წ.	1934 წ.	1935 წ.	1936 წ.	1937 წ.	1938 წ.	1938 წ. %-ბში 1933 წ. შედარებით
რკინიგზები (მილიარდ ტონა კილომეტრებში)	169,5	205,7	258,1	323,4	354,8	369,1	217,7
მდინარისა და საზღვაო ტრანსპორტი (მილიარდ ტონა-კილომეტრებში)	50,2	56,5	68,3	72,3	70,1	66,0	131,5
სამოქალაქო საჰაერო ფლოტი (მილიონ ტონა-კილომეტრებში) .	3,1	6,4	9,8	21,9	24,9	31,7	1.022,6

არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ 1938 წელს წყლის ტრანსპორტის ერთგვარი ჩამორჩენილობა ლიკვიდირებული იქნება 1939 წელს.

2. ხალხის მაჯერიალური და კულტურული მდგომარეობის შემდგომი აღმავლობა

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განუწყვეტელ აღმავლობას, არ შეიძლებოდა არ მოჰყოლოდა და მართლაც მოჰყვა ხალხის მატერიალური და კულტურული მდგომარეობის ახალი ზრდა.

ექსპლუატაციის მოსპობამ და სახალხო მეურნეობაში სოციალისტური სისტემის განმტკიცებამ, ქალაქად და სოფლად უმუშევრობისა და მასთან დაკავშირებული სიღატაკის არარსებობამ, მრეწველობის უდიდესმა გაფართოებამ და მუშათა რაოდენობის განუწყვეტელმა ზრდამ, მუშათა და კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერების ზრდამ, კოლმეურნეობებზე მიწის სამუდამოდ მიმაგრებამ და პირველხარისხოვანი ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების უდიდესი რაოდენობით კოლმეურნეობათა მომარაგებამ, — ყოველივე ამან შეჰქმნა რეალური პირობები მუშათა და გლეხთა მატერიალური მდგომარეობის შემდგომი ზრდისათვის. მუშათა და გლეხთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას კი ბუნებრივად მოჰყვა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება ინტელიგენცი-

ისა, რომელიც წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო ძალას და მომსახურებას უწევს მუშათა და გლეხთა ინტერესებს.

ახლა უკვე საქმე ეხება არა იმას, რომ რამენაირად მრეწველობაში და სამუშაოზე სამადლოდ აიყვანო უმუშევარი და უსახლკარო გლეხები, რომლებიც სოფელს მოწყვეტილან და ცხოვრობენ შიმშილის შიშს ქვეშ. ასეთი გლეხები ჩვენს ქვეყანაში უკვე დიდიხანია აღარ არიან. და ეს, რა თქმა უნდა, კარგია, ვინაიდან ეს მოწმობს ჩვენი სოფლის შეძლებულობას. ახლა საქმე შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ იმას, რომ მივმართოთ კოლმეურნეობებს, პატივი დასდონ ჩვენს თხოვნას და მოგვცენ მზარდი მრეწველობისათვის ყოველწლივ თუნდაც დაახლოებით მილიონნახევარი ახალგაზრდა კოლმეურნე. კოლმეურნეობებმა, რომლებიც უკვე შეძლებული გახდნენ, მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ მათი მხრით ასეთი დახმარების აღმოუჩენლად ძალიან ძნელი იქნება ჩვენი მრეწველობის შემდგომი გაფართოება, ხოლო მრეწველობის გაუფართოებლად — ვერ შევძლებთ მასობრივი მოხმარების საქონელზე გლეხთა მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. კოლმეურნეობებს სრული შესაძლებლობა აქვთ დააკმაყოფილონ ეს ჩვენი თხოვნა, რადგანაც კოლმეურნეობებში ტექნიკის სიუხვე ათავისუფლებს მუშაკთა ნაწილს სოფლად, ხოლო ამ მუშაკებს, თუ მათ მრეწველობაში გადმოვიყვანდით, შეეძლოთ უდიდესი სარგებლობის მოტანა მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის.

შედეგად ჩვენ გვაქვს საანგარიშო პერიოდში შემდეგი მაჩვენებლები მუშათა და გლეხთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა:

1. სახალხო შემოსავალი 1933 წლის 48,5 მილიარდი მანეთიდან გაიზარდა 105,0 მილიარდ მანეთამდე 1938 წელს;

2. მუშათა და მოსამსახურეთა რაოდენობა 1933 წლის 22 მილიონზე მეტი კაციდან ავიდა 28 მილიონ კაცამდე 1938 წელს;

3. მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის წლიური ფონდი 34.953 მილიონი მანეთიდან გაიზარდა 96.425 მილიონ მანეთამდე;

4. მრეწველობის მუშათა საშუალო-წლიური ხელფასი, რომელიც 1933 წელს 1.513 მანეთს შეადგენდა, ავიდა 3.447 მანეთამდე 1938 წელს;

5. კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი 1933 წლის 5.661,9 მილიონი მანეთიდან ავიდა 14.180,1 მილიონ მანეთამდე 1937 წელს;

6. მარცვლეულის რაიონებში მარცვლეულის საშუალო გაცემა თითო საკოლმეურნეო კომლზე 1933 წლის 61 ფუთიდან ავიდა 144 ფუთამდე 1937 წელს, რომ არ ჩავთვალოთ თესლი, სათესლე სადაზღვევო ფონდები, საზოგადოებრივი პირუტყვის საკვები ფონდი, მარცვლეულის ჩაბარება, მტს-ების სამუშაოთა ნატურანაზღაურება;

7. ბიუჯეტით სახელმწიფო ასიგნობანი სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე 1933 წლის 5.839,9 მილიონი მანეთიდან გაიზარდა 35.202,5 მილიონ მანეთამდე 1938 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება ხალხის კულტურულ მდგომარეობას, მატერიალური კეთილდღეობა კვალდაკვალ მისდევდა ხალხის მატერიალური მდგომარეობის აღმავლობას.

ხალხის კულტურული განვითარების თვალსაზრისით საანგარიშო პერიოდი ჭეშმარიტად იყო კულტურული რევოლუციის პერიოდი. სსრ კავშირის ეროვნებათა ენებზე საყოველთაო-სავალდებულო პირველდაწყებითი განათლების დანერგვა ცხოვრებაში, ყველა საფეხურის სკოლებისა და მოსწავლეთა რიცხვის ზრდა, უმაღლესი სკოლების მიერ გამოშვებულ სპეციალისტთა რიცხვის ზრდა, ახალი, საბჭოთა ინტელიგენციის შექმნა და განმტკიცება, — ასეთია ხალხის კულტურული აღმავლობის საერთო სურათი.

აი ცნობები ამის შესახებ:

1) ხალხის კულტურული დონის ამაღლება

მაჩვენებლები	საზომი ერთეული	1933/34 წ.	1938/39 წ.	1938/39 წ. %%-ში 1933/34 წ. შედარებით
მოსწავლეთა რიცხვი ყველა საფეხურის სკოლებში	ათასი კაცი	23,814	33.965,4	142,6
აქედან:				
დაწყებითი განათლების სკოლებში	„ „	17.873,5	21.288,4	119,1
საშუალო განათლების სკოლებში (ზოგადსა და სპეციალურში)	„ „	5.482,2	12.076,0	220,3
უმაღლესი განათლების სკოლებში	„ „	458,3	601,0	131,1
მოსწავლეთა რაოდენობა სსრ კავშირში (ყველა ასაკის სწავლების ჩათვლით)	„ „	—	47.442,1	—
მასობრივ ბიბლიოთეკათა რიცხვი	ათასი	40,3	70.0	173,7
წიგნების რიცხვი მათში . . .	მილიონი	86.0	126,6	147,2
საკლუბო დაწესებულებათა რიცხვი	ათასი	61,1	95.6	156,5
თეატრების რიცხვი	ერთეული	587	790	134,6
კინოდანადგაოთა რიცხვი (ვიწროაფსკიანების გარდა) . . .	„	27,467	30,461	110,9
მათ შორის ხმოვანი	„	498	15,202	31-ჯერ
კინოდანადგართა რიცხვი (ვიწროაფსკიანების გარდა) სოფლად	„	17.470	18,991	108,7
მათ შორის ხმოვანი	„	24	6,670	278 ჯერ
გაზეთებია წლიური ტირაჟი .	მილიონი	4.984,6	7.092,4	142,3

2) 1933 — 1938 წლების მანძილზე სსრ კავშირში აგებულია სკოლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლები	სკოლების რიცხვი		
	ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში	სოფლად	სუ
1933	326	3261	3587
1934	577	3488	4065
1935	533	2829	3362
1936	1505	4206	5711
1937	730	1323	2053
1938	583	1246	1829
სულ 1933-38 წლ.	4254	16353	20607

3) 1933 — 1938 წ. წ. უმაღლესი სასწავლებლებიდან გამოუშვებულია ახალგაზრდა სპეციალისტები

(ათასებში)

	1933 წ.	1934 წ.	1935 წ.	1936 წ.	1937 წ.	1938 წ.
სულ სსრ კავშირში (სამხედრო სპეციალისტების ჩაუთვლელად)	34,6	49,2	83,7	97,6	104,8	106,7
1. მრეწველობისა და მშენებლობის ინჟინრები	6,1	14,9	29,6	29,2	27,6	25,2
2. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ინჟინრები	1,8	4,0	7,6	6,6	7,0	6,1
3. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ინჟინრები, აგრონომები, ვეტერინარი ექიმები და ზოოტექნიკოსები	4,8	6,3	8,8	10,4	11,3	10,6
4. ეკონომისტები და იურისტები	2,5	2,5	5,0	6,4	5,0	5,7
5. საშუალო სკოლის, მუშფაკების, ტექნიკუმების მასწავლებლები და განათლების სხვა მუშაკნი, მათ შორის ხელოვნების მუშაკები	10,5	7,9	12,5	21,6	31,7	35,7
6. ექიმები, პროვიზორები და ფიზიკური კულტურის მუშაკები	4,6	2,5	7,5	9,2	12,3	13,6
7. დანარჩენი სპეციალობანი	4,3	11,1	12,7	14,2	9,9	9,8

მთელი ამ უდიდესი კულტურული მუშაობის შედეგად ჩვენში წარმოიშვა და ჩამოყალიბდა მრავალრიცხოვანი ახალი, საბჭოთა ინტელიგენცია, მუშათა კლასისა, გლეხობისა და საბჭოთა მოსამსახურეების რიგებიდან გამოსული, ჩვენი ხალხის ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი, — ინტელიგენცია, რომელმაც არ იცის ექსპლუატაციის უღელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც სძულს ექსპლუატატორები და მზად არის ერთგულად და გულმართლად ემსახუროს სსრ კავშირის ხალხებს.

მე ვფიქრობ, რომ ამ ახალი, ხალხური, სოციალისტური ინტელიგენციის წარმოშობა ერთერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესი შედეგია კულტურული რევოლუციისა ჩვენს ქვეყანაში.

3. საბჭოთა წყობილების შემდგომი განმტკიცება

საანგარიშო პერიოდის ერთერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ მან გამოიწვია ჩვენი ქვეყნის საშინაო მდგომარეობის შემდგომი განმტკიცება, საბჭოთა წყობილების შემდგომი განმტკიცება.

სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. სოციალისტური სისტემის დამკვიდრებას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობას, მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის აღმავლობას, ხალხთა მასების კულტურულობის ამაღლებას, მათი პოლიტიკური აქტივობის ამაღლებას, — ყოველივე ამას, რაც საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით განხორციელდა, არ შეეძლო არ გამოეწვია საბჭოთა წყობილების შემდგომი განმტკიცება.

ახლანდელი დროის საბჭოთა საზოგადოების თავისებურება, ყოველგვარი კაპიტალისტური საზოგადოებისაგან განსხვავებით, იმაში მდგომარეობს, რომ ამ საზოგადოებაში აღარ არის ანტაგონისტური, მტრული კლასები, ექსპლუატატორული კლასები ლიკვიდირებულია, ხოლო მუშები, გლეხები და ინტელიგენცია, რომლებიც საბჭოთა საზოგადოებას შეადგენენ, მეგობრული თანამშრომლობის საფუძველზე ცხოვრობენ და მუშაობენ. მაშინ, როდესაც კაპიტალისტურ საზოგადოებას მუშებსა და კაპიტალისტებს შორის, გლეხებსა და მემამულეებს შორის არსებული შეურიგებელი წინააღმდეგობანი სჯიჯგნიან, რაც მისი საშინაო მდგომარეობის მერყეობას იწვევს, ექსპლუატაციის უღლისაგან განთავისუფლებულმა საბჭოთა საზოგადოებამ ასეთი წინააღმდეგობანი არ იცის, იგი თავისუფალია კლასობრივ შეტაკებათაგან და მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის მეგობრული თანამშრომლობის სურათს წარმოადგენს. სწორედ ამ ერთობის საფუძველზე გაიშალა ისეთი მამოძრავებელი ძალები, როგორიცაა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, საბჭოთა პატრიოტიზმი. ამავე საფუძველზე წარმოიშვა 1936 წლის ნოემბერში მიღებული სსრ კავშირის კონსტიტუცია და ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ორგანოების არჩევნების სრული დემოკრატიზაცია.

რაც შეეხება ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ორგანოების თვით არჩევნებს, იგი საბჭოთა საზოგადოების სწორედ იმ ერთიანობისა და სსრ კავშირის ხალხთა სწორედ იმ მეგობრობის ბრწყინვალე დემონსტრაციად გადაიქცა, რომლებიც ჩვენი ქვეყნის საშინაო მდგომარეობის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენენ. როგორც ცნობილია, სსრ კავშირის უმაღლე-

სი საბჭოს არჩევნებში 1937 წლის დეკემბერში კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკს ხმა მისცა თითქმის 90 მილიონმა ამომრჩეველმა, ე. ი. კენჭისყრაში მონაწილეთა მთელი რაოდენობის 98,6 პროცენტმა. სოლო მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნებში 1938 წლის ივნისში კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკს ხმა მისცა 92 მილიონმა ამომრჩეველმა, ე. ი. კენჭისყრაში მონაწილეთა მთელი რაოდენობის 99,4 პროცენტმა.

აი სად არის საბჭოთა წყობილების სიმტკიცის საფუძველი და საბჭოთა ხელისუფლების დაუშრეტელი ძალის წყარო.

ეს, სხვათა შორის, იმას ნიშნავს, რომ ომის შემთხვევაში ჩვენი არმიის ზურგი და ფრონტი, მათი ერთგვაროვნობისა და შინაგანი ერთიანობის გამო, უფრო მტკიცე იქნება, ვიდრე ყოველ სხვა ქვეყანაში, რაც საჭიროა ახსოვდეთ სამხედრო შეტაკებათა საზღვარგარეთელ მოყვარულთ.

საზღვარგარეთის პრესის ზოგიერთი მოღვაწე ლაყბობს, რომ საბჭოთა ორგანიზაციების გაწმენდამ ჯაშუშებისა, მკვლელებისა და მავნებლებისაგან, როგორიც ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი, იაკირი, ტუხაჩევსკი, როზენგოლცი, ბუხარინი და სხვა მუხანათებია, თითქოს „შეარყია“ საბჭოთა წყობილება, „გახრწნა“ შეიტანა მასში. ეს უხამსი ლაყბობა იმად ღირს, რომ სასაცილოდ ავიგდოთ ის. როგორ შეუძლია შეარყიოს და გახრწნას საბჭოთა წყობილება მავნე და მტრული ელემენტებისაგან საბჭოთა ორგანიზაციების გაწმენდამ? ერთი მუჭა ტროცკისტ-ბუხარინელი ჯაშუშები, მკვლელები და მავნებლები, რომლებიც ფეხქვეშ ეგებოდნენ უცხოეთს, გამსჭვალული იყვნენ მლიქვნელობის მონური გრძნობით უცხოეთის ყოველი პატარა მოხელის წინაშე და მზად იყვნენ დასდგომოდნენ მას ჯაშუშურ სამსახურში, — ერთი მუჭა ადამიანები, რომელთაც ვერ შეიგნეს ის, რომ საბჭოთა უკანასკნელი მოქალაქე, კაპიტალის ბორკილებისაგან თავისუფალი, გაცილებით უფრო მაღლა დგას მაღალი თანამდებობის ყოველ საზღვარგარეთელ მოხელეზე, რომელიც თავისი კისრით ეწევა კაპიტალისტური მონობის უღელს, — ვისთვის არის საჭირო გამყიდველი მონების ეს უბადრუკი ბანდა, რა ღირებულებას უნდა წარმოადგენდეს იგი ხალხისათვის და ვისი „გახრწნა“ შეუძლია მას? 1937 წელს დახვრეტა მიესაჯათ ტუხაჩევსკის, იაკირს, უბორევიჩს და სხვა მუხანათებს. ამის შემდეგ მოხდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. არჩევნებმა საბჭოთა ხელისუფლებას მისცა კენჭისყრის მონაწილეთა მთელი რაოდენობის 98,6 პროცენტი. 1938 წლის დასაწყისში დახვრეტა მიესაჯათ როზენგოლცს, რიკოვს, ბუხარინსა და სხვა მუხანათებს. ამის შემდეგ ჩატარდა მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნები. არჩევნებმა საბჭოთა ხელისუფლებას მისცა კენჭისყრის მონაწილეთა საერთო რიცხვის 99,4 პროცენტი. კითხვა იბადება, სად არის აქ „გახრწნის“ ნიშნები და რატომ არ მოახდინა ამ „გახრწნამ“ თავისი გავლენა არჩევნების შედეგებზე?

ამ უცხოელ მოლაყბეებს რომ უსმენ, შეიძლება იმ დასკვნამდე მიხვიდე, რომ თუ თავისუფლად დავტოვებდით ჯაშუშებს, მკვლელებს და მავნებლებს და არ შევუშლიდით მათ ხელს — გაეწიათ მავნებლობა, ჩაედინათ მკვლელობანი და ჯაშუშობა, მაშინ საბჭოთა ორგანიზაციები გაცილებით უფრო მკვიდრი და მტკიცე იქნებოდნენ. **(სიცილი).** მეტისმეტად ადრე ხომ არ ამყლავნებენ თავისთავს ეს ვაჟბატონები, რომლებიც ასე თავხედურად იცავენ ჯაშუშებს, მკვლელებს, მავნებლებს?

განა უფრო სწორი არ იქნება ვთქვათ, რომ საბჭოთა ორგანიზაციების გაწმენდას ჯაშუშებისა, მკვლელებისა და მავნებლებისაგან უნდა გამოეწვია, და მართლაც გამოიწვია, ამ ორგანიზაციების შემდგომი განმტკიცება?

რას მეტყველებენ, მაგალითად, ხასანის ტბასთან მომხდარი ამბები, თუ არა იმას, რომ საბჭოთა ორგანიზაციების გაწმენდა ჯაშუშებისა და მავნებლებისაგან წარმოადგენს ამ ორგანიზაციების განმტკიცების ყველაზე საიმედო საშუალებას?

★

პარტიის ამოცანები საშინაო პოლიტიკის დარგში:

1. შემდგომ უფრო გავშალოთ ჩვენი მრეწველობის აღმავლობა, შრომის ნაყოფიერების ზრდა, წარმოების ტექნიკის გაუმჯობესება იმ ანგარიშით, რომ, მას შემდეგ, რაც უკვე გავუსწარით მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს წარმოების ტექნიკის და მრეწველობის ზრდის ტემპების დარგში, — გავუსწროთ მათ ეკონომიურადაც უახლოესი 10-15 წლის განმავლობაში.

2. შემდგომ უფრო გავშალოთ ჩვენი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის აღმავლობა იმ ანგარიშით, რომ უახლოესი 3-4 წლის განმავლობაში მივაღწიოთ მარცვლეულის ყოველწლიურ წარმოებას 8 მილიარდი ფუთის რაოდენობით, ჰექტარზე 12-13 ცენტნერის საშუალო მოსავლიანობით, გავადიდოთ წარმოება ტექნიკური კულტურების დარგში საშუალოდ 30-35 პროცენტით, გავადიდოთ ცხვრისა და ღორის სულადობა ერთიორად, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა — 40 პროცენტით, ცხენების სულადობა — 35 პროცენტით.

3. შემდგომ განვაგრძოთ მუშების, გლეხების, ინტელიგენციის მატერიალური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესება.

4. განუხრელად გავატაროთ ცხოვრებაში ჩვენი სოციალისტური კონსტიტუცია, ბოლომდე განვახორციელოთ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაცია, განვამტკიცოთ საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა და მუშების, გლეხების, ინტელიგენციის მეგობრული თანამშრომლობა, ყოველნაირად განვამტკიცოთ სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, განვავითაროთ და ვზარდოთ საბჭოთა პატრიოტიზმი.

5. არ დავივიწყოთ კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ, გვახსოვდეს, რომ უცხოეთის დაზვერვა კვლავაც შემოგზავნის ჩვენს ქვეყანაში ჯა-

შუშებს, მკვლელებს, მავნებლებს, გვახსოვდეს ეს და განვამტკიცოთ ჩვენი სოციალისტური დაზვერვა, სისტემატურად დავეხმაროთ მას ხალხის მტრების განადგურებასა და აღმოფხვრაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III

საკ. კ. პ. (ბ) შემდგომი განმტკიცება

პოლიტიკური ხაზისა და ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობის თვალსაზრისით საანგარიშო პერიოდი იყო პერიოდი ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის სრული გამარჯვებისა. **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში).**

სოციალისტური სისტემის დამკვიდრება მთელ სახალხო მეურნეობაში, მრეწველობისა და მიწათმოქმედების რეკონსტრუქციის დამთავრება ახალი ტექნიკის საფუძველზე, მეორე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულება მრეწველობის ხაზით, მარცვლეულის ყოველწლიური წარმოების აყვანა 7 მილიარდი ფუთის დონემდე, სილატაკისა და უმუშევრობის მოსპობა და ხალხის მატერიალური და კულტურული მდგომარეობის აღმავლობა, — ასეთია ძირითადი მიღწევები, რომლებიც ცხადჰყოფენ ჩვენი პარტიის პოლიტიკის სისწორეს, მისი ხელმძღვანელობის სისწორეს.

ამ გრანდიოზული მიღწევების წინაშე ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის მოწინააღმდეგენი, სხვადასხვა ჯურის „მემარცხენე" და „მემარჯვენე" მიმდინარეობანი, ყოველი ჯურის ტროცკისტ-პიატაკოველი და ბუხარინელ-რიკოველი გადაგვარებულნი იძულებული გახდნენ თავის ნაჭუჭში შემძვრალიყვნენ, დაემალნათ თავისი გაცვეთილი „პლატფორმები" და იატაკქვეშეთში წასულიყვნენ. არ გააჩნდათ რა გამბედაობა დამორჩილებოდნენ ხალხის ნებას, მათ ამჯობინეს შეერთებოდნენ მენშევიკებს, ესერებს, ფაშისტებს, სამსახურში დასდგომოდნენ უცხოეთის დაზვერვას, გამხდარიყვნენ მისი ჯაშუშები და ეკისრნათ ვალდებულება — დახმარებოდნენ საბჭოთა კავშირის მტრებს, რათა მათ დაენაწილებინათ ჩვენი ქვეყანა და აღედგინათ მასში კაპიტალისტური მონობა.

ასეთია სამარცხვინო ბოლო ჩვენი პარტიის ხაზის მოწინააღმდეგეებისა, რომლებიც შემდეგ ხალხის მტრები გახდნენ.

გაანადგურა რა ხალხის მტრები და გასწმინდა რა გადაგვარებულთაგან პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, პარტია გახდა კიდევ უფრო ერთიანი თავის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობაში, იგი გახდა კიდევ უფრო შემჭიდროვებული თავისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო. **(მქუხარე ტაში. ყველა დელეგატი დგება და ფეხზე მდგომი მიესალმება მომხსენებელს. შეძახილები: „ამხანაგ სტალინს ვაშა! გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს! გაუმარჯოს ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს! ვაშა!").**

განვიხილოთ კონკრეტული მონაცემები საანგარიშო პერიოდში პარტიის შინაგანი ცხოვრების განვითარების შესახებ, მისი ორგანიზაციული და პროპაგანდისტული მუშაობის შესახებ.

I. ღონისძიებანი პარტიის შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის. ორგანიზაციების დაწვრილერთეულება. ხელმძღვანელი ორგანოების მიახლოვება ძირეულ სამუშაოსთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიისა და მისი ხელმძღვანელი ორგანოების განმტკიცება საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა პირველ რიგში ორი ხაზით: პარტიის შემადგენლობის რეგულირების, არასაიმედოთა განდევნისა და საუკეთესოთა შერჩევის ხაზით, და ორგანიზაციების დაწვრილერთეულების, მათი სიდიდის შემცირებისა და ძირეულ, ოპერატიულ, კონკრეტულ სამუშაოსთან ხელმძღვანელი ორგანოების მიახლოვების ხაზით.

პარტიის XVII ყრილობაზე წარმოდგენილი იყო პარტიის 1.874.488 წევრი. თუ შევადარებთ ამ მონაცემებს წინა, XVI პარტყრილობაზე წარმოდგენილ პარტიის წევრთა რაოდენობის მონაცემებს, გამოვა, რომ პარტიის XVI ყრილობიდან XVII ყრილობამდე განვლილი პერიოდის მანძილზე პარტიაში შემოვიდა 600 ათასი ახალი წევრი. პარტიას არ შეეძლო არ ეგრძნო, რომ პარტიაში ასეთი მასობრივი მოზღვავება 1930-1933 წლების პირობებში მისი შემადგენლობის არაჯანსაღ და არასასურველ გაფართოებას წარმოადგენს. პარტიამ იცოდა, რომ მის რიგებში მოდიან არა მარტო პატიოსანი და ერთგული, არამედ შემთხვევითი ადამიანებიც, არამედ კარიერისტებიც, რომლებიც მიისწრაფვიან გამოიყენონ პარტიის დროშა თავისი პირადი მიზნებისათვის. პარტიას არ შეეძლო არ სცოდნოდა, რომ იგი ძლიერია არა მარტო თავის წევრთა რაოდენობით, არამედ, უწინარეს ყოვლისა, მათი ხარისხით. ამასთან დაკავშირებით წამოიჭრა პარტიის შემადგენლობის რეგულირების საკითხი. გადაწყდა განგვეგრძო პარტიის წევრთა და კანდიდატთა წმენდა, რაც ჯერ კიდევ 1933 წელს დაიწყო, და იგი მართლაც განგრძობილ იქნა 1935 წლის მაისამდე. შემდეგ, გადაწყდა შეწყვეტილიყო პარტიაში ახალ წევრთა მიღება და იგი მართლაც შეწყვეტილ იქნა 1936 წლის სექტემბრამდე. ამასთან პარტიაში ახალ წევრთა მიღება განახლებულ იქნა მხოლოდ 1936 წლის 1 ნოემბერს. შემდეგ, ამხ. კიროვის ვერაგულ მკვლელობასთან დაკავშირებით, რაც იმას მოწმობდა, რომ პარტიაში ცოტა როდი მოიპოვებოდა საეჭვო ელემენტები, გადაწყდა ჩატარებულიყო პარტიული დოკუმენტების შემოწმება და გამოცვლა, მასთან ერთიცა და მეორეც დამთავრებულ იქნა მხოლოდ 1936 წლის სექტემბრისათვის. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო პარტიაში ახალ წევრთა და კანდიდატთა მიღება. ყველა ამ ღონისძიებათა შედეგად პარტიამ იმას მიაღწია, რომ გასწმინდა თავისი რიგები შემთხვევითი, პასიური, კარიერისტული და აშკარად მტრული ელემენტებისაგან, შეარჩია რა ყველაზე უფრო მტკიცე და თავდადებული ადამიანები. არ შეიძლება ითქვას, რომ წმენდა ჩატარდა სერიოზული შეცდომების გარეშე. სამწუხაროდ, შეცდომები მეტი აღმოჩნდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. უეჭველია, ჩვენ კვლავ აღარ მოგვიხდება მასობრივი წმენდის მეთოდის გამოყენება. მაგრამ 1933-1936 წლებში ჩატარებული

წმენდა მაინც აუცილებელი იყო და მან ძირითადად დადებითი შედეგები მოგვცა. დღევანდელ XXIII ყრილობაზე წარმოდგენილია პარტიის 1.600 ათასამდე წევრი, ესე იგი პარტიის 270 ათასი წევრით ნაკლები, ვიდრე XVII ყრილობაზე. მაგრამ ამაში ცუდი არაფერია. პირიქით, ეს უკეთესია, ვინაიდან პარტია მტკიცდება იმით, რომ სწმენდს თავისთავს უწმინდურობისაგან. ჩვენი პარტია ახლა თავისი წევრების რაოდენობით ნაკლებია, მაგრამ სამაგიეროდ ხარისხით იგი უკეთესია.

ეს დიდი მიღწევაა.

რაც შეეხება ყოველდღიური პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას ძირეულ მუშაობასთან მისი მიახლოვების მხრივ, მისი შემდგომი კონკრეტიზაციის მხრივ, პარტია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ორგანიზაციათა დაწვრილერთეულება, მათი სიდიდის შემცირება საუკეთესო საშუალებაა, რათა პარტიულ ორგანოებს გაუადვილდეს ამ ორგანიზაციებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა, ხოლო თვით ხელმძღვანელობა კონკრეტული, ცოცხალი, ოპერატიული გახდეს. დაწვრილერთეულება მიმდინარეობდა როგორც სახალხო კომისარიატების ხაზით, ისე ადმინისტრატიულ-ტერიტორიული ორგანიზაციების ხაზით, ე. ი. მოკავშირე რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, რაიონებისა და სხვ. ხაზით. მიღებულ ღონისძიებათა შედეგად ახლა ჩვენ 7 მოკავშირე რესპუბლიკის ნაცვლად გვაქვს 11 მოკავშირე რესპუბლიკა, სსრ კავშირის 14 სახალხო კომისარიატის ნაცვლად — 34 სახალხო კომისარიატი, 70 მხარისა და ოლქის ნაცვლად — 110 მხარე და ოლქი, 2.559 საქალაქო და სასოფლო რაიონის ნაცვლად — 3.815 საქალაქო და სასოფლო რაიონი. ამის შესაბამისად პარტიის ხელმძღვანელ ორგანოთა სისტემაში ახლა არის 11 ცენტრალური კომიტეტი საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეთაურობით, 6 სამხარეო კომიტეტი, 104 საოლქო კომიტეტი, 30 საოკრუგო კომიტეტი, 212 საერთო-საქალაქო კომიტეტი, 336 საქალაქო რაიონული კომიტეტი, 3.479 სასოფლო რაიონული კომიტეტი და 113.060 პირველადი პარტიული ორგანიზაცია.

არ შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზაციების დაწვრილერთეულების საქმე უკვე დამთავრებულია. ყველაზე უფრო მოსალოდნელია, რომ დაწვრილერთეულება შემდეგშიც გაგრძელდება. მაგრამ, რაც უნდა იყოს, იგი უკვე იძლევა თავის კარგ შედეგებს, როგორც მუშაობის ყოველდღიური ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მხრივ, ისე თვით ხელმძღვანელობის ძირეულ კონკრეტულ მუშაობასთან მიახლოვების მხრივაც. მე ალარაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ ორგანიზაციების დაწვრილერთეულებამ შესაძლებლობა მოგვცა ასობით და ათასობით ახალი ადამიანები დაგვეწინაურებინა ხელმძღვანელ სამუშაოზე.

ესეც დიდი მიღწევაა.

2. კადრების შერჩევა, მათი დაწინაურება, მათი განაწილება

პარტიის შემადგენლობის რეგულირება და კონკრეტული ცხოვრების მუშაობასთან ხელმძღვანელ ორგანოთა მიახლოვება არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო პარტიისა და მისი ხელმძღვანელობის შემდგომი განმტკიცების ერთადერთი საშუალება. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პარტიის განმტკიცების მეორე საშუალება იყო კადრებთან მუშაობის რადიკალური გაუმჯობესება, კადრების შერჩევის, მათი დაწინაურების, მათი განაწილების, მუშაობის პროცესში მათი შემოწმების საქმის გაუმჯობესება.

პარტიის კადრები პარტიის მეთაურთა შემადგენლობაა, ხოლო ვინაიდან ჩვენი პარტია ხელისუფლების სათავეში დგას, — ისინი წარმოადგენენ აგრეთვე ხელმძღვანელი სახელმწიფო ორგანოების მეთაურთა შემადგენლობას. მას შემდეგ, რაც შემუშავებულია სწორი პოლიტიკური ხაზი, პრაქტიკით შემოწმებული, პარტიის კადრები პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის გადამწყვეტ ძალად იქცევიან. რა თქმა უნდა, პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეა გვქონდეს სწორი პოლიტიკური ხაზი. მაგრამ ეს მაინც არ არის საკმარისი. სწორი პოლიტიკური ხაზი საჭიროა არა დეკლარაციისათვის, არამედ ცხოვრებაში გასატარებლად. მაგრამ სწორი პოლიტიკური ხაზის განხორციელებისათვის საჭიროა კადრები, საჭიროა ადამიანები, რომელთაც ესმით პარტიის პოლიტიკური ხაზი, რომელნიც ითვისებენ მას, როგორც თავის საკუთარ ხაზს, რომელნიც მზად არიან გაატარონ იგი ცხოვრებაში, რომელთაც შეუძლიათ მისი პრაქტიკულად განხორციელება და შესწევთ უნარი პასუხი აგონ მისთვის, დაიცვან იგი, იბრძოლონ მისთვის. ამის გარეშე კი არის საფრთხე, რომ სწორი პოლიტიკური ხაზი ქაღალდზე დარჩება.

სწორედ აქ დგება საკითხი კადრების სწორად შერჩევის შესახებ, კადრების გამოზრდის შესახებ, ახალ ადამიანთა დაწინაურების შესახებ, კადრების სწორი განაწილების შესახებ, ჩატარებული მუშაობის მიხედვით მათი შემოწმების შესახებ.

რას ნიშნავს კადრების სწორად შერჩევა?

კადრების სწორად შერჩევა — ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ აიყვანო მოადგილეები და თანაშემწეები, მოაწყო კანცელარია და გამოუშვა იქიდან სხვადასხვა მითითებანი (**სიცილი**). ეს არც იმას ნიშნავს, რომ ბოროტად გამოიყენო უფლება, უთავბოლოდ გადაისროლ-გადმოისროლო ათობით და ასობით ადამიანები ერთი ადგილიდან მეორეზე და დაუსრულებლად ახდენდე „რეორგანიზაციებს.“ (**სიცილი**).

კადრების სწორად შერჩევა ნიშნავს:

ჯერ-ერთი, აფასებდე კადრებს, როგორც პარტიისა და სახელმწიფოს ოქროს ფონდს, უფრთხილდებოდე მათ, პატივისცემით ეპყრობოდე მათ.

მეორეც, იცნობდე კადრებს, გულდასმით სწავლობდე კადრის თვითეული მუშაკის ღირსებასა და ნაკლს, იცოდე თუ რა თანამდებობაზე შეიძლება ყველაზე უფრო ადვილად გაიშალოს მუშაკის ნიჭი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამეც, მზრუნველობით ზრდიდე კადრებს, ეხმარებოდე თვითეულ მზარდ მუშაკს ამაღლდეს, არ იშურებდე დროს იმისათვის, რომ მოთმინებით „სდიო“ ასეთ მუშაკებს და დააჩქარო მათი ზრდა.

მეოთხეც, თავის დროზე და გაბედულად დააწინაურო ახალი, ახალგაზრდა კადრები, ისე, რომ მეტისმეტად დიდხანს არ დარჩნენ ძველ ადგილზე და არ დამჟავდნენ.

მეხუთეც, მუშაკები იმგვარად გაანაწილო პოსტებზე, რომ თვითეული მუშაკი თავის ადგილას გრძნობდეს თავს, რომ თვითეულ მუშაკს შეეძლოს მისცეს ჩვენს საერთო საქმეს იმის მაქსიმუმი, რის მიცემაც საერთოდ შეუძლია მას თავისი პირადი თვისებების მიხედვით, რომ კადრეზის განაწილებაზე მუშაობის საერთო მიმართულება სავსებით შეესაბამებოდეს იმ პოლიტიკური ხაზის მოთხოვნებს, რომლის გასატარებლადაც ხდება ეს განაწილება.

აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახალი, ახალგაზრდა კადრების გაბედულად და დროულად დაწინაურების საკითხს. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ადამიანები ჯერ კიდევ სრულად ვერ არიან გარკვეულნი ამ საკითხში. ერთნი ფიქრობენ, რომ ადამიანთა შერჩევის დროს ორიენტაცია, უმთავრესად, ძველ კადრებზე უნდა ავიღოთ. მეორენი, პირიქით, ფიქრობენ ორიენტაცია, უმთავრესად, ახალგაზრდა კადრებზე აიღონ. მე მგონია, რომ სცდებიან ერთნიცა და მეორენიც. ძველი კადრები, რა თქმა უნდა, დიდ განძს წარმოადგენენ პარტიისა და სახელმწიფოსათვის. მათ აქვთ ის, რაც არა აქვთ ახალგაზრდა კადრებს — უდიდესი გამოცდილება ხელმძღვანელობის დარგში, მარქსისტულ-ლენინური პრინციპული გამოწრთობა, საქმის ცოდნა, ორიენტირების ძალა. მაგრამ, ჯერ-ერთი, ძველი კადრები ყოველთვის ცოტაა, უფრო ნაკლებია ხოლმე, ვიდრე საჭიროა, და ისინი ნაწილობრივ უკვე გამოდიან მწყობრიდან ბუნების კანონთა ძალით. მეორეც, ძველი კადრების ერთ ნაწილს ხანდახან აქვს მიდრეკილება დაჟინებით იყურებოდეს წარსულისაკენ, ველარ დააღწიოს თავი წარსულს, ველარ დააღწიოს თავი ძველს და ვერ შეამჩნიოს ახალი რამ ცხოვრებაში. ამას ეწოდება ახლის გრძნობის დაკარგვა. ეს ფრიად სერიოზული და საშიში ნაკლია. რაც შეეხება ახალგაზრდა კადრებს, მათ, რა თქმა უნდა, არა აქვთ ის გამოცდილება, გამოწრთობა, საქმის ცოდნა და ორიენტირების ძალა, რაც ძველ კადრებს მოეპოვებათ. მაგრამ, ჯერ-ერთი, ახალგაზრდა კადრები უდიდეს უმრავლესობას შეადგენენ, მეორეც, ისინი ახალგაზრდები არიან და მათ ჯერჯერობით არ მოელის საფრთხე მწყობრიდან გამოსვლისა, მესამე, მათ ჭარბად აქვთ ახლის გრძნობა, — თვითეული ბოლშევიკური მუშაკის ძვირფასი თვისება, და მეოთხეც, ისინი იმდენად სწრაფად იზრდებიან და ისე სწრაფად იძენენ განათლებას, ისინი იმდენად მძაფრად იწევენ მაღ-

ლა, რომ შორს არ არის ის დრო, როცა ისინი დაეწევიან მოსუცებს, მხარში ამოუდგებიან მათ და გახდებიან მათი ღირსეული ცვლა. მაშასადამე, ამოცანა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ან ძველ კადრებზე მოვახდინოთ ორიენტირება, ან ახალ კადრებზე, არამედ იმაში, რომ ავიღოთ კურსი ძველი და ახალი კადრების შეხამებაზე, შეერთებაზე პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელი მუშაობის ერთ საერთო ორკესტრში. **(ხანგრძლივი ტაში).**

აი რატომ არის აუცილებელი დროულად და თამამად დავაწინაუროთ ახალგაზრდა კადრები ხელმძღვანელ პოსტებზე.

საანგარიშო პერიოდში პარტიული ხელმძღვანელობის განმტკიცების საქმეში პარტიის ერთ-ერთი სერიოზული მიღწევა იმაში მდგომარეობს, რომ იგი კადრების შერჩევის დარგში თავიდან ბოლომდე წარმატებით ატარებდა სწორედ ამ კურსს ძველი და ახალგაზრდა მუშაკების შეხამებაზე.

პარტიის ცენტრალურ კომიტეტში არის ცნობები, საიდანაც სჩანს, რომ საანგარიშო პერიოდში პარტიამ შესძლო სახელმწიფო და პარტიული ხაზით ხელმძღვანელ პოსტებზე დაეწინაურებინა 500 ათასზე მეტი ახალგაზრდა ბოლშევიკი, პარტიული და პარტიასთან ახლო მდგომი, მათ შორის 20 პროცენტზე მეტი ქალი.

რაში მდგომარეობს ახლა ამოცანა?

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მთლიანად ერთ ხელში მოვუყაროთ თავი კადრების შერჩევის საქმეს თავიდან ბოლომდე და ჯეროვან, მეცნიერულ, ბოლშევიკურ სიმაღლეზე ავიყვანოთ იგი.

ამისათვის აუცილებელია ბოლო მოვუღოთ კადრების შესწავლის, დაწინაურებისა და შერჩევის საქმის დაქუცმაცებას სხვადასხვა განყოფილებებსა და სექტორებს შორის და ერთ ადგილას მოვუყაროთ მას თავი.

ასეთი ადგილი უნდა იყოს კადრების სამმართველო საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში და კადრების სათანადო განყოფილება ყოველი რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო პარტორგანიზაციის შემადგენლობაში.

3. პარტიული პროპაგანდა. პარტიის წევრთა და პარტიული კადრების მარქსისტულ-ლენინური აღზრდა

არის კიდევ პარტიული მუშაობის ერთი დარგი, ფრიად მნიშვნელოვანი და ფრიად პასუხსაგები, რომლის ხაზითაც საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა პარტიისა და მისი ხელმძღვანელი ორგანოების განმტკიცება, — ეს არის პარტიული პროპაგანდა და აგიტაცია, ზეპირი და ბეჭდვითი, მუშაობა პარტიის წევრთა და პარტიის კადრების მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით აღზრდისათვის, მუშაობა პარტიისა და მისი მუშაკების პოლიტიკური და თეორიული დონის ამაღლებისათვის.

არა გვგონია საჭირო იყოს ბევრი ლაპარაკი პარტიული პროპაგანდის საქმის, ჩვენი მუშაკების მარქსისტულ-ლენინურად აღზრდის საქმის უაღ-

რესად სერიოზულ მნიშვნელობაზე. მე მხედველობაში მყავს არა მარტო პარტიული აპარატის მუშაკები. მე მხედველობაში მყავს აგრეთვე კომკავშირულ, პროფკავშირულ, სავაჭრო-კოოპერატიულ, სამეურნეო, საბჭოთა, საგანმანათლებლო, სამხედრო და სხვა ორგანიზაციების მუშაკები. შეიძლება დამაკმაყოფილებლად დააყენო პარტიის შემადგენლობის რეგულირებისა და ძირეულ მუშაობასთან ხელმძღვანელი ორგანოების მიახლოვების საქმე; შეიძლება დამაკმაყოფილებლად დააყენო კადრების დაწინაურების, მათი შერჩევის, მათი განაწილების საქმე; მაგრამ თუ ყოველივე ამასთან ერთად რატომღაც კოჭლობას იწყებს ჩვენი პარტიული პროპაგანდა, თუ დაჩიავებას იწყებს ჩვენი კადრების მარქსისტულ-ლენინურად აღზრდის საქმე, თუ სუსტდება ჩვენი მუშაობა ამ კადრების პოლიტიკური და თეორიული დონის ამაღლების ხაზით, თვითონ კადრებს კი ამასთან დაკავშირებით აღარ აინტერესებთ ჩვენი წინსვლის პერსპექტივა, აღარ ესმით ჩვენი საქმის სიმართლე და უპერსპექტივო საქმოსნებად იქცევიან, რომლებიც ბრმად და მექანიკურად ასრულებენ ზემოდან მიღებულ მითითებებს, — მაშინ უსათუოდ დაჩიავდება მთელი ჩვენი სახელმწიფოებრივი და პარტიული მუშაობა. აქსიომად უნდა მივიჩნიოთ, რომ რაც უფრო მაღალია სახელმწიფოებრივი და პარტიული მუშაობის რომელიც გნებავთ დარგის მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მაღალი და ნაყოფიერია თვით მუშაობა, მით უფრო ეფექტიურია მუშაობის შედეგები, და პირიქით, — რაც უფრო დაბალია მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მოსალოდნელია მუშაობის ჩაშლა და ჩაფუშვა, მით უფრო მოსალოდნელია თვით მუშაკთა დაკნინება და გადაქცევა მენამცეცე-საქმოსნებად, მით უფრო მოსალოდნელია მათი გადაგვარება. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ, თუ ჩვენ შევძლებდით მუშაობის ყველა დარგის ჩვენი კადრების იდეოლოგიურად მომზადებას და მათ იმდენად გამობრძმედას პოლიტიკურად, რომ მათ თავისუფლად შეეძლოთ ორიენტირება საშინაო და საერთაშორისო ვითარებაში, თუ ჩვენ შევძლებდით მათ გადაქცევას სავსებით მომწიფებულ მარქსისტ-ლენინელებად, რომელთაც შეეძლებათ ისე გადასწყვიტონ ქვეყნის ხელმძღვანელობის საკითხები, რომ სერიოზული შეცდომები არ დაუშვან, — ჩვენ ყველა საფუძველი გვექნებოდა უკვე გადაწყვეტილად ჩაგვეთვალა ყველა ჩვენი საკითხის ცხრა მეათედი. ამ ამოცანის გადაწყვეტა კი ჩვენ უსათუოდ შეგვიძლია, რადგან ჩვენ ყველა საშუალება და შესაძლებლობა გვაქვს, რაც აუცილებელია მისი გადაწყვეტისათვის.

ახალგაზრდა კადრების აღზრდა და ჩამოყალიბება ჩვენში ჩვეულებრივ მეცნიერებისა და ტექნიკის ცალკეული დარგების მიხედვით, სპეციალობათა მიხედვით მიმდინარეობს. ეს აუცილებელი და მიზანშეწონილია. აუცილებელი არ არის, რომ სპეციალისტი-მედიკოსი იმავე დროს ფიზიკის ან ბოტანიკის სპეციალისტი იყოს, და, პირიქით. მაგრამ არის

მეცნიერების ერთი დარგი, რომლის ცოდნა სავალდებულო უნდა იყოს მეცნიერების ყველა დარგის ბოლშევიკებისათვის,—ეს არის მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება საზოგადოების შესახებ, საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ, პროლეტარული რევოლუციის განვითარების კანონების შესახებ, სოციალისტური მშენებლობის განვითარების კანონების შესახებ, კომუნიზმის გამარჯვების შესახებ. ვინაიდან არ შეიძლება მივიჩნიოთ ნამდვილ ლენინელად კაცი, რომელიც თავისთავს ლენინელს უწოდებს, მაგრამ ჩაკეტილია თავის სპეციალობაში, ჩაკეტილია, ვთქვათ, მათემატიკაში, ბოტანიკასა ან ქიმიაში და თავისი სპეციალობის იქით ვერაფერს ხედავს. ლენინელს არ შეუძლია იყოს მხოლოდ მის მიერ ამორჩეული მეცნიერების დარგის სპეციალისტი, — იგი ამასთანავე ერთად უნდა იყოს პოლიტიკოსი — საზოგადოებრივი მუშაკი, რომელიც ცხოველი ინტერესით ეკიდება თავისი ქვეყნის ბედ-ილბალს, რომელიც იცნობს საზოგადოებრივი განვითარების კანონებს, რომელსაც შეუძლია გამოიყენოს ეს კანონები და რომელიც ცდილობს იყოს ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის აქტიური მონაწილე. ეს, რასაკვირველია, დამატებითი დატვირთვა იქნება სპეციალისტი ბოლშევიკებისათვის. მაგრამ ეს ისეთი დატვირთვა იქნება, რომლის შედეგებიც უხვად ანაზღაურდება.

პარტიული პროპაგანდის ამოცანა, კადრების მარქსისტულ-ლენინურად აღზრდის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დავეხმაროთ მუშაობის ყველა დარგის ჩვენს კადრებს დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებას საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ.

საკითხი პროპაგანდისა და აგრეთვე კადრების მარქსისტულ-ლენინური აღზრდის საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ არაერთხელ ყოფილა განხილული საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ, სხვადასხვა საოლქო პარტორგანიზაციების პროპაგანდისტთა მონაწილეობით. ამასთანავე მხედველობაში იყო მიღებული 1938 წლის სექტემბერში „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოსვლა. აღიარებულ იქნა, რომ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოსვლა საფუძველს უყრის ჩვენს ქვეყანაში მარქსისტულ-ლენინური პროპაგანდის ახალ გაქანებას. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალული კომიტეტის მუშაობის შედეგები გამოქვეყნდა მის ცნობილ დადგენილებაში „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“.

ემყარებოდა რა ამ დადგენილებას და ითვალისწინებდა რა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1937 წლის მარტის პლენუმის ცნობილ გადაწყვეტილებებს „პარტიული მუშაობის ნაკლოვანებათა შესახებ“, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიული პროპაგანდის დარგში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და პარტიის წევრებისა და პარტიული კადრების მარქსისტულ-ლენინური აღზრდის საქმის გასაუმჯობესებლად შემდეგი მთავარი ღონისძიებანი დასახა:

1. თავმოყრილ იქნას ერთ ადგილას პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის საქმე და გაერთიანდეს პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებანი და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებანი პროპაგანდისა და აგიტაციის ერთიან სამმართველოდ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის შემადგენლობაში, ამასთანავე მოეწყოს პროპაგანდისა და აგიტაციის შესაბამისი განყოფილება თვითეული რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო პარტორგანიზაციის შემადგენლობაში;

2. არასწორად იქნას მიჩნეული პროპაგანდის საწრეო სისტემით გატაცება, უფრო მიზანშეწონილად ჩაითვალოს პარტიის წევრთა მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების ინდივიდუალური შესწავლის მეთოდი და პარტიის მთავარი ყურადღება მიექცეს პრესაში პროპაგანდის გაშლას და პროპაგანდის ლექციური სისტემის ორგანიზაციას;

3. მოეწყოს თვითეულ საოლქო ცენტრში ერთწლიანი გადასამზადებელი კურსები ჩვენი კადრების ძირეული რგოლისათვის;

4. მოეწყოს ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ ცენტრებში ორწლიანი ლენინური სკოლა ჩვენი კადრების საშუალო რგოლისათვის;

5. მოეწყოს მარქსიზმ-ლენინიზმის უმაღლესი სკოლა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან სამწლიანი კურსით პარტიის კვალიფიციური თეორიული კადრების მოსამზადებლად;

6. შეიქმნას ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ ცენტრებში პროპაგანდისტებისა და გაზეთის მუშაკების გადასამზადებელი ერთწლიანი კურსები;

7. შეიქმნას მარქსიზმ-ლენინიზმის უმაღლეს სკოლასთან ექვსთვიანი კურსები იმ მასწავლებელთა გადასამზადებლად, რომელნიც უმაღლეს სასწავლებლებში ასწავლიან მარქსიზმ-ლენინიზმს.

ეჭვი არ არის, რომ განხორციელება ამ ღონისძიებებისა, რომლებიც უკვე ტარდება, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის გატარებული, არ დააყოვნებს თავისი კარგი შედეგების მოცემას.

4. თეორიის ზოგიერთი საკითხი

ჩვენი პროპაგანდისტული და იდეოლოგიური მუშაობის ნაკლთა რიცხვს უნდა მიეწეროს აგრეთვე ჩვენს ამხანაგებს შორის სრული გარკვეულობის უქონლობა თეორიის ზოგიერთ საკითხში, რომლებსაც სერიოზული პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ერთგვარი არევ-დარევის არსებობა ამ საკითხებში. მე მხედველობაში მაქვს საკითხი სახელმწიფოს შესახებ საერთოდ, განსაკუთრებით ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ და საკითხი ჩვენი საბჭოთა ინტელიგენციის შესახებ.

ზოგჯერ კითხულობენ: „ჩვენში ექსპლუატატორული კლასები მოსპობილია, ჩვენს ქვეყანაში მტრული კლასები უკვე აღარ არის, დასათრგუნავი აღარავინაა, მაშასადამე, საჭირო აღარ არის სახელმწიფო, იგი უნდა მოკვდეს, — მაშ, რატომ არ ვუწყობთ ხელს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს კვდომას, რატომ არა ვცდილობთ ბოლო მოვუღოთ მას, განა

არ დადგა დრო თავიდან მოვიშოროთ სახელმწიფოებრივობის ბოლო ეს ძველმანი"?

ანდა კიდევ: „ჩვენში ექსპლუატატორული კლასები უკვე მოსპობილია, სოციალიზმი ძირითადად აშენებულია, ჩვენ კომუნიზმისაკენ მივდივართ, ხოლო მარქსისტული მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ ლაპარაკობს, რომ კომუნიზმის დროს არ უნდა იყოს არავითარი სახელმწიფო, — რატომ არ ვუწყობთ ხელს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს კვდომას, განა არ დადგა დრო სიძველეთა მუზეუმს ჩავაბაროთ სახელმწიფო"?

ეს კითხვები იმას მოწმობს, რომ მათს ავტორებს კეთილსინდისიერად დაუზეპირებიათ ცალკეული დებულებანი მარქსისა და ენგელსის მოძღვრებისა სახელმწიფოს შესახებ. მაგრამ ეს კითხვები იმასაც მოწმობს, რომ ამ ამხანაგებს ვერ გაუგიათ ამ მოძღვრების დედაარსი, ვერ გარკვეულან იმაში, თუ რა ისტორიულ პირობებში მუშავდებოდა ამ მოძღვრების ცალკეული დებულებანი და, განსაკუთრებით კი, ვერ გაიგეს თანამედროვე საერთაშორისო ვითარება, მხედველობიდან გამორჩათ კაპიტალისტური გარემოცვის ფაქტი და მისგან გამომდინარე საშიშროებანი სოციალიზმის ქვეყნისათვის. ამ კითხვებში გამოსჭვივის არა მარტო კაპიტალისტური გარემოცვის ფაქტის შეუფასებლობა. მათში გამოსჭვივის აგრეთვე ბურჟუაზიული სახელმწიფოებისა და მათი ორგანოების როლისა და მნიშვნელობის შეუფასებლობა, რომლებიც ჰგზავნიან ჩვენს ქვეყანაში ჯაშუშებს, მკვლელებსა და მავნებლებს და ცდილობენ დრო იხელთონ მასზე სამხედრო თავდასხმისათვის, ისევე, როგორც გამოსჭვივის ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს და მისი სამხედრო, დამსჯელი და მზვერავი ორგანოების როლისა და მნიშვნელობის შეუფასებლობა, იმ ორგანოებისა, რომლებიც აუცილებელნი არიან სოციალიზმის ქვეყნის დასაცავად გარედან თავდასხმისაგან. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ შეუფასებლობაში ცოდვა მიუძღვით არა მარტო ზემოაღნიშნულ ამხანაგებს. მასში რამდენადმე ცოდვა მიგვიძღვის აგრეთვე ჩვენ ყველას, ბოლშევიკებს, ყველას უკლებლივ. განა საკვირველი არ არის, რომ ტროცკისტებისა და ბუხარინელების ზედაფენის ჯაშუშური და შეთქმულებითი მოქმედების შესახებ ჩვენ გავიგეთ მხოლოდ უკანასკნელ ხანებში. 1937-1938 წლებში, თუმცა, როგორც მასალებიდან სჩანს, ეს ვაჟბატონები უცხოეთის დაზვერვის ჯაშუშები იყვნენ და შეთქმულებითს მოქმედებას ეწეოდნენ უკვე ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღეებში? როგორ მოხდა, რომ მხედველობიდან გამოგვეპარა ეს სერიოზული საქმე? რით უნდა აიხსნას ეს შეცდომა? ჩვეულებრივ ამ კითხვაზე ამნაირად უპასუხებენ: ჩვენ არ შეგვეძლო გვეფიქრა, რომ ეს ადამიანები ასე დაბლა დაეცემოდნენ. მაგრამ ეს არ არის ახსნა და მით უმეტეს არ არის თავის გამართლება, რადგანაც შეცდომის ფაქტი ფაქტად რჩება. რით აიხსნება ასეთი შეცდომა? ეს შეცდომა აიხსნება ჩვენს გარშემო არსებული ბურჟუაზიული სახელმწიფოებისა და მათი მზვერავი ორგანოების მექანიზმის ძალისა და

მნიშვნელობის შეუფასებლობით, რომლებიც ცდილობენ გამოიყენონ ადამიანთა სისუსტე, მათი პატივისმაძიებლობა, მათი უხასიათობა იმისათვის, რომ გახლართონ ისინი თავიანთ ჯაშუშურ ქსელში, და გარშემოარტყან ისინი საბჭოთა სახელმწიფოს ორგანოებს. იგი ეხება ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს და მისი დაზვერვის მექანიზმის როლისა და მნიშვნელობის შეუფასებლობით, ამ დაზვერვის შეუფასებლობით, ლაყბობით იმის შესახებ, რომ დაზვერვა საბჭოთა სახელმწიფოს დროს წვრილმანი და უმნიშვნელო რამეა, რომ საბჭოთა დაზვერვა, ისევე, როგორც თვითონ საბჭოთა სახელმწიფო, მალე უნდა ჩაჰბარდეს სიძველეთა მუზეუმს.

რა ნიადაგზე შეიძლებოდა წარმოშობილიყო ჩვენში ეს შეუფასებლობა?

იგი წარმოიშვა სახელმწიფოს შესახებ მარქსიზმის მოძღვრების ზოგიერთი ზოგადი დებულების დაუმუშავებლობისა და არასაკმაობის ნიადაგზე. იგი გავრცელდა სახელმწიფოს თეორიის საკითხებისადმი ჩვენი შეუწყნარებლად დაუდევარი დამოკიდებულების შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გვაქვს სახელმწიფო მოღვაწეობის ოცი წლის პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც მდიდარ მასალას იძლევა თეორიული განზოგადებათათვის, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ, თუ კი სურვილი გვექნება, შესაძლებლობა გვაქვს წარმატებით შევავსოთ ეს თეორიული ხარვეზი. ჩვენ დავივიწყეთ ლენინის უმნიშვნელოვანესი მითითება რუსი მარქსისტების თეორიულ ვალდებულებათა შესახებ, რომლებიც მოწოდებული არიან განაგრძონ მარქსიზმის თეორიის დამუშავება. აი რას ამბობს ლენინი ამის შესახებ:

„ჩვენ სრულებითაც არ ვუყურებთ მარქსის თეორიას, როგორც დამთავრებულსა და ხელუხლებელ რამეს; პირიქით, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მან მხოლოდ საფუძველი ჩაუყარა იმ მეცნიერებას, რომელიც სოციალისტებმა **უნდა** წასწიონ წინ ყოველი მიმართულებით, თუ მათ არ სურთ ჩამორჩნენ ცხოვრებას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსი სოციალისტებისათვის განსაკუთრებით საჭიროა მარქსის თეორიის **დამოუკიდებელი** დამუშავება, ვინაიდან ეს თეორია იძლევა მხოლოდ ზოგად **სახელმძღვანელო** დებულებებს, რომლებიც **კერძოდ** ინგლისში სხვანაირად გამოიყენება, ვიდრე საფრანგეთში, საფრანგეთში სხვანაირად, ვიდრე გერმანიაში, გერმანიაში კიდევ სხვანაირად, ვიდრე რუსეთში“ (ლენინი, ტ. II, გვ. 492).

ავიღოთ, მაგალითად, სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების თეორიის კლასიკური ფორმულა, რომელიც ენგელსმა მოგვცა:

„როცა აღარ იარსებებენ საზოგადოებრივი კლასები, რომლებიც მორჩილებაში უნდა ჰყავდეთ, როცა მოისპობა ერთი კლასის ბატონობა მეორეზე და ბრძოლა არსებობისათვის, რომელიც დაფუძნებულია წარმოების თანამედროვე ანარქიაზე, როცა მოისპობიან აქედან გამომდინარე შეტაკებანი და ძალმომრეობანი, მაშინ აღა-

რავინ დარჩება დასათრგუნავი და შესაკავებელი, მაშინ საჭირო აღარ იქნება სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც ამჟამად ასრულებს ამ ფუნქციას. პირველი აქტი, რომელშიც სახელმწიფო მართლაც გამოვა, როგორც მთელი საზოგადოების წარმომადგენელი — საწარმოო საშუალებათა გადაქცევა საზოგადოებრივ საკუთრებად, — იქნება მისი, როგორც სახელმწიფოს, უკანასკნელი დამოუკიდებული მოქმედება. სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევა საზოგადოებრივ ურთიერთობაში თანდათანობით ზედმეტი გახდება და ბოლოს თავისთავად მოისპობა. პიროვნებათა მართვის ადგილს დაიჭერს საგნების მართვა და საწარმოო პროცესების ხელმძღვანელობა. სახელმწიფო კი არ „უქმდება", იგი თანდათან **კვდება**". (ფ. ენგელსი, „ანტი-დიურინგი", 1933 წ., პარტგამომცემლობის რუსული გამოცემა, გვ. 202).

სწორია თუ არა ენგელსის ეს დებულება?

დიახ, სწორია, მაგრამ ორი პირობიდან ერთერთით: ა) **თუ** სოციალისტურ სახელმწიფოს ქვეყნის მხოლოდ შინაგანი განვითარების თვალსაზრისით შევისწავლით, ისე რომ წინდაწინ გვერდს ავუვლით საერთაშორისო ფაქტორს, კვლევის მოხერხებულობის მიზნით ქვეყანას და სახელმწიფოს განვიხილავთ საერთაშორისო ვითარებისაგან ფანცალკევებით, ან, ბ) **თუ** ვივარაუდებთ, რომ სოციალიზმმა უკვე გაიმარჯვა ყველა ქვეყანაში ან მეტწილ ქვეყნებში, კაპიტალისტური გარემოცვის ნაცვლად არსებობს სოციალისტური გარემოცვა, უკვე აღარ არის გარედან თავდასხმის მუქარა, აღარ არის საჭირო არმიისა და სახელმწიფოს გაძლიერება.

ხოლო, თუ სოციალიზმმა მხოლოდ ერთს, ცალკე აღებულ ქვეყანაში გაიმარჯვა, და, ამის გამო, საერთაშორისო პირობებისათვის გვერდის ავლა ყოვლად შეუძლებელია, — როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში? ამ კითხვაზე ენგელსის ფორმულა პასუხს არ იძლევა. სწორედ რომ ითქვას, ენგელსი არც სვამს თავის წინაშე ასეთ კითხვას, მაშასადამე, მას არც შეიძლება ჰქონოდა პასუხი ამ კითხვაზე. ენგელსი იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობს, რომ სოციალიზმმა უკვე გაიმარჯვა ასე თუ ისე ერთდროულად ყველა ქვეყანაში ან მეტწილ ქვეყნებში. მაშასადამე, ენგელსი აქ იკვლევს არა ამა თუ იმ ცალკეული ქვეყნის ამა თუ იმ კონკრეტულ სოციალისტურ სახელმწიფოს, არამედ საერთოდ სოციალისტური სახელმწიფოს განვითარებას იმ ვარაუდით, რომ მეტწილ ქვეყნებში ადგილი აქვს სოციალიზმის გამარჯვების ფაქტს — ფორმულით: „ვთქვათ, სოციალიზმმა გაიმარჯვა მეტწილ ქვეყნებში, ისმება კითხვა — რა ცვლილებანი უნდა განიცადოს ამ შემთხვევაში პროლეტარულმა, სოციალისტურმა სახელმწიფომ". პრობლემის მხოლოდ ამ ზოგადი და განყენებული ხასიათით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ სოციალისტური სახელმწიფოს საკითხის განხილვის დროს ენგელსი სრულიად გვერდს უვლის ისეთ ფაქტორს, როგორიც არის საერთაშორისო პირობები, საერთაშორისო ვითარება.

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ ენგელსის ზოგადი ფორმულა საერთოდ სოციალისტური სახელმწიფოს ბედის შესახებ, არ შეიძლება გავრცელდეს კერძო და კონკრეტულ შემთხვევაზე სოციალიზმის გამარჯვებისა ერთს, ცალკე აღებულ ქვეყანაში, რომელსაც თავის გერმანიაში აქვს კაპიტალისტური გარემოცვა, რომელსაც ემუქრება გარედან სამხედრო თავდასხმის საფრთხე, რომელსაც ამის გამო არ შეუძლია გვერდი აუაროს საერთაშორისო ვითარებას და რომელსაც თავის განკარგულებაში უნდა ჰყავდეს კარგად გაწვრთნილი არმიაც, კარგად ორგანიზებული დამსჯელი ორგანოებიც, მაგარი დაზვერვაც, მაშასადამე, უნდა ჰქონდეს თავისი საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო, — იმისათვის, **რომ საშუალება** ჰქონდეს დაიცვას სოციალიზმის მონაპოვარნი გარედან თავდასხმისაგან.

არ შეიძლება მოვთხოვოთ მარქსიზმის კლასიკოსებს, რომლებიც ჩვენი დროისაგან 45-55 წლის პერიოდით არიან დაშორებულნი, წინასწარ განეჭვრიტათ შორეული მომავლისათვის ისტორიის ხვეულების ყველა და ყოველგვარი შემთხვევა თვითეულ ცალკე ქვეყანაში. სასაცილო იქნებოდა მოგვეთხოვა, რომ მარქსიზმის კლასიკოსებს შეემუშავებინათ ჩვენთვის მზა გადაწყვეტილებანი ყველა და ყოველგვარ თეორიულ საკითხზე, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას თვითეულ ცალკე ქვეყანაში 50-100 წლის შემდეგ, რათა ჩვენ, მარქსიზმის კლასიკოსთა შთამომავალთ, საშუალება გვქონოდა დამშვიდებით წამოვწოლილიყავით მხართეძოზე და გველეჭა მზა გადაწყვეტილებანი **(საერთო სიცილი)**. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია და კიდეც უნდა მოვთხოვოთ ჩვენი დროის მარქსისტებს — ლენინელებს, რომ ისინი არ დაკმაყოფილდნენ მარქსიზმის ცალკეულ საერთო დებულებათა დაზეპირებით, რომ ისინი ჩასწვდნენ მარქსიზმის დედაარსს, რომ მათ ისწავლონ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური სახელმწიფოს ოცი წლის არსებობის გამოცდილების გათვალისწინება, რომ მათ ისწავლონ, ბოლოსდაბოლოს, ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით და მარქსიზმის დედაარსის საფუძველზე, მარქსიზმის ცალკე საერთო დებულებათა კონკრეტიზება, მათი დაზუსტება და გაუმჯობესება. ლენინმა თავისი შესანიშნავი წიგნი „სახელმწიფო და რევოლუცია“ დასწერა 1917 წლის აგვისტოში, ე. ი. ოქტომბრის რევოლუციამდე და საბჭოთა სახელმწიფოს შექმნამდე რამდენიმე თვით ადრე. ამ წიგნის მთავარ ამოცანას ლენინი იმაში ხედავდა, რომ დაეცვა მარქსისა და ენგელსის მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ ოპორტუნისტთა მხრივ დამახინჯებისა და შერყვნისაგან. ლენინი აპირებდა დაეწერა „სახელმწიფო და რევოლუციის“ მეორე ნაწილი, სადაც იგი ფიქრობდა შეეჯამებინა რუსეთის 1905 და 1917 წლების რევოლუციების გამოცდილების მთავარი შედეგები. ეჭვს გარეშეა, რომ ლენინს მხედველობაში ჰქონდა თავისი წიგნის მეორე ნაწილში შეემუშავებინა და შემდგომ განევითარებინა სახელმწიფოს თეორია, ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის გამოცდილებაზე დაყრდნობით. მაგრამ სიკვდილმა ხელი შეუშალა მას ამ ამოცანის შესრულებაში.

მაგრამ რისი გაკეთებაც ლენინმა ვერ მოასწრო, ეს მისმა მიმდევრებმა უნდა გააკეთონ. **(მქუხარე ტაში).**

სახელმწიფო წარმოიშვა მტრულ კლასებად საზოგადოების გაპობვის საფუძველზე, წარმოიშვა იმისათვის, რომ ლაგამამოდებული ყოლოდა ექსპლუატირებული უმრავლესობა ექსპლუატატორული უმცირესობის ინტერესებისათვის. სახელმწიფოს ხელისუფლების იარაღები უმთავრესად თავმოყრილი იყო არმიაში, დამსჯელ ორგანოებში, დაზვერვაში, საპატიმროებში. სახელმწიფოს მოქმედებას ახასიათებს ორი ძირითადი ფუნქცია: შინაგანი (მთავარი) — ლაგამამოდებული იყოლიოს ექსპლუატირებული უმრავლესობა, და საგარეო (არა მთავარი) — გააფართოოს თავისი, გაბატონებული კლასის ტერიტორია სხვა სახელმწიფოების ტერიტორიის ხარჯზე, ან დაიცვას თავისი სახელმწიფოს ტერიტორია სხვა სახელმწიფოთა მხრივ თავდასხმებისაგან. ასეთი იყო საქმის ვითარება მონათმფლობელური წყობილების და ფეოდალიზმის დროს. ასეთია საქმის ვითარება კაპიტალიზმის დროს.

კაპიტალიზმის დასამხობად საჭირო იყო არა მარტო ის, რომ ჩამორთმეოდა ძალაუფლება ბურჟუაზიას, არა მარტო კაპიტალისტთა ექსპროპრიაცია, არამედ სავსებით დამსხვრევაც ბურჟუაზიის სახელმწიფოებრივი მანქანისა, მისი ძველი არმიისა, მისი ბიუროკრატიული ჩინოვნიკობისა, მისი პოლიციისა და მის ადგილზე ახალი პროლეტარული სახელმწიფოებრივობის, ახალი სოციალისტური სახელმწიფოს დაყენება. როგორც ცნობილია, ბოლშევიკები სწორედ ასეც მოიქცნენ. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს ის, რომ ახალ პროლეტარულ სახელმწიფოს არ შეიძლება შერჩეს ძველი სახელმწიფოს ზოგიერთი ფუნქცია, პროლეტარული სახელმწიფოს მოთხოვნილებათა შესაბამისად შეცვლილი. აქედან მით უმეტეს არ გამომდინარეობს, რომ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ფორმები უცვლელი უნდა დარჩნენ, რომ ჩვენი სახელმწიფოს ყველა პირვანდელი ფუნქცია მთლიანად იქნება შენარჩუნებული შემდეგშიც. ნამდვილად კი ჩვენი სახელმწიფოს ფორმები იცვლება და მომავალშიც შეიცვლება ჩვენი ქვეყნის განვითარებისა და საგარეო ვითარების შეცვლის მიხედვით.

ლენინი სავსებით მართალია, როდესაც იგი ამბობს:

> „ბურჟუაზიული სახელმწიფოების ფორმები მეტისმეტად მრავალფეროვანია, მაგრამ მათი არსი ერთია: ყველა ეს სახელმწიფო ასე თუ ისე, მაგრამ საბოლოო ანგარიშში აუცილებლად წარმოადგენს **ბურჟუაზიის დიქტატურას.** კაპიტალიზმიდან კომუნიზმში გადასვლას, რა თქმა უნდა, არ შეუძლია არ მოგვცეს პოლიტიკური ფორმების უდიდესი სიუხვე და მრავალფეროვანება, მაგრამ დედაარსი ამასთან აუცილებლად იქნება ერთი: **პროლეტარიატის დიქტატურა**“ (ლენინი, ტ. XXI, გვ. 393).

ოქტომბრის რევოლუციის დროიდან ჩვენმა სოციალისტურმა სახელმწიფომ თავის განვითარებაში ორი მთავარი ფაზა განვლო.

პირველი ფაზა — ეს არის პერიოდი ოქტომბრის რევოლუციიდან ექსპლუატატორული კლასების ლიკვიდაციამდე. ამ პერიოდის ძირითადი ამოცანა მდგომარეობდა დამხობილი კლასების წინააღმდეგობის დათრგუნვაში, ინტერვენტთა თავდასხმისაგან ქვეყნის დაცვის ორგანიზაციაში, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღდგენაში, კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციისათვის პირობების მომზადებაში.

ამის შესაბამისად ჩვენი სახელმწიფო ამ პერიოდში ორ ძირითად ფუნქციას ანხორციელებდა. პირველი ფუნქცია: დამხობილი კლასების დათრგუნვა ქვეყნის შიგნით. ამით ჩვენი სახელმწიფო გარეგნულად მოგვაგონებდა წინანდელ სახელმწიფოებს, რომელთა ფუნქცია მდგომარეობდა ურჩთა დათრგუნვაში, მაგრამ იმ პრინციპული განსხვავებით, რომ ჩვენი სახელმწიფო თრგუნავდა ექსპლუატატორულ უმცირესობას მშრომელი უმრავლესობის ინტერესების გულისათვის, მაშინ, როდესაც წინანდელი სახელმწიფოები თრგუნავდნენ ექსპლუატირებულ უმრავლესობას ექსპლუატატორული უმცირესობის ინტერესების გულისათვის. მეორე ფუნქცია — ქვეყნის თავდაცვა გარედან თავდასხმისაგან. ამითაც იგი გარეგნულად მოგვაგონებდა წინანდელ სახელმწიფოებს, რომელნიც აგრეთვე ეწეოდნენ თავიანთი ქვეყნების შეიარაღებულ დაცვას, მაგრამ იმ პრინციპული განსხვავებით, რომ ჩვენი სახელმწიფო გარეშე თავდასხმისაგან იცავდა მშრომელი უმრავლესობის მონაპოვრებს, მაშინ, როდესაც წინანდელი სახელმწიფოები ასეთს შემთხვევებში იცავდნენ ექსპლუატატორული უმცირესობის სიმდიდრესა და პრივილეგიებს. აქ იყო კიდევ მესამე ფუნქცია — ჩვენი სახელმწიფოს ორგანოების სამეურნეო-ორგანიზატორული და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავდა ახალი, სოციალისტური მეურნეობის ყლორტების განვითარებას და ადამიანთა გარდაქმნას სოციალიზმის სულისკვეთებით. მაგრამ ეს ახალი ფუნქცია ამ პერიოდში სერიოზულად ვერ განვითარდა.

მეორე ფაზა — ეს არის პერიოდი ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციიდან მეურნეობის სოციალისტური სისტემის სრულ გამარჯვებამდე და ახალი კონსტიტუციის მიღებამდე. ამ პერიოდის ძირითადი ამოცანა იყო სოციალისტური მეურნეობის ორგანიზაცია მთელს ჩვენს ქვეყანაში და კაპიტალისტური ელემენტების უკანასკნელი ნაშთების ლიკვიდაცია, კულტურული რევოლუციის ორგანიზაცია, სავსებით თანამედროვე არმიის ორგანიზაცია ქვეყნის თავდაცვისათვის. ამის შესაბამისად შეიცვალა ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ფუნქციებიც. ზედმეტი გახდა — გაჰქრა ქვეყნის შიგნით სამხედრო დათრგუნვის ფუნქცია, ვინაიდან ექსპლუატაცია მოსპობილია, ექსპლუატატორები აღარ არიან და დასათრგუნავი არავინ არის. დათრგუნვის ფუნქციის ნაცვლად სახელმწიფოს გაუჩნდა ხალხის დოვლათის დამტაცებლებისა და ქურდებისაგან სოციალისტური საკუთრების დაცვის ფუნქცია. მთლიანად დარჩა გარედან თავდასხმისაგან ქვეყნის სამხედრო დაცვის ფუნქცია, მაშასადამე, დარჩნენ აგრეთვე წითელი არმია, სამხედრო-საზღვაო

ფლოტი, ისევე როგორც დამსჯელი ორგანოები და დაზვერვა, რომლებიც აუცილებელნი არიან ჩვენს ქვეყანაში უცხოეთის დაზვერვის მიერ შემოგზავნილი ჯაშუშების, მკვლელების, მავნებლების შესაკრობად და დასასჯელად. დარჩა და სრულად განვითარდა სახელმწიფო ორგანოების სამეურნეო-ორგანიზატორული და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის ფუნქცია. ახლა ჩვენი სახელმწიფოს ძირითადი ამოცანა ქვეყნის შიგნით მდგომარეობს მშვიდობიან სამეურნეო-ორგანიზატორულ და კულტურულ-აღმზრდელობითს მუშაობაში. რაც შეეხება ჩვენს არმიას, დამსჯელ ორგანოებსა და დაზვერვას, ისინი თავისი მახვილით მიმართული არიან უკვე არა ქვეყნის შიგნით, არამედ მის გარეთ გარეშე მტრების წინააღმდეგ.

როგორც ხედავთ, ჩვენ ახლა გვაქვს სრულიად ახალი, სოციალისტური სახელმწიფო, ისტორიაში ჯერ არ ნახული, რომელიც თავისი ფორმითა და ფუნქციებით მნიშვნელოვნად განსხვავდება პირველი ფაზის სოციალისტური სახელმწიფოსაგან.

მაგრამ განვითარება ამაზე ვერ შეჩერდება. ჩვენ მივდივართ უფრო შორს, წინ, კომუნიზმისაკენ. დარჩება თუ არა ჩვენში სახელმწიფო კომუნიზმის პერიოდშიც?

დიაღ, დარჩება, თუ ლიკვიდირებული არ იქნება კაპიტალისტური გარემოცვა, თუ მოსპობილი არ იქნება გარედან სამხედრო თავდასხმათა საფრთხე. ამასთან გასაგებია, რომ ჩვენი სახელმწიფოს ფორმები კვლავ იქნება შეცვლილი, საშინაო და საგარეო ვითარების ცვლილების შესაბამისად.

არა, არ დარჩება და მოკვდება, თუ კაპიტალისტური გარემოცვა ლიკვიდირებული იქნება, თუ იგი სოციალისტური გარემოცვით იქნება შეცვლილი.

ასეთია საქმის ვითარება სოციალისტური სახელმწიფოს საკითხში.

მეორე საკითხი — ეს არის საბჭოთა ინტელიგენციის საკითხი.

ამ საკითხში, ისევე როგორც სახელმწიფოს საკითხში, ჩვენს პარტიაში ერთგვარი გაურკვევლობა, ერთგვარი დაბნეულობა არსებობს.

მიუხედავად იმისა, რომ პარტიის პოზიცია საბჭოთა ინტელიგენციის საკითხში საკმაოდ ნათელია, ჩვენს პარტიაში ჯერ კიდევ გავრცელებულია საბჭოთა ინტელიგენციისადმი მტრული და პარტიის პოზიციასთან შეუთავსებელი შეხედულებანი. ამ არასწორ შეხედულებათა მატარებელნი, როგორც ცნობილია, იჩენენ უგულებელმყოფელ, ათვალწუნებითს დამოკიდებულებას საბჭოთა ინტელიგენციისადმი, სთვლიან რამას მუშათა კლასისა და გლეხობისადმი უცხო და მტრულ ძალადაც კი. მართალია, ინტელიგენციამ საბჭოთა განვითარების პერიოდში მოასწრო ძირფესვიანად შეცვლილიყო, როგორც თავისი შემადგენლობით, ისე თავისი მდგომარეობით, იგი უახლოვდება ხალხს და პატიოსნად თანამშრომლობს მასთან, რითაც ის პრინციპულად განსხვავდება ძველი, ბურჟუაზიული ინტელიგენციისაგან. მაგრამ ამ ამხანაგებს, როგორც

სჩანს, ეს არაფრად არ მიაჩნიათ. ისინი კვლავ ძველ დუდუკს უკრავენ, არასწორად გადააქვთ რა საბჭოთა ინტელიგენციაზე ის შეხედულებანი და ურთიერთობანი, რომლებსაც თავისი საფუძველი ჰქონდათ ძველ დროში, როდესაც ინტელიგენცია მემამულეთა და კაპიტალისტთა სამსახურში იმყოფებოდა.

ძველ, რევოლუციამდელ დროს, კაპიტალიზმის პირობებში ინტელიგენცია, უწინარეს ყოვლისა, შესდგებოდა შეძლებული კლასების, — თავადაზნაურების, მრეწველების, ვაჭრების, კულაკებისა და სხვ. ადამიანებისაგან. ინტელიგენციის რიგებში იყვნენ აგრეთვე მეშჩანებიდან, წვრილი მოხელეებიდან და თვით გლეხებიდან და მუშებიდან გამოსულნიც, მაგრამ იქ ისინი არ თამაშობდნენ და არც შეეძლოთ ეთამაშნათ გადამწყვეტი როლი. მთლიანად ინტელიგენციას ჰკვებავდნენ შეძლებული კლასები და ინტელიგენციაც ემსახურებოდა მათ. ამიტომ გასაგებია ის უნდობლობა, ხშირად სიძულვილში გადასული, რომლითაც ეპყრობოდნენ მას ჩვენი ქვეყნის რევოლუციური ელემენტები და უწინარეს ყოვლისა კი მუშები. მართალია, ძველმა ინტელიგენციამ მოგვცა გაბედულ და რევოლუციონერ ადამიანთა ცალკეული ერთეულები და ათეულები, რომლებიც დადგნენ მუშათა კლასის თვალსაზრისზე და ბოლომდე დაუკავშირეს თავიანთი ბედი მუშათა კლასის ბედს, მაგრამ ასეთი ადამიანები ინტელიგენციაში მეტად მცირე რაოდენობით იყვნენ, და მათ არ შეეძლოთ შეეცვალათ მთელი ინტელიგენციის ფიზიონომია მთლიანად.

მაგრამ ინტელიგენციის საქმე ძირფესვიანად შეიცვალა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის განადგურების შემდეგ, განსაკუთრებით ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის გამარჯვების შემდეგ, როდესაც ექსპლუატაციის მოსპობამ და მეურნეობის სოციალისტური სისტემის დამკვიდრებამ რეალური შესაძლებლობა შეჰქმნა მიგვეცა ქვეყნისათვის და გაგვეტარებინა ცხოვრებაში ახალი კონსტიტუცია. ძველი ინტელიგენციის ყველაზე უფრო გავლენიანი და კვალიფიციური ნაწილი უკვე ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღეებში გამოეთიშა ინტელიგენციის დანარჩენ მასას, ბრძოლა გამოუცხადა საბჭოთა ხელისუფლებას და ხელი მიჰყო საბოტაჟს. მან ამისათვის დამსახურებული სასჯელი მიიღო, იგი განადგურებულ და გაბნეულ იქნა საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების მიერ. შემდგომში მათ შორის გადარჩენილთა დიდი ნაწილი ჩვენი ქვეყნის მტრებს მიეჭირავა მავნებლებად, ჯაშუშებად, და ამით ამორიცხა თავისი თავი ინტელიგენციის რიგებიდან. ძველი ინტელიგენციის მეორე ნაწილი, ნაკლებად კვალიფიციური, მაგრამ უფრო მრავალრიცხოვანი, კიდევ დიდხანს განაგრძობდა ერთიდაიმავე ადგილის ტკეპნას და „უკეთეს დროს“ მოელოდა, მაგრამ შემდეგ, როგორც სჩანს, ხელი ჩაიქნია და გადასწყვიტა სამსახურის კაცობა დაეწყო, გადასწყვიტა შეჰგუებოდა საბჭოთა ხელისუფლებას. ძველი ინტელიგენციის ამ ჯგუფის მეტმა ნაწილმა უკვე მოასწრო დაბერება და მწყობრიდან გამოსვლას იწყებს. ძველი ინტელიგენციის

მესამე ნაწილი, უმთავრესად მისი რიგითი ნაწილი, რომელსაც კიდევ უფრო ნაკლები კვალიფიკაცია ჰქონდა, ვიდრე წინა ნაწილს, შეუერთდა ხალხს და მიემხრო საბჭოთა ხელისუფლებას. მისთვის ეტყობოდა საჭირო იყო სწავლის შევსება, და იგი მართლაც შეუდგა სწავლის შევსებას ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში. მაგრამ ძველი ინტელიგენციის დიფერენციაციისა და რღვევის ამ მწარეტკივილებიან პროცესთან ერთად ხდებოდა ახალი ინტელიგენციის ფორმირების, მის ძალთა მობილიზაციისა და შეკრების მძაფრი პროცესი. მუშათა კლასის, გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის რიგებიდან გამოსული ასიათასობით ახალგაზრდა ადამიანები შევიდნენ უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში და, დაბრუნდნენ რა სკოლებიდან, შეავსეს ინტელიგენციის შეთხელებული რიგები. მათ ახალი სისხლი შეჰმატეს ინტელიგენციას და გამოაცოცხლეს იგი ახლებურად, საბჭოურად. მათ ძირფესვიანად შესცვალეს ინტელიგენციის მთელი სახე თავის შესაფერისად და მსგავსად. ძველი ინტელიგენციის ნაშთები გათქვეფილი აღმოჩნდნენ ახალი, საბჭოთა, ხალხური ინტელიგენციის წიაღში. ამრიგად, შეიქმნა ახალი, საბჭოთა ინტელიგენცია, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხთან და თავისი მასით მზად არის ემსახუროს მას რწმენითა და სიმართლით.

შედეგად ჩვენ ამჟამად გვყავს მრავალრიცხოვანი, ახალი, ხალხური სოციალისტური ინტელიგენცია, რომელიც ძირფესვიანად განსხვავდება ძველი, ბურჟუაზიული ინტელიგენციისაგან, როგორც თავისი შემადგენლობით, ისე თავისი სოციალურ-პოლიტიკური სახით.

ძველ რევოლუციამდელ ინტელიგენციას, რომელიც მემამულეებსა და კაპიტალისტებს ემსახურებოდა, სავსებით შეეფერებოდა ძველი თეორია ინტელიგენციის შესახებ, რომელიც მიგვითითებდა, რომ საჭიროა მისდამი უნდობლობა და მასთან ბრძოლა. ახლა ამ თეორიამ უკვე მოჭამა თავისი დრო და იგი უკვე აღარ არის შესაფერი ჩვენი ახალი, საბჭოთა ინტელიგენციისათვის. ახალი ინტელიგენციისათვის საჭიროა ახალი თეორია, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ საჭიროა მასთან მეგობრული დამოკიდებულება, მასზე ზრუნვა, პატივისცემა მისდამი და თანამშრომლობა მასთან მუშათა კლასისა და გლეხობის ინტერესებისათვის.

ვგონებ, გასაგებია.

მით უფრო საკვირველი და უცნაურია, რომ ინტელიგენციის მდგომარეობაში ყველა ამ საფუძვლიან ცვლილებათა შემდეგ ჩვენს პარტიაში, როგორცა სჩანს, კიდევ გვყვანან ისეთი ადამიანები, რომლებიც ცდილობენ ბურჟუაზიული ინტელიგენციის წინააღმდეგ მიმართული ძველი თეორია გამოიყენონ ჩვენი ახალი, საბჭოთა ინტელიგენციის მიმართ, რომელიც ძირითადად სოციალისტურ ინტელიგენციას წარმოადგენს. ეს ადამიანები თურმე ამტკიცებენ, რომ მუშები და გლეხები, რომლებიც ჯერ კიდევ ახლო ხანში სტახანოვურად მუშაობდნენ ქარხნებსა და კოლმეურნეობებში, ხოლო შემდეგ გაგზავნილ იქნენ უმაღლეს სასწავლებ-

ლებში განათლების მისაღებად, უკვე აღარ არიან ამის გამო ნამდვილი ადამიანები, ხდებიან მეორე ხარისხის ადამიანები. გამოდის, რომ განათლება მავნე და სახიფათო რამაა. **(სიცილი).** ჩვენ გვინდა ყველა მუშა და ყველა გლეხი კულტურული და განათლებული გავხადოთ, და ჩვენ გავაკეთებთ ამას დროთა ვითარებაში. მაგრამ ამ უცნაურ ამხანაგთა შეხედულებით გამოდის, რომ ამგვარი წამოწყება დიდ საშიშროებას შეიცავს, რადგან მას შემდეგ, რაც მუშები და გლეხები კულტურული და განათლებული გახდებიან, ისინი შეიძლება დადგნენ იმ საშიშროების წინაშე, რომ ჩარიცხული იქნებიან მეორე ხარისხის ადამიანთა თანრიგში. **(საერთო სიცილი).** არ არის გამორიცხული, რომ დროთა განმავლობაში ეს უცნაური ამხანაგები შეიძლება იქამდე მივიდნენ, რომ ხოტბა შეასხან ჩამორჩენილობას, უმეცრებას, სიბნელეს, ბნელეთის მოციქულობას. ეს გასაგებიცაა. თეორიულ გადამცდარობას არავისათვის არასოდეს სიკეთე არ მოუტანია და ვერც მოუტანს.

ასეთია საქმის ვითარება ჩვენი ახალი, სოციალისტური ინტელიგენციის საკითხში.

★

ჩვენი ამოცანები პარტიის შემდგომი განმტკიცების დარგში:

1. სისტემატურად გავაუმჯობესოთ პარტიის შემადგენლობა, ავამაღლოთ პარტიის წევრთა შეგნებულობის დონე და ინდივიდუალური შერჩევის წესით მივიღოთ პარტიის რიგებში მხოლოდ შემოწმებული და კომუნიზმის საქმისადმი ერთგული ამხანაგები;

2. მივუახლოოთ ხელმძღვანელი ორგანოები ძირეულ მუშაობას, რათა მათი ხელმძღვანელი მუშაობა გავხადოთ სულ უფროდაუფრო ოპერატიული და კონკრეტული, რაც შეიძლება ნაკლებად სასხდომო ხასიათისა და ნაკლებად კანცელარული;

3. მოვახდინოთ კადრების შერჩევის საქმის ცენტრალიზაცია, მზრუნველობით აღვზარდოთ კადრები, გულდასმით შევისწავლოთ მუშაკების ღირსებანი და ნაკლოვანებანი, უფრო გაბედულად დავაწინაუროთ ახალგაზრდა მუშაკები, კადრების შერჩევისა და განაწილების საქმე შევუფარდოთ პარტიის პოლიტიკური ხაზის მოთხოვნებს;

4. მოვახდინოთ პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის საქმის ცენტრალიზაცია, გავაფართოოთ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდა, ავამაღლოთ ჩვენი კადრების თეორიული დონე და პოლიტიკური გამოწრთობა.

★

ამხანაგებო! მე ვამთავრებ ჩემს საანგარიშო მოხსენებას.

მე ზოგადად მოვხაზე ჩვენი პარტიის მიერ საანგარიშო პერიოდში განვლილი გზა. ამ პერიოდში პარტიისა და მისი ცენტრალური კომი-

ტეტის მუშაობის შედეგები ცნობილია. ჩვენ გვქონდა ნაკლოვანებანი და შეცდომები. პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი არ მალავდნენ მათ და ცდილობდნენ მათს გამოსწორებას. არის სერიოზული წარმატებებიც და დიდი მიღწევებიც, რომლებმაც თავბრუ არ უნდა დასხვიონ.

მთავარი შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა, მოსპო რა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია და განამტკიცა რა სოციალისტური წყობილება, მთელს მსოფლიოს დაუმტკიცა თავისი საქმის სიმართლე. ამაშია მთავარი შედეგი, რადგანაც იგი ანმტკიცებს რწმენას მუშათა კლასის ძალისადმი და მისი საბოლოო გამარჯვების გარდუვალობისადმი.

ყველა ქვეყნის ბურჟუაზია გაიძახის, რომ ხალხს არ შეუძლია იარსებოს უკაპიტალისტებოდ და უმემამულეებოდ, უვაჭრებოდ და უკულაკებოდ. ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა საქმით დაამტკიცა, რომ ხალხს შეუძლია წარმატებით იარსებოს უექსპლუატატორებოდ.

ყველა ქვეყნის ბურჟუაზია გაიძახის, რომ მუშათა კლასს, რომელმაც დაანგრია ძველი ბურჟუაზიული წესწყობილება, არ შესწევს უნარი ძველის ნაცვლად ააშენოს რაიმე ახალი. ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა საქმით დაამტკიცა, რომ მას სავსებით შესწევს უნარი არა მარტო დაანგრიოს ძველი წყობილება, არამედ კიდეც ააშენოს ახალი, უკეთესი, სოციალისტური წყობილება და ამასთან ისეთი წყობილება, რომელმაც არ იცის არც კრიზისები, არც უმუშევრობა.

ყველა ქვეყნის ბურჟუაზია გაიძახის, რომ გლეხობას არ შესწევს უნარი დაადგეს სოციალიზმის გზას. ჩვენი ქვეყნის კოლმეურნე გლეხობამ საქმით დაამტკიცა, რომ მას შეუძლია წარმატებით დაადგეს სოციალიზმის გზას.

მთავარი, რის მიღწევასაც განსაკუთრებით ცდილობს ყველა ქვეყნის ბურჟუაზია და მისი რეფორმისტი მაჩანჩალები, — ეს არის ის, რომ აღმოფხვრან მუშათა კლასში რწმენა თავისი ძალებისადმი, იმის რწმენა, რომ შესაძლებელი და გარდუვალია მისი გამარჯვება, და ამით სამუდამოდ დაამკვიდრონ კაპიტალისტური მონობა. ვინაიდან ბურჟუაზიამ იცის, რომ თუ კაპიტალიზმი ჯერ კიდევ არ არის დამხობილი და ჯერ კიდევ განაგრძობს არსებობას, ამას იგი უნდა უმადლოდეს არა თავის კარგ თვისებებს, არამედ იმას, რომ პროლეტარიატს ჯერ კიდევ არა აქვს საკმაო რწმენა თავისი გამარჯვების შესაძლებლობისადმი. არ შეიძლება ითქვას, რომ ბურჟუაზიის მეცადინეობა ამ მიმართულებით სავსებით უშედეგოდ რჩებოდეს. უნდა ვაღიაროთ, რომ ბურჟუაზიამ და მისმა აგენტებმა მუშათა კლასში შესძლეს ერთგვარად მოეწამლათ მუშათა კლასის სული ეჭვებისა და რწმენის უქონლობის შხამით. თუ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის წარმატებანი, თუ მისი ბრძოლა და გამარჯვება ხელს შეუწყობს იმას, რომ გაამხნევოს კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი და განამტკიცოს მასში რწმენა თავისი ძალებისადმი, რწმენა თავისი გამარჯვებისადმი, მაშინ ჩვენს პარტიას შეუძლია სთქვას, რომ

იგი ამაოდ არ მუშაობს. შეიძლება ეჭვი არ შეგვეპაროს, რომ ეს ასეც იქნება. **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენს ძლევამოსილ მუშათა კლასს! **(ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენს ძლევამოსილ კოლმეურნე გლეხობას! **(ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენს სოციალისტურ ინტელიგენციას! **(ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის ხალხთა დიად მეგობრობას! **(ტაში).**

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისა! **(ტაში).**

(ყველა დელეგატები დგებიან, ფეხზე მდგომნი მიესალმებიან ამხანაგ სტალინს და უმართავენ მას ხანგრძლივ ოვაციას. შეძახილები: „ვაშა! გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს! დიდ სტალინს ვაშა! ჩვენს საყვარელ სტალინს ვაშა!“).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქ. ნ. ჩარკვიანი

სიტყვა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე

ამხანაგებო! საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობა აჯამებს სსრ კავშირში სოციალიზმის დიად გამარჯვებათა შედეგებს. ეს გამარჯვებები მოპოვებულია ლენინ-სტალინის პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის მიერ იმის მეოხებით, რომ სოციალიზმის აშენებისათვის წარმოებულ ისტორიულ ბრძოლაში მათ ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადი და მასწავლებელი — დიდი **სტალინი. (მქუხარე ტაში).**

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა გენიალური სიცხადით გადაუშალა ყრილობას გამარჯვებული სოციალისტური საზოგადოების წარმტაცი სურათი და გარკვევით, ლენინურად, სტალინურად განსაზღვრა სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის **გზები.**

თავის ბრწყინვალე მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა გენიალურად დაამუშავა, შემდგომ განავითარა მარქსიზ-ლენინიზმის მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ, შეაიარაღა პარტია, შეაიარაღა საბჭოთა ხალხი ახალი თეორიული იარაღით ჩვენდამი მტრული კაპიტალისტური გარემოცვის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამ მოხსენებით ამხანაგმა სტალინმა მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში შეიტანა უძვირფასესი განძი, რომელსაც ახალ საფეხურზე აჰყავს მარქსენგელს-ლენინ-სტალინის უკვდავი, ყოვლისმძლე მოძღვრება.

სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებები, რომლებიც ამომწურავად გვიჩვენა ამხანაგმა სტალინმა თავის შესანიშნავ მოხსენებაში, გამოხატულობას პოულობენ საბჭოთა ხალხის ცხოვრების ყველა დეტალებში. სოციალიზმი შევიდა საბჭოთა ადამიანების ყოფაცხოვრებაში.

სოციალიზმის გამარჯვების შედეგად სსრ კავშირი გადაიქცა მძლავრ სახელმწიფოდ, რომელმაც არ იცის კრიზისები, უმუშევრობა, სიღატაკე.

ჩვენი ქვეყანა იქცა პირველხარისხოვანი მრეწველობისა და ყველაზე მოწინავე სოფლის მეურნეობის ქვეყნად.

ბოლშევიკური პარტიისა და ამხანაგ სტალინის განუწყვეტელი მზრუნველობის მეოხებით, განუზომლად გაიზარდა ხალხის მასების კეთილდღეობა. სწრაფად ვითარდება და იზრდება სოციალისტური კულტურა.

სოციალიზმის გამარჯვებათა ნაყოფი, გამარჯვებათა, რომლებიც ჩვენ მოვიპოვეთ, განსაკუთრებით განსაცვიფრებელია ნაციონალურ რესპუბლიკებში და ოლქებში, ყოფილ ჩამორჩენილ კოლონიებში, რომლებსაც დაუნდობლად სჩაგრავდა და ექსპლუატაციას უწევდა [illegible]

მეფის რუსეთის ერთერთი ასეთი კოლონია იყო საქართველო, რომელმაც სტალინური ხუთწლედების წლებში მთლად შეიცვალა სახე.

საქართველოს ბოლშევიკები, ისევე როგორც მთელი ჩვენი დიადი პარტია, XVIII პარტიულ ყრილობას უდიდესი მიღწევებით შეხვდნენ. საქართველო გადაიქცა ინდუსტრიულ-აგრარულ საბჭოთა რესპუბლიკად განვითარებული მრეწველობით, აყვავებული სოფლის მეურნეობითა და მოწინავე სოციალისტური კულტურით. მეორე სტალინური ხუთწლედი საქართველოში ვადაზე ადრე შესრულდა. მან სრულიად შეუცვალა სახე ჩვენს რესპუბლიკას. კაპიტალურ დაბანდებებს საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მეორე ხუთწლიანი გეგმის მიხედვით უნდა შეედგინათ 2.023 მილიონი მანეთი, ფაქტიურად კი მათ შეადგინეს 2.240,8 მილიონი მანეთი.

ახალ საწარმოთა ამუშავებისა, აგრეთვე ძველ საწარმოთა გაფართოებისა და რეკონსტრუქციის შედეგად, საქართველოს მრეწველობის პროდუქციამ მეორე ხუთწლედის დამლევს — 1937 წელს — შეადგინა 867,8 მილიონი მანეთი, ნაცვლად 1932 წლის 422,8 მილიონი მანეთისა. ე. ი. ხუთი წლის განმავლობაში გადიდდა ორჯერ და უფრო მეტად. საქართველოს სსრ რესპუბლიკის მსხვილი მრეწველობის ძირითადი ფონდების ღირებულება ამავე პერიოდში გადიდდა 3½-ჯერ.

თუ 1932 წელს საქართველოს მარგანეცის მრეწველობამ მოგვცა 385 ათასი ტონა მარგანეცი, 1937 წელს მარგანეცის წლიურმა ამოღებამ შეადგინა 1.650 ათასი ტონა. ჭაითურის მარგანეცის ბაზაზე აშენდა და მუშაობს ფეროშენადნობთა ქარხანა, საქართველოს მეტალურგიული მრეწველობის პირმშო.

მეორე ხუთწლედში ამუშავდა მძლავრი ელექტროსადგური მდინარე რიონზე. აშენებული და ამუშავებულია კიროვის სახელობის დიდი დაზგათმშენებელი ქარხანა თბილისში, ლითონის ჩამომსხმელი ქარხანა, ფეხსაცმლის გიგანტური ფაბრიკა, რომელიც წელიწადში იძლევა 4 მილიონ წყვილ ფეხსაცმელს, ტყვარჩელის ქვანახშირის მაღარო, ოცი ჩაის ფაბრიკა, შაქრის ქარხანა და მთელი რიგი სხვა სამრეწველო საწარმოები.

საქართველოში ფართოდ განვითარდა მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიცაა აბრეშუმის, ჩაისა და სხვ. თუ 1932 წელს საქართველომ მოგვცა მხოლოდ 518 ტონა მშრალი გადამუშავებული ჩაი, 1937 წელს ჩვენმა ჩაის ფაბრიკებმა გამოუშვეს 7.300 ტონა ჩაი, ხოლო 1938 წელს — 8.000 ტონაზე მეტი.

მტკიცე საფუძვლები ჩაეყარა საბჭოთა საქართველოს მთამადნეულის დაუშრეტელ სიმდიდრეთა გამოყენებას. ჩვენში უკვე საწარმოებს დარიშ-

ხანის საბადოების დამუშავება, მოპოვება მოლიბდენისა, რომელიც ხმარდება სპეციალური ფოლადების წარმოებას, მოპოვება ოქროსი, გამოკვლეულია ვოლფრამისა და სხვა იშვიათი ლითონების საბადოები, რომლებიც განსაკუთრებით ძვირფასია კერძოდ ჩვენი თავდაცვითი მრეწველობისათვის.

ეს მცირე მონაცემები თვალსაჩინოდ ცხადჰყოფენ, თუ რა მნიშვნელოვანია ინდუსტრიული ზრდა საბჭოთა საქართველოსი, რომელსაც, თუ არ ჩავთვლით თბილისის რკინიგზის სახელოსნოებს, ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე არა ჰქონია არავითარი მრეწველობა, გარდა ნახევრად-კუსტარული საწარმოებისა, და თვით პირველ ხუთწლედამდე რჩებოდა წვრილ-გლეხური, ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის ქვეყნად.

უფრო ფართო პერსპექტივები ისახება საქართველოს მრეწველობის წინაშე მესამე ხუთწლედში, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ხუთწლედში.

საქართველოს ბოლშევიკებს ამხანაგმა სტალინმა დაუსახა მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა — უზრუნველჰყონ საქართველოს, მთელი ამიერ-კავკასიის მოთხოვნილება საკუთარი ქვანახშირით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მთელ ძალღონეს ხმარობს იმისათვის, რომ ღირსეულად შეასრულოს ეს დავალება. 1938 წელს ტყიბულქვანახშირის ტრესტმა ქვანახშირის ამოღების გეგმა შეასრულა 104,3 პროცენტით. მეორე ტრესტმა — ტყვარჩელნახშირმა წლიური გეგმა თუმცა არ შეასრულა, მაგრამ თავისი არსებობის მთელი დროის განმავლობაში პირველად გადაჭარბებით შეასრულა მეოთხე კვარტალის გეგმა და განაგრძობს 1939 წლის ყოველთვიური დავალებების შესრულებას.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ მტკიცედ მოჰკიდა ხელი ქვანახშირის ამოღების გადიდების შესახებ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილების შესრულებას. მან ამოცანად დაისახა 1942 წლისათვის, მესამე ხუთწლედის დამლევისათვის, ქვანახშირის ამოღება აიყვანოს 2.200.000 ტონამდე.

ქვანახშირის ამოღების ასეთ გადიდებას გვიკარნახებს არა მარტო აუცილებლობა დავაკმაყოფილოთ რესპუბლიკის მეურნეობის მოთხოვნილება სათბობზე, გადავიყვანოთ იგი შორიდან მოტანილი ქვანახშიდან ადგილობრივ ქვანახშირზე, არამედ ის გარემოებაც, რომ მესამე ხუთწლედში საქართველოში იქმნება აზოტოვანი სასუქების მწარმოებელი მსხვილი კომბინატი, რომლის ძირითადი ნედლეულიც უნდა იყოს ტყიბულის ქვანახშირი.

საქართველოს არასოდეს არ ჰქონია ნავთის მრეწველობა. პირველი და მეორე ხუთწლედების წლებში გეოლოგიურმა გამოკვლევამ საქართველოს რაიონებში საბოლოოდ გამოარკვია, რომ ჩვენ გვაქვს მნიშვნე-

ლოვანი ნავთობიანი ფართობები. უკვე სწარმოებს ნავთის ამოღება წითელ-წყაროს რაიონში. ნავთი აღმოჩენილია თბილისის მახლობლად ნორიოში და შავი ზღვის პირას სუფსაში. პირველმავე საკროლეუსო ჭაბურღილებმა ამ ადგილებში ცხადჰყვეს, რომ აქ მიწის წიაღში უხვად არის ნავთი.

ჩვენ ზომებს ვიღებთ იმისათვის, რომ უფრო ფართოდ გავშალოთ ნავთის ძიება, დავაჩქაროთ საექსპლოატაციო ბურღვა გამოკვლეულ ფართობებზე და მესამე ხუთწლედში მივცეთ ქვეყანას სამრეწველო ნავთი.

ნავთის მრეწველობის განვითარების უზრუნველყოფისათვის ჩვენ უნდა მოვამზადოთ ნავთის მრეწველობის ყველა კვალიფიკაციის მუშაკთა ახალი კადრები, დაწყებული მუშებით და დამთავრებული ინჟინრებით. ამ მხრივ საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ დიდი, სერიოზული მუშაობა უნდა ჩაატაროს.

იმ უდიდესი დახმარებით, რომელსაც გვიწევს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც გვიწევს ჩვენი საკავშირო მთავრობა და პირადად ამხანაგი მოლოტოვი, იმ დახმარებით, რომელსაც გვიწევს სსრ კავშირის სათბობი მრეწველობის სახალხო კომისარი ამხანაგი კაგანოვიჩი, ქვანახშირის ამოღების გადიდებისა და ნავთის მრეწველობის შექმნის ამოცანას საქართველოს ბოლშევიკები აუცილებლად შეასრულებენ.

საქართველოში დიდად განვითარდა კვების მრეწველობა, რომელიც ჩვენში წინათ თითქმის არ იყო. 1937 წელს კვების მრეწველობის საწარმოთა პროდუქციამ შეადგინა უკვე 188,6 მილიონი მანეთი. მესამე ხუთწლედში კვების საწარმოთა პროდუქციის ზრდა დასახულია 82,4 პროცენტით 1937 წელთან შედარებით. ყველაზე დიდი ზრდა უნდა მოგვცეს ჩაის მრეწველობის პროდუქციამ. თუ 1938 წელს საქართველოს ჩაის ფაბრიკებმა მოგვცეს 8.200 ტონა ჩაი, 1942 წელს მათ უნდა გამოუშვან 20.000 ტონაზე მეტი ბაიხის ჩაი, ხოლო „აგურის" ჩაის ჯამოშვება, რომელიც 1937 წელს 655 ტონას შეადგენდა, 1942 წელს უნდა ავიდეს 4 ათას ტონამდე. ამგვარად, ჩაის მრეწველობის საერთო ზრდამ მესამე ხუთწლედში უნდა შეადგინოს 172 პროცენტი.

ჩაის მრეწველობის პროდუქციის ზრდის შესაბამისად, რაც გეგმით არის გათვალისწინებული, დაპროექტებულია საქართველოს ჩაის ფაბრიკების საერთო სიმძლავრის გადიდება. მესამე ხუთწლედში უნდა აშენდეს ჩაის 12 ახალი ფაბრიკა და ერთი ჩაის საწნეხი ფაბრიკა „აგურის" ჩაის გამოსამუშავებლად.

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში გაიშალა მუშაობა შამპანური ღვინოების წარმოებისათვის. კლიმატური პირობების მეოხებით საქართველოში კარგად ხარობს შამპანური ჯიშის ყურძენი. ყურძნის ზოგიერთი ადგილობრივი ჯიშები აგრეთვე იძლევიან საუცხოო მასალას შამპანური ღვინოების დასამზადებლად. თბილისში მალე ამუშავდება შამპანური ღვინოების დიდი კომბინატი, რომელმაც ყოველწლიურად უნდა მოგვცეს 4 მილიონი ბოთლი შამპანური. უკვე ჩაწ-

ყობილია ერთი მილიონი ბოთლი სპეციალური ღვინო შამპანურის დასამზადებლად.

შამპანურის დამზადებასთან ერთად, საქართველო [illegible] გაადიდებს სუფრის ღვინოების გამოშვებას, რომლებიც [illegible] ითვლებიან საბჭოთა კავშირში.

საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველაზე მტკივნეულ ადგილს წარმოადგენს მისი ენერგეტიკული ბაზის ერთგვარი ჩამორჩენა. 1937 წელს საქართველოს ელექტროსადგურებმა გამოიმუშავეს სულ 413,5 მილიონი კილოვატ-საათი, მაშინ როდესაც ელექტროენერგიის მინიმალური მოთხოვნილება შეადგენს 541 მილიონ კილოვატ-საათს, ე. ი. მათ ვერ შესძლეს ჩვენი მრეწველობის მოთხოვნილების სავსებით დაკმაყოფილება.

მესამე ხუთწლედში მნიშვნელოვნად იზრდება მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე. 1942 წლისათვის ეს მოთხოვნილება შეადგენს 1500 მილიონ კილოვატ-საათს. ელექტროსადგურები, რომლებიც საქართველოში შენდება, მესამე ხუთწლედში მათი აუცილებლად დამთავრების შემთხვევაშიც კი ვერ დააკმაყოფილებენ ელექტროენერგიის მოხმარების ასეთ დიდ ზრდას.

ამავე დროს საქართველოს მთის მდინარეები შეიცავენ ენერგიის დაუშრეტელ მარაგს. ჩვენ ვთხოვთ ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ჩვენს საბჭოთა მთავრობას გაითვალისწინონ საქართველოს სახალხო მეურნეობის ენერგეტიკული ბაზის სერიოზული ჩამორჩენილობა და დაგვეხმარონ გამოვასწოროთ მდგომარეობა მესამე ხუთწლედში.

პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგ სტალინის უშუალო მითითებათა შესაბამისად საქართველოს სოფლის მეურნეობა ვითარდება იმ მდიდარ ბუნებრივ შესაძლებლობათა ფართოდ გამოყენების საფუძველზე, რომლებსაც შეიცავს ჩვენი რესპუბლიკის კლიმატური და ნიადაგობრივი თავისებურებანი. ეს თავისებურებანი შესაძლებლობას გვაძლევენ დავნერგოთ ისეთი ძვირფასი, მთელი საბჭოთა კავშირისათვის საჭირო კულტურები, როგორიცაა ჩაი, ციტრუსები, ტუნგო, ეთეროვან-ზეთოვანი მცენარეები, კეთილშობილი დაფნა, თამბაქო, ყურძენი, სუბტროპიკული ხილი. ამ კულტურების დანერგვა უდიდეს როლს შეასრულებს კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისა და კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი ზრდის საქმეში.

მოვიყვან რამდენიმე ცნობას, რომლებიც ახასიათებენ სოციალისტური სოფლის მეურნეობისა და კოლმეურნეთა მასების შეძლებულობის ზრდას.

1939 წლის 1 იანვრისათვის ჩაის პლანტაციების ფართობი შეადგენდა 45 ათას ჰექტარს, 1932 წელს კი ჩვენ გვქონდა მხოლოდ 25 ათასი ჰექტარი ჩაი. ჩაის პლანტაციების მთელი ფართობის 96,8 პროცენტი ეკუთვნით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

ჩაის პლანტაციების გაფართოებასთან ერთად ყოველწლიურად იზრდება ჩაის ბუჩქის მოსავლიანობა. თუ 1932 წელს ხოულმოსავლიანი პლანტაციის ერთი ჰექტარის საშუალო მოსავალი შეადგენდა 701 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს, 1938 წელს ჩვენ ერთ ჰექტარზე საშუალოდ მოვკრიფეთ უკვე 2185 კილოგრამი მწვანე ფოთოლი. ამასთან არიან კოლმეურნეობები, რომლებიც ცალკეულ ნაკვეთებზე ჰექტარზე ჰკრეფენ 5,7 და თვით 10 ათას კილოგრამ ჩაის ფოთოლს. წლითიწლობით ფართოვდება ციტრუსების პლანტაციები.

1933 წელს ციტრუსებს ეჭირათ 2.000 ჰექტარი, ხოლო 1939 წლის 1 იანვრისათვის ციტრუსების ფართობმა 10.000 ჰექტარზე მეტი შეადგინა. თუ 1932 წელს საქართველოში დამზადებული იქნა 11 მილიონი ცალი ციტრუსების ნაყოფი, 1937 წელს ჩვენ დავამზადეთ 300 მილიონი ცალი. ძლიერმა გვალვამ 1938 წელს მნიშვნელოვნად შეამცირა ციტრუსების მოსავალი. მიუხედავად ამ არახელსაყრელი პირობებისა, 1938 წელს ჩვენ მაინც დავამზადეთ 250 მილიონზე მეტი ციტრუსების ნაყოფი — მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში დიდი მნიშვნელობა აქვს ტუნგოს კულტურის შემდგომ განვითარებას. ტუნგოს ზეთისაგან მზადდება ლაქი, რომელიც ლითონს იცავს ჟანგისაგან. ტუნგოს ზეთს ფართოდ ხმარობენ სსრ კავშირის ელექტრო-ტექნიკურ და საავიაციო მრეწველობაში. 1939 წლის 1 იანვრისათვის ტუნგოს ნარგავების ფართობი შეადგენდა 12 ათას ჰექტარს, მაშინ როდესაც 1932 წელს ჩვენ გვქონდა მხოლოდ ერთი ჰექტარი ტუნგოს ნარგავი.

ტუნგოს კულტურის განვითარება გვანთავისუფლებს უცხოეთიდან ტუნგოს ძვირად ღირებული ზეთის შემოტანის აუცილებლობისაგან. ამასთან ერთად იგი უდიდეს შემოსავალს აძლევს ჩვენს კოლმეურნეობებს.

უკანასკნელ წლებში საქართველოში ფართოდ გავრცელდა ევკალიპტის კულტურა. ამ სწრაფად მზარდ ხეს დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის ამოშრობისა და მალარიით დაავადებული ადგილების გაჯანსაღების საქმეში. ევკალიპტის ფოთლების სუნს შორს გაურბის მალარიის კოლო. ევკალიპტის ფოთლებისაგან მზადდება სხვადასხვა ზეთები, რომლებსაც ფართოდ იყენებენ მედიცინაში და საპარფიუმერიო მრეწველობაში.

1939 წლის პირველ იანვრისათვის რესპუბლიკაში იყო 4,5 მილიონი ევკალიპტის ხე. 1939 წლს გეგმის მიხედვით ჩვენ უნდა დავრგოთ 3,5 მილიონი ხე, ხოლო 1942 წელს ჩვენ გვექნება 16 მილიონი ევკალიპტის ხე.

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის განვითარებასთან მჭიდროდ დაკავშირებულია კოლხიდის ჭაობების ამოშრობის პრობლემა. კოლხიდის ჭაობებს 220.000 ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავთ. კოლხიდის დაბლობის საუკუნოვანი ჭაობების ამოშრობისათვის ჩვენ მიერ გაშლილი გრანდიოზული სამუშაოები ანთავისუფლებენ ნაყოფიერი მი-

წის ახალ დიდ სივრცეებს ციტრუსოვანი და სხვა სუბტროპიკული მცენარეების გასაშენებლად. კოლხიდა, რომელიც წარსულში მალარიის კერას წარმოადგენდა, ხდება სუბტროპიკების აყვავებული სამშობლო.

ამხანაგი სტალინის პირადი მითითებებით კოლხიდის ამოშრობის სამუშაოები ამჟამად ძირითადად თავმოყრილია ქალაქ ფოთის გარშემოლიკვიდირებულია სამუშაოთა ფრონტის წინანდელი დაქსაქსულობა, რომელსაც იყენებდნენ მავნებლები თავისი საზიზღარი, კონტრრევოლუციური მიზნებისათვის.

ამჟამად მდინარეებს ნაპირების გამაგრების შედეგად წყლით პერიოდული დაფარვისაგან დაცულია 7 ათასამდე გლეხური მეურნეობა, ამოშრობის სამუშაოები ჩატარებულია 17 ათას ჰექტარზე. ამოშრობილ მიწებზე დასახლდა რამდენიმე ასეული გლეხური მეურნეობა და ჩამოყალიბდა პირველი კოლმეურნეობები. უკვე გაშენებულია სუბტროპიკული კულტურების პირველი პლანტაციები, რომლებსაც უკავიათ 1800 ჰექტარი.

მესამე ხუთწლედის დამლევისათვის ამოშრობილი მიწების ფართობი კოლხიდაში მიაღწევს 44.000 ჰექტარს. ამ ფართობის თითქმის ნახევარს დაიკავებენ მრავალწლიანი სუბტროპიკული კულტურები.

1936 წელს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში მევენახეობის განვითარების შესახებ. ამ გადაწყვეტილების შემდეგ განსაკუთრებით გაძლიერდა მუშაობა ვენახების განვითარებისათვის. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საქართველოს კოლმეურნეობებში გაშენებულია 5.000 ჰექტარზე მეტი ვენახი. 1939 წელს გაშენდება 3.600 ჰექტარი, ამასთან გაშენებული ვენახების მნიშვნელოვან ნაწილს შამპანური ჯიშები შეადგენენ. მესამე ხუთწლედის ბოლოსათვის ვენახების მთელი ფართობი მიაღწევს 60.000 ჰექტარს, ახლა კი ჩვენ გვაქვს 40.000 ჰექტარი.

სპეციალური და ტექნიკური კულტურების განვითარებამ გამოიწვია კოლმეურნეთა ფულადი შემოსავლის დიდი ზრდა და კოლმეურნეთა შეძლებულობის ამაღლება. რესპუბლიკაში ითვლება ათობით კოლმეურნეობები, რომლებიც ყოველწლიურად მილიონ მანეთზე მეტ შემოსავალს იღებენ. ბევრია ისეთი კოლმეურნე, რომლებიც შრომადღეებზე იღებენ 5 ათასიდან 20 ათას მანეთამდე, გარდა მარცვლეულისა და სხვა პროდუქტებისა.

მოვიყვან ორ-სამ მაგალითს. კოლმეურნე ვლადიმერ ჩემიამ სოხუმის რაიონის სოფელ ბაბუშერიდან 1938 წელს პირადად გამოიმუშავა 520 შრომადღე, ხოლო ოჯახთან ერთად — 1880 შრომადღე და კოლმეურნეობიდან მიიღო 2260 კილოგრამი მარცვლეული და 15.000 მანეთზე მეტი ფულად. კოლმეურნე ქალმა ქიონია სარსანიამ ზუგდიდის რაიონის ინგირის კოლმეურნეობიდან, რომელმაც ერთ ჰექტარ პლანტაციაზე მოჰკრიფა 10.000 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი, შრომადღეებზე მიიღო 15.000 მანეთი ფულად და 60 ფუთი მარცვლეული. კოლმე-

ურნე მ. დევაძემ (ქობულეთის რაიონი) მიიღო 20.000 მანეთზე მეტი შემოსავალი. იმავე რაიონის კოლმეურნე გარჯილაძემ — 23.000 მანეთი და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი მაგალითები ჩვენში იშვიათი როდია.

მესამე სტალინური ხუთწლედი არის ხუთწლედი საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა, კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისა და კოლმეურნეთა შეძლებულობის ზრდისა სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების მტკიცედ დაცვის საფუძველზე.

მესამე ხუთწლედის ბოლოს, 1942 წელს, ციტრუსოვანი ნარგავების ფართობი იქნება თითქმის 24.000 ჰექტარი, ჩაის ფართობი მიაღწევს 55.000 ჰექტარს. მნიშვნელოვნად გაფართოვდება ისეთი კულტურების ფართობები, როგორიცაა გერანი, არახისი და სხვ., რომლებიც კოლმეურნეებს მეტად დიდ შემოსავალს აძლევენ.

მესამე ხუთწლედის ბოლოს ჩვენ მივცემთ ქვეყანას ციტრუსების 850-900 მილიონ ცალ ნაყოფს, მათ შორის ლიმონს 50 მილიონ ცალზე მეტს. 1942 წელს ჩვენ მოვკრეფთ 70 ათას ტონაზე მეტ ჩაის მწვანე ფოთოლს, 18.000 ტონაზე მეტ თამბაქოს, 200.000 ტონაზე მეტ ყურძენს, მაშინ როდესაც 1938 წელს ჩვენ მოვკრიფეთ 130.000 ტონა ყურძენი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სირთულე ავალებს ჩვენს პარტიულ ორგანიზაციას ყოველთვის დიდი ყურადღება დაუთმოს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობას, ყოველდღიურად სწვდებოდეს სოფლის მეურნეობის ყველა წვრილმანს.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ თვითეული წელი სუბტროპიკული და სხვა სპეციალური კულტურებისათვის იყოს მოსავლიანი წელი, ვინაიდან, როგორც ერაერთხელ მიუთითებდა საქართველოს ბოლშევიკებს ამხანაგი სტალინი, ამ კულტურების მოსავალი ყველაზე ნაკლებად დამოკიდებულია ამინდზე და ყველაზე მეტად დამუშავებაზე, ნარგავების სწორ მოვლაზე.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და მტს-ების ხელმძღვანელობის საკითხებზე ყოველდღიური კონკრეტული მუშაობით, საკოლმეურნეო სოფლის კულტურის ამაღლებით, კოლმეურნეთა შორის მასობრივი პოლიტიკური მუშაობის ფართოდ მოწყობით, საქართველოს პარტიული ორგანიზაცია შეასრულებს მის წინაშე დასახულ ამოცანებს და ღირსეულად გაამართლებს დიდი სტალინის მზრუნველობას საბჭოთა სუბტროპიკებზე.

საქართველოს სამეურნეო გარდაქმნას მოსდევს კულტურის სწრაფი ზრდა. საქართველო იქცა წერაკითხვის მთლიანი მცოდნეობის რესპუბლიკად. საქართველოს დაწყებითს და საშუალო სკოლებში ამჟამად სწავლობს 700 ათასზე მეტი მოსწავლე. ამ სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტი 1914 წელთან შედარებით გაიზარდა 373 პროცენტით. რევოლუციამდე საქართველოში არ იყო არცერთი უმაღლესი სასწავლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეისათვის ჩვენ გვაქვს 18 უმაღლესი სასწავლებელი, სადაც სწავლობს 22.000 სტუდენტი.

1933 წლიდან 1938 წლამდე საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებმა გამოუშვეს 15.000-მდე უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი: ინჟინერი, აგრონომი, ექიმი. უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა შორის 5.000 პედაგოგია.

ამ ციფრების მნიშვნელობა უფრო გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს მოსახლეობა ითვლის 3,5 მილიონ კაცს.

საქართველოს საბჭოთა ლიტერატურა, საბჭოთა თეატრი, ფერწერა და ხელოვნების სხვა სახეები განიცდიან თავის ნამდვილ აყვავებას. ქართველი ხალხის საბჭოთა ხელოვნების მიღწევებს ფართოდ იცნობენ მთელი ჩვენი დიადი ქვეყნის მშრომელები.

სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს ის შავბნელი დრო, როდესაც ქართველი ხალხის მაღალი, მრავალსაუკუნოვანი კულტურა სასტიკ დევნასა და დამცირებას განიცდიდა.

„ქართულ თეატრზე, — სწერდა თავის დროს კავკასიის მეფის ნაცვლის განსაკუთრებულ დავალებათა მოხელე გრაფი სოლოგუბი, — ლაპარაკიც კი არა ღირს, და დასანანებელია მის შესანახად თუნდაც ერთი გროშის დახარჯვა იმ თანხიდან, რომელიც გამოყოფილია თეატრის დასახმარებლად. დასის პირადი შემადგენლობა შეკრებილია ველურებიდან.. ქართული თეატრი შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ ერთ შემთხვევაში: თუ ხელისუფალნი ინებებენ იმოქმედონ უბრალო ხალხზე ნაციონალური ტრიბუნის საშუალებით. ასეთი ვარაუდის დროს საკითხი იცვლება და იღებს მაღალი საპოლიციო ღონისძიების სახეს“.

ეს უვიცი მოხელე დაცინვით წინადადებას იძლეოდა თეატრის მაგიერ დაეარსებინათ ბალაგანი. „ყოველ შემთხვევაში, — განაგრძობდა იგი, — ამ დაწესებულების სარგებლობა უდავოა, განსაკუთრებით მაშინ, თუ მისი მართვა დაევალება არა ქართველ ავტორს, არამედ განათლებულ ადამიანს“.

ასეთი იყო მეფის სატრაპების „ზრუნვა“ ქართულ კულტურაზე. ასე ექცეოდა მეფის თვითმპყრობელობა ათეულობით ხალხებს, რომლებიც ამჟამად ცხოვრობენ საბჭოთა კავშირში.

ამ წესწყობილებიდან ახლა ჩვენ დაგვრჩა მხოლოდ საარქივო დოკუმენტები. სსრ კავშირის ბედნიერი ხალხები თავიანთ თავისუფლებას, თავიანთ სამეურნეო და კულტურულ აყვავებას უნდა უმადლოდნენ ბოლშევიკების პარტიის ბრძნულ ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას. სსრ კავშირის ხალხები უზომოდ მადლობელი არიან დიდი რუსი ხალხისა, რომელმაც სსრ კავშირის ყველა ხალხებთან ერთად, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, გენიალური ბელადების ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით ძირფესვიანად დაანგრია მემამულურ-ბურჟუაზიული წყობილება და სამუდამოდ მოსპო სამარცხვინო ნაციონალური ჩაგვრა.

სსრ კავშირის თავისუფალ ხალხთა ძმური სტალინური მეგობრობა — სოციალიზმის ერთერთი უდიდესი მონაპოვარი — წარმოადგენს ჩვენი უძლეველობის მტკიცე გარანტიას. ამ მეგობრობის ძალას ვერ ვანძლებს ვერავითარი მტერი.

ამხანაგებო, უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ, როგორც მთელმა ჩვენმა პარტიამ, გამოამჟღავნა და დაუნდობლად გაანადგურა ჯაშუშების, დივერსანტების, მკვლელების ტროცკისტულ-ბუხარინული და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ბანდა. ამ მუშაობის შედეგად საქართველოს ბოლშევიკებმა უფრო მჭიდროდ დარაზმეს თავისი რიგები სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მშობლიური, საყვარელი სტალინის გარშემო **(ტაში)**.

მტრული სიბილწისაგან გაწმენდასთან ერთად საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ განამტკიცა თავისი რიგები მუშებიდან, გლეხებიდან და ინტელიგენციიდან პარტიაში საუკეთესო ადამიანების მიღების ხარჯზე. 1936 წლის ნოემბრიდან 1939 წლის მარტამდე პარტიის წევრობის კანდიდატებად მივიღეთ 18,5 ათასი ამხანაგი და პარტიის წევრად დაახლოებით 8.000 ამხანაგი. ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ბოლშევიკური სულისკვეთებით აღვზარდოთ ეს ახალი შევსება.

ასრულებდა რა ამხანაგ სტალინის მითითებებს, საქართველოს კომუნისტური პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ახალი კადრების აღზრდას, სწორ შერჩევასა და დაწინაურებას. 1937 წლის იანვრიდან 1939 წლის მარტამდე ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე დაწინაურებულია რესპუბლიკაში 2.600 ახალგაზრდა მუშაკი.

ამხანაგ სტალინის მიერ ყრილობაზე მოცემული მითითებები ახალი და ძველი კადრების სწორი შეხამების შესახებ, საბჭოთა ინტელიგენციასთან მუშაობის შესახებ დაგვეხმარება კადრების შერჩევისა და დაწინაურების საქმის შემდგომ გაუმჯობესებაში, ჩვენი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო აპარატის შემდგომ განმტკიცებაში.

უდიდესი წარმატებები მრეწველობის განვითარებაში, სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნაში და საქართველოს კულტურულ მშენებლობაში ხელმძღვანელობის სტალინური მეთოდების წარმატებებია. ეს წარმატებები საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მხრივ, ამხანაგ სტალინის მხრივ ჩვენდამი ყოველდღიური მზრუნველობის, ყოველდღიური ყურადღების შედეგია.

ამ წარმატებების მოპოვებისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა შენიღბული, კლასობრივად მტრული ელემენტების, ყველა ჯურის ორგულების, ფაშიზმის საზიზღარი ტროცკისტ-ბუხარინელი და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტი აგენტების მძაფრი წინააღმდეგობების პირობებში.

ამხანაგ სტალინის ბრძნული მითითებებით შეიარაღებულმა საქართველოს ბოლშევიკებმა გამოამჟღავნეს და დაუნდობლად გაანადგურეს ჯაშუშებისა და გამცემლების გველური ბუდეები. ეს დიდი მუშაობა მათ

ჩაატარეს დიდი სტალინის ერთგული მოწაფის ამხანაგ ლავრენტი ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს და ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციებს. **(ტაში).**

ამხანაგმა ბერიამ საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები აღზარდა ბოლშევიკური პარტიულობის სულისკვეთებით, ლენინურ-სტალინური ინტერნაციონალიზმის, შეტევითი ბოლშევიკური სიფხიზლისა და ხალხის მტრებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, ჩვენი პარტიის სტალინური ცენტრალური კომიტეტისადმი, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით **(ხანგრძლივი ტაში).**

ჯერ კიდევ რუსეთში რევოლუციური მოძრაობის განთიადზე დიდმა სტალინმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოს და კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს. ეს გვაკისრებს ჩვენ — საქართველოს ბოლშევიკებს — უდიდეს საპატიო პასუხისმგებლობას იმისათვის, რომ მთელ ჩვენს პრაქტიკულ მუშაობაში ვიყოთ ღირსი სახელოვანი სტალინური ტრადიციებისა. საქართველოს ბოლშევიკების მთელი სიცოცხლის, მთელი ბრძოლის უმაღლეს მიზანს წარმოადგენს ჩვენი პარტიის სტალინური ცენტრალური კომიტეტის ნების, მშობლიური სტალინის — ჩვენი მამის, აღმზრდელის, პარტიის ბელადის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადის ნების განუხრელად შესრულება.

გაუმარჯოს დიდ სტალინს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა მწერლები საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობას

უდიდესი აღმავლობითა და აღფრთოვანებით ეგებება მძლავრი საბჭოთა ხალხი ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ისტორიულ მეთვრამეტე ყრილობას, რომელიც შეაჯამებს სოციალიზმის აშენებისათვის გმირული ბრძოლის სახელოვან გზას და დასახავს უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გრანდიოზულ პროგრამას.

განუზომელი სიამაყითა და კმაყოფილებით უცქერის გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა თავის უდიდეს, მსოფლიო-ისტორიულ წარმატებებს, რომლებიც მოპოვებულია ბოლშევიკების პარტიის ორ ისტორიულ ყრილობას შორის განვლილ მანძილზე. ეს წარმატებები და გამარჯვებები ოქროს ასოებით აღბეჭდილია დიად სტალინურ კონსტიტუციაში, რომელიც წარმოადგენს სოციალიზმის ყველა მტრებთან ბრძოლაში საბჭოთა ხალხის გმირობისა და უძლეველობის მძლავრ გამოხატულებას, ლენინ-სტალინის პარტიის ყოველისმძლე იდეების სიდიადის, სსრ კავშირის თავისუფალ, ბედნიერ მოძმე ხალხთა სტალინური მეგობრობით შეკავშირებული ურღვევი ოჯახის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგის განუხრელი ზრდისა და აყვავების მძლავრ გამოხატულებას.

ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების სწრაფი ზრდისა და განვითარების საფუძველზე გაიფურჩქნა ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხების ლიტერატურა და ხელოვნება. საქართველოს საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებითი წარმატებანი მაჩვენებელია უდიდესი გაქანებისა და შესაძლებლობებისა, რომლებიც საბჭოთა კავშირში შექმნილია ყველა ნაციონალური კულტურისათვის.

საკ. კ. პ. (ბ) ორ ისტორიულ ყრილობას შორის განვლილი პერიოდი ყველაზე ნაყოფიერი და ეფექტურია საქართველოს საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში. პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** ყოველდღიური დახმარებითა და მზრუნველობით, საქართველოს საბჭოთა მწერლებმა, გასწმინდეს რა თავისი რიგები მტრული უწმინდურებისაგან, კომუნიზმის დიადი დროშის გარშემო მჭიდროდ დარაზმუ-

ლებმა უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მნიშვნელოვან შემოქმედებითს გამარჯვებებს მიაღწიეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა პოეტებმა გამოსცეს კრებული „ქართული ლექსები და სიმღერები სტალინზე“, რომელიც წარმოადგენს დიდი **სტალინისადმი** საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების გულწრფელ და შთაგონებულ პოეტურ გამოხატულებას. სსრ კავშირის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების არჩევნების ისტორიულ დღეებში საქართველოს საბჭოთა პოეტებმა შეჰქმნეს ორი დიდი კრებული „ბედნიერი სამშობლო“ და „ბედნიერების სიმღერები“. გმირი ესპანელი ხალხის ბრძოლას ქართული პოეზია გამოეხმაურა კოლექტიური წიგნით „ესპანელ ხალხს“, ხოლო საბჭოთა ხალხის გმირული შრომითი ენტუზიაზმი, მიმართული სტალინური ეპოქის მონუმენტის — ახალი კოლხიდის შექმნისაკენ, ქართველმა პოეტებმა ასახეს დიდ კოლექტიურ წიგნში „ახალი კოლხიდა“.

საქართველოს საბჭოთა მწერლებმა: გ. ტაბიძემ, ალიო მაშაშვილმა, გ. ლეონიძემ, ს. ჩიქოვანმა, ი. მოსაშვილმა, ალ. აბაშელმა, ვ. გაფრინდაშვილმა, ირ. აბაშიძემ, კ. კალაძემ, ალექსანდრე გომიაშვილმა, გიორგი ყაჭახიძემ, კონსტანტინე ჭიჭინაძემ, ი. გრიშაშვილმა, ს. ეულმა, რ. გვეტაძემ და სხვებმა ამ ხუთი წლის განმავლობაში შეჰქმნეს მთელი რიგი შესანიშნავი ლექსები, რომლებიც გამსჭვალულია საბჭოთა პატრიოტიზმის წმინდათაწმინდა გრძნობით, რომლებიც ხატავენ სოციალისტური შრომის გმირების პოეტურ სახეებს, უმღერიან ჩვენს დიად სამშობლოს, ჩვენს საყვარელ მამას, მასწავლებელს — დიდ **სტალინს.**

ქართული პოეზიის დიდ მიღწევას ეპიური ჟანრის დარგში წარმოადგენს გ. ლეონიძის პოემა „ბელადის ბავშვობა-ყრმობა“, ალიო მაშაშვილის „ენგური“, გრ. აბაშიძის „შავი ქალაქის გაზაფხული“ და სხვ.

საკ. კ. პ. (ბ) ორ ყრილობას შორის განვლილი წლების მანძილზე საქართველოში შექმნილია მთელი რიგი დიდი ბელეტრისტული ნაწარმოებები, რომლებიც ასახავენ სოციალისტური მშენებლობის ძირითად პროცესებს და საბჭოთა ხალხის გმირულ წარსულს. შ. დადიანის, ლეო ქიაჩელის, დ. შენგელაიას, ს. კლდიაშვილის, კ. ლორთქიფანიძის, კ. გამსახურდიას, ალ. ქუთათელის, პ. ჩხიკვაძის, ალ. ჭეიშვილის, ალ. ბელიაშვილის და სხვ. რომანები და მოთხრობები ასახავენ ქართველი ხალხის ცხოვრებისა და ბრძოლის მკაფიო სურათებს. ბევრი მათგანი თარგმნილია მოძმე ხალხთა ენებზე.

გაიზარდა და განმტკიცდა ქართული საბჭოთა დრამატურგიაც, რომელიც გვიხატავს ჩვენი ეპოქის საუკეთესო ადამიანების სახეებს და ქართველი ხალხის რევოლუციური წარსულის დაუვიწყარ ეპიზოდებს. ქართული დრამატურგიის დიდ მიღწევას წარმოადგენს შ. დადიანის პიესა „ნაპერწკლიდან“, ს. შანშიაშვილის „არსენა“ და „ფოლადაური“, ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობა“ და „შემოდგომის აზნაურები“, პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“, ი. ვაკელის „შური“.

იზრდება და მტკიცდება მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურისმცოდნეობა და ლიტერატურული კრიტიკა. ქართველ ლიტერატურისმცოდნე-კრიტიკოსების ჯგუფმა დაამთავრა მუშაობა ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე კურსზე, რომელიც საფუძვლად დაედება მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის პრობლემების შემდგომ დამუშავებას.

უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში საქართველოში ჩატარებულია უდიდესი მუშაობა კლასიკური მემკვიდრეობის ათვისებისათვის. რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, აკ. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ალ. ყაზბეგის საიუბილეო თარიღებთან ერთად საქართველოში დიდ სახალხო დღესასწაულებად აღინიშნა გენიალური პუშკინის და შევჩენკოს იუბილეები, „იგორის ლაშქრობის ამბავი"-ს 750 წლისთავი და სხვ.

ჩვენ ჩამოვთვალეთ მხოლოდ ნაწილი ქართული საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებითი მიღწევებისა, რომლებიც მოპოვებულია ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით. 13 მოწინავე ქართველი მწერალი დაჯილდოვებულია საბჭოთა კავშირის ორდენებით განსაკუთრებული წარმატებებისათვის საბჭოთა ლიტერატურის განვითარების საქმეში.

მესამე სტალინური ხუთწლედი სახავს ახალ კოლოსალურ აღმავლობას ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში. საბჭოთა ლიტერატურის წინაშე იხსნება ახალი ამოცანები და მოთხოვნები.

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის XVIII ყრილობის გახსნის ისტორიულ დღეს საქართველოს საბჭოთა მწერლები მტკიცე პირობას სდებენ, რომ უფრო მეტი ძალითა და ენერგიით ბოლშევიკების პარტიის უძლეველი დროშის ქვეშ გაშლიან ბრძოლას დიადი სტალინური ეპოქის შესაფერი საბჭოთა ლიტერატურის ახალი შემოქმედებითი გამარჯვებებისათვის.

ალიო მაშაშვილი, შალვა დადიანი, გ. ტაბიძე, ი. მოსაშვილი, ხ. ჩიქოვანი, გ. ლეონიძე, დ. შენგელაია, ლ. ქიაჩელი, ს. შანშიაშვილი, ს. კლდიაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ი. აბაშიძე, ვ. გაფრინდაშვილი, კ. გამსახურდია, რ. გვეტაძე, ი. გრიშაშვილი, ა. აბაშელი, ხ. ეული, კ. კალაძე, ა. გომიაშვილი, გ. კაჭახიძე, გ. ქუჩიშვილი, ა. ქუთათელი, ა. ჭეიშვილი, კ. ჭიჭინაძე, ი. ლისაშვილი, ი. ვაკელი, პ. კაკაბაძე, პ. ჩხიკვაძე, ა. ბელიაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიქტორ გაბესკირია

ბალი

მონატრებია ბალს ოქროს კარი,
მაგრამ მზე არ სჩანს, აქ დღესაც თოვდა.
ახლად დათოვლილ შტოს არხევს ქარი
პალიასტომთან.

აქ დიდხანს კიდევ არ გაივლიან,
ჯერ ზამთარია და თოვლი ცვივა;
ზის ყვითელგულით ტოტზე ნიბლია
და ბუჩქებს სცივა.

მაგრამ ბელადი როს სიტყვას იტყვის,
როს შემოჰყვება მზე დილას სისხამს, —
ის ჩემი ბალი თოვლს გადაიყრის,
ვარდს გამოისხამს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚ ᲯᲐᲑᲣᲨᲐᲜᲣᲠᲘ

ᲝᲗᲮᲘ ᲚᲔᲥᲡᲘ

1. ᲥᲘᲡᲯᲘᲡ ᲥᲐᲚᲘ

მთებში ნახა, სად ველი სჩანს მწვანით მოფარჩული,
თავმომწონე მონადირეს დაუარა რეტმა;
მწყემსი იყო ქისტის ქალი, — მოსისხარი რჯულის,
მაგრამ გულმა გული იცნო, ყველა რჯულზე მეტმა.

ერთხელ ღამით მოიტაცა მწყემსი მაყვალთვალა,
დილით სახლში მოიყვანა — შვლის ნუკრივით მფრთხალი.
დასწყევლეს და შეაჩვენეს, — მიაშურა ქალაქს,
კვლავ მოვალთო, მთებს ეძახდნენ ის და ქისტის ქალი.

დრო გავიდა, განიფანტა ადათების ჩრდილი,
ძმათა შორის მტრობა, სისხლი დრომ თან წარიტანა.
დღეს კვლავ არხვატს დაუბრუნდა განდევნილი წყვილი,
ქალ-კაჟს სალმით მიეგებნენ მოლიმარი მთანი.

შეხვდა ხალხიც — გულაყრილი რჯულის თილისმაზე,
აწყდებოდათ სიხარული გაუგონარ ძალით.
ილიმება ქისტის ქალი დედამთილის ხმაზე
და მამამთილს არ ეთმობა თვალჟუჟუნა რძალი.

2. ᲡᲯᲣᲛᲠᲝᲑᲐ ᲥᲘᲡᲯᲘᲡ ᲥᲐᲚᲗᲐᲜ

შენს ჭერქვეშ სტუმრობა ორ ქისტს და ერთ ხევსურს
გვანიჭებს ხალისს და უნაზეს მოლოდინს.
თანაბრად გვილიმი...
სტუმრებს კი ესე გვსურს:
ერთ ჩვენგანს საკუთრად მიენდო ბოლომდის.

დილაზე წამომდგართ ჭრელ ნოხებს გაგვიფენ,
დავსხდებით, რომ ვჭიმოთ ტრფიალის ჭაპანი;
უხდებათ ხუმრობა მეგობარ რაყიფებს, —
შეც, ერთი ხევსური, არა ვარ ჯაბანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგჯერ კი გავალთ და მერნებით ჯიქითა
დავქრიკვართ, — შენ გვიმზერ, ლიმილის მხატავი.
ქისტები ნათქვამი არიან ჯიგიტად,
მაგრამ არც მე ვუჭერ ჩემს ლურჯას სადავეს.

როდესაც მნათობი შუა ცას დალახავს,
შავ ნაბდებს გაშლიან მინდორზე ქისტები;
მოხრიან მუხლებს და შესთხოვენ: „ალლახო,
მაგ ლამაზ ქალ შავას შენს მონას მისცემდე!“

ჩვენ ვრჩებით.
ღვთის ნაცვლად ვარ შენი მლოცველი
და აი, თანხმობით შეერთდნენ ბაგენი,
გონს როცა მოვედით, — თვალგანაოცები
ქისტები პირისპირ გვიმზერდნენ შმაგები.

ერთბაშად შეიკრეს თავები ჩალმითა,
შესხდნენ და გაქუსლეს მერნები ქარული.
აწ ნიავს ჩამოაქვს სოფელზე ჩავლილსა —
ალლახის გმობა და ცხენების თქარუნი.

3. ერთი ღამე არაგვის ხეობაში

ფერმკრთალი მთვარე დაითენთება,
ქრება ვარსკვლავთა შორი მშვენება;
დაჩნდა ცისკარი, — უკვე თენდება
და შენს ლიმილს ჰგავს ეს გათენება.

მაგრამ მაგ თმების სირბილე არ აქვთ
წყალზე დაწოლილ ნისლის ფარებსა.
შენთან მოკითხვას ვაბარებ არაგვს, —
ნეტავ თუ გეტყვის დანაბარებსა!

მთელ ღამეს ნისლად ფიქრი მეხვია,
თვალები ბინდით გადამეხრამენ,
ვით ეს ცისკარი, შენი სეხნია,
ისე შორსა ვარ შენგან ეხლა მე.

ლიმილით დილას შევეგებები
არაგვის პირზე ღამის მთევარი.
მთებზე ნისლები მთებად ეგება
და მიჰკიჟინებს მდევარს მდევარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ხევსურები თელავის ბაზრობაზე

მოდის დოვლათი უხვი, კახური,
დილის სინესტით გადანამული,
დგანან ურმები მოჩარდახული,
ისმის სიმღერა და ჟრიამული.

სთვლემენ ხარები თვალმოღუშული
და კამეჩებსაც მზერა ებურვით.
დედას შებლავის კრავი თუშური,
დუნია ხალხით გაოგნებული.

გაჭედილია შარა ურმებით,
აქ თელავია დღეს მასპინძელი.
გაჰკივის ბიჭი შალაურელი:
„მიირთვით ღვინო შარშანწინდელი“!

ვილაც იყუდებს ზედაშეს სურით
და გაყუჩდება წუთით კრებული.
ბაზარში დადის შვიდი ხევსური,
სახეჯმუხი და დაფიქრებული.

ერთი მათგანი ჩიბუხს აბოლებს,
თან გამოკიდულ ხალათებს სინჯავს,
ხალხს მოფუსფუსეს თვალს გააყოლებს
და ეუბნება მეგობრებს დინჯად:

„დავტოვეთ კლდენი თოვლით დაქარგულ,
მტრობა, შუღლი და აყალმაყალი,
მთავრობამ ხრიოკ მთებში დაკარგულთ
კახეთში მოგვცა მიწა ახალი, —

გვასწავლა, წიგნი გაგვაგებინა,
გვიჩვენა კაცურ ცხოვრების გეზი,
მოგვცა ხევსურებს ნათელი ბინა
და ჯურღმულიდან ამოგვსხა მზეში“!

კვერს დაუკრავენ ექვსნი ერთობილ
და ახატავენ სახეზე ღიმილს.
კვლავ ხალხის მზერით თვალს გაართობენ,
წკრიალებს გულში სიამის სიმი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გულშიც ხალისის შუქი იჭრება,
სხვა სიმღერებით ივსება ყელი,
უარყვეს ძველი ჯუბა და ჯვრები
და არც ფარხმალი აქვთ განუყრელი.

სხივსა სვამს მზერა მზეს ნამარხვალი,
გახსნა ცხოვრებამ შავი ნასკვები.
ვიღაც ჩაუვლით მერვე, ფარხმალით,
ვით ჯვაროსანი უკანასკნელი.

მნათობი შუა სივრცეზე ჩნდება,
ხალხის ჟრიამულს ალმური ერთვის.
შვიდი ხევსური სუფრაზე ჯდება
და სადღეგრძელოს აიღებს ერთი:

„იმ კაცს დიდება, ვინც გაგვიმრთელა
წყლული და შეგვკრა კავშირით ძმურით,
ვინც ეს ნათელი დღე გაგვითენა
და მიგვიძღვება ნაბიჯით ბრძნულით“!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია

დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა

რაინდული რომანი [1]

XXXII

სვეტიცხოველის კარიბჭესთან ბოდოკია შემოეგება არსაკიძეს.

„შენ გიცდიდი, ოსტატო."

ამბობს ბოდოკია.

„ხომ არაფერი მომხდარა კიდევ?"

„ჩუქურთმიანი ლოდია ჩრდილოს კედელზე გასატანი, ოსტატო". ნაბიჯს აუჩქარა არსაკიძემ. მიხვდა თუ რომელ ლოდს გულისხმობდა ბოდოკია, ლაზი.

სვეტიცხოველის ტაძარზე ახლაც დარჩენილია მოდელი ტაძრისა.

სწორედ ამ მოდელის ქვემოთ დატანებულია ეს ჩუქურთმიანი ლოდი. სამმხარიანი ჯვარია მასზედ და ასომთავრული წარწერა ასეთი:

„ნებითა ღვთისათა განახლდა სამირონე ესე, ბრძანებითა ქრისტეს მიერ კათალიკოზისა მელქისედეკისათა. შეიწყალე უფალო, მონა შენი კალატოზნი ოთხნი, ამინ."

დიდხანს ჭირვეულობდა ამ ლოდის გამო კათალიკოსი. სამგზის დაიწუნა ჩუქურთმიანი ჯვარი. ბოლოს, როგორც იქმნა, ეს უკანასკნელი მოიწონა. ამიტომაც ჰქონდა ნაბრძანები არსაკიძეს: უჩემოდ არ ჩადგათ ლოდი.

ეს ამბავი პარასკევს მოხდა. შაბათს მელქისედეკი აპირებდა მშენებლობის დასათვალიერებლად მოსვლას, ამიტომაც ეჩქარებოდათ ოსტატებს.

კალატოზებმაც იცოდნენ მელქისედეკის ჭირვეულობის ამბავი, ამიტომაც ველარ ანდვეს მისი ატანა მონებს. ხუთივენი ავიდნენ ხარაჩოზე.

როცა საბელით აზიდეს ლოდი, მოხუცი ბოდოკია წაეპოტინა პირველი, მარყუჟიდან გამოხსნა ლოდი, მაგრამ ველარ მოერია თავათ.

---

[1] გაგრძელება. იხ. მნათობი, № 2

სამი დანარჩენი კალატოზი უმარჯვოდ იდგა, ხარაჩოს ძელები გაესიპა ნისლს, ფეხი ვერსად მოიმაგრეს, ამიტომაც ვერ მოეშველნენ ბოდოკიას დროზე.

ლოდიც გასიპული იყო, ხელი მოეცარა ბოდოკიას, მაგრამ მკერდი მაინც შეაგება ოსტატმა. ისევ წაეპოტინა, მაგრამ ველარ შეიმაგრა ლოდი.

დაწინაურდა კონსტანტინე არსაკიძე, მკლავები შემოაჭდო ლოდს და საოცრად გაწითლდა მთელ სახეზე, კალატოზებიც დაიძრნენ ადგილიდან, მაგრამ ვერც ერთმა მოიკიდა სველ ხარაჩოზე ფეხი, კარგა ხანს გაუძლო არსაკიძემ ოთხი კაცის ტვირთს, ველარც მას მიეშველნენ დროზე.

ხელი გაეშვა?

ბოდოკია იქვე იდგა, დაშავდებოდა მოხუცი, ბოლოს ჩუქურთმიანი ლოდიც დაიმსხვრეოდა უცილოდ.

იმარჯვეს ისევე სამთა, წელმოწყვეტილი ბოდოკიაც მიეშველა. მაჯაგანით ჩასვეს ჩუქურთმიანი ლოდი, მაგრამ ნიშეცვლილი არსაკიძე შეჰქანდა ხარაჩოზე.

თვალი წაატანა ბოდოკიამ, ლაინისფერმა გადაჰკრა ხუროთმოძღვარს სახეზე.

როცა იგი ძირს ჩამოიყვანეს, წელი ვერ გამართა არსაკიძემ, მშვილდივით მოკეცილი დაეცა მიწაზე. საკაცეზე დააწვინეს ხუროთმოძღვარი მეფისა, თორმეტმა კალატოზმა წაიყვანა არსაკიძე რატისეულ სასახლეში.

ატირდა საწყალობლად ნონაი.

„წუხელი ცუდი სიზმრები მქონდა. არ დამიჯერა ბატონმა, მიტომაც შეემთხვა ხიფათი“.

მელქისედეკი უფლისციხეში იყო იმ დღეს, მსახურთუხუცესი წარგზავნა ავადმყოფის სანახავად გიორგი მეფემ.

ფარსმან სპარსი იხმეს, მაგრამ ავადა ვარო, მოიმიზეზა ფარსმანმა. უფლისციხეში აფრინეს კაცი. თურმანიძე თმოგვს წასულიყო წინა დღეს.

ორი კვირის მანძილზე სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე იყო არსაკიძე მისული. უმწეოდ დაფათურებდა ნონაი, შავ შარბათს, თემრი ჰინდის, უმხუნისა და ბროწეულის წვენს ასმევდა ავადმყოფს, სვინტრისა და თალგამის მხალს აჭმევდა დღენიადაგ.

არ აპირებდა ავადმყოფი გამობრუნებას.

ბოლოს დარწმუნდა არსაკიძე, მომიხდებაო სიცოცხლის დათმობა. ნაღვლობდა ოსტატი ფრიად, დაუსრულებელი რომ რჩებოდა სვეტიცხოველი.

მთელი სიცოცხლე სხვის ქვეყნებში ჯიალსა და უსაზმნო შრომაში დალია, ცხრაკარსა და ითვალისში აგებული ორიოდე ეკლესია უკვდავებას ვერ მოუხვეჭდა მის სახელს.

კარგად იცოდა ოსტატმა: მუზები დიახაც მიელტვიან ულრან ტყეებსა და უკაცურ მთებს, მაგრამ უკეთუ მათი შთაგონების საგანი საატახტო ქალაქებს ვერ მისწვდა, ვერც ერთი ოსტატი გაითქვამს სახელს.

სვეტიცხოველი იყო მისი სიჭაბუკის, მამაკაცობის უსაჩინოესი ქმნილება, საქართველოს გულში აგებული საჩინო ადგილზე.

რამდენი შრომა და ტანჯვა შეალია ამ დიდ ქმნილებას! ... ეგ ძალა სიკვდილს უნდა გადაეჭრა გზა!...

ეცოდებოდა მოხუცი დედა, ფხოვის ცივ მიწაში დარჩენილი მამის ძვლების ერთგული დარაჯი; ბოდოკია უნდა წარეგზავნა კვეტარს, მაგრამ საქმეს ხომ ვერ მოაცდენდა ჩინებულ კალატოზს?

ეს კი ეწადა, სულზე მოესწრო როგორმე დედას, ეგებ მისმა ლოცვამ და სიყვარულმა გადამარჩინოსო სიკვდილს.

ერთი და უსაწყალობლესი დარდიც უნდა გაჰყოლოდა ამ უხეირო წუთისოფლიდან.

ერთხელ მაინც, ერთხელ მაინც კიდევ ენახა შორენა. როგორმე შეევლო საღამო ჟამს ხურსისეულ სასახლეში და ერთხელ მაინც გაეგონა მისი პირისგან დედის მიერ შერქმეული, ლაზური სახელი: „უტა“.

სულზე მოუსწრო ბურმანიძემ ავადმყოფს.

მარჯვენა მკლავი გაუხსნა აქიმმა. სისხლი ადინა საშუალის ძარღვიდან. გრილი შარბათები ასვა, ვარდის კაჭაჭის ფოთლები დაანაყვინა ნონაის, უხვად ასვა წვენი, ქაფურში გავლებული გრილი ტლეები შემოადგა.

სამ დღეში გამომჯობინდა არსაკიძე.

ასე დააწესა აქიმმა: ორ თვეს მაინც არ გასულიყო ხარაჩოზე ხუროთმოძღვარი მეფისა.

არც ცხენზე შემჯდარიყო ორ თვეს, ფიცხელი მოძრაობა აღკვეთოდა ყოველნაირი.

ერთი კვირის შემდეგ თავათ დგებოდა ფეხზე.

მთელი დღე იჯდა რატისეულ სასახლის აივანზე, გულშემოყრილი გასცქეროდა თავის საყვარელ ქმნილებას შორიდან.

ყოველ დილას მოდიოდა ბოდოკია, მითითებებსა და თათბირებს ღებულობდა ავადმყოფი ოსტატისაგან.

თითქმის ყოველ დილით ხედავდა აივნიდან არსაკიძე სანადიროდ მიმავალ შორენას.

გიორგი მეფის ოქროსფერ ულაყზე იჯდა ერისთავის ასული. ორი მოახლე და ორი დიაკონი მისდევდნენ ცხენდაცხენ, შავარდნიანი ბაზიერებიც თან ახლდნენ.

მხარმარჯვნითა და მხარმარცხნით გიორგი და გირშელი მიჰყვებოდნენ საომარ ცხენებზე გადამჯდარნი, თორმეტი თოროსანი რაინდი თან ახლდა მეფესა და ერისთავს.

სულ ბოლოს ურმით მიჰყავდათ გიორგი მეფის ავაზები მონებს. ატლასის დორი ზედ ეხურათ ავაზებს, საბელის თავი ურმის უკან მიმავალ მონებს ეჭირათ ხელში.

აივნიდანვე ამჩნევდა არსაკიძე, შორენა მხიარულად ეგებებოდა მეფესა და ერისთავს.

სანადირო ტყავკაბა ეცვა გირშელის საკოლეს, ოქროქსოვილი ზორტებითა და მარგალიტების ფოჩვებით შემკული, ტარსიკონის ჩექმები ფეხზე, ვერცხლის უზანგებამდის წვდებოდა ბროწეულის ყვავილისფერი საწმერთულის ტოტები.

XXXIII

„და წარმომგზავნა ღმერთმა, რათა შევმუსრო კაცთაგანნი სამი ჯურისა: ქედმაღალნი, მრავალგვართა ღვთაებათა თაყვანისმცემნი და მხატვარნი.

უფრთხილდით კაცნო უფლისა და ადამიანის გამოსახვას. ნება გეძლევათ ხატოთ მარტოოდენ ხეხი, ყვავილნი და ქმნილებანი უჰასაკონი“.

როცა მარტოობა გულზე შემოეგზნებოდა, გადმოიღებდა ტილოსა და წამლებს არსაკიძე, ხატავდა თავისთვის...

ერთ დღეს, ნასადილევს, ტახტზე წამოწოლილიყო ავადმყოფი. სამი ბერი ამოვიდა რატისეული სახლის კიბეზე.

ხუროთმოძღვარი მეფისა იკითხეს.

შემოფათურდა ნონაი: ვიღაც ბერები გკითხულობენო.

მობრძანდნენო, უთხრა არსაკიძემ.

როცა სტუმრები დარბაზში შემოვიდნენ და თავსაბურავი მოიხსნეს, არსაკიძემ მელქისედეკ კათალიკოსი შეიცნო.

კონსტანტინე შეკრთა, მაგრამ წამოდგომა არ დაანება მელქისედეკმა. თავათ მოიტანა მის სასთაულთან სელი.

დაჯდა, ალერსიანად გამოკითხა ჯანმრთელობის ამბავი.

ჯვალოს ჩოხა ეცვა მელქისედეკს, სავსებით გახუნებული, ბერული, ორკაპიანი არგანი ეჭირა ხელში.

მცირე ხანს დარჩნენ სტუმრები. მწუხრზე მეჩქარებაო, მოიმიზეზა მელქისედეკმა.

წამოდგა.

ჯვარი გადასწერა ავადმყოფს.

ეუბნება:

„დღეს შეევედრებით უფალს განკურნებისა შენისათვის, შვილო, მალე გაჯანსაღდები ღვთით, სვეტიცხოველს დაასრულებ მალე, ტაძრის კურთხევაზე ფრიად საპატიო სტუმრებს მოველით ბიზანტიონიდან“.

ეს მოხდა შაბათს საღამოს.

გაოცებული იყო არსაკიძე; როგორი სათნო კაცი ყოფილაო მელქისედეკი! ტკბილად შესაყრელი და ამოდმოუბარი ეჩვენა საერთოდ ბუზღუნა და ჭირვეული მოხუცი.

საქმიანობაში აუტანელი იყო მელქისედეკი, წვრილმანი, სასტიკი, ვანუზომელად ახირებული ხშირად.

კირითხუროებს, კალატოზებს და მონებს მეხივით ეშინოდათ მისი.

როცა იგი მშენებლობის სათვალყუროდ ჩამოივლიდა, ორ ათასამდე მუშა ისე გაიტრუნებოდა, ალალმა ჩაუქროლაო ნიბლიებს გრეკვას.

არც არავინ იცოდა არასდროს, რომელ წუთს, რომელ საათზე შემოვიდოდა იგი სვეტიცხოველის ეზოში. თავის გახუნებულ ჯვალოს ჩოხაში, უბრალო ბერიდან ძლივს გაარჩევდა მას კაცი.

როცა ყველა დარწმუნებული იყო, უფლისციხეშიაო მელქისედეკი, იმავე დღეს მოაკითხავდა ტაძარს.

ხმა დავარდებოდა: ავად გახდაო კათალიკოსი, ბალღებივით გაიხარებდნენ მონები, სწორედ იმ საღამოს მიადგებოდა ხარაჩოებს.

ყველას ეს აოცებდა: თრითინასავით დაძვრებოდა ზედ მუხლებდასივებული, ჩია ბერიკაცი.

ნონაი შემოვიდა, წამლები შეასვა ავადმყოფს, ცხელი რძე მოუტანა და წაფრატუნდა.

სიბნელემ დაივანა დარბაზში, ერთადერთ ვარსკვლავს თვალი ჰკიდა არსაკიძემ, მერმე დიდხანს იწვა პირაღმა, ისევ მელქისედეკის გამო ფიქრობდა იგი.

როგორი სასტიკი გამომეტყველება ჰქონდა მას ნამწუხრევს, სამთავროს ეკლესიაში ქადაგების ჟამს, როცა იაკობის მიერ ღმერთთან შერკინებას განუმარტავდა მრევლს.

სიყრმიდანვე აოცებდა არსაკიძეს ეს უცნაური ადგილი დაბადებისა. ჯერ კიდევ ადრიან სიჭაბუკეში, კონსტანტინოპოლში, მრავალჯერ გაოცებულა, რა თამამად მოუციაო ამ სტრიქონების ავტორს ადამიანის ჭიდილი ღმერთთან?

ახლა უცნაურად აეკვიატა ასეთი განზრახვა: უთუოდ დაეხატა იაკობის თანამბრძოლობა უფალთან.

ისე ცოცხლად წარმოუდგა თვალწინ დასახატი საგანი, შეეშინდა, ჩვენებად არ გადამექცესო ეს ყოველივე.

ორ-სამგზის იცვალა გვერდი, ველარ მოისვენა, ღამე არ ყოფილიყო, უთუოდ ადგებოდა, შეუდგებოდა ხატვას.

წამოდგა, ჯოხი აიღო, ბაღჩაში ჩავიდა.

ეძინა ყოველივეს ირგვლივ.

ოდნავ, სულ ოდნავ იჭვრიტებოდა მოყვითალო ღრუბლის ბლონდიდან მთვარე, იისფერი რკალი გარს ერტყა მნათობს.

იდგა ცაცხვის ქვეშ არსაკიძე, უხაროდა სასიცოცხლო ღონე რომ შეემატა მის იოგებს. ათიოდე დღეც და, უჯოხოდ ივლიდა, უთუოდ შეივლიდა შორენას სანახავად.

გადაჰხედა მთვლემარე ხილნარს, ასე ეგონა მძინარე ბუნება მღეროდა ძილში. მღეროდნენ ჩრდილადქცეული ხეები, მთვლემარე ყვავილები, დაცვარული ბალახი. ტკბილის სძლისპირივით მოესმოდა ფუტკრების ზუნი, მღეროდნენ ცისკიდურებზე გაწოლილი მთებიც, მათ ფერხთით გადაშლილ ზღვისფერ სილურჯეში არაგვი დვრინავდა ამოდ.

ვაჟკაცურად ებრძოდა წიწამურის ველზე მამალი ხოხობი ლამეს. კვირა დილას უთენია წამოდგა.

სამთვარიო ამ დღისათვის იუწყებოდა:

„დღე კეთილი, ღვინის ძვრა, ვენახის დარგვა, ქორწინება, ბადრობა და მგზავრობა ყოველივე კეთილი...“

სამთვარიო გადასდო, ჯოხი აიღო, ისევ დააგდო, ადგა და აივნამდის მივიდა უჯოხოდ.

ბაღს გადაჰხედა.

გახარებული ჭიკჭიკებდა ჩიტბატონა მწვანეში.

სიცოცხლე და შემოქმედება მოენატრა კვლავ.

შიხ შებრუნდა, სამხატვრო ხელსაწყონი მოიმარაგა.

წამლები შეამზადა, ტილო განფინა.

რამდენიმე ხაზი მიმოავლო ტილოზე, უბრალო კონტურები მოხაზა ზედ, ნაღვარევს გადალმა მდგარი აქლემების, კარაულების, იაკობის ორი ცოლის, ორი მხევალის, ათერთმეტი ვაჟის ბანაკი.

ახლა, ნაღვარევს გადმოლმა, ველზე მარტო მდგარი იაკობის ფიგურა უნდა მოეხაზა და სწორედ ამ დროს ნონაი შემოვიდა, ვილაც ჩალმიანი ბერიკაცი მოსდგომია უკანა კიბეს, ხუროთმოძღვარს მეფისას იკითხავსო.

არსაკიძე მიხვდა, ვინც უნდა ყოფილიყო ეს ჩალმიანი მოხუცი.

ისე მოძალებული ჰქონდა შთაგონება, არავის ნახვა ეწადა ამ წუთში.

სახე დაელმიჭა ბრაზისაგან.

ამპარტავნობაში ჩამომართმევსო, ეს გაიფიქრა და უბრძანა მხევალს მობრძანდესო სტუმარი.

არსაკიძე გაოცდა, როცა უკანაკარიდან შემოვიდა ფარსმან სპარსი დარბაზში.

წელში მოდრეკილი, თითქმის ქოსა მოხუცი ისე მოდიოდა, თითქოს ეპარებაო რაიმეს. გრძელი ყავარჯენი ეჭირა ხელში, ვერცხლით მოჭედილის სახელურითა.

შემოსვლისთანავე მიესალმა მასპინძელს და როცა მოწოდებულ სელზე დაჯდა, ასეთი რამე შეაგება არსაკიძეს:

„ეს მიბრძანე, ჭაბუკო, ამ სახლის უკან რატისეული კოშკია, არა?“

არსაკიძე გააოცა ამ კითხვამ.

ერთი გაიფიქრა: ალბათ თრიაქისაგან თუ დამთვრალაო ამ დილით? შეაშტერდა სახეზე.

არა.

მთვრალი არ უნდა ყოფილიყო ფარსმანი, თავაზიანად მიუგო მოხუცს:

„დიახ, კოშკია, ბატონო.“

„ეჰ, მე კი სახაბაზო მეგონა თავდაპირველად, შვილო.“

ყავარჯენს მოეჭიდა ორივე ხელით, იატაკს დაჰხედა და ამბობს:

„ცუდი ყოფილა სიბერე, შვილო, სიცოცხლე აღარა ღირს, რომ სა-ხაბაზოსა და კოშკს ურთიერთისაგან ველარ გაარჩევ.“

„ჰო, ჩარდახმორღვეულია ის კოშკი, შესაძლოა, ემბლომაც ველარ გაარჩიეთ, ოსტატო.“

„ეჰ, უკვე აღარა ვარ ოსტატი, შვილო, ამჟამად გიორგი მეფის შა-ვარდნებს რევანდის ოყნას ვუკეთებ. თრიაქ ფარუხს ვასმევ მიმინოებს, ფილენჯისაგან განსაკურნავად.

როცა მეჯადაგეები ოსტატები გახდებიან, ოსტატებმა რევანდის ოყნა უნდა გაუკეთონ შევარდნებს.“

არსაკიძე მიუხვდა ამ ოგავების შეფარვულ შინაარსს. დაცდილი ჰყავ-და ოსტატი ძველი: ფარსმანი სათქმელს აროდეს იტყოდა ჯიქურად.

მუდამ ირიბად მიმართავდა სიტყვას, უკუსაქცეველ ხვრელს დაიტო-ვებდა თანაც. ორლესული მახვილივით მძაფრი იყო მისი ნათქვამი, კალ-მახივით უსხლტებოდა ხელიდან მსმენელს.

„რად იკითხე, ოსტატო, ამ კოშკის ამბავი წელან?“

„ალბათ მოგეხსენება, ჭაბუკო, როცა კაცს სიბერე მოუწევს, ბალღს დაემსგავსება იგი. აკი ასე სჩვევიათ ბალღებსაც, ისეთ რამესაც იკითხა-ვენ ხოლმე, რაც კარგად იციან თავათაც.

ბალღები და მოხუცები იმითაც ჰგვანან ერთმანეთს, რომ მათ თა-ნაბრად აეშლებათ ხოლმე საღერღელი ლაპარაკისა.

მხოლოდ ესაა, ბალღს არ ეშინიან სისულელის თქმისა, იგი ასე ვა-რაუდობს, ალბათ ქვეშეცნეულად, გავიზრდები, ჭკვიანურსაც ვიტყვი.

მოხუცებულიც აცუნდრუკდება ხშირად, რადგან გამოცდილებიდანაც კარგად იცის, მხოლოდ ბრძენკაცებს ემტერებოდნენ მეფეები, და არ-სად, არც ერთ მეფეს, თუ გინდ სულელსაც, შლეგები არ ჩამოუხრჩვია ჯერ.

რადგან თვით უჭკუო მეფეებსაც მუდამ ესმოდათ, სულელები სათი-თაოდ რომ ჩამოახრჩო, მაშინ ვერც ხარკს მოიხვეჭდნენ, ველარც მო-ნასპებს იპოვნიდნენ ომში წასაყვანს.

ეგეც ხომ გსმენია: არავინ ისე მამაცად არ იბრძვის სხვის ომში, რო-გორც სულელი, მე ვიყავი მუდამ ასეთი შლეგი, სხვათა ომებში მამაცი შლეგი.

რაიცა შეეხება კოშკს, ახლა გამახსენდა: ამ კოშკში ჰყავდა დამწყვ-დეული მეფე გიორგის რატი.

ჭკვიანი კაცი იყო სახლთუხუცესი რატი. მან კარგად იცოდა: ვინც მეფეთა სამსახურისათვის თავს გადასდებს, მას საკუთარი სახლის უკან მზად უნდა ჰქონდეს დილეგიც.

რადგან ქარის ქროლვასა ემსგავსებოდა მეფეთ წყალობა, ხან ალმა მიჰქრის ეს ნიავი, ხანაც თავდალმა“.

ფარსმანს ყავარჯენი გაუვარდა ხელიდან. დასწვდა, ისევ აიღო და განფენილ ტილოს შეავლო თვალი.

„ცუდ დროს მოვსულვარ, როგორც სჩანს, ჭაბუკო. სახატავად მოგიცლია, ვხედავ“.

„არაფერია, ოსტატო, მცირე რამ უნდა დამეხატა. ... ხანია ფერწერაში არ მივარჯიშნია“.

„ვინ გასწავლიდა ბიზანტიონში ფერწერას?“

„მხატვართუხუცესი ავრელიოს ალოსტოს.“

„ავრელიოს ალოსტოს! როდოსელი ბერძენი, არა? ფერწერაში ნიჭი მოგდგამს, გეტყობა...

„როდოსელი ბერძენი, დიახ.“

კვლავ გაიმეორა მხატვართუხუცესის სახელი და გვარი ფარსმანმა. თვალები მიაშტერა არსაკიძეს, მაგრამ ფარსმანი ისე ხშირად აფახულებდა მწითურ წამწამებს, მისანიც ვერ შეიცნობდა მის გულის ხმას ამ წუთში, თვალებიც ისე უციმციმებდა, როგორც ვარსკვლავი ბოროტი.

„აბა ერთს გეტყვი, ჭაბუკო, ყველაფერზე უფრო ძვირფასი მხატვრისათვის მაინც იგია, რაც არც მელქისედეკ კათალიკოსს შეუკვეთია და არც მეფე გიორგის, ის, რასაც მოცალეობის ჟამს დახატავს იგი თამაშით.

ეგეც იცოდე: მაინც მოცალეობა და ფანტაზიაა შემოქმედების მკვიდრი მშობელი.“

მიუხვდა ლაზი ამ შეფარვული აზრის სანიშნოს. არსაკიძეს მხოლოდ რამდენიმე ხაზი ჰქონდა გავლებული ტილოზე. ამ იგავით ეს უთხრა ფარსმანმა: ეს რამდენიმე ხაზიც სჯობიაო შენს მიერ აგებულ სვეტიცხოველს.

ან რა ნიჭის გამო შეიძლებოდა ამ ესკიზების მიხედვით მსჯელობა? ცხადია, დასცინოდა იგი არსაკიძეს.

არსაკიძე აიმღვრა, მაგრამ არა აკადრა რა მოხუცებულ სტუმარს. თავისი ბერძნული განათლების მიუხედავად, არსაკიძე მაინც ლაზი იყო და არსად ისეთ პატივში არ არიან მოხუცებულნი, როგორც ოდითგანვე ლაზების ქვეყანაში.

„სამოცდახუთი წელი შემისრულდა გუშინ, თუმცა ახალ ცხოვრებას მოვეკიდე, მხოლოდ გუშინწინ შევირთე ცოლი, ხელცარიელი მივდივარ სამარეში, შვილო, რადგან მუდამ იმას ვაკეთებდი, რასაც კეისარი, ხალიფი, და აფხაზთა მეფეები მოისურვებდნენ.“

ამ სიტყვებმა ფრიად გააოცა არსაკიძე.

წლების მანძილზე უსაუბრნია მასთან და არც ერთხელ კრინტიც არ დაუძრავს თავისი ცხოვრების გამო ფარსმან სპარსს.

მხოლოდ ერთი რამ ყურმოკვრით ჰქონდა მას განაგონი ამ უცნაური მოხუცის გამო.

ის ტყირპიანი დედაკაცი თებრონია მხევალი როდი ყოფილა მისი, არამედ წანარელ მონაზონის ნაბიჭვარი.

მონასტრიდან გაუგდიათ ფეხმძიმე დიაცი, მონაზონი ძმებთან წასულა, ტყირპიანი შვილი როგორც კი ჰყოლია, გუდანურში ჩაუსვამთ ბალღი და ფარსმანის კარებში შემოუგდიათ ღამით.

ფარსმანმა გაზარდა მერმე თავისი ხარჭის ნაშობი და მხევალი თებრონია შეურქმევია მისთვის.

წამოდგა ფარსმანი, განფენილ ტილოს მიეახლა, ყავარჯენს დაებჯინა, კიდევ შეხედა ნახაზებსა და ესა სთქვა:

„შესაძლოა წინასწარ იცოდე მხატვარმა კიდევაც, რომ შენ სურათს ზედაც არ შეხედავს არავინ, გული საგულეს უნდა გქონდეს მაინც.

რადგან ეს ასეა: ჩვენს აზნაურებს მიმინოს სკორე ურჩევნიათ სურათებს, ხოლო დიდვაჭრებს — ნოხები, ბიზანტიელ პატრიციებს — ცხენები.

ეპისკოფოსები ასე ამბობენ: მკრეხელებიაო მხატვრები, ღმერთს უტოქდებიან ისინი, უჰასაკო საგნებს შთაბერავენო სულს.

ვერც კონსტანტინოპოლში გაყიდი შენს სურათს, რადგან ბიზანტიელი აზნაურნი და უაზნონი ამას მოითხოვენ: ბასილი კეისარი უნდა ხატოსო მხატვარმა, თეთრ რაშზე გადამჯდარი, ჰოროლსა სცემდესო ხახადაბჩენილ ურჩხულს.

არც თუ მუსულმანთაგანი შეიძენს შენს სურათს ვინმე, რადგან მართლმორწმუნე მაჰმადიანი ფეხსაც არ შესდგამს იმ სახლში, სადაც სურათი ჰკიდია, ან ძაღლი აბია სადმე.

მე ერთი ჭილის ეტრატი მაქვს შინ და იმ ეტრატში ასე სწერია:

„ვაჲ მას, ვინაც გამოხატოს ცოცხალი არსი. განკითხვის დღეს, მხატვრის მიერ გამოსახული პირები გაცოცხლდებიან, სურათიდან ჩამოვლენ, მიეჭრებიან დამხატველს და მოსთხოვენ სულს.

და მხატვარი იგი, რომელიც ვეღარ შესძლებს საკუთარი სულის მიცემას, უცილოდ დაიწვება უშრეტი ცეცხლით.“

დამერწმუნე, ჭაბუკო, ყველაზე კარგი სურათი იგია, რომელსაც არც უფლისციხეში, არც კონსტანტინოპოლში, არც ქაირში არ ყიდულობენ ამჟამად, სწორედ იგი, რომლისთვისაც სულს მოსთხოვენ ერთ დღეს დამხატველს.“

ფარსმანმა დილა მშვიდობისა დაუბარა არსაკიძეს, არც ჯანმრთელობისა, არც სვეტიცხოველის გამო უკითხავს რაიმე.

წასვლის წინ ესა სთქვა მხოლოდ:

მეფე გიორგის შავარდენი გახდომია ავად, რევანდის ოყნა უნდა გავუკეთოვო შავარდენს.

წავიდა თუ არ ფარსმანი, არსაკიძემ განაგრძო ხატვა.

* *

სრული სამი კვირა მოანდომა არსაკიძემ ამ სურათს, რადგან აქიმი ჯერაც არ ანებებდა სამუშაოდ წასვლას.

როცა მოათავა, შუა დარბაზში დადგა, სიხარულით აღვსილი შესცქეროდა თამაშითა და ლაღობით დაწერილს.

შიდა ფონზე აქლემები და კარაულები მოსჩანდნენ ნახევრად ბნელში, ორნი ცოლნი, ორნი მხევალნი და ათერთმეტნი ძენი იაკობისნი, ხო-

ლო ნაღვარევს გადმოღმა იდგა იაკობ მარტოი მუნ და ერკინებოდა მას უზარმაზარი დევკაცის ლანდი.

წვერი ჰქონდა ირისესავით თიმთიმა და დაფანჩული. ბოლოდ ბალე შარავანდი ემოსა გარშემო თავისა, თევზის ქერეჭისფერი ჯაჭვი ეცვა იაკობის ღმერთს, ცეცხლებრ უელავდნენ მგლისებრი თვალები.

XXXIV

აქიმის მიერ დათქმული ყავლი ჯერაც არ იყო გასული, არსაკიძემ მშენებლობას მიაშურა დილა ადრიან. გაიხარეს მის დანახვაზე კალატოზებმა და მონებმა.

ბოდოკია წინ გადაუდგა.

ჯერ ნუ ახვალო ხარაჩოზე, ბატონო!

არაჰქნა არსაკიძემ, შეჰყვა ხარაჩოებს. ათვალიერებდა ლავგარდანების ჩუქურთმებს, თაღების მოხატულობას, ფასადების ბარელიეფებს.

ტაძრის გუმბათამდი მიაღწია ძლივს, დოინჯი შემოიდგა თეძოზე.

ბოდოკიამ ფერნამკრთალობა შენიშნა მყისვე.

ცუდად ხომ არა ხარო, ოსტატო?

არ გაამხილა თირკმელების ტკივილი.

არაფერიაო, სთქვა, ხელი მოსჭიდა ფიჭვის ძელს.

კალატოზებთან ერთად ისადილა იმ დღეს, მწუხრის მოწევამდის დადიოდა ხარაჩოებზე.

ძელსა ჰკრეს სამთავროს ეკლესიაში. მონები გაიკრიფნენ მშენებლობიდან. დადიოდა ტაძრის გარშემო, უთვალთვალებდა თავის საყვარელ ქმნილებას ბინდისას.

წელს იტკივებდა დამაშვრალი, მაგრამ შორენას ნახვის წადილი მოსძალებოდა მაინც.

წყნარი, წყნარი საღამო იყო, კვიპაროზების წვეროკინები ქანაობდნენ ნელა. ბეღურები ჟივოდნენ ალვების მწვანეში.

ქუჩებში არავინ სჩანდა.

საგოდებელი გადაიარა, უსიცოცხლო შარიშური გაჰქონდა ლაშქარასა და შუფხას კლერტოებს.

მზე ეთხოვებოდა კავკასიონს, შაშვი კუთავდა სუროს მწვანეში.

ახლადდაფრენილი ბუს მართვეები მიფრინავდნენ მუხოვანისკენ. უმწეონი მათ შორის სულ დაბლა, სულ ახლოს ჯდებოდნენ ტოტებზე.

სასაცილონი იყვნენ ეს მოღუშული არსებანი. ჯერაც არ გაჰყროდა ქვეყანას ნათელი, ისინი ვერა ჰხედავდნენ არსაკიძეს. გაფუყული ისხდნენ, უცნაურად კუსავდნენ ცეცხლისფერ თვალებს.

კაცს ეგონებოდა, ამსოფლიური ჭმუნვა უკვე შეჰყრიათო ახლადმოჩიტულთ.

თემშარაზე გასულს ფეხშიშველა ბალღები შემოეყარა არსაკიძეს. უდარდელად მოიმღერერდნენ საკინძეგაღეღილი ბიჭუნები, მგალობელ ანგელოსებსავით აღებდნენ პირს.

სამთავროს მონასტრისაკენ მიდიოდა ბერების ლაშქარი.

რაღაც უცნაურმა სუნმა ჩამოუქროლა არსაკიძეს. ბნელ სენაკებსა და საოსტიგნოებში რომ სცემია, სწორედ ისეთმა, საკმეველის, სამრეგვისა და ოფლის სუნმა.

ულიმღამოდ, უხალისოდ მიედინებოდა შავჩოხიანების ბრბო, ლანჩების ერთობლივი ტკაპატკუპი ისმოდა თემშარაზე. ჩრდილებივით მიემართებოდნენ დასავლეთისკენ ისინი, უზარმაზარი ლანდები რჩებოდათ უკან.

სჩანდა, სამონასტრო ვენახებიდან ბრუნდებოდნენ. ხელში სასხლავი ეჭირათ, ზოგს ბარი მიჰქონდა, ზოგს წალდი, ზოგსაც წალამის კონები ეკიდა ზურგზე, ჩოხის ბალთებზე მოსდებოდათ ბირკა და ნარი.

მიიჩქაროდნენ დაღვრემილი, წელში გადრეკილი მოხუცები, საღამოს ბორიო არხევდა თეთრ წვერებსა და შავ ბალთებს ჩოხისას.

უსიხარულოდ გასცქეროდნენ ჩამავალ მზეს, გახუნებული სამოსი ეცვათ, შავი კრიალოსნები ეკიდათ კისერზე.

მიალაჯებდნენ მტკიცედ, შავწვერიანი, მხარგრძელი ვაჟკაცები. ტანზე თორნი, წელზე ხმალი და ფეხზე დეზი უფრო დაამშვენებდა მათ, ვიდრე ეს გაცრეცილი ბერული ჩოხანი.

გოდოლების შესამუსვრელად გამოდგებოდნენ ეს მუხლმაგარი და მხარგრძელი გოლიათები.

ღვივოდნენ ღაჟღაჟა ლოყები, ბიბინებდნენ წამახული ულვაშები და ჭავლივით მღელვარე წვერები.

მიდიოდნენ თავჩაქინდრულნი, მიალაჯებდნენ გრძელბარკლიან ფეხებს.

ქოსა და დაღრეკილი მამაკაცებიც ერიენ მათ შორის, თავწვრილა, კისერმოკლე, წვივგადრეკილნი ჩიაკაცები, დიაცური წრიპინა ხმა რომ გადაჰყვებათ ხოლმე ბალღობიდან შუაკაცობაში, ჰერმესსა და აფროდიტეს შორის მარად მერყეევ.

ისეთნი, ვინც დიაცებს ჭირას დღესავით სძაგთ, რა კი მათი მკლავები ხმალს ვერ მოიქნევენ, ერქვანს ვერ გამართავენ, პურს ვერ მოიწევენ, ჰოროლს ვერ შესცემენ, მტერს ვერ შეუტევენ რისხვით.

ბუნებით ცვედანნი, სახითა ქოსანი, სიყრმეშივე დაბერებულნი, ხოლო სიბერეში ყრმასავით ცუნდრუკა.

არსაკიძე ზიზღით შესცქეროდა ამ ზლაზვნია, წლაწვნია, წრიპინა, მკერდჩავარდნილსა და თეძოგანიერ ქალაჩუნებს.

ბოლოს ამ ლაშქარს უკან მიჰყვებოდნენ ყრმანი ჭაბუკთაგანი, უწვერულნი, ფერგამკრთალნი, კისერგრძელნი და პირმშვენიერნი, წარბმოხატულნი, მკერდგანიერნი და ახოვანნი.

მათაც დაამშვენებდა, უთუოდ, ჯიშიან, მაღალ ცხენებზე ჯდომა და გამართული ჰოროლებით იერიშების მიტანა.

სულ პაწია ბიჭუნებიც ერიენ მათ შორის, ხშირკულულიანები, თმახუჭუჭა და ლელვით წვრილნი, ცვილისფერი იერი გადაჰკრავდა მოყვითალო სახეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსაკიძე სათითაოდ აკვირდებოდა მათ, ცვილის, ... ბნელი სენაკების დახშული სუნი ასდიოდა ამ ჭაბუკების ჩოხებსაც.

„ქრისტეს მიერ გლახაკნი!“

გახმიანდა ოსტატის გულში ხმამაღალი ფიქრი, შეძრწუნდა ანაზდად, თითქოს ჯერაც არ ენახა მას ბერების მთელი ლეგიონები უფლისციხესა, ტრაპიზუნდსა და ბიზანტიონში.

მისწყდა მათი ლანჩების ერთობლივი ტკაპუნი და ერთბაშად ცხენების თქარუნი შემოესმა არსაკიძეს.

მთიდან მოჰყავდათ მწყემსებს გიორგი მეფის ცხენების რემა. ფეხშიშველა მონები ისხდნენ უბელო ჭაკებზე, ბირკათი ფაფარდახუნძული ულაყები ორორ კაცს მოჰყავდათ საბელით.

ჭიხვინებდნენ საომარი ვაყები, დუჟმორეულნი ღეჭავდნენ ლაგამს, მათ ხვიხვინში ისმოდა უცნაური ძახილი სქესის...

მოკუნტრუშებდნენ თაფლისფერი კვიცები, ცეკვით მოსდევდნენ მუცელდაბერილ ჭაკებს.

გამოექცა მგლისფერი აჯილღა ორ ვაჟკაცს, აყიროსავით გადააგდო ერთი მათგანი მტვერში, უკანა ფეხებზე ზეაღიმართა, ტორები შეძოჭვია ჩალისფერ ფაშატს, რომელიც თოკით მიჰყავდა მელოტ ბერიკაცს.

ფაშატი შეტოკდა, როგორც მარტოხე გრიგალისაგან შეშფოთებული, მაგრამ მოხუცს შეებრალა მშვენიერი ულაყი, გააკავა ჭაკი და აცალა გაგრილება გამიჯნურებულს (ალბათ სიჭაბუკე გაახსენდა თავისი).

ერთობლივი ჭიხვინი ასტეხეს საომარმა ულაყებმა და იაბოებმა, შურით აღვსილი ეროსი ფაფარში მისწვდენოდა ცხენების რემას.

ახლა კამეჩის ურმებმა აამტუტეს გზა.

წყვილწყვილად მოედინებოდნენ ქედმოდრეკილი კამეჩები, მოაჭრიალებდნენ ნაბდებით გადახურულ ურმებს, ნაღვლიანად ქშინავდნენ ბეგემოტების უკანასკნელი ნაშიერნი, ურმით მოასვენებენო ციხე-ქალაქში ღამეს...

„მხოლოდ მოცლილებს ემარჯვებათ გამიჯნურება!“

ეს გაიფიქრა არსაკიძემ და უკლო ნაბიჯს.

ხურსისეულ სასახლესთან მისულმა უკან მოიხედა, ორიოდე ლანდი ღიმღამობდა მოსახვევებთან.

მათაც აცალა ჩავლა და ხილნარში შევიდა ანაზდად.

მღელვარებით აღვსილმა მოათავა კიბის ხარისხები.

რა უბრალოდ შეუვლია კოლონკელიძიანთ ოჯახში უწინ! თავათაც აოცებდა ეს მღელვარება ახლა.

დიდი დარბაზი ღია იყო ჯერაც, ორიოდე ჭაღი ლიცლიცებდა შიგ. ზედ კარის ზღურბლთან დამჯდარიყო მხევალი ხათუთაი. ჩხირებგაყრილი წინდა გავარდნოდა ხელიდან.

მიესალმა არსაკიძე დედაკაცს, ხმა არ გაუღია სამაგიეროდ დამხვდურს. თვალებში ჩაჰხედა დიაცს, მიცვალებულს მიაგავდა მძინარე.

დარბაზში შესულმა დაახველა ნელა, არც აქ შეჰგებია ვინმე.

ქორბუდიანი ირმისთავები ეკიდა კედლებზე, რალაც [illegible] ხევდას დაევანებინა ჩაშავებულ, ჩამქრალ თვალებში.

რკინის ჩაბალახები შენიშნა კაჩხებზე, სამფარეშოსანი თორები, ქეიბურები და მშვილდები ირგვლივ.

ფრთხილად გაიარა გაუხსნელი ზანდუკებისა და ვაშკარანების გვერდით, უკანა კარი ოდნავ იყო გამოღებული.

ზედზღურბლთან შეჩერდა სტუმარი.

უნებლიედ შეიჭვრიტა მცირე დარბაზში. აქ კი მოულოდნელ სანახაობას წააწყდა თვალი.

შვიდი ხევისბერი მოსხდომოდა ტაბლას, ფხოვური იაფუხები ეყარა ზედ. სათითაოდ შეიცნო არსაკიძემ ფხოველნი: მუროჩი ქალუნდაური, მამუკა ბალაჩაური, მარტია ბაღათაური, ზეზვაი მისურაული, ბერდია ბებურაული, უშიშა ღუდუშაური და შიოლა აფხანაური.

სუფრის თავში გურანდუხტი შენიშნა არსაკიძემ.

ისხდნენ წვერგაბურძგვნილი, რკინის ჩაბალახიანი ხევისბერები, ჭაღების ლიცლიცზე კაშკაშებდნენ ხოჭოსფერი თორნი. თავჩაქინდრულნი უსმენდნენ შორენას.

...„დიაცი ვარ, მაგრამ მამიჩემის თვალების დაწვას მაინც არ შევარჩენ მეფე გიორგის. უჩემოდ ნუ დაიწყებთ ამბოხს. წყაროს თვალის წმ. გიორგის ხატობაზე კვეტარში გავჩნდები.

მამისეულ თორს გადავიცვამ, მის მუზარადს დავიხურავ, მის ხმალს შევირტყამ, მის საომარ ცხენზე შევჯდები, ლაშქარს გავუძღვები წითელის დროშით. მაშინ გამოჩნდება ქუდოსანთა და მანდილოსანთა სიმამაცე, ფხოველნო!

ჩვენი ბედი, თავადიციხე რომ არ დაარღვია მეფე გიორგიმ კვეტარში, საბრძოლო გოდოლები მოათავეთ როგორმე.

მამაჩემის ბრალი ეს იყო: ფხოვში შემოსვლა რომ აცალა ზვიადის ლაშქარს.

მეფე ციხეში შეიპატიჟა, ზვიადის მოსვლამდის არ დასთხარა თვალები.

ამიერიდან არ გავიმეოროთ ასეთი შეცთომა, ფხოველნო, გუდამაყარში შევეგებოთ ზვიადის ჯარებს.“

წამოდგა უხუცესი, მუროჩი ქალუნდაური.

მამამზემ და ტოხაისძემ დაგვაღალატაო იმ ჯერად. პირობა ჰქონდათო გუდამაყარში შებმოდნენ ზვიადს.

ესა სთქვა ქალუნდაურმა და არსაკიძე შეშფოთდა ანაზდად. ხედავდა: ცუდ საქმეში აბამდნენ შორენას.

ველარ მოითმინა, კარი შეაღო და დარბაზში შევიდა ჯიქურად.

წამოცვივდნენ თორიანი ხევისბერები.

ცხვრის სუნი ეცა არსაკიძეს, ერბოს სუნში აღრეული ცხვრის ხუნი.

მიუალერსა მუროჩი ქალუნდაურმა არსაკიძეს, მარჯვენა მკერდზე აკოცა მანაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჰკითხავდა ჯანმრთელობის ამბავს, ცოლშვილს თუ მოეკიდე, ან მცხეთაში რას აკეთებო?

გურანდუხტი აიმღვრა, მაგრამ მაინც ტფილად შეეგება სტუმარს.

წამუყო მოახლეს, იაფუხი და ხინკალი მოატანინა მყისვე.

მერმე ადგა, დიდ დარბაზში გავიდა. ღია კარიდან ესმოდა არსაკიძეს, თუ როგორ დატუქსა ერისთავის ცოლმა მხევალი ხათუთაი.

თუ სტუმრების მოსვლას არ გვაუწყებ, რად დაგსვესო კარის ალაგზე?

ხინკალმა და ხევისბერებმა ფხოვი მოაგონა არსაკიძეს. კოლონკელიძის ციხეში გატარებული ბედნიერი საღამოები.

გვერდით მიუჯდა შორენა უტას.

„შენი დაშავების ამბავი გუშინ წინ გავიგეთ მხოლოდ. ვარდისახარი ასე გვიამბობდა: კლარჯეთს წარგზავნაო კათალიკოსმა. გუშინ უნდა გამომეარა რატისეულ სასახლეში შენთან, მოულოდნელად გვეწვიენ ხევისბერები ჩვენი.“

ახლა მარტია ბალათაური მიუჩოჩდა არსაკიძეს.

დედა შენი ვნახეო გასულ კვირას, ხატობას. წვერის ანგელოზთან მოეყვანა საკლავი, აწირვინაო მამაშენის სულის სალხენად ხუცს.

ბაგისკოცნით მოგიკითხაო დედამ, დღედაღამ გავედრებსო ფუძისანგელოზს, გმირსა კოპალეს კარატისისას და ფიწალეს ლაშქართ წინამძღოლს.

შემოგევედრაო დედა, როგორმე დაეთხოვე იმ უშჯულო მეფე გიორგის, თუნდაც ერთხელ ინახულოვო დედა.

ნავახშმევს სამმა ჭაღიანმა დიაცმა დასაძინებლად გააცილა ხევისბერები.

მუროჩი ქალუნდაურმა არ ინდომა ჯერ მოსვენება, მაინც არ მეკარებაო დაზაფრულს ძილი. გურანდუხტს მიუჯდა და დაიწყეს ჩურჩული.

შორენა ალერსიანად ეტიტინებოდა არსაკიძეს. წარამარა ახსენებდა მის ლაზურ სახელს, ეფერებოდა, ეხუტებოდა უტას.

როცა მისი ავადობის მიზეზი გაიგო, ჰქირდავდა კიდევაც ნაძმობს:

„ვერ ყოფილხარ ვაჟკაცი, უტა, ოთხი კაცის ტვირთმა როგორ მოგწყვიტა წელი? შენ ისეთი ლომკაცი მეგონე, მტრის ლაშქარს შეებმის მეთქი მარტოკა.“

სულ ახლოს მიჰქონდა ვაჟის სახესთან პირი, ღელავდა არსაკიძე, როცა მისი სანუკველი სუნთქვა ეალერსებოდა ღაწვებზე.

მალე ხევისბერი ქალუნდაურიც გაიყვანეს მცირე დარბაზიდან გურანდუხტმა და ორმა მოახლემ, შორენამ მხარზე ხელი დაადო არსაკიძეს. ყურის ბიბილოსთან მიუტანა პირი:

„იცი, უტა, ვარდისახარი ფხოვს აპირებს ხატობაზე წასვლას. პირიმზისაც თან მიჰყავს, ჩვენი მხევალი, გაპარვას აპირებენ ღამით.“

ესა სთქვა შორენამ, გამომცდელი მზერით მიაშტერდა არსაკიძეს.

უხიაგად მოიღუშა ლაზი. დუმილით ამცნო: არად ვაგდებო ვარდისა-ხარის მისვლამოსვლას ამიერიდან.

ლოყა დააყრდნო ხელის გულზე შორენამ, ნაღვლიანად ეუბნება არსაკიძეს:

„იცი, უტა, მეც ძლიერ მენატრება კვეტარში ჩასვლა. ერთხელ მაინც მაჩვენა ბედშავი მამაი, ჩვენი ციხის ჩარდახიდან დამანახვა ფხოვეთის მთები...“

კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა შორენას და სწორედ ამ დროს შემობრუნდა გურანდუხტი დარბაზში.

ლაზისტანის ზღვა ელავდა შორენას ზღვისფერ თვალებში, ისეთი სიყვითლე გადასდიოდა თავთუხისფერ კულულებს, როგორიც ახლად გამოჩეკილ ხოხბის ლაპებს გადაჰკრავს ხოლმე.

ცხვრის სუნი, ერბოს სუნი დაეყენებინათ ხევისბერების ტყაპუჭებს დარბაზში, მაგრამ არსაკიძის სათუთ ყნოსვას მაინც წვდებოდა სანატრელი დიაცის თმის სუნი.

როცა ორმა ჭალიანმა მხევალმა ხურსისეულ სასახლის ჭიშკართან მიაცილეს არსაკიძე, ვარსკვლავებით მოოჭვილ ცარგვალს აჰხედა ოსტატმა და მის გულში გახმიანდა გოლეულივით ტკბილი და მათრობელი სიტყვები.

„ვითარცა სურინ ირემსა წყაროს მიმართ წყალთასა, ეგრე სურინ სულსა ჩემსა შენდამი...“

შუალამე გადასული იყო უკვე, როცა რატისეულ სასახლეში მიბრუნდა სევდისაგან გაოგნებული.

ბუს მართვეები იძახოდნენ მუხოვანში სადღაც.

ვაჟკაცურად ებრძოდა წიწამურის ველზე მამალი ხოხობი ღამეს...

XXXV

მარიამ დედოფალი ბიზანტიონს წასასვლელად ემზადებოდა, ამიტომაც აფხაზეთს გაემგზავრა სული წმინდის მოფენის დღეს.

გირშელის ნიშნობა წინა კვირას შესდგა. ქორწილს აჭიანურებდა გურანდუხტი რატომღაც.

ხან ამას მოიმიზეზებდა: შორენას მზითევს მოველიო კვეტარიდან, ხანაც თავის ძმას უცდიდა დაჩის, ცოტა-ერისთავს ცხრატბისას.

გიორგის ნანახი ჰქონდა შორენას მზითევი, მაგრამ ასე ვარაუდობდა მეფე: ალბათ სხვა საჭურჭლენიც ექნებაო ერისთავის ქალს გადამალული ფხოვში.

თავათ არა სწუხდა მაინცდამაინც გიორგი, გირშელის ქორწინება რომ გადასდვეს შემოდგომის მიწურულისთვის.

პირიქით, ეს უნდოდა მეფეს: დედოფლის ბიზანტიონს წასვლამდი არ შემდგარიყო როგორმე იგი. მცირე იმედი ჭიატობდა სადღაც. ხანაც ყოველივე წაგებულად ეჩვენებოდა წინასწარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს შემოდგომა არც ისე შორს იყო.

მერმე?

მერმე იწყებოდა საშინელი და გადაუხიდავი უფსკლული, ფიქრიც უმძიმდა ამის გამო... თრიაქის წევასა და ღვინის სმას უმატა, უცნაურად გამოიცვალა, ნადირობასა და ქეიფს მიეძალა ბოლოჟამს.

ომის მონატრული იყო მეფე.

ისეთი ომი ატეხილიყო სარკინოზებთან, ან ბერძნებთან, ერთად დაღუპულიყვნენ თუნდაც, გირშელი და გიორგი, ისე როგორც დაუღვლილ კამეჩებს მოაშთობს ხოლმე დიდროაის ჟამს არაგვი.

როცა გირშელი მცხეთაში იყო, გიორგი ყოველ წუთს უთვალთვალებდა ბიძაშვილს, განსაკუთრებით საღამოობით არ აშორებდა თვალს, უცილოდ უნდა სცოდნოდა, თუ სად იყო ყველისციხის პატრონი ამ დროს?

ერთი რამ იყო სანუგეშო მხოლოდ: თავათ შორენა გულგრილად ეკიდებოდა თავის საქმროს, გაცილებით უფრო ტკბილად ეპყრობოდა გიორგის. ამიტომაც მოუხშირა წვეულებებს, ნადიმებსა და ნადირობას მეფემ.

არც გურანდუხტი ანებებდა დანიშნულებს პირისპირ შეყრას და ეს ამბავი განუსაზღვრელად ახარებდა გამიჯნურებულ მეფეს.

თიბათვის პირველს გირშელი ყველისციხეში იხმეს, საერისთაოს საქმეებს მოსაგვარებლად.

ორი კვირაც ველარ მოითმინა სასიძომ და კვლავ ჩამობრუნდა მცხეთაში.

სწორედ იმ საღამოს, როცა ყველისციხის პატრონი კვლავ ეწვია მეფეს, ზვიად სპასალარი დაუბარებლად გამოცხადდა სასახლეში.

უცნაურად აღელდა გიორგი, როცა ზვიადის ტლანქი ნაბიჯები შემოესმა დიდ დარბაზში მარტო მჯდომარეს.

მსახურთუხუცესი შემოჰყვა სპასალარს, სელი მიაწოდა სტუმარს. მოუთმენლად წამოდგა ზვიადი, მისთვის უჩვეული მღელვარებით მოახსენა გაფითრებულმა მეფეს:

მსტოვარებს უსიამო ამბავი მოეტანათ ფხოვიდან. კვეტარის საბრძოლო გოდოლების კვლავ აგებას შესდგომიანო ხევისბერები. თვალდამწვარი კოლონკელიძე ვერაფერს ხედავს, მაგრამ ისე იქცევა თურმე, სმენაც წართმევიაო ვითომდაც.

„კოლონკელიძე წაჰკიდებია მოღალატე მამამზე ერისთავს,—განაგრძო სპასალარმა, — კიდევაც რომ აჯანყდნენ ფხოველნი, მამამზე და ტოხაისძე არ მიეშველებიან ერისთავს, არა?

დიდონი, ღილღვნი და ღალღაიც გადასდგომიან, მეფე ბატონო, კოლონკელიძეს.

გაზაფხულზე თავს დასხმიან საერთო ჯარით, საცხოვარი და ხვასტაგი წაუსხამთ კიდევაც.

ერთი უსიამო ამბავიც საჭოჭმანოა ოდნავ. — შემოდგომის დამლევს მამამზის ქალი, კატაი უნდა შეირთოს სახლთუხუცესმა ტოლაიძემ თურმე.“

კარგად იცნობდა მეფე გიორგი თალაგვა კოლონკელიძეს, ოღონ ცოლშვილი მცხეთაში ჰყავდა მძევლად, მაგრამ თავაწყვეტილი ერისთავი უდიდესი განსაცდელის წინაშეც არ დაიხევდა, თუ შურისგების საქმე ამას მოითხოვდა მისგან.

როცა ზვიადმა მოხსენება დაასრულა, მეფე სახეზე მიაჩერდა სპასალარს და ეუბნება:

„მერმე?“

„მერმე, შენი ბრძანებაც თუ იქნება, მე ასე მგონია, მეფე ბატონო, ლაშქარი უნდა წარვგზავნოთ დაუყონებლივ ფხოვს, კოლონკელიძე უნდა შევიპყრათ ახლავე, თავი მოვკვეთოთ მოღალატეს, სანამ მამამზე ერისთავსა და დიდოელებს შეირიგებდეს, არა?“

მეფე თავჩაქინდრული იჯდა და სდუმდა.

ზვიადმა ეს დუმილი თანხმობის ნიშნად მიიჩნია და განაგრძო უფრო თამამად:

„ახალი ამბოხის თავკაცებიც ახლავე შევიპყრათ, შვიდივე ხევისბერი, არა?...

მუროჩი ქალანდაური, მამუკა ბალაჩაური, მარტია ბალათაური, ზეზვაი მისურაული, ბერდია ბებურაული, უშიშა ლუდუშაური და შიოლა აფხანაური.“

ამათაც დავაყრევინოთო, დაუყონებლივ თავები, ესეც უნდა განეცხადებინა სპასალარს, მაგრამ როცა ხევისბერების ჩამოთვლა მოათავა, გიორგის თავი არ აუღია, ზედაც არ შეუხედავს მისთვის, იჯდა და მდუმარებდა კვლავ...

და მაშინ მიხვდა ზვიადი, თანხმობის ნიშანს რომ არ მოასწავებდა დუმილი მეფისა.

გააოცა და შეაძრწუნა ამ ამბავმა გიორგი.

ომიო?

ომი დიახაც ენატრებოდა, მაგრამ არა შინაური, არამედ გარეშე მტერთან, შინაური ომები სძაგდა ჟამის დღესავით მეფეს.

გარდა ამისა, იგიც იცოდა: შორენა დიდად გამბედავი და თავნება დიაცი იყო, დაბრმავებულ ერისთავის დალაშქვრა თუ საჭირო შეიქმნებოდა, ვინ იცის, რას მოიმოქმედებდა თვალებდამწვარი მამის მხოლოდშობილი ქალი?!!

გირშელის ჯვარისწერა საერთოდ არ შესდგებოდა, ალბათ, ეს არ აწუხებდა გიორგის, მაგარი ის იყო, ომის ატეხამდის ერისთავის ქალი კვლავ ღართისკარის ციხეში უნდა დაემწყვდიათ უცილოდ.

ესეც იყო, ზვიად სპასალარის სიფხიზლე მუდამ გადაჭარბებულად ეჩვენებოდა მეფეს. არც მსტოვარების ნაუწყები მართლდებოდა ყოველთვის.

იცოდა: გადაჭარბებულ სიფხიზლეს თან რომ სდევენ მოჩვენებანი.

ამას ეტყოდა ხოლმე ზვიადს:

შენმა მსტოვარებმა თუ მუდამ მართალი სთქვეს, შიმშილისაკენ ამოსწყდებიანო უცილოდ.

ბოლოს თავი აიღო გიორგიმ, სპასალარი დაითხოვა, ასე უთხრა: ხვალ გეტყვიო პასუხს.

თავის გუნებაში ასე გადასწყვიტა: თავათ წასულიყო უჯაროდ, უამალოდ ფხოვს, როგორც მონადირე და მოქეიფე ვინმე რაინდი.

თავათ შეემოწმებინა ეს ყოველივე, რათა უსაზმნოდ არ დაღვრილიყო სისხლი.

მხოლოდ ერთი რამ აბრკოლებდა ამ საქმეს; არ უნდოდა გირშელი მარტო დაეტოვებინა მცხეთაში. გულცივად ექცეოდა თავის საქმროს შორენა, მაგრამ ვინ იცის, ხვალ ზეგ რა მოხდებოდა მათ შორის?!

კანონად ჰქონდა მიჩნეული მეფე გიორგის: მსტოვარებსა და დიაცებს ნურვინ ენდობაო ბოლომდის.

იმ ღამესვე გაუზიარა ეს ამბავი გირშელს. წასვლას ვაპირებ, მაგრამ როგორ დაგტოვოვო სტუმარი მარტო?

გირშელიც განსაცთელის მოყვარული იყო ბუნებით, მუდამ საფრთხე ენატრებოდა რაინდს.

ეგეც ეწადა ერისთავს, თავისი მომავალი ცოლოური ენახა, თანაც ჯიხვებზედაც წაინადირებდნენ გზადაგზა, ხატობაში წაიქეიფებდნენ სადმე.

ერთ დარბაზში მოთავსდნენ ყმაწვილებივით იმ ღამეს, ისევ იგონებდნენ სიყრმეს, იცინოდნენ, ხუმრობდნენ საწოლში.

იმ ღამესვე გადაწყდა: იდუმალად გაპარულიყვნენ მცხეთიდან, ზვიადის მეტს არავის სცოდნოდა ფხოვს წასვლის ამბავი.

ძველმანები თან წაეღოთ მრავალნაირი, წვერი ინით შეეღებნათ, არავითარი ამალა არ წარეტანათ თან, ეს ყოველივე მართლაც ყმაწვილურ ხალისს ჰგვრიდა ამ იდუმალი მოგზაურობის გმირებს.

მხოლოდ ორი მხლებელი გააფრთხილეს, მალემსრბოლი უშიშარაისძე პიპა, და კოხრიჭისძე გაბოი, ძველი მეჯინიბე.

აფხაზური სატალახო ცხენებით უნდა ემგზავრათ, რადგან არაბული ან თექური ულაყები არ გამოდგებოდა მთაში.

* *

უთენია გავიდა ოთხი გადაცმული მხედარი მცხეთიდან. რკინის ჩაბალახები ეხურათ თავზე, ჟანგისფერი თორნი ზედ ეცვათ, ღარიბული თექანი მიჰქონდათ, უნაგირების ტახტაზე მიკრულნი.

ლაღბობით დაიწყეს მგზავრობა: მეჯინიბე და მალემსრბოლი წინ გაუშვეს პირველად.

იცინოდა თავათ ახმახი გირშელი, მალემსრბოლის უშიშარაისძის ანაგობის გამო.

ტანმორჩილ, სატალახო ცხენზე იჯდა ეს უზარმაზარი დევკაცი, თავზე ძველთაძველი ჩაფხუტი ეხურა (კუროპალატის ჟამინდელი), ნახმლევებისაგან კიდეშელეწილი, ხელში ჰოროლი ეჭირა თოროსანს, ხეტიალ-ფეხები თითქმის მუხლამდის უწევდა აფხაზურ ცხენს. ბიბლიოთეკა

(უკანიდან შეეხედა ვინმეს, თავათ გირშელიც ასეთი მოსჩანდა თავის ცხენზედაც).

„გლახუნა, რა ჰქვია შენს მალემსრბოლს, მუდამ მავიწყდება მისი სახელი?“

„პიპა“,

ეუბნება გიორგი.

„ამხელა კაცს ვინ დაარქვა პიპა!?“

ხარხარებდა გირშელი.

„მე დავარქვი სიყრმეში, ისე ბერძნული სახელი ჰქვია ანაქსიმანდრეს. მცხეთის მიტროპოლიტს, მაქსიმეს მოუნათლავს მას ჟამსა შინა.

შენ კარგად იცი, მე ყველაფერი მეზიზღება ბიზანტიური.“

ჯერ საფურცლეშიაც არ იყვნენ მისული, საშინელი ხვატი დააცხრა მიწას. მოფუყულნი სტიროდნენ იფნის, მურყანის და ტირიფის ფოთლები, ოხჭანისაგან დახეთქილ მიწაზე მიაჯირითებდნენ დასიცხული მხედრები გაღვარულ ცხენებს.

პიპამ გოგრის ფოთლები აკინძა, მუზარადზე წამოიცვა, გაბოი ხუმრობდა: დათვოულად გამოდგებაო ყანებში პიპა.

დასიცხული კამეჩები ეყარნენ ჭალების ჭოჭში, ნაღვლიანად ყროყინებდნენ მხედრების დანახვისას.

ენაგამოვარდნილი ჯოგის ძაღლები ფეხებში უცვივოდნენ ცხენებს. ღულუნებდნენ განკერძოებულ მუხლებში შეკუჟული ქედნები, დასაწყურვებლად მიიწევდნენ გზადაგზა ცხენები.

ცას აწყდებოდნენ საირაოზე გადმოსული ქორები, წრეებს ხაზავდნენ გაკრიალებულ ცარგვალზე, საწყალობლად ყივოდნენ ქორები, ცას შესტიროდნენ ოხჭანისაგან გადარუჯულ მიწის სიმძიმილს.

სურათზე ნახატივით მოსჩანდნენ ციხეების, ეკლესიების და ქვითკირების კონტურები უსაზღვრო სილურჯეში, ხვლიკები გადარბოდნენ გზებზე, ძერასფერ ქარაფების კიდეებს შეფარვით ეტმასნებოდნენ თავაწეული გველები, არაგვი მოხტოდა ლოდებზე, კლდეებს აწყდებოდა მდვრინავი ეხო.

არაგვის პირად დაისვენეს. ტიკი გახსნა გაბოიმ, წაიხემსეს, თითოოროლა მოზვრის ყანწი დასცალეს.

დასთქვეს: გუდამაყარს ვუწიოთო საღამოს და განაგრძეს გზა.

ეკლესიამ იელვა მთაზე, მონასტრის თეთრი კედლები გამოჩნდა შორიდან.

სოფელშიაც არ იყვნენ შესული, ყანებიდან გამოვიდა ფეხშიშველა ბონაზნების მთელი ლაშქარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიდიოდნენ შავადმოსილი, თავდაბურული დიაცები, მტვერში ამოსვრილი ძაძები ეცვათ.

„როგორ უძლებენ ამ შავებში ამნაირ ხვატს?“ ეუბნება გირშელი გიორგის.

„სიცხეს დიაცი უფრო იტანს.“

მიუგო გიორგიმ.

მეწინავე მონაზონს თეთრ ტილოში გახვეული, თიხის ლაზარე მიჰქონდა.

ფქვილის ტომრებსა და თეთრ ტოპრაკებს მიათრევდნენ სხვანი.

მიდიოდნენ ფეხშიშველა მონაზნები, გალობდნენ:

„ლაზარე მოდგა კარსა,
აბრიალებს თვალსა...“

გიორგი და გირშელი მხარმარცხნით მიჰყვებოდნენ გზას. იდუმალ უჰვრეტდნენ მონაზნებს.

გადაიხარა გირშელი ცხენიდან, უჩურჩულა გიორგის:

„არაფერი ისე შემზარავი არაა ამ ქვეყნად, როგორც მახინჯი დიაცები ერთად შეყრილნი. როგორი მოდრეკილი, კუკუმოქცეული, დალრეკილი ანაგობა აქვთ ამ საცოდავებს!“

მართლაც საშინელი ფიგურები მიფორთხავდნენ მტვერში. თოჯინებსავით გამოჩორგვილნნი, თეძოდაშლილნი, ფეხმოქცეულნი, მენჯბრტყელნი და თავწვრილა, მხარგანიერნი, გრძელწელიანი, მოკლეფეხეში, დათვოულის ძელივით აყლაყუდა ზოგნიც.

„ლამაზებიც არიან შიგადაშიგ, — ეუბნება ხმადაბლა ყველისციხის პატრონს გიორგი. — აბა დააკვირდი ქარაფის პირად მიმავალთ, აშოლტილი გოგონებია ისინი, მე დავინახე ჯერ კიდევ მაშინ, როცა მთავარ გზაზე გადმოუხვიეს.“

ცხენები ააჩქარეს, გაუსწორდნენ მეწინავეთა. შეფარვით უჰვრეტდნენ ეს დიაცები თოროსან რაინდებს, შესწითლებოდათ დასიცხული ლოყები.

თავსაფარებიდან ელავდნენ ნაღვლიანი, ღამეზე უშავესი თვალები. სხვანიც შენიშნა გირშელმა: ქერა თმიანი, თეთრყირმიზა დიაცები, ოდნავ ჭორფლიანი, მკერდსავსენი და თეძოსავსენი, სწორბარკლიანი, დროშის ტარივით აშოლტილი დედაკაცები.

უთვალთვალებდნენ დასიცხული მეფე და ერისთავი სიმრგვლისა და სირბილის ტოკვას ძაძით შეფარვულს, განიერი თეძოების რყევას.

მტრედის ხუნდივით პაწია და თეთრი ფეხები მიტოპავდნენ მტვერში...

გიორგი კვლავ გადმოიხარა ცხენიდან, გირშელს ეუბნება ჩურჩულით:

„ვინ დასწყევლა ეს მშვენიერი დიაცები მუდამ მგლოვიარენი იყვნენ, ჭნობას შეუნახონ მშვენება, რათა ერთ დღეს მოვიდეს სიკვდილი და ისე მოიმკას ისინი, რომ ერთხელ მაინც არვინ იგემოს მათი მშვენიერი სხეულის სიმწიფე!“

„იცი, გლახუნა, სარკინოზების ქვეყნებში უზომოდ მახელებდა ჩადროსანი დიაცების მზერა. როგორც ენკენისთვის მიწურულში თეთრ ყურძენს ამოდ შეაყვითლებს ხოლმე მზვარე, ისე ამშვენებს მუსლიმთა ქვეყანაში ჩადრის ჩრდილი დიაცის სახეს.

მუდამ მახელებდა ეს უცნაური სიყვითლე, ჩადროსნების ღაწვებზე დაჭერილი შეფარვით.

მაჰმადიანი დიაცებიც კარგი ბოზებია ზოგნი, მიდიხარ ხანდახან ქუჩაბანდში, მწუხრისას, ზღვაური აფრიალებს კაბებსა და ჩადრებს.

ჩამოგიქროლებს ჩადროსანი პირშებურვილი, თუ მოეწონე. წაეხმარება ნიავს, ხელს აჰკრავს უცაბედად ჩადრს და გაჩვენებს ირანულ ვარდზე უტურფესს პირს.

მე იმ ვარდს ვგულისხმობ, გლახუნა, ეკბატანას[1] ბაღში რომ ჰყვავის ხოლმე სულ პირველად, ვარდობის თვეში.

წითელი არ გეგონოს იგი, არამედ ძველთუძველესი სპილოსძვლისფერი, შენ რომ სკიპტრა მაჩვენე ერთხელ, ბაგრატეული, სწორედ იმ ფერისა, გლახუნა, გესმის?

სწორედ იმ ფერის დიაცები მიყვარს, გლახუნავ, მე. ჩადრის ჩრდილში შენახული, იშვიათად, სავსებით იშვიათად თვალნაკრავი, გესმის?"

„მოკლედა სთქვი, გირშელ, სიმოკლე ამშვენებს ხანდახან სათქმელს, შენს საცოლეს რომა აქვს, კოლონკელიძის ქალს, სწორედ ისეთი, არა?"

თავი დაუქნია გირშელმა ცბიერად მომღიმარე გიორგის და დეზი ჰკრა ცხენს, რადგან ბოგირზე გადასვლისას გაოჩნდა იგი.

აღმართი მოათავეს, მონაზნებმა მარჯვნით გადაუხვიეს, ჭილყვავივით შეესიენ ისინი კალმუხის ქუდივით აწოწილ გორაკს.

დაღმართიდან ოციოდე თოროსანი რაინდი ამოდიოდა. როცა ოთხ მხედარს გაუსწორდნენ, შესძახეს, ვინა ხართო?

გიორგი მეფისანი ვართო.

შეაგებეს ოთხთა.

დაქვეითდნენ მხედრები, პატივითა ხილვა მოუწყვეს, ოთხივენი გადაკოცნეს და გაუდგნენ მცხეთისკენ გზას.

გიორგიმ განაგრძო გირშელის მიერ შეწყვეტილი საუბარი.

„თუ შენ ჩადრის ჩრდილში დამშვენებულნი აგრე გყვარებია, არც ის ბეხრეკა ფარსმანი ყოფილა უჯილაგო".

„რაო, რად ამბობ მაგას, გლახუნავ?"

„რა და ფარსმანი სადედო მონასტერს შეეჩვია მცხეთისას, ულამაზესს გოგონებს ახადა ნამუსი. შარვაშისძის ქალს ნაბიჭვარი გაუკეთა, მონათა შვილებს ნუღარ იკითხავ, ბოლოს ფანასკერტელის ქალი მოიგდო ერთი, სწორედ მასაც ჰქონდა ძველი, ძველი სპილოსძვლისფერი ღაწვები, შენ რომ გყვარებია, სწორედ ისეთი, გირშელ".

„მერმე?"

---

[1] ეკბატანა — ირანელი შაჰების საზაფხულო რეზიდენცია, ამჟამად ჰამადენ.

ეკითხება მსუნაგი გირშელი.

„მერმე და ბისტი... შენ რა გგონია, ჩვენი კანონები მხოლოდ სულელებისთვისაა დაწერილი, ჩემო გირშელ. ჭკვიანები ისე აჭარბებენ თავიანთ დანაშაულს, მათ მაგივრად სულელები გაებმებიან ხოლმე მახეში.

მელქისედეკ კათალიკოსი კალიასავით ახტა და დახტა, უსასტიკესად დასჯა მოითხოვა მისი.“

მეფე გაუჯავრდა ცხენს. გირშელმა ველარ მოითმინა და ისევ იკითხა: „მერმე შენ რა ჰქენი, ბლახუნავ?“

„მე რა უნდა მექნა? ფარსმან სპარსი ციხეთა მშენებელია საუკეთესო მთელს ალმოსავლეთში, ვიღაც ფანასკერტელის გომბიოსთვის ხომ არ მოვსჭრიდი თავს?

დავაჯილდოვეთ პირიქით ამისთვის. ზვიად სპასალარი შემომიჩნდა: ფარსმანმა ზოგი რამ საიდუმლო იცის ჩვენი, ეს უნდა დავტყუოთო. ამიტომაც შევრთეთ, შენ რომ იცოდე ვინ?..“

გირშელმა ცხენი შეაყენა.

ვინო?

იკითხა.

„ვინ და ვარდისახარი, შენი საცოლეს, შორენას პირისფარეში.

შენი მსუნაგობის ამბავი ვიცი, ეს დიაცი რომ ნახო, შესაძლოა, ქორწილი მეორე შემოდგომამდის გადასდო კიდევაც.“

გირშელი დაინტერესდა, გაუღიმა გიორგის, მერმე ყმაწვილურად, ქარაფშუტულად ეკითხება მეფეს:

„სადაა მერმე ის დიაცი ახლა?

შენ ხომ იცი, ბებრის ცოლი ფრიად ტკბილია.“

„მაგის ჟინი მეცა მჭირს, გირშელ, თუ სადმე მოვახელე, შენს წყალობას არ მოვუცდი, იცოდე.“

გიორგიმ ცხენი შეაყენა, რადგან უშიშარაისძე და კოხრიჭისძე ალარსად სჩანდნენ.

აზვავებული ხალხი შესეოდა ყანებს. დროშები და ხუცები მიუძღვოდნენ ბრბოებს.

მდინარეებში საბანაოდ მიჰქონდათ ხატები.

ფეხშიშველა დიაცები გალობდნენ ლაზარეს, ორლობეებში ბიჭები წყლით წუმპავდნენ გოგოებს. ტკარცალებდნენ გაქცეული დიაცები.

გიორგიმ ერთ ხილნარში გადაიხედა:

„ფშატი აყვავებულა ამ სოფელში, გირშელ, გოგოები ახურვებულან მიტომაც.“

ეუბნება ყველისციხის პატრონს.

სიცხისაგან შეჭარხლული გირშელი გაოგნებული იჯდა უნაგირზე, მაინც უთვალთვალებდა ფეხშიშველა დიაცებს. განზრახ ჩამორჩებოდნენ მეფე და ერისთავი მხლებლებს, სტკბებოდნენ მრუში ამბების მოყოლითა და ბილწსიტყვაობით.

ქუშამომჯდარი ხვნეშოდა აფხაზური ცხენი, გირშელის გოლიათური სხეულის ზიდვისგან.

ციხე-სოფელში შევიდნენ უკვე. სახედრები ღრიალებდნენ ქვეშ-გასდმომდგარნი, კოკებით დატვირთულებს მოაჯირითებდნენ სვლათ, მიწამდი უწევდნენ ფეხებს ვირზე გადამჯდარი ვირგლა ბიჭები.

XXXVI

ძელსა ჰკრეს თეთრგუმბათიან ეკლესიაში. შურისდარ ბილიკებიდან ბლავილით დაიძრნენ ცხვრის ფარები, მღვრიე ტალღასავით შეესხნენ მთის კალთებს. კოტრიალით ცვივოდნენ ნეზვები და ვერძები წყალში.

ბლავოდნენ საძოვრებიდან მობრუნებული კუროები, ჭიხვინებდნენ მუცელდაბერილი ჭაკები, ფეხშიშველა დიაცები დაძრწოდნენ ორღობეებში, თიხის ლაზარე ეჭირათ ხელში, საწყალობლად გალობდნენ:

„ლაზარე მოდგა კარსა,
აბრიალებს თვალსა..
. . . . . .
ღმერთო მოგვეც ტალახიო,
აღარ გვინდა გორახიო“.

მდუმარედ ისხდნენ მოქანცული მხედრები გაღვარულ ცხენებზე, უთვალთვალებდნენ ფეხშიშველა დიაცების გათქვირულ ძუძუებსა და მზისგან დაბრაწულ, შიშველ წვივებს.

ენატრებოდათ სეფექალებისგან თავმობეზრებულებს, ქარცემული ლოყების კოცნა, გომიჯივით მკვრივი ძუძუების სრესა...

* *

შევიდოდნენ ხევში, გზირები დაუხვდებოდათ, გაივლიდნენ ხეობას, ციხეებიდან უყივლებდნენ.

შემოერტყმოდნენ შუბოსნები გარს, დაზვერავდნენ, ჰკითხავდნენ: ვისნი ხართო?

გიორგი მეფის ყმანი ვართ, დიდოეთს მივდივართო ცხენების სასყიდლად.

ქრთამებს მიართმევდნენ ციხისთავებსა და ხევისთავებს და მიიწევდნენ ფხოვის მიწაზე წინ.

ცხენები ძლივს მიფოხრიკობდნენ შემრეცილ ბილიკებზე.

მთების ჩრდილები ტაფობებზე წვებოდნენ, ჰკივოდნენ ტურები, შემოღამებული არწივები ჰყივოდნენ მთებში. შავი არაგვის პირად ციხე იდგა ოთხგოდოლიანი.

კოხრიჭისძემ აიჩემა:

შევიპაროთო ციხეში, მეჯინიბეებს ვიცნობო იქაურს. გაგვათევინებენო როგორმე ღამეს.

არაჰქნა გლახუნამ, სადმე ფიქვნარში შევუცადოთო ცისკარს.

წიწვიანი ტყეები დაიწყო, ამოდ ქშუოდნენ ქარაფებიდან გადაკიდული ჩქერალები, სვავები დგებოდნენ უფსკრულებიდან, მთის მგელი ყმუოდა ხევში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა აერიათ მხედრებს, რომელიღაც ხეობაში დაეკარგათ ბილიკი. გლახუნამ მოითხოვა: თორმუზარადი დავმალოთ, ჰოროლები ხელიდან გავაგდოთ, თორემ გაძნელდებაო ფხოვის მიწაზე მგზავრობა.

ავაზასფერი კლდეები გამოჩნდნენ გზიდან.

როცა გირშელმა და პიპამ ძველმანები გადაიცვეს, სიცილს ველარ იკავებდნენ გლახუნა და გაბოი, საფრთხობელას მიაგავდნენ ძონძებში გადაცმული მხედრები.

უკვე შეუძლებელი გახდა ცხენით სვლა, მოსართავები წარამარა უწყდებოდათ გირშელსა და პიპას.

დაქვეითდნენ, ხელით მიათრევდნენ ცხენებს.

გირშელის ტაიჭი სავსებით დავარდა. პიპა უკანიდან აწვებოდა და ასე მიჰყავდათ ორ ვაჟკაცს ერთი ცხენი.

დეკათი მოფენილ ტაფობს მიადგნენ ერთს. საწყალობლად წივოდნენ როჭოები ჩირგვებში.

ორიოდე როჭო ძლივს მოინადირეს.

ცეცხლი გააჩაღეს, მწვადები შესწვეს, გაბოს არაყი აღმოაჩნდა ტიკში.

სამი თოროსანი ფხოველი წამოადგათ თავზე.

მათაც ესა ჰკითხეს, რომელი სოფლისანი ხართ, რად მოსულხართო ფხოვს?

გლახუნამ სავსე ყანწი მიაწოდა სამთაგან უხუცესს.

„შენ გეტყვი, ძია კაცო, ვინ განაგებს ამჟამად ფხოვს?“

„ერისთავი კოლონკელიძე“.

„ჰო, მაგრამ, აკი ბრმაა კოლონკელიძე?“

ბრმაა, მაგრამ მაინც უკეთ ხედავს, ვიდრე იგი, ვინც თოლები დასწვაო ერისთავს.

ვინ დასწვაო თოლები კოლონკელიძეს?

„მაგ პირძაღლმა მეფე გიორგიმ“.

ყველისციხის პატრონმა ძლივს შეიკავა ღიმილი. როჭოს კურტუმი დაითრია და ლოჯებით დაუწყო ღრღნა.

გაეცალნენ თუ არა ფხოველნი, ერისთავს ეუბნება გიორგი:

„შენ გეტყვი, გირშელ, სხვა მეფეებიც ჩემსავით გადაცმულნი რომ ივლიდნენ, ქება არ მოაკლდებოდათ დილას და საღამოს“.

ბილიკს შეუდგნენ ფიჭვნარში მიმავალს.

ცეცხლი დაანთეს აქაც, ცხენებს თოფრები გაუკეთეს, ქეჩები დაადგეს მიწაზე.

მორიგეობით ეძინათ დაქანცულებს, მორიგეობით ყვინთავდნენ შუალამემდის.

გუთანი გადავიდა ცაზე.

უცნაური ჩქამი გახმიანდა ტყეში, საშინელი ღნავილი ისმოდა ჩირგვებში, კატის კნავილის მინაგვარი ხმა.

გირშელმა ხმალი აიღო და შეუვარდა ბუჩქებში ნადირს.

მცირე ხანს მისდევდა ღიჭიანში ლანდს, მერმე ფოსფორესცენტელის ელვა შენიშნა, შეუტია ხმლით, ისევ დადუმდა ტყე. ხელცარიელი გამობრუნდა და მიეფიცხა ჩანაცრულ ცეცხლს.

„რა მოგელანდა, გირშელ?“

ეკითხება გლახუნა.

„ავაზა იყო ვგონებ, ხვადები იბრძოდნენ ბნელში“.

პიპა და გაბოც გამოფხიზლდნენ ავაზის ხსენებაზე. მიაყურეს, ახლა ხევში ისმოდა ჩხავილი, ისეთი, როგორიც ამძუვნებულ კატებს სჩვევიათ ხოლმე.

„უსასტიკესი მხეცია ავაზა, — დაიწყო გირშელმა. — ხომ ყოველ ნადირს ეშინია ადამიანისა, როცა ეგვიპტიდან გამოვიქეცი, ვეფხვი შეგვეფეთა ოაზისებში, არაბთა სოფელს შესჩვეოდა ერთს, შვიდმა იბერიელმა სამი ვეფხვი მოვინადირეთ ერთ კვირას, ლომი რომ ლომია, იგიც არ შეუტევს უმიზეზოდ კაცს.

ავაზა მოსახლეობას უვარდება ეგვიპტეში, განა თუ ღამით, დღისით, მზისით, გაიტაცებს ბალღებს და ძროხებს. ერთი ვიროსანი მოლაჰ დაჰგლიჯა ხალებში.“

„ავაზა, ფხოვში?..“

იკითხა გაბომ.

„სწორედ ამ ჩალისფერ კლდეებს ირჩევს თავის სამყოფოდ ავაზა, სწორედ ისეთ ქარაფებს, ტაფობის გვერდით რომ ვნახეთ წეღან. დალეწილ კლდეებში დაიდევს ბუნაგს, თუ ბოკვერები ჰყავს აქ სადმე მახლობლად, გამოვეთხოვოთ ჩვენს ცხენებს ამაღამ.“

„როგორ, განა ცხენსაც შეჰბედავს ავაზა?“

იკითხა პიპამ.

„ცხენსაო? სპილოებს ახტებიან ხანდახან ქედზე. განსაკუთრებით ძუ ავაზაა საშიში, ცხოველთა შორის ძუ ავაზაა უმამაცესი.“

* *

რაც უფრო ღრმად შედიოდნენ ფხოვში, მით უფრო ძნელდებოდა მოგზაურობა, ყოველ მთის ცხვირთან ციხე უხვდებოდათ, ყოველი ხევის ყელთან გზირები, უამრავი საფასი გასცეს ხევისთავების მოსაქრთამავად.

გზირებისა და მსტოვარების დაკითხვას ვეღარ აუდიოდნენ მბედრები.

დიდოეთს მიმავალ ცხენის ვაჭრებად თავის გასაღება უკვე სახიფათო იყო. გიორგი დარწმუნდა: დიდონი მართლაც მტრად შეერაცხათ ფხოველთა, ერთ ორ ადგილას ზვიადის მსტოვარები მოიკითხეს.

უფლისციხეს გაქცეულანო, ამის გაგება მოახერხეს მხოლოდ.

ახლა ქორისფერი კლდეები გამოჩნდნენ...

ერთ გვირაბში გაათიეს მეორე ღამე, ითათბირეს, დასთქვეს: ერთად არ ეევლოთ ოთხთა, სადაურობას თუ ჰკითხავდათ ვინმე, სხვადასხვაგვარი პასუხი მიეცა თითოეულს.

ეროვნული

მეფე და ერისთავი ასე ეუბნებოდნენ გზირებს: გიორგი—მეფეს ეყმანი ვართო, უფლისციხის დილეგიდან გამოქცეულნი. დიაცებთან სიახლოესა და ლუდის სმას განრიდებოდნენ.

უბრძანეს მეაბჯრესა და მალემსრბოლს:

პურმარილზე არავის სწვევოდნენ, საკუთარი საფასით ესაზრდოვათ გზადაგზა.

გაშორდნენ გზაჯვარედინზე ურთიერთს, დასთქვეს: ხატობაზე შევხვდეთო ერთმანეთს.

თითო ციკანი უნდა წაეყვანათ საკლავად ხატში.

იცოდა გიორგიმ: ხატობაზე მოსულ უცხო „მეზღვნეს“ პატივისცემით ეკიდებოდნენ ფხოველნი.

პიპასა და გაბოის ებრძანათ: როგორც კი სიტყვა მოიტანდა, შეძლებისამებრ ეგინებინათ გიორგი მეფე და ზვიად სპასალარი, ამ გზით გამოერკვიათ მოსახლეობის განწყობილება ფხოვში.

ისიც დააბარეს: აუგად ეხსენებინათ მელქისედეკ კათალიკოსი, მამამზე ერისთავი, დიდონი, ღილღვნი და ღალღაი.

ხატში მისულთ, მახლობელ ტყეში გადაემალათ ცხენები.

გირშელი და გიორგი ფეხით დაადგნენ გზას.

ყველისციხის პატრონი არ იყო ფხოვში ნამყოფი. გაოცებული შესცქეროდა ფხოველთა ხატებს, მათ დეკანოზებს, გზისპირად აღმართულ ქვის ყორეებს, სალოცავებად მიჩნეულთ.

სიბრალულით აღვსილი უყურებდა სოფლების ბოლოს, ნაკელით სავსე სამრეელოებში დამწყვდეულთ, თვიურიანსა და მშობიარე დიაცებს.

ბოლოს გამოჩნდა ნანატრი ხატი.

გიორგიმ და გირშელმა ციკნები იყიდეს. ცალცალკე შევიდნენ ხატის ეზოში „მეზღვნენი“:

გირშელი გაოცებული შესცქეროდა ჯიხვის რქებით შემკულ ხატის დარბაზის სვეტებს.

შორიდან უმზერდა გიორგის, სცდილობდა საქციელით მიებაძნა მისთვის.

გაკვირვებული უთვალთვალებდა საჯურუმოსთან მიყვანილ გიჟებს, მედროშენი დროშის ბუნს ადგამდნენ სულით ავადმყოფებს ქედზე, ხუცი ხუცობდა, აჟღრიალებდა დროშებს, ამწყალობებდა ხელფეხგაკოჭილ გიჟებს.

ეზოში თოროსანი ფხოველები ირეოდნენ.

ხატისდარბაზის წინ დიდი დროშა ესვენა ქვის ტახტზე.

დროშის გვერდით ხუცი იდგა.

ხატისდროშის წინ დაიჩოქა მეფე გიორგიმ, ცალ ხელში ციკანი ეჭირა, ცალში ანთებული კელაპტარი, აღმოსავლეთისკენ პირშექცეულს.

ხუცმა უბრძანა და ცალი მუხლი მიწას დაჰკრა მახვეწარმა.

თავი ზეასწია ხუცმა, ცარგვალს მოავლო თვალი.

„ააა ღმერთმა ადიდას შენი ძალი, წმინდაო გიორგიო, შენს გასამარჯვებლად მაიხმარი, ავშანისძეი გლახუნა, შენდ საბრალო ორსტულავ ააა, შენსა წყალობას, ნუ დააკლებ ღმერთ შენს ბატონობას, გაუმარჯვებს.

ააა, დიდება ღმერთსა, დიდება მზესა, მზისმიმყოლ ანგელოზთა, გეხვეწები ლაღის მტრისად, მწარის სიკვდილისად“...

მერმე ისეთი იდუმალი ბუტბუტი დაიწყო ხუცმა, არც შორიახლო მდგარ გირშელსა და არც დაჩოქილ მეფეს აღარ ესმოდა მისი დამწყალობება.

დასტური მივიდა, ციკანი გამოართვა გიორგის, გაჩაჩხა.

ხუცმა ყელი გამოჭლადრა მსხვერპლს.

დასტურმა ჯამი გაავსო ცხელი სისხლით, ხუცმა წამუყო გიორგის, მანაც თითები ჩააწო ტფილ სისხლში, ხელი გაინათლა, შუბლზე და ღაწვის თავებზე წაიცხო.

გიორგი გაეცალა სასანათლო კოშკს, შორიახლოდან უჭვრეტდა გირშელის „განათლვას.“

ისეთი საკოდავი გამომეტყველება ჰქონდა მახვეწარს, გიორგი ძლივს იკავებდა ღიმილს.

ბოლოს გაბოი და პიპაც გამოჩნდნენ.

ციკანი გაექცა პიპას, დაბობლავდა ახმახი, კიკინებდა ციკანი, ხელიდან უძვრებოდა მახვეწარს.

გირშელი და გიორგი უჭვრეტდნენ ამ სანახაობას, ეცინებოდათ, ვერ ბედავდნენ სიცილს.

ბოლოს დასრულდა დამწყალობება, იფნების ჩრდილებში დალაგდნენ ხატიონები ჯგუფჯგუფად.

ერთად თავმოყრა ეწადათ ოთხთა, ვერა ბედავდნენ ამასაც, დამდურებულივით გვერდს უქცევდნენ ხატიონების ბრბოში ურთიერთს.

შესწყდა ხატის დროშების ჟღრიალი, საკოდეებიდან გამოჰქონდათ დასტურებს ნაკურთხი ლუდი, ურიგებდნენ მდელოზე ფეხმორთხმულ ხატიონებს.

მოხარშულ ხორცს პირდაპირ მიწაზე ჰყრიდნენ შულტები.

ვილაც მწითური, სახედაჩეხილი ფხოველი მიეკედლა გიორგის, მხარბეჭიანი, ჟღალთვალება ვაჟკაცი, ქალუნდაური გოდერძი.

წარამარა უჭვრეტდა მის ხმალს.

ჰკითხავდა ვინაობას, სადაურობას.

ეგეც უთხრა თავაზიანად: ჩვენი ხატების საჭვრეტად ხომ არა ხარო მოსული? ან მსტოვარი თუ ხარო, მეფე გიორგის მიერ წარმოგზავნილი ფხოვს?

მეფე გიორგის ხსენებაზე ვითომც აილეწა ავშანისძე გლახუნა.

წმ. გიორგიც შეაჩვენებსო მეფე გიორგის და მის მსტოვრებს, მდევდელი შემომაკვდაო უფლისციხეში ერთი, ამიტომაც სამ წელს ვიჯექიო ციხეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოდერძი ქალუნდაური თანაგრძნობით მოეკიდა სტუმარს. თავისი ცხოვრების ამბებიც მოუთხრო. მეშუღლენი მყავსო ბევრზე ბევრი.

ხევისბერის, მუროჩი ქალუნდაურის ვაჟი აღმოჩნდა იგი.

ლუდი და ხაშლამა შესთავაზა.

ახლა თავათ დაუწყო მეფე გიორგის ძაგება ფხოველმა. არ შევარჩენთო ფხოვის დალაშქვრას.

ფერხისაის ცეკვა დაიწყეს უკვე.

მკლავებით გადაებნენ მოცეკვავენი ურთიერთს, ქორებივით დაბობღავდნენ მთვრალი ვაჟკაცები, ქორისფერი თორაბჯარი ეცვათ.

ორ მწკრივად ცეკვავდნენ, თანაც ორპირად მღეროდნენ ხატიონები.

წამოიწყებდა გამყივანი ხმით გუნდის მეთაური:

„დღესამ დღეობა ვისია,
წმინდისა გიორგისია...“

მთელი მწკრივი დვრინავდა, იმეორებდა სიმღერას ერთხმად. ახლა მეორე გუნდის მეთაური იწყებდა:

„ვალი მიკიდავ ქაჯებსა,
რად მკითხავ ქრისტის დედაო,
ცომს ზელდა ქაჯის ბებერი,
მივასწარ ცხობაზედაო.“

ისევ პირველი გუნდის მეთაურმა დაიწყო:

„ნუ გაიქცევი გიორგივ,
სამძიმარ მომდევს ხელაო.
არ გაიქცევის გიორგი,
ჯაჭვი ზედ აქვის ჭრელაო.“

ნელნელა, მწყობრად როკავდნენ აბჯრიანი, ზუჩიანი ვაჟკაცები. ფხოვის ნაძვებივით აშოლტილი ჭაბუკები ხატის კარისკენ მიიწევდნენ ცეკვით.

პირისპირ დაუდგებოდნენ ურთიერთს გუნდები, მარჯვნით ტრიალებდნენ ხატიონები, მარჯვნით ფრიალებდნენ ჩოხის კალთები.

ელარუნებდნენ აბჯრები, ომახიანი ხმით დვრინავდნენ წმ. გიორგის ყმები.

მოათავებდნენ ცეკვას, იფნების ქვეშ მიუსხდებოდნენ სუფრას, ახლა სხვანი დგებოდნენ და ებმოდნენ ფერხულში მწკრივად.

ბოლოს გაიკრიბენ მამაკაცები, ახლა მშვენიერ ფხოვურ სადიაკოთი მორთულმა ქალებმა დაიწყეს როკვა, ფრიალებდნენ გრძელფესვიანი, აბრეშუმის მანდილები, წითელყვითელი შიბებით შემკული კაბები.

გიორგიმ თვალი წაატანა ვარდისახარს ერთ მწკრივში. მეორე მოახლეც ეცნაურა, პირიმზისა.

ფაშატივით ხტოდა ვარდისახარი, შვენოდა შიბებითა და ჯვრეტით მოხატული სადიაცო ფხოვური სათაურა უმანდილოდ თავზე დადგმული.

ტოკავდნენ მისი მშვენიერი, მაღალი ძუძუები, უცხო ოვალეცი შეამჩნევდა, გადაჩვეულიყო ფხოვურ ფერხისაის.

ბიბლიოთეკა

ყანწი გაუვსო ქალანდაურმა გიორგის, გამოსცალა სტუმარმა და ისევ მიჰხედა მოცეკვავე დიაცებს.

უნდოდა ენახა, ფერხისაის რა მოათავებდნენ, საით წავიდოდნენ ვარდისახარი და პირიმზისა?

ადრე მოეკიდა გოდერძი ქალუნდაურს ლუდი.

უსაყვედურა სტუმარს:

„ჩვენი დიაცების საჭვრეტად მოსულხარო, კახო.“

გიორგიმ გაუღიმა ქალუნდაურს და ისევ გამოსცალა ყანწი.

გირშელი უკვე სავსებით დამთვრალ ფხოველებს მიჰკედლებოდა. სამი მოხუცი გარს უჯდა ერისთავს, სამივენი ხმამაღლა ლანძღავდნენ მეფეს.

ფხოვის არწივებისა და ჯიხვებისათვის ვინ გასჭედაო ხუნდები?

არც ერთ მეფეს ეს არ შესძლებია ჯერ, ვერც მეფე გიორგი მოახერხებსო ამას.

გველისფერი წმ. გიორგი — იახსარი მტრად მოიკიდაო გიორგიმ, ვერ გადაურჩებაო წმინდანის რისხვას, წელს მოსწყვეტსო გველისფერი წმ. გიორგი მას.

თუ ხელში მოვიგდეთ მეფე და მისი სპასალარი, სამრეკლოზე დავკიდებთო თოკით.

გირშელმა თავი აიღო, შენიშნა შორიდან:

გიორგი და მწითური ფხოველი ვაცხარებულნი ლანძღავდნენ ურთიერთს.

ერთბაშად წამოიჭრნენ და გაიძვრეს ხმლები.

შემოუარეს ნავარდი ურთიერთს.

შეუძახეს.

შეუტიეს და შეიბნენ ხმალდახმალ.

წამოსცვივდნენ ფხოველები და წრე შეჰკრეს წაკიდებულთა გარშემო.

გირშელიც წამოდგა დინჯად, მიმოიხედა: უშიშარაისძე და გაბოიც მწკრივში იდგნენ გაფითრებულნი.

უყივლა გიორგიმ ქალანდაურს, ბეგთარზე აძგერა ხმალი.

მტკიცე აღმოჩნდა ფხოველის ბექთარი, შემოუქნია ქალუნდაურმა მეფეს, ფარი იფარა გიორგიმ და ნაპერწკლებმა გაიელვეს ჰაერში.

შეუძახა.

შეუტია და უყივლა ქალუნდაურმა:

გამიმაგრდიო, ჯაბანო კახო.

უკუიქცა გიორგი, ფარი იფარა, კვლავ შეუძახა და შეუტია მედგრად.

განზე გადაუხტა ფხოველი, ფარით აიცდინა ელვასავით მოქნეული ხმალი და სწორედ ამ დროს მდელოზე გაუცურდა ბანდულიანი ფეხი, ცალი მუხლით წამოიჩოქა.

შესდგა გიორგი, ანიშნა მოპირდაპირეს: არ გერჩიო ნაბიჯმოკლარულს.

ისევ გაიმართა მამაცი ფხოველი წელში, თავზე ზევით ასწია ფარი, ცალი მკლავით ხმალი გადაიცდინა, ცალითაც მუზარადს ეცა მტრისას.

აბჯრების ჭახანი ისმოდა, მუზარადებს გაჰქონდათ ელრიალი, უცნაურად წკრიალებდნენ ელვარე მახვილები ჰაერში.

გირშელმა თვალი მოავლო გარსმოჯარულ ბრბოს.

მოწყურვებულ ქორებივით ტორტმანობდნენ სისხლში განათლული ფხოველები ირგვლივ, ხელები, ღაწვები და შუბლი სისხლით ჰქონდა გათხუნული ყველას, გაავებული შესცქეროდნენ ფხოველთან მებრძოლ არათვისტომს.

ყივანა ქორებს მოსწყურვებოდათ სისხლი!

შემოაკვდებოდა გიორგის ეს მწითური ფხოველი, მყისვე გააშიშვლებდა მთელი ტომი ხმალს და მაშინ ოთხ ვაჟკაცს მოუხდებოდა მთელ ლაშქართან პირისპირ შებმა.

ადგილი შეინაცვლა გირშელმა, უშიშარაისძესა და კოხრიჭისძეს შორის ჩადგა, მკლავში უჩქმიტა ორივეს ფრთხილად.

უსიტყვოდ ამცნო: მზად იყავითო ახლა.

მიწისფერი გადასდებოდა მეაბჯრესა და მალემსრბოლს.

თავათაც გაფითრებული იდგა გირშელი, ხმლის ვადაზე ხელი წაევლო.

კიდევ ერთი წუთი, ერთი დაფახულება თვალისა, სულ ერთია, გიორგი წაიქცეოდა, თუ ფხოველს წააცლიდნენ თავს, გირშელი მზად იყო, გაარღვევდა ფარხმალიან ფხოველების ბრბოს, ხმალზე გაივლებდა ხელს და ისე შეებმოდა მთელს ტომს, როგორც გაავებული ავაზა სპილოს.

დაწინაურდა ისევე ფხოველი, დაიჟღრიალა გიორგის ფარმა, ხმლის წვერმა შელეწა იგი, გიორგის მკლავიდან იფეთქა სისხლმა.

დაიღრიალა გამძვინვარებულმა ბრბომ.

და როგორც ეგვიპტელ ხალიფის ცირკში გამოუშვებენ გალიიდან ავაზას, მიუსევენ ცხრა შუბოსანს ზედ, აკუწავენ თუ არა ვაჟკაცები მხეცს, გახარებული ბრბო შემოანგრევს ჭიშკარს, დიდი და მცირე მივარდება სულთმობრძავ ნადირს, რათა ავაზას სისხლში განათლონ შუბები, ასე ეგონა გირშელსაც:

აჰა, ამ წუთში გაიძრობენ ფხოველნი ხმალს, რათა უცხოს სისხლში განათლონ ხმლები.

შეტოკდა გირშელი, წინ გადადგა ერთი ნაბიჯი და ხედავს, ხედავს, მაგრამ თვალს არ უჯერებს.

მარცხენა მკლავიდან სისხლი მოთქრიალებს გიორგის, ფარი გადააგდო, ხმალი შემართა კვლავ, უფრო მძვინვარე გაუხდა სახე, შემზარავი ხმით შეუძახა მოპირდაპირეს, ზედიზედ იფარა ხმალი, დაწინაურდა სწრაფად და სწრაფად, მიიმწყვდია მოპირდაპირე აბჯრიან ფხოველების მწკრივთან და მერმე მთელმა ტომმა დაიზრიალა...

დაიშალა მწკრივი, ვიღაცეებმა წინ გაუსწრეს გირშელს, ბრბო გაარღვია შეშფოთებულმა ერისთავმა.

ხმლის გაშიშვლებას აპირებდა ყველაზე ადრე და თვალი წაეტაცა ამ დროს, გაფითრებულ ქალუნდაურს ხმლის ვადა ეჭირა ხელში.

გაუღიმა გიორგიმ ფხოველს, უცნაურმა სიკეთემ გაიელვა მის ფერ კბილებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიეჭრა უხმლოს, სისხლიანი მარცხენა მხარზე დაადო, ცალითაც ხმალი გაუწოდა თავისი.

„ნაძმობნი ვიყოთ დღეიდან, გოდერძი.“

გადაეხვიენ მოპირდაპირენი ურთიერთს.

აჩოჩქოლდნენ ფხოველნი, უცხოს მიერ ნაჩუქარ ხმალს მისცვივდა დიდი და მცირე.

ხევისბერი მუროჩი ქალუნდაური მივიდა დამარცხებულ ვაჟთან პირველი.

ნაჩუქარი ხმალი გამოართვა, ყურადღებით დაუწყო ჭვრეტა.

აროდეს ენახა ასეთი რამ ხევისბერს.

სისხლში გასვრილი ეგონა, ჩოხის კალთით გასწმინდა, ისევ დახედა ზედ.

მოწითანო და მომწვანო სხივი ცვალებადად ელავდა გამოხურვებულ ოქროსებრ მოლაპლაპე ხმალზე.

ვადის ქვემოთ თავწაგრაგნილი ჯვრები იყო ზედამოჭრილი, შუაზე — ფრთოსანი ჭაბუკი ერთი და სახე მგლისა.

წარწერაც შენიშნა ხევისბერმა.

გიორგი შეკრთა, ვაი, თუ ვინმემ ამოიკითხოსო ზედ წარწერა:

„მეფეთ მეფე გიორგი, მესსიის მახვილი“.

დამშვიდდა გიორგი, როცა წამკითხველი არავინ აღმოჩნდა.

„მგლისსახიანი გორდაი ვინ მოგცაო, ჭაბუკო?“

ეკითხება მოხუცი მეფეს.

სარკინოზებთან ნაომარი ვარ, მათი ერისთავი მოვკალი ერთი, მას ავართვიო ეს ხმალი.

გაეხარდათ ფხოველებს უშჯულოებთან ნაომარი ვაჟკაცის დანახვა.

სათითაოდ აშიშვლებდნენ თავიანთ ხმლებს, გიორგისეულს უსვამდნენ ზედ, გაოცებულნი ხედავდნენ, ყველივით სჭრიდა ნაჩუქარი „გორდაი“ ფხოვურ ხმლებს.

მიიპატიჟა ხევისბერმა ქალუნდაურმა გიორგი.

მკლავი შეუხვიეს, დალოცეს, ლუდი შეასვეს მძივებით შემკული ყანწით.

მივიდა ხუცი, ვერცხლი ჩასთალა ლუდით სავსე ყანწში, ქალუნდაურმა დალია და დაალევინა ნაძმობს, „ფიცვერცხლი“ სჭამეს მეფემ და ფხოველმა.

გირშელი, გაბოი და პიპაც შემოისხეს ქალუნდაურებმა გარს.

უცხონი ხართო თქვენაც, უცხოთაგანნი ერთად დავსხათო სუფრაზე.

ლუდს იპარავდნენ სტუმრები ჩუმჩუმად.

როცა ფხოველები დათვრნენ და იფნების ქვეშ ამოუშვეს ბრიტინი, ოთხივენი სათითაოდ გაეპარნენ მასპინძლებს.

ცხენები მოიკითხეთო, უბრძანეს გაბოსა და პიპას. ხატის ტყეში დაგველოდეთო.

შულტები და დასტურებიც იფნების ქვეშ ეყარნენ მთვრალი.

ხატის ეზოდან გამოსულთ ვარდისახარი და პირიმზისა შეეყარათ გირშელსა და გიორგის.

ვარდისახარმა ავშანისძე იცნო, „მალემსრბოლი მეფისა", მაინც თავაზიანად მიესალმა ფხოველთა სტუმარს.

გირშელი მთვრალი იყო, მეფის ნაამბობი გაახსენდა, თვალი დაადგა გათქვირულ დიაცს.

ვარდისახარმა იცნო შორენას საქმრო. გააოცა ღარიბულმა სამოსმა.

ფრიად ნაწყენი იყო თავის პატრონზე, ხელაღებით მიმათხოვაო ბებერ ფარსმანს. ამიტომაც მიიყვავილა გირშელი.

ეკეკლუცებოდა გამიჯნურებულ ერისთავს.

გირშელმა იდროვა, მკლავში ხელი წაავლო დიაცს და ხატისტყისკენ გაემართნენ ოთხნი.

პირიმზისა მორცხვობდა, უგუნებოდ მიყვებოდა გიორგის. მოეწონა მშვენიერი ვაჟკაცი, მაგრამ ვარდისახარისა რცხვენოდა ქალწულს, მტრედის ხუნდივით გატრუნული გვერდზე ეკვროდა მამაცს.

ეკითხება გიორგის:

რად წაგეკიდაო ხევისბერის ვაჟი?

მე და ვარდისახარი შორიდან ვუჰვრეტდითო შუღლობას თქვენსას.

შენ გითვალთვალებდი, ამიტომაც წამეკიდაო ფხოველი.

იცრუა გიორგიმ.

იამა პირიმზისას ეს ამბავი, კიდევ უნდოდა რაღაც ეკითხა უცხოსავის, მაგრამ პირი უშრეებოდა ვნებისაგან ალრეულს.

წიფლის ტყეში შესვლისას კოცნა დაუწყო ავშანისძემ დიაცს. ყოველ ხესთან შეაყენებდა, თავს გადაუწევდა, აკოცებდა და განაგრძობდნენ გზას.

წინ მიმავალი წყვილი ტყის სილრმეში გაუჩინარდა.

გირშელმა ბალლივით აიყვანა ვარდისახარი, ჯერ ულონოდ ეწინააღმდეგებოდა დიაცი, მერმე გაიტრუნა, იამა ესოდენ ძლიერი ვაჟკაცის სუნთქვა.

გვიმრის ბუჩქებში დააწვინა ვარდისახარი გირშელმა. კვლავ შეეცადა ურჩობას დიაცი, მაგრამ როცა ვაჟკაცის გახურვებულმა ტუჩებმა სუნთქვა შეუკრეს, ათრთოლდა ანაზდად, ბაგეზე დაადნა გირშელს...

გიორგი და პირიმზისა უზარმაზარი წიფლის ქვეშ იწვნენ, ნეტარების ცრემლებით სტიროდა ქალი.

მალემსრბოლის სტვენა შემოესმა გიორგის.

უკანასკნელად აკოცა და ახლა იგრძნო, ცხვრის სუნი უდიოდა ფხოველ მხევალს.

ჯიხვის რქასავით მოდრეკილი მთვარე ზედ დანათოდა ხატებსა ... ცხენების ფრუტუნი ისმოდა შორიდან.

როცა დიაცები სოფლის ბოლომდის მიაცილეს რაინდებმა, ცხენებზე შესხდნენ და გიორგიმ ეს უთხრა თავის დედის ძმისწულს:

„ჩემთან ჯიბრი გადაგიტანს, იცოდე, გირშელ.“ ყველისცხს პატრონმა გაიღიმა, ახალ მთვარეს გაუსწორა თვალი.

XXXVII

ფხოვში მგზავრობამ დაარწმუნა მეფე, ხელახალი ამბოხი არ უნდა ყოფილიყო მოკლე ხანში მოსალოდნელი.

„გაავებული ხევისბერების ქადილი გაუზვიადებიათ შენს მსტოვარებს, ეუბნება სპასალარს, — ორგზის დავზვერეთ კვეტარას ციხე. გაბოი შევგზავნეთ, ერთი ღამე თავლაში გაათია კოხრიჭისძემ მეჯინიბეებთან, გოდოლების განახლების ამბავიც გამოუკითხავს წვრილად.

დიდოელების თავდასხმას მოელიან, ამადაც აპირებენო ციხის განახლებას.

მე ასე მგონია, საჭიროა ერთი მეჯინიბე მოვისყიდოთ როგორმე, ზვიად. ცხენი ჰყოლია კოლონკელიძეს უცნაური, დაატარებს თურმე ფხოვის თვალშეუდგამ ქარაფების კიდეზე თავის ბრმა პატრონს.

სწორედ ამ ცხენის მეჯინიბე თუ მოვიქრთამეთ, გვეცოდინება სად რას დადის ერისთავი კოლონკელიძე.“

ზვიადი სდუმდა და მეფემ განაგრძო:

„მე მაინც დარწმუნებული ვარ, ზვიად, მამამზესა და ტოხაიძეს მართლაც წაჰკიდებია თალაგვა. რაიცა შეეხება დიდოთა, ეს ამბავი განზრახ უნდა იყოს მოჭორილი, რათა ციხეთა და გოდოლთა განახლება თვალში არ გვეცეს ჩვენ.“

ზვიად სპასალარს არა სჯეროდა ნიშანდება მეფისა, ამბოხის საფრთხეკარზე მომდგარი ეგონა, მაგრამ ვერაფერი შეჰკადრა პატრონს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ჟუთათელი

მზის ჩასვენება

აღმოსავლეთით გარინდებულ ვარდისფერ ცაზე
მზე უცნაურად ამოვიდა. მზე დაბარბაცდა.
თითქოს არ სურდა სიარული მიჩნეულ გზაზე
და ოჩამჩირით მობაჯბაჯე მთაგორებს აცდა.
ადვილი იყო მისი სულ სხვა მნათობში გაცვლა,
თუმც დაიკავა ზღვის ნაპირის ისევ განივი,
შევიდა ტყეში და ყვითელი ფოთლების ნაცვლად
მუხის ტოტებზე აკიაფდა ჩირაღდანივით.
დასავლეთისკენ გაეშურა ტალღის კამკამით.
მერმე შავზღვაში ჩაიძირა, დაცხრა, შეცივდა
და იდგა გუგა-გაფითრებულ თვალის ხამხამი.
გაქრა ქვიშაზე გადმოღვრილი ქათქათი მისი,
სპილენძისფერი სხეულების პალმებთან დგომა.
გადაეფარა გაგრის გორას შავი ზღვის ნისლი,
ქარვის ფოთლების გარინდება და შემოდგომა.

საჭევრები

მიცქერის მუნჯი დასავლეთის ცა ღრუბლიანი.
წვიმს და ხანდახან ზღვას გადიფრენს ყანჩა ობოლი.
გამოჩნდა ქოხი ოჩამჩირის, სველზღურბლიანი.
დამძიმებულა ავდრისაგან ჭადრის ფოთოლი.
ღრუბელთა შორის აწვდილიყო ციხის ქონგური.
ზღვაზე ღელვაა, გემს ვულოცავ მშვიდობით მოსვლას.
იმღერის ქარი საამური, როგორც ჩონგური
და მაღალ ლერწამს სალამურის ჰანგები ჰმოსავს.
იგი ჰგალობდა: მშვიდობითო, უხილავ ტუჩით,
და შორს მიჰქროდა ჩამოთოვლილ მთისკენ სალამი.
მერმე დამყარდა მყუდროება ისეთი მუნჯი, —
თითქოს ასჭრესო სატევრებით ჩალამკალამი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტრედები

ზამთარი იყო, როს მტრედებმა ტატნობი ცისა
გადაიფრინეს მოფარფატე ფრთათა მარულით
და მათი ფრთისგან ანარეკლი სხივები მზისა
ცაში დაიბნა, ვით ეჟვნების უცხო ყლარუნი.
ზეცას გავხედე და ნაცნობი მეახლა შვება:
დეე, ითოვოს, ცამ დაჰყაროს თოვლის ფანტელი, —
ზართა ხმამ მამცნო გაზაფხულის მოახლოვება
და გულში ჩადგა, როგორც ცაში დილის ნათელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პანტელეიმონ ჩხიკვაძე

ახალი ხმელეთი

რომანი[1]

თავი მეექვსე

ლურჯას დალუპვა მეხივით დაეცა იორდანეს ოჯახს. ჭირსა და ფათერაკს ადრეეეც იყო შეჩვეული: ორი წლის წინათ უფროსი ვაჟი გამოსტაცა ულმობელმა ციებ-ცხელებამ, შარშან შემოდგომაზე ცოლის ნამზითვი ძროხა მგელმა შეუჭამა, მაგრამ იორდანე სასოწარკვეთამდე არ მისულა. უკანასკნელი იმედი ჯერ კიდევ სულდგმულობდა მის გულში. ლურჯამ ეს იმედიც თან გაიყოლა.

დაითალხა ჭვარტლიანი ფაცხა. შერჩა სიღარიბე და გაავებული ციებ-ცხელება. თავბედს იწყევლის იორდანე. გაჩენის დღეს აუგით იხსენიებს. აფორიაქებული ხშირად გარბის ეზო-მიდამოდან. გავა რიონის პირას და მთელი დღე უგზო-უკვლოდ დაყიალობს. ხან რას გაიფიქრებს და ხან რას. საბოლოოდ ვერაფერი გადაუწყვეტია. ქალაქში გადაბარგებას ცოლი არ ანებებს. მთაში გახიზვნას და ახალი ოჯახის გამართვას ფული უნდა...

— რა შავქვად მინდოდა ცოლშვილი? — ამოიგმინებს ზოგჯერ იორდანე და თვალებს ისე აცეცებს, თითქო ვინმეს დაეძებს ჯავრსაყრელადო.

მარინე ხმაგაკმენდილი ზის ფაცხაში. ორი დღე რომ უხემსოდ დარჩეს, ერთ საყვედურს არ ეტყვის ქმარს. თუ თავი დაიმარტოვა, ატირდება და ცხარე ცრემლებით ამოირეკს დაჩეტყვილ გულს. თუ იჯრა გააკეთა, გასანახავსაც არ იმეტებს თავისთვის. ულუფას განგებ მოინარჩუნებს და ცოტა ხანს უკან გივის სთავაზობს ან იორდანეს ეტყვის: ბუჯერში ცოტა ნარჩენია და დეიხემსეო.

იორდანე ხედავს ცოლის საქციელს და გული უკვდება. ხანდახან სირცხვილით ყურის ბიბილო უწითლდება, გადის ეზოში და მთელი დღე ოჯახს არ ეკარება.

— თავი როგორ მოვიკლა ცოლშვილის პატრონმა?.. — ბუტბუტებს თავისთვის.

---

[1] გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 2

მოახლოვდა ზამთარი. მთები ჩამოთოვა. აცივდა სოფლადაც. იორდანეს შეშაც არა აქვს მომარაგებული. ეზო-მიდამოზე ფიჩხიც გამოლია. მარინემ ახლა ამოიდგა ენა: შეშა მაინც მოიხაზირეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იორდანემ ნაჯახი აიღო და ჭალადიდის ტყეს მიაშურა. მუშაობას მოწყურებული, ისე გატაცებით დაეტაკა ალვებივით აშოლტილ თხემლებს, რომ ერთი კვირის განმავლობაში ორი საქენი შეშა დააყენა.

მუშაობამ ოჯახური ჭირვარამი გადაავიწყა. შეშა სანაოზე გამოზიდა. საყადლებს რომ შეხედა, შინ წასაღებად დაენანა. მუშტარს დაუწყო ძებნა. საშინაო შეშას ხვალაც მოვჭრიო, ფიქრობდა წახალისებული იორდანე.

მუშტარი ვერ იშოვნა. საღვამიჩაოელები ნაყიდ შეშას არ ხმარობდნენ. შორი სოფლიდან მოსულებმა ჩალის ფასად მოინდომეს სიმწრით ნაოფლარი. მიხა ღვამიჩავამ ურჩია: ბარემ ერთი კარჭაპა იყიდე, დააწყვე შეშა და ფოთში ჩაიტანეო. ქალაქში მუშტარიც გეყოლება და ფასსაც კარგს მოგცემენო.

იორდანეს ჭკუაში დაუჯდა მიხას რჩევა-დარიგება. საღვამიჩაოში მენავე ხურო ეგულებოდა. მივიდა, თავი შეაცოდა და ნისიად გამოართვა კარჭაპა. ამინდმაც ხელი შეუწყო და საშობაოდ პირველი დატვირთული კარჭაპა შეაცურა ფოთის ნავთსადგურში.

ფოთში მუდმივი მუშტარიც ჩქარა გაიჩინა იორდანემ. მეშეშეობამ ჩალვადრობა გადაავიწყა და ახალი იმედით აუვსო გული. საწყალი კაცისთვის „იმედიც ხომ კარგი საქონელია“.

*

* . *

შეეჩვია იორდანე ტყეში მუშაობას. მეშეშეობას მიანდო ოჯახის ბედიღბალი.

დღე დღეს ცვლის, წელიწადი წელიწადს, მაგრამ იორდანეს ოჯახში ყველაფერი უცვლელი რჩება. ვერც ოდა-სახლი გამოიწყო, ვერც კვიცი იყიდა და ვერც ციებ-ცხელება განდევნა ფაცხიდან. მარინეს თავპირი ისევ კეჟერა მხლის ფოთლებით აქვს შეხვეული. გივი ამღრალი დაფამფალებს.

იორდანე გულს არ იტეხს: წელს თუ არა, გაისად მაინც მეღირსება რამეო. მარინესაც აიმედებს: ცოტა დამაცადე, შეშის მაზანდა აიწევს და ერთბაშად გამოვძვრებით სიღარიბიდანო.

ამ იმედით მიაცილებს იორდანე ყოველ გასულ წელიწადს (ოო, რა უცნაურად გვანან ეს წლები ერთმანეთს!), ახალს აღტაცებით ეგებება. მამაპაპურ ჩვეულებას არ ღალატობს და საკალანდო მოლოცვისათვის ერთი თვით ადრე იმარაგებს ყველაფერს. აავსებს გობს ღორის თავით, ხილით. წლის მოსავლიდან არაფერს არ დაიშურებს გობის მოსართავად... გაილოცავს წმინდა ბასილის მობრძანებას. დამბაჩასაც გაისვრის. მტრების გულის მოსაკლავად დაჯდება და კრიმანჭულით გაამხიარულებს წლითი-

წლობამდე მგლოვიარე ფაცხას, თვითონაც ილხენს და ოჯახსაც ამხიარულებს დასაბედებლად. მაგრამ თვე თვეს ცვლის, ზამთარს გაზაფხული.. იორდანეს ფაცხაში ყველაფერი უცვლელი რჩება. საქორწილო ბანკეტი და ახალ წელს დაბედებული მხიარულება განუმეორებელ ბედნიერებად რჩება მთელი წლის განმავლობაში.

ხელმწიფე რომ ჩამოაგდეს, მაშინ კი გადაჭრით სთქვა იორდანემ, რაკი დღემდე მოვიტანე სული, აწი აღარაფერი მიჭირსო.

ადგა და მიტინგზე სიარულს მოუხშირა. მარსელიოზა თავიდან ბოლომდე ზეპირად ისწავლა და რადგან ხმაც ხელს უწყობდა, მომღერალთა ჯგუფს შეუერთდა. აგერ, წითელი ლენტები მიიკრეს მკლავებზე. ლენტებს წარწერა ამშვენებს: „თავისუფლება“.

იორდანე სხვებს არ ჩამორჩა. კოოპერატიულ დუქანში ხუთშაურიანი „თავისუფლება“ იყიდა და თვითონაც მიიკრა მკლავზე.

მარინეს ეუცხოვა წითელი ლენტი. ვერაფერი მოისაზრა. აქამდე შავლენტშემოკრული ბევრი უნახავს. თვითონ იორდანეს ეკრა შავი არშია უფროსი ვაჟის სიკვდილის შემდეგ... ამ წითელ ნაჭერს ვერაფერი გაუგო. შეკითხვა კი შერცხვა, მაგრამ გულმა აღარ მოუთმინა და მორიდებით ჩამოუგდო სიტყვა იორდანეს: ბეჩა, რაია მაგი ჭინჭი, ასე სასოებით რომ მოგიკერებია მკლავზეო.

იორდანემ თავი მოიწონა:

— რაია და თავისუფლება... ხემწიფე რომ ჩამოაგდეს, შენ კიდევ ვერ შეიტყვე?

მარინემ ხელი შეავლო წითელ ლენტს.

— სად დაარიგეს?

იორდანეს ფერი ეცვალა მოულოდნელი შეკითხვისაგან. ახლა ჩაუფიქრდა იმ ამბავს, რომ „თავისუფლება“-ში ფული ჰქონდა გადახდილი.

— დაარიგეს კი არა... ვიყიდე, — დარცხვენით წაილუღლუღა იორდანემ, თითქოს დანაშაულ რამეზე წაასწრესო.

— კაი შვილია ნაყიდი „თავისუფლება“. წითელი ჭინჭი თუ მიიკერე მკლავზე, აგიშენდება ოჯახი.

იორდანემ ხმა გაკმინდა. გული მასაც შეუქანდა: მართლა, რის მაქნისია ამ ნაჭრებით ვაჭრობა და „ფულის მახის“ გამოგონებაო, მაგრამ მიტინგზე სიარული მაინც არ დასთმო.

არც საღვამიჩაოში აკლდება კრებებსა და მიტინგებს. თუ ფოთში ჩავიდა, შინ ისე არ დაბრუნდება, ორ-სამ ადგილას რომ არ მოუსმინოს ენაწყლიან ორატორებს.

რას არ ჰპირდებიან ხალხს ეს ორატორები. რანაირ ედემს არ უხატავენ მომავალ ცხოვრებისათვის.

იორდანე თავბრუდახვეული ბრუნდება შინ. ცის მანანასავით მოელის თავკაცების შეპირებულს. მოელის სახნავ-სათეს მიწას, სამოსახლოს.

მდიდრისა და ღარიბის გათანასწორებას. მემამულეების აღაგმვას. კანონ-სამართლის შეცვლას.

მოელის, მაგრამ ცხოვრებას რომ აკვირდება, გაოცებული რჩება. არც არაფერი იცვლება და არც არავინ ფიქრობს რაიმე ცვლილების მოახდენას.

სახელწოდება კი შეუცვალეს .დაწესებულებებსა და თანამდებობის პირებს. სამამასახლისოების ნაცვლად სოფლის ერობა დააწესეს. მამასახლისის მაგიერ ერობის თავმჯდომარე დასვეს. მაგრამ საკვირველი ის არის, რომ საღვამიჩაოში მამასახლისად სერაფიონ ჩოჩია იყო ბარე ათ წელიწადს, ერობის თავმჯდომარედაც ის წამოასკუპეს.

— ეს სადაური კანონ-სამართალია?! — საყვედურობს იორდანე. — თუ მთავრობა გადააგდეს და ახალს ირჩევენ, ამ მექრთამე ჩოჩიას რაღას ნიშნავდენ ერობის თავმჯდომარედ? პირველად ყური გამოგვიჭედეს მიტინგებზე, ასე ვიზამთ, ისე ვიზამთ, აგაყვავებთ, აგაშენებთო. ბარე ექვსი თვე გავიდა მას შემდეგ და სადაა ის მიწები, სამოსახლოები, უფასო საძოვრები და ათასი სხვა შეპირება? თვალთმაქცობდნენ?

იორდანემ წყრომით მიაფურთხა ახალ მთავრობასაც. შემოიხსნა მკლავზე მიკერებული „თავისუფლება“ და ისევ ჭალადიდის ტყეს დაუბრუნდა.

სჭრის იორდანე შეშას. რიონის პირად ასაყადლებს. ჩაზამთრებაზე ფოთში ეზიდება. თუ შეშა კარგ ფასში გაჰყიდა, სამიკიტნოში შეძვრება სადმე, პილპილიან ხარჩოს მოითხოვს და ერთ ბოთლ იზაბელასაც დააყოლებს, ზოგჯერ ორსაც.

ფულის კურსი დღითი დღე ეცემა. იორდანე სამიკიტნოში გებულობს კურსის ცვალებადობას. ერთხელ, ერთი კარჭაპა შეშის ფასი აღარ ეყო სადილის ნახარჯის გასასწორებლად. კინაღამ შეიშალა იორდანე. გეგეჭკორის ასიანები ხელში ეჭირა და შეთივით ბორგავდა: ამის მომჭრელს ხელები უნდა მოსჭრას კაცმა!.. ფულია თუ ნიორის ნაჭურჩალაო.

სტაცეს ხელი და მთავრობის შეურაცხყოფისთვის ორი თვის ციხე მიუსაჯეს.

გაუტყდა გული იორდანეს. ამდენ თვალთმაქცობასა და მატყუარობას თავბოლო ველარ გაართვა. ურწმუნობა და უნდობლობა გაუჯდა ძვალსა და რბილში. არც ვინმეს ნათქვამი სჯერა, არც დაწერილს ენდობა. გაზეთებს ხშირად კითხულობს, მაგრამ თავშესაქცევად. სამგლოვიარო განცხადებების გარდა, აქ ყველაფერი ტყუილია... ხალხის დასაბრმავებლად გამოგონილიაო, ამბობს იორდანე თავისიანებში.

ჩქარა ტყეს ბაჟი დაადეს. ამან სულ მთლად გააგიჟა ურწმუნო იორდანე. გაკეთებას გვპირდებოდნენ და დახე, სახელმწიფო ტყეშიც ბაჟები შემოიღესო.

ტყეში მუშაობას ხელი მაინც ვერ ააღო. დაჰკარგა ყოველი იმედი, შესძულდა მატყუარა და მაცდური ქვეყანა. გულჩათხრობილ ცხოვრებას მისცა თავი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასაც გულგრილად შეხვდა იორდანე. უფასო რკინისგზა და უფასო სადილები ჯერ მოეწონა, მაგრამ სასადილოში სამი საათის ლოდინის შემდეგ ფოვზის სუპი, რომ მიუტანეს, ხელი ჩააქნია და დუდღუნით გარეთ გავარდა: უფასო [illegible] შეარცხვინოს ღმერთმაო.

როცა კრებაზე მიიწვიეს, უარი განუცხადა: დრო არ მაქვს, ფოთში ვაპირებო.

იორდანე არა სტყუოდა.

ახლაც ხშირი სტუმარი იყო ფოთისა. შეშა ჩაჰქონდა, მიკიტნებთან ასაღებდა, აქითობისას სიმინდის ფქვილსა და ლობიოს წამოიმძღვარებდა.

სხვა ურთიერთობა მას აღარ ჰქონდა არც ქალაქთან, არც ხალხთან. კარჩაკეტილ ცხოვრებას მისცა თავი. ეს ათი წელი ისე გავიდა, ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა მის ცხოვრებაში.

მთლიანი კოლექტივიზაციის გამოცხადებასაც უნდობლად შეხვდა იორდანე. იმიტომ გაექცა არტელში ჩაწერას. დღიურ ლუკმაზე ცხოვრება არჩია. ცოლშვილს ტილოს მაინც დავაფარებ შუბლზეო, — იმართლებდა თავს იორდანე.

ავადმყოფობა მართლაც მუდმივი სტუმარი იყო იორდანეს ფაცხაში. ერთადერთი ჯანმრთელი თვითონ იყო მთელს ოჯახში. ფიქრობდა, შვილები წამომესწრებიანო. უფროსი რვა წლისა მოუკვდა. მომდევნო გვი თხუთმეტი წლისა დაჭლექდა და დაიღუპა. ქალ-ვაჟი დარჩა, მაგრამ ისინიც სანთელივით ფერმკრთალნი დაფამფალებდნენ.

წლები გადის, იორდანეს ოჯახში ლოგინი არ აიბერტყება. ქინაქინის ფასს ველარ აუდის ხელმოკლე კაცი.

— ბარემ ერთად გაწყდით, თქვე ცოდვისშვილებო! — ამოიგმინებს ზოგჯერ და ძველმანებში ტილოს ნაჭერს დაეძებს ციებამოუხდელ ბავშვებისთვის შუბლზე დასაფარებლად.

დღესაც ამ სიტყვებით გამოიხურა ფაცხის კარი და სიცხიანი ცოლი და ბავშვები ღვთისანაბარა მიატოვა.

შუადღემდე თავაუღებლივ იქნევდა ნაჯახს. ალვებივით აშოლტილ თხემლებს შეუბრალებლად მუსრავდა. ქვენამ რომ გადაიქროლა, ერთი წყება ძირმოკოდილი ხეები მიაკალაფა და უსაზღვრო კმაყოფილებით ახედა ცას.

თხუთმეტი წელიწადია ჭალადიდის ტყეში მუშაობს იორდანე და ასე არასოდეს არ უგრძვნია მოწმენდილი ცის ეშხი და მშვენიერება.

— დევიხემსებ! — ხმამაღლა სთქვა იორდანემ და ჭანჭრობაზე გამოვიდა. ჩანთა ჩამოიღო და მარილწასმული კვერი ოთხად გატეხა.

მადიანად ილუკმებოდა იორდანე ბარაქიანი მუშაობის შემდეგ.

*
* *



დანაყრებული იორდანე ციბრუტივით ატრიალებდა პერმოლესილ ნაჯახს. ამინდი ხელს უწყობდა. მოკრიალებული ცისა და მზის შეხედვა ლონეს მატებდა. მერცხლების ჟღურტულიც ესმოდა იორდანეს და მარტობას ავიწყებდა. თავაუღებლივ იქნევდა ნაჯახს. ნაფოტები ბზრიალით იფანტებოდნენ წასაქცევი ხის გარშემო. უკანასკნელად ფულუროიანი თხემლა წააქცია იორდანემ. ფულუროდან ციყვი გამოხტა. თავგზააბნეულმა წრე შემოხაზა, წაქცეულ ხეს გადაურბინა და ცაში ატყორცნილ თხემლას მოევლო კენწეროზე.

იორდანემ შურის თვალი გააყოლა ფეხმარდსა და წელმოქნილ ციყვს. მუქარის ნიშნად თავი გააქნია და თოფი ინატრა.

სამშვიდობოს გასული ციყვი მაიმუნივით ხტოდა ტოტიდან ტოტზე, მაგრამ თხემლა განმარტოებით იდგა და ხიდან ხეზე გადასვლას ველარ ახერხებდა. იორდანემ ადგილი გადაინაცვლა და ჯიბრზე იმ თხემლას მიადგა წასაქცევად, რომლის კენწეროზე ციყვი დათარეშობდა.

კარგა რომ შეანაფოტა, ლაპარაკი შემოესმა. მონადირის სიფრთხილით გაიხედა გვერდზე. ამდენი ხანია აქ მუშაობს და ტყეში შემოსული არავინ უნახავს. მხარი ხომ არავის ეცვალაო, — გაიფიქრა და შუბლი მოიჩრდილა. ქალაქურად ჩაცმული ხალხი დაინახა. გაოცებამ ყოველგვარ საზღვარს გადააცილა. ნაჯახი ხელიდან გააგდო და უცხო ხალხს მიაჩერდა.

პაჭუ ხორავა იცნო იორდანემ. გაუკვირდა: რაიალმასკომის თავმჯდომარე ამ ჭაობში რამ შემოიყვანაო. ხორავას უცნაურად ჩაცმული, ახმახი კაცი ედგა გვერდით და ჭაობის სილრმეში ამობურცულ ბექობზე მიუთითებდა. ხორავა დურბინდს იშველიებდა მითითებული ადგილის დასათვალიერებლად.

იორდანე უცხო ხალხს მიუახლოვდა. რეზინის სანადირო ჩექმები ეცვა ყველას. მუხლებამდე დასველებული იყვნენ. ზოგიერთს ჭინჭიბური ტალახი შეხმობოდა მუხლის თავებზე.

„ეტყობა, უსაქმოდ არ არიან მოსული", — გაიფიქრა იორდანემ და უცხო ხალხს ათიოდ ნაბიჯზე მიუახლოვდა.

ახალგაზრდა ჭაბუკი გამოეყო უცხო ხალხს. თხემლას თარჯი შემოჭკრა და ახმახ კაცს ჰკითხა: მეორე თარჯი რომელ ხეს შემოვკრაო.

იორდანემ იცნო ჭაბუკი. მიუახლოვდა და სხვებთან ერთად იმასაც თავი დაუკრა.

არკადიმ თავის დაქნევით უპასუხა. შეათვალიერა უცნობი გლეხი და თავისიანებს გადახედა, თუ ვინმე იცნობსო.

ყველანი უცნობის თვალით უცქეროდნენ იორდანეს. სამუშაოს მიტოვება და გამოგებება ყველამ გლეხის ჩვეულებრივი ცნობისმოყვარეობით ახსნა. მისალმებაც — სოფლელი კაცის თავაზიანობად.

უკანასკნელი თარჯი ჭაობიდან ათი ნაბიჯის მოშორებით შემოჰკრეს და შეჩერდნენ. იორდანემ ნაცნობ ჭაბუკს წამოუარა, გაუცინა და მოკრძალებით ჰკითხა, თუ მიცანიო.

ჭაბუკი დაიბნა. ერთხელ კიდევ შეათვალთვალა მუხლებამდე ჩაცვარული შეშისმჭრელი, მაგრამ გუმანი ვერ მიიტანა და მხრები აიჩეჩა უარის ნიშნად.

— სოფლის სკოლაში რომ ზურგით გატარებდი, დაგავიწყდა?

არკადი უცებ გამოერკვა. თვალები ზედიზედ დააფახურა.

— ო-ო, ბიძია იორდანე! გიცანი... როგორ არა, — მიაშურა და ხელი გაუწოდა.

იორდანემ ხელი ჩამოართვა და მახლობელივით მოიკითხა. ღიმილით შესცქეროდა დავაჟკაცებულ არკადის. ბეჭებზე ხელს უთათუნებდა.

არკადიც არ ჩამორჩა გულგახსნილობაში. მარინე მოიკითხა, ბავშვებიც. თავისი ბავშვობაც მოიგონა, იორდანე რომ ზურგით ატარებდა. დღეს ინჟენერი ვარ, „კოლხიდმშენში“ ვმუშაობო, — გააცნო იორდანეს თავისი თანამდებობა.

— ამ ჭაობში რაღას აკეთებთ? — სხვათა შორის ჰკითხა იორდანემ, თითქო არც ეინტერესებაო.

— რიონი უნდა გადმოვაგდოთ. არხის გეგმას ვადგენთ.

— რიონი ჭაობში? — შეჩქვიფდა ერთბაშად იორდანე და ცხვირის წვერი უმოწყალოდ მოიჟღვლიმა. არკადის მოღიმარ სახეს ყინულივით ‘ცივი და გაქვავებული თვალებით შეხედა.

— ჭაობი უნდა ამოვაშროთ, ძია იორდანე! — დაუდასტურა არკადიმ და თავისიანებს გახედა, შორს არ წასულიყვნენ.

პაჭუ ხორავა და ახმახი კაცი იორდანეს საყადლებს უვლიდნენ გარშემო.

ორჯერ რომ შემოუარეს, ახმახმა უკან მოიხედა და არკადის დაუძახა.

— ეხლავე, მერაბ მერაბიჩ! — არ დააყოვნა არკადიმ და იორდანეს ხელი გაუწოდა გამოსათხოვებლად.

იორდანე გაშტერებული იდგა. არკადის გაწვდილი ხელი ვერც კი შენიშნა ფიქრებში გადაკარგულმა. ამ მდგომარეობაში, ალბათ, დიდხანს დარჩებოდა, რომ მერაბ მერაბიჩის ხელმეორე დაძახილს არ გამოეფხიზლებინა. არკადიმ საყადლებისკენ მიიხედა. მერაბ მერაბიჩმა ხელით ანიშნა იორდანეზე, თან წამოიყვანეო.

ამან კიდევ უფრო გააოცა იორდანე, თვალები მოისრისა და არკადის გაჰყვა კვალდაკვალ. იორდანე თითქო წინასწარ გრძნობდა, რისთვისაც ეძახდა უცხო კაცი.

— შენაკადი არხი, აი, აქ შეუერთდება მთავარ მაგისტრალს, — მოესმა იორდანეს მიახლოვებისას. ამან კიდევ უფრო დაადასტურა იორდანეს წინაგრძნობა. მოშორებით დადგა და თითქო განაჩენის მოსმენას ელოდებაო, თავი ჩაჰქინდრა.

— შეშა შენია, ძმობილო? — ჰკითხა იორდანეს პაჭუ ხორავამ.

— ჩემი გახლავთ, — დამნაშავის ხმით უპასუხა იორდანემ.

ხორავამ გულმოდგინედ ჩაათვალიერა შეშისმჭრელი. მისი ხმა ეცნაურა. ახლა იმას იგონებდა, სად მინახავსო. გუმანი ჩქარა მიაგნო, და ბერულავას წინააღმდეგ მოლაპარაკე იორდანე აღუდგა მეხსიერებაში. ვინაობა აღარ გამოჰკითხა. საყადლებს გადახედა და იორდანეს გამოუცხადა: ერთი კვირის ვადაში ეს შეშა აქედან უნდა გაიტანოო.

მეხი დაეცა იორდანეს. ენა გაუქვავდა. ყველაფერს იფიქრებდა, მაგრამ აგვისტოში ჭაობიდან შეშის გაზიდვა აზრადაც არ მოუვიდოდა. რით უნდა გაზიდოს ლეჟერი შეშა, როცა სოფელში ერთი ქეციანი მოზვერი არ ეგულება. ყველას მთაში ჰყავს გარეკილი. ზურგით რამდენი უნდა გაიტანოს? ახლო გადანაცვლება რომ ხერხდებოდეს, კიდევ ჰო, რაღაცას მოახერხებს, მაგრამ სანაოზე გატანას როგორ შესძლებს. ეს ჭანჭრობი, სადაც ამჟამად მუშაობს იორდანე, ძროხის ენასავით არის წაგრძელებული ორ ჭაობს შორის. გასავალი რიონის მხარეს აქვს. რიონის პირამდე ორი კილომეტრი იქნება. ეს უღონებს გულს იორდანეს. ამიტომ დგას ასე შეწუხებული და ენაჩავარდნილი.

იორდანემ ამოიოხრა. საყადლებს ისე შეხედა, როგორც მახლობლის კუბოს დახედავს ჭირისუფალი სამუდამო გამოთხოვებისას.

— რას იზამ, ძმობილო? — ჰკითხა ხორავამ, როცა იორდანემ პასუხი შეაყოვნა.

— ვფიქრობ და ვერაფერი მოვიაზრე, ბატონო: რით გავიტანო...

— მოახერხებ რამეს... არხის ფართობში რომ არ იყოს, არ აგაჩქარებდით, მაგრამ ამ თვის ბოლოს მუშაობა უნდა დავიწყოთ, — წამოეშველა ხორავას მერაბ მერაბიჩი.

არკადიმ თანაგრძნობით შეხედა შეწუხებულ იორდანეს, მაგრამ სანუგეშო ვერაფერი უთხრა. ოჯახში ურემი ეგულებოდა, მაგრამ ხარები?

სწორედ ხარები აღონებდა იორდანესაც.

— რადგან ასე შეწუხდი... ათი დღის ვადას მოგცემთ... ეცადე როგორმე, — თანაგრძნობის კილოთი უთხრა ხორავამ და მერაბ მერაბიჩს შეეკითხა: — თქვენ რას იტყვით?

— კარგი, ათი იყოს.... მეტი აღარ შეგვიძლია, — დათანხმდა ისიც.

იორდანეს ეუცხოვა ხორავას გულკეთილობა. საღვამიჩაოში სულ სხვა შთაბეჭდილება დასტოვა მან იორდანეზე. მაგრამ არც ეს აძლევდა რაიმე ნუგეშს მოულოდნელ განსაცდელში ჩავარდნილ იორდანეს.

— ვეცდები... თუ არა და... ნება თქვენია... — ამოღორღა როგორც იქნა იორდანემ.

— თუ მოვახერხე, მუშებსაც მოგახმარ... გულს ნუ გაიტეხ! — უკანასკნელ ნუგეშად დაუტოვა ხორავამ დაღონებულ იორდანეს და ჭაობისკენ გაემართა.

მას სხვებიც მიჰყვნენ.

*
* *

გვიან ზარმლობისას დაბრუნდა შინ იორდანე. ფაცხის კარის ბაკეტილი დაუხვდა. მარინეს ციება მოეხადა და ბოსტანში ჩასულიყო. ნაადრევ კომბოსტოს კვალში ბალახ-ბულახს სწმენდდა. ჩაყვითლებულ ფოთლებს აცლიდა. ისე გართულიყო მუშაობაში, რომ იორდანეს შინ დაბრუნება არ გაუგია. ფაცხის კარის ჭრიალი რომ შემოესმა, ძაღლი თუ არისო, იფიქრა და თავაუღებლივ შეუძახა: სად წახვალ, შე წუწკო.

მოგვიანებით გადმოვიდა მარინე ბოსტნიდან. ბჟოლის კანით შეკრული ჩაჩიების ჩელტი ალაგეს მიახურა და თხა დააპურა. ბატის ბჟიტებსაც დაუჭრა კომბოსტოს ფოთოლი, კალთა გაიბერტყა და ფაცხისკენ გაბრუნდა.

მუხის ძირში იორდანე დაინახა. გაქვავებული იჯდა. მარინე შეკრთა. კარგა ხანია ასე მოლუშული არ უნახავს ქმარი. ჩვენს თავს რალაც უბედურებაო, გაიფიქრა და შვილების სიავით გულდათუთქულმა დედამ ესლა მოასწრო: ბალღებისა რა იცი.

მარინე გაცეცებული იდგა. ხელები აფრენილი ქორის ფრთებივით ჰქონდა გაშლილი, გეგონებოდა: იორდანეს პასუხს ელის, რომ შეჰკივლოს და თმები დაიგლიჯოსო.

— სად გაუშვი ბალღები? — დამშვიდებით იკითხა იორდანემ.

მარინესთვის არ შეუხედავს, არც თავი აუწევია.

— ნავთიზა გავგზავნე საღვამიჩაოში. ხომ არაფერი შეგიტყვია?

— რა უნდა შემეტყო, დედაკაცო?! დათვი შეჭამდა თუ მგელი ამ შუადღისას?

მარინემ სული მოიბრუნა.

ჯანდაბას ყველაფერი, ბავშვებს ნურაფერი გაუჭირდებათო, — ამოიკითხებოდა მარინეს უფერულ პირისახეზე.

იორდანეს დაამთქნარა.

— შენ რალა მოგაჩქარებდა? ცას მტვერი მიცივა... — უსაყვედურა ქმარს.

იორდანე მუხის ტანს მიჩერებოდა. მიწიდან ერთი ადლის სიმაღლეზე გარკვევით მოსჩანდა მსხვილი ასოებით ამოჭრილი: „გივი“. ჭრილობა უკვე შეხორცებოდა მუხას.

იორდანე თვალს არ აშორებდა წარწერას.

„მოსწრებული დამეღუპა... ვაი ჩემს გაჩენას“, — გაივლო გულში და მიწას ჩახედა დასაკლავი პირუტყვივით.

— აღარ იტყვი, ადამიანო? — გაუმეორა მარინემ.

— რას ჩამაცივდი, დედაკაცო?! მომინდა და დავბრუნდი.

— სადილს რალად მიათრევდი, თუ შუადღეზე აპირებდი გამოქცევას?

— ამომართმევს ახლა კისრის ძარღვებს! მომშორდი, დედაკაცო, აქედან! — დაიღრიალა იორდანემ და ცოფიანი თვალებით შეხედა აყბედებულ მარინეს.

მარინე ბუზღუნით შეტრიალდა... გზადაგზა ფიჩხი აკრიფა და ფაცხაში შევიდა.

— იზარმაცე, იზარმაცე, მამიშენის ცხონებამ... ზამთარში არ გეყოფა დასვენება, — მოესმა იორდანეს გაანჩხლებული ცოლის საყვედურები.

— სულელი დედაკაცი! — ჩაიქნია ხელი იორდანემ და ყალიონი გაანთო.

ფაცხაში ჯამ-ჭურჭელი ახმაურდა.

იორდანემ წაუყურადა.

მარინემ საფქვილე კოთხოს ხუფი მოხადა. ორ-სამ ადგილას დაკერებული საცერი ფქვილით გაავსო და გაბზარულ გობის ერთ კუთხეში ხელები აათამაშა. გარეთ გარკვევით ისმოდა საცერის კარბისა და მარინეს ხელისგულის ტყაპა-ტყუპი. გობზე გაცრილი ფქვილის გორაკი თვალდახელშუა იზრდებოდა. ხანდახან მარინე გობის კიდეს მარცხენა ხელს დაჭკრავდა და ფქვილის გორაკი ინგრეოდა, როგორც კინოში ინგრევა მთაგრეხილები მიწისძვრის დროს.

მარინემ ჭადი დააკრა. ფაცხაში დახრუკული ფქვილის სუნი დადგა.

იორდანემ სუნით იცნოსა, რომ მარინე ვახშმის სამზადისში იყო გართული.

აქამდე სულ იმას ფიქრობდა: ხომ არ გაბრაზდა, ხომ არაფერს ამტვრევსო. ეს ერთი ხანია ხელმარცხიანობა დასჩემდა მარინეს. უსიხარულო ცხოვრებამ, სიკვდილმა და გაჭირვებამ ძარღვები მოუშალა. გულისმოსვლას ვეღარ იტანდა. უეცარი სიხარულიც ცუდად მოქმედებდა. ეს იცოდა იორდანემ და იმიტომ წაუყურადა წელან, მარინე ჯამ-ჭურჭელს ხომ არ ამტვრევსო.

მარინე კი იორდანეზე ფიქრობდა: ნეტა რა მოუვიდა ამ ყაზახს, რატომაა ასე გაცოფებულიო: „ლურჯა რომ დაგვეღუპა, იმ დღეს მოვიდა ასე საცნაურდაკარგული. ხემსი არ აუღია. ერთი კვირის განმავლობაში ხმა არ გაუცია. მეორეც ეს არის. ალბათ, ბაჟი შეაწერეს და მიტომ დაბრუნდა ასე ადრე. სულ იმას იძახდა, თუ დამბეგრეს, მეშეშეობაზე ხელს ავიღებო, ქალაქში გადევიკარგებიო. ნეტა აქედან წამათრევდეს და... თუნდაც ჯოჯოხეთში წამიყვანოს. ამის უარესი რაღა იქნება! გამოვყრუვდი მარტოდ ყოფნით. ლაპარაკი გადამავიწყდა. ხანდახან განგებ შევუძახებ ძაღლს ან თხას გამოველაპარაკები: ხომ არ დავმუნჯებულვარ მეთქი“.

ფეხისხმამ გამოაფხიზლა.

იორდანე შემოვიდა ფაცხაში. ამოიოხრა და ლოგინზე მიწვა. თვალწინ მუხაზე ამოჭრილი მსხვილი ასოები ედგნენ, მოსვენებას არ აძლევდნენ მწარე მოგონებები. თანაც შეშის დარდი აწუხებდა. მოსწრებული დამეღუპა... ძმასავით ამომიდგებოდა გვერდითო. უფროსების მოგონებაზე გოჩა და ნუნუც გაახსენდა. იორდანე სულ იმას ისაყვედურებოდა, სუსტები არიანო. მართლაც, ნუნუ უკვე ცამეტი წლის ქალია, მაგრამ ჩხირის მსგავს ფეხებზე დგას. გოჩაც კაფანდარა ბავშვია. ციებამ საშველი არ მისცა. ვერ იქნა, ფერხორცი ვერ შეიძინეს სისხლნაკლულმა ბავშვებმა.

იორდანემ თავი აიღო და მარინეს შეხედა.

მარინე ბუჯერში ჯამ-ჭურჭელს ასუფთავებდა.

— ვახშმად რა გაქვს, დედაკაცო? — განგებ კუშტად ჰკითხა ცოლს. გულში ასე გაიფიქრა: თუ შემომხედა, თანდათან მოვლბები და შევურიგდებიო.

ახლა მარინემ აღარ გასცა ხმა.

— გამებუტე? — ჩაიცინა იორდანემ. — თვითონ შემირიგდები.

— არ აგიდგეს გვერდები. თუ წელან ვერ იღებდი ხმას, ახლა რამ აგაჭიკჭიკა.

— კაი, თუ ღმერთი გწამს, მარინე! ჩემი დარდი მეყოფა... შევრიგდეთ, შე ქალო... სამაგიეროდ ხვალ შეშის საზიდავში წაგიყვან.

— მამა გიცხონდება... დგებიას ქალი შეშის საზიდავში გამოგყვეს.

— თეატრში გამომყვები?

— შენს მეტს რათ უნდა თეატრი! — ამოიდგა ენა მარინემ: — წეეთრევა ფოთში, მეიჯერებს გულს თეატრებით, კახპებით და ამობრძანდება ჯიბეგამორეკილი. მარინემ რა იცის კაი ცხოვრების გემო!

მარინე ერთბაშად მოტრიალდა ბუჯერიდან და გარეცხილი ქვასანაყი ხელში შერჩა. იორდანემ თვალი შეასწრო და განგებ შუბლზე ხელი მიიფარა:

— არ გაგიჟდე, დედაკაცო, არ დამარტყაო, — შეემუდარა მარინეს.

მარინეს გაეცინა.

— ნეტა, მართლა, ასე გეშინოდეს ჩემი... ოჯახს არ დააქცევდი, — უთხრა გუნება-შეცვლილ ქმარს.

— მე დავაქციე ოჯახი? — აიმრიზა იორდანე და მარინეს მიაშტერდა.

უცებ ღიმილი გაქრა მის სახეზე: თვალები გაუფართოვდა, შუბლი მოიჩრდილა და თითქო გაქვავდაო, აღარ განძრეულა.

— რავა გიჟივით მიყურებს ეს მიწაგასახეთქი! — აკაპასდა ისევ მარინე.

— მიწა შენ გისკდება, როგორც გატყობ.

მარინემ ხელი მიიფარა საეჭვოდ წამობერილ მუცელზე. წელზედა შეისწორა. მიხვდა, იორდანეს ქარაგმის მისამართი მარინეს მუცლისკენ იყო მიმართული. ფერმკრთალი ლოყები შეუყვავილდა სირცხვილისაგან.

იორდანეს გულში ესიამოვნა მარინეს ფეხმძიმობა, ისე, როგორც ყოველი გლეხი სიამტკბილობს ცოლის ფეხმძიმობის ამბის შეტყობისას. მაგრამ განგებ შეიჭმუხნა შუბლი და საყვედურიც მიახალა ცოლს: ამ გაჭირვების დროს რა გეფეხმძიმებოდაო. ვითომ ეჭვიანობაც მოიგონა: ყველიერის აღების აქეთია სიახლოვეს არ გაგკარებივარ და რა სულიწმინდამ დაგაორსულაო.

მარინემ იფეთქა:

— უი, დაგიდგეს თვალები, შე მართლა ბილწო და გაფუჭებულო! თვითონ დაეთრევი კახპებში და.. სხვას სწამებ ბოროტებას. ნაღდგომებს რომ ამოეთრიე გალეშილი, აღარ გახსოვს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

იორდანემ თავი ჩაღუნა, თითქო მართლა რაღაცას იგონებსო.

— მერე?

— მერე... — გააჯავრა მარინემ და წელზე დოინჯი შემოიდგა, — რომ აბოდიალდი და არ მეისვენე, არც ის გახსოვს?

— მერე?

— აბა, ვის სწამებ ბოროტებას, შე თვითონ....

იორდანემ ველარ მოითმინა და გულიანად გადიხარხარა.

— გეხუმრე, შე ქალო! ვინ ოხერი გადაცდება შენზე, მიწიდამ ამოღებულს გავხარ...

— შენი შემხედვარე ცოცხალი როგორ ვარ, — იწყინა მარინემ.

სიჩუმე ჩამოვარდა.

მარინემ ჯირკზე მოიფრთხნა. იორდანე ლოგინზე წამოწვა და ჭვარტლიან ჭერს მიაჩერდა.

დიდხანს იყვნენ გარინდულნი და ხმაგაკმენდილნი.

— შეშის ზიდვას რომ იძახდი, ხუმრობდი თუ რა ამბავია? — დაარღვია მყუდროება მარინემ.

— ვხუმრობდი კი არა.. ათ დღეში უნდა გამოვზიდო სანაოზე.

— რა მოხდა ამისთანა?

— რიონი უნდა გადმოვაგდოთ ჭაობშიო, გამომიცხადეს... არხი უნდა გავჭრათო.

— ვინ სთქვა, ყაზახო, მაგ სისულელე?

— ვინ სთქვა და სოლომონ ბრძენმა... თავკაცებმა სთქვეს... თვის ბოლოს მუშაობას ვიწყებთო.

— დამიდგეს თვალები! მართალს ამბობ, იორდანე, შვილებს გაფიცებ?

მარინემ მორცხვად დაიხედა მუცელზე, თითქო თავის თავს უსაყვედურებდა: ამ გაჭირვების დროს რაღა გეორსულებოდაო.

იორდანემ უსიტყვოდ ამოიკითხა ეს მარინეს დალონებულ სახეზე. კიდევ უფრო შეეცოდა ციებ-ცხელებით ჯანგატეხილი ცოლი.

ეზოში ბავშვების ჟრიამული ატყდა. კარი გაიღო და ფაცხაში გოჩა შემოფართქალდა. სულს ძლივს იბრუნებდა. ნავთის ჭურჭელი კუთხეში დადგა და უკან მიიხედა: ნუნუ რა იქნაო.

— რა მოგარბენინებდა, ბიჭო? — გაუწყრა იორდანე აქოქინებულ გოჩას.

— იმდენი მარბენინა, გული მტკივა... — საყვედურებით შემოვიდა ფაცხაში ნუნუ.

— გული ტკივა... — გააჯავრა გოჩამ. — ვინ გაძალებდა?.. მართლა, კინალამ დამავიწყდა... ბაბაია, ნოქარმა შემოგითვალა: ღარიბებზე ფართალია მოსული და მეიკითხეო.

ცოლქმარმა ერთმანეთს გადახედეს.

— იხუმრებდა ვინმე... — მარინეს გასაგონად სთქვა იორდანემ და ულვაშებში ჩაიცინა, მაგრამ გოჩას რა გამოეპარება.... იორდანესთან მი-

იცრა და თავგამოდებით შეეკამათა: არა, ბაბაია, დღესაც არიგებდნენ სიებით... უამრავი ხალხი იყო დუქანშიო.

— შენ სულ ხუმრობა გელანდება, — წამოეხმარა გოჩას მარინეც, თუმცა თითონაც ყოყმანში იყო, ნეტა ვის მოვაგონდითო — გოჩა ეჭვიანდით მოისვა და დაწვრილებით გამოჰკითხა, ვის მისცეს ფართალი, რამდენს იძლეოდნენ, რა ფერისა იყო ჩითები, განი როგორი ჰქონდა.

გოჩა გულმოდგინედ უამბობდა ნახულსა და გაგონილს. ზოგჯერ ნუნუს იმოწმებდა — ხომ მართალიაო.

ტყუილიც რომ ეთქვა გოჩას, ნუნუ მაინც ეთანხმებოდა. ეშინოდა, დროს შემირჩევს და მცემსო. გოჩა მეტად ანცი და მაჩხუბარი ბავშვი იყო... როცა შინ იყო, ნუნუს ეკირტიმლებოდა... სჯობნიდა ყველაფერში და გულმოსული ნუნუ ტირილით სკდებოდა, ამ ჭიამკვდარმა როგორ მაჯობაო.

იორდანემ მძიმედ ამოიოხრა: მას შეშის საყადლები არ აძლევდნენ მოსვენებას.

*

* *

შეშის გადაზიდვამ საგონებელში ჩააგდო იორდანე. მოძალებული სამუშაო ბევრჯერ ჰქონია, ხელმოკლეობა სილარიბესთან ერთად შეეზარდა მის ოჯახს, მაგრამ ასეთი რამ ჯერ არ უნახავს. მთელი ზაფხული ტყეში გაატარა იორდანემ. შვიდი-რვა საჟენი შეშა დააყენა. ფიქრობდა ერთ თვეს კიდევ ვიმუშავებ შეშის საჩეხში, ბარემ ათ საჟნად მოვათავებ და მთიდან ნახირი რომ დაბრუნდება, გამოტანას შევუდგებიო. სხვა რამესაც ფიქრობდა იორდანე. თუ შეშა რიგიან ფასებში გავყიდე, სამასოთხას მანეთს გადავინარჩუნებ და... ოდა-სახლისათვის ფიცრებს ვიყიდიო. მარინესაც გაუმხილა თავისი განზრახვა... მარინემ მოუწონა: ღმერთმა ხელი მოგიმართოსო. დალოცა ხელაპყრობით... გულში კი ასე გაიფიქრა, თუთხმეტი წელიწადია ოდა-სახლზე ვოცნებობთ, მაგრამ... ღერი ფიცარი ვერ შევმატეთ ოჯახსო.

ეს ფიქრი უსიტყვოდ ამოიკითხა იორდანემ მარინეს სახეზე. ხელაპყრობით დალოცვა დაცინვად ჩამოართვა მაკვარანცხი ენის პატრონ ცოლს და გადასწყვიტა, მოდი ბარემ მთავარ საიდუმლოებასაც გავუმჟღავნებო. მაგრამ გულს რომ შეეკითხა, განზრახვაზე ხელი აიღო. თუ წლეულსაც გამიმართლა მუშაობამ, ოჯახის საჭიროებას ცოტას წავაკლებ, შარშანდელ დანაზოგს წავუმატებ, ვიყიდი ფიცრებს, საშენ მასალას, დავტვირთავ ურმებს და ეზოს გადავათეთრებ ფიცრებით, მაშინ უფრო მეტი ფასი ექნება საიდუმლოების გამჟღავნებასო.

საიდუმლო ის იყო, რომ იორდანეს ექვსასი მანეთი ჰქონდა თავმოყრილი და გადამალული. ოჯახს ტან-ფეხი აკლდა, ხეირიანი სასმელ-საჭმელი, ოჯახის ალაფი და სასტუმართმოყვარო სირცხვილ ნამუსისთვის საჭირო ხელგაშლილობა, მაგრამ იორდანეს ოდა-სახლის ფიცრები ედგა

თვალწინ, ოდის კარ-ფანჯარა და სინათლიანი ოთახი ელანდებოდა... ამიტომ იყო ხმაგაკმენდილი. ამიტომ ჰქონდა თავნაყარი ფული ცხრა-კლიტულში შენახული. დღესაც გულგრილად შეხედა იორდანემ [illegible] კაბაშემოცვეთილ მარინეს, ფეხშიშველ ბავშვებს და ენას [illegible] ვა. საიდუმლოების გამომჟღავნებაზე ხელი აიღო. იორდანეს თითქო ეშინოდა, თუ გავამჟღავნე ორი გროშის გადამალვა, ამიყაყანდებიან, ტანზე არ გვაცვია, ფეხშიშველები ვართ, სახსნილო გვენატრებაო და... იორდანეს ქვის გული როდი აქვს: წავა ფოთში და ნაყიდ-ნავაჭრით ცოლშვილს გაახარებს, გატყავულ ქვეშსაგებსა და სახურავს პირსარჩულსა და მითელს გამოუცვლის. ბრდღიალა ჩითის საბნები გულსაც გაუხარებს და ტკბილადაც მოასვენებს. მაგრამ ოდა-სახლი?

იორდანემ ასე გადასწყვიტა: ის გადამალული ფული ვითომ არ არსებობს ამ ქვეყნად, არც არასოდეს ჰქონია და ვითომ არც ახლა გააჩნია გროში-კაპეიკი. ადგა და ტყეს მიაშურა.

დღეს ისევ ჩაუმწარეს ნეტარი ფიქრები. შეშის ჩეხაზე ხელი ააღებინეს. გადმოზიდვის საზრუნავი უდროო დროს გაუჩინეს. ნაწილობრივ უკვე ჩაიშალა იორდანეს გეგმა. საყადლებს ათ საჟნად ველარ მოასრულებს. ათს ვინღა სჩივის, რაც დამზადებული აქვს, შეიძლება ისიც დაკარგოს...

ფიქრებს თავი ველარ გაართვა.

ადრე ივახშმა და მერე მთელი სოფელი ჩამოირბინა. ხარ-ურემი ვერსად იშოვა. მეზობლის დედაკაცმა მიასწავლა: საღვამიჩაოში ბურდუ ჩაჩუას ჰყავს უღლად ხარები, მაგრამ ისიც დაატანა, ჩაჩუა სამ თუმან ნაკლებ სახრეს არ მოიქნევსო.

იორდანემ ხელი ჩაიქნია.

დღეში სამ-სამი თუმანი რომ მეხრეს აძლიოს, ფოთში ჩატანილ შეშაში თავნს ვერ აინაზღაურებს. შემონახული გროშებიც ხელიდან წაუვა, და ვინ იცის, შეშას რა მაზანდა დაუდგება.

იორდანეს მიკიტან გვასალიას ოინი მოაგონდა. იმ დღეს თავნიც ველარ გაინაღდა იორდანემ. კოოპერატიული სასადილოების გამგეებმა პირი რომ შეჰკრან და შეშის დაყენება სახელმწიფო ფასებში მოითხოვონ?

— არა, სამ თუმანს ვერ მივცემ, ბატონო! — გადაწყვეტით სთქვა იორდანემ და მეზობლის დედაკაცს „ძილი ნებისა“ უსურვა.

რაღა ახლა მოაგონდათ რიონის გადმოგდება?!—ბუტბუტებს იორდანე და უცხო ხალხთან შეხვედრა აგონდება.

მოულოდნელი იყო იორდანესთვის რიონის გადმოგდების ამბავი. გაზეთებში ბევრჯერ ამოუკითხავს, კოლხიდის ჭაობი უნდა ამოშრესო, მაგრამ თუ ჭალადიდის ჭაობში ვინმე ფეხს შესდგამდა, ეს არ ეგონა. ჭაობის ამოშრობა არც ეხლა სჯერა, ტყუილ ოცნებად მიაჩნია, მაგრამ ეს საქმეს მაინც არა შველის, იორდანეს საყადლები არხის ფართობში რაკი მოხვდნენ, შეშის გადაზიდვა მაინც აუცილებელია. ისე, იორდანეს

ფიქრით, რიონს კალაპოტს ვინ შეუცვლის. წისქვილის ღელე რომ არ არის, რომ ჯებირი გაუკეთო და წყალს მიმართულება შეუცვალო.

— მე კი დამღუპეს და... ჯანდაბამდის გზა ჰქონიათ! ... ხმამაღლა წაიბურტყუნა იორდანემ და თემშარაზე გავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთვარიანი ღამე იყო. რიონის პირად მეფშალიები უსტვენდნენ. მოსარკული ცის ეშხსა და მშვენიერებას ჩიტუნებიც აემეტყველებია.

იორდანე ბედის ვარსკვლავს დაეძებდა უსაზღვრო სივრცეში. „ირმის ნახტომს“ თვალი გააყოლა და პაპის მრავალგზის ნაამბობი მოაგონდა: ფოთიდან ვაჭრები ირანში მოგზაურობდნენ, ყვირილის შესართავამდე ნავებით მიდიოდნენ. ყვირილიდან შორაპანზე გავლით სურამს გადაყელავდნენ და ტფილის-ქალაქს ჩავიდოდნენ. ტფილისიდან თავრიზს მიეშურებოდნენ... ქარავნის გზის მაჩვენებელი „ირმის ნახტომი“ იყო.

შეეხარბა იორდანეს უცხო ქვეყნებში მოგზაურობა. ჯარისკაცობას რომ გადარჩა, ტაშკენტს გაემგზავრა იორდანე. ორი წელი დაჰყო უცხო ქვეყანაში „ირმის ნახტომს“ იქაც ხედავდა, მთვარესაც. იორდანე ნაცნობ ვარსკვლავებს შეჰყურებდა... ფიქრობდა, ეს ვარსკვლავები ჩემს ეზო-მიდამოსაც დაჰყურებენო, და კმაყოფილი იყო, რომ მისი თვალები ასე ხარბად შეჰყურებდნენ მისთვის ხელმიუწვდომელ საგანს, რომელიც თანაბრად აშუქებდა კოლხეთისა და შორეული ტაშკენტის მიდამოებს.

სამშობლო ქვეყნის განშორების დარდი არ ასვენებდა იორდანეს. საზარბიელო ბევრი არაფერი ეგულვებოდა სამშობლოში, მაგრამ ტაშკენტი მაინც მიატოვა და ისლიან ფაცხას დაუბრუნდა საღვამიჩაოში.

მას შემდეგ რამდენი ხანი გავიდა, რამდენმა წყალმა ჩაიარა.

იორდანე დღესაც იმ ფაცხაში ცხოვრობს. წლეულს აპირებდა ისლის ბულულის „თავზე გადაძრობას“, მაგრამ ბოლშევიკებს სწორეთ ახლა მოაგონდათ ჭაობის ამოშრობა.

იორდანემ მწარედ ამოიოხრა, შედგა და მეფშალიების სტვენას წაუყურადა. რიონი ფუხფუხით მიარღვევდა ლაჟვარდ ტალღებს... ფონის ბოლოს უძრავ მორევად იშლებოდა.

მორევს გადახედა იორდანემ. მორევის ფსკერზე გავარვარებული სპილენძის ტაშტივით აბრჭყვიალებული მცხრალი მთვარე დაინახა. აქაიქ ვარსკვლავები გაიელვებდნენ ციცინათელებივით, კაცი იფიქრებდა, თეთრი კენჭები კიაფობენო.

იორდანე გაპარტახებული ჭიშკრის ბოძივით იდგა რიონის ნაპირზე და გამოლენჩებული დაჰყურებდა საოცარ სანახაობას.

ფეხის ხმა შემოესმა. ჩაახველა და რიონის გასწვრივ დაკლაკნილ შარას გააყოლა თვალი, თუ ვინმე მოდისო.

წინ არავინ მოჩანდა. უკან მიიხედა იორდანემ. შუბლის მოჩრდილვა ველარ მოასწრო, უტუ ბერულავას შეეფეთა ჯიქურ.

საგარეო ტანსაცმელი ემოსა უტუს. ჟღალ ჩოხას სპილოს ძვლის კოპალებიანი ქამარ-ხანჯალი უმშვენებდა. ხანჯლის ქარქაში შავ მარმაშ-

ში იყო გახვეული. მკლავზედაც შავი ეკერა უტუს. დაინახა თუ არა იორდანე, ოქროსფერი ბუხრის ქუდი მოიხადა და მოკრძალებული სალამი მისცა. სად ბრძანებულხარო, დაატანა უტუმ, სანამ იორდანე ხელამს დაუბრუნებდა.

ბიბლიოთეკა

იორდანე შეჩქვიფდა. სასოფლო კრებაზე შეჯახების შემდეგ პირისპირ არ შეხვედრია უტუ ბერულავას. სალამსაც არ მოელოდა მისგან... აქ კი — სად ბრძანებულხარო...

იორდანემ თეძოზე მოიკიდა ხელი. ყამის ქარქაში ხელში მოხვდა და ლონე შეემატა.

თვალს არ აშორებს უტუს. მისი ხელების მოძრაობას ზვერავს, ვინიცობაა, ხანჯალს წაეპოტინა უტუ, ხელცარიელი არ შეხვდება, თვითონაც ყამის ტარზე უჭირავს ხელი.

უტუმ იაზრა იორდანეს მზად ყოფნა. შორი-ახლო დადგა და განგებ ამინდზე ჩამოაგდო სიტყვა. მოსავალს კაი პირი უჩანსო, სთქვა, მაგრამ მოაგონდა, რომ იორდანეს ნახნავ-ნათესი ბევრი არაფერი გააჩნდა და შეშის ამბავი გამოჰკითხა.

იორდანეს არაფრად ეპიტნავა უტუს მახლობლური კილო და სულდათქმული ჭუჭუნ-მუსაიფი, მაგრამ თანდათან თვითონაც შეჰყვა საუბარში და ბოლოს იქამდის მივიდა, რომ თავისი ოჯახური ჭირვარამიც უამბო.

— მთელი სოფელი შემოვიარე და ხარ-ურემი ვერსად ვიშოვნე საქირაოდ, — შესჩივლა იორდანემ.

— სოფელს თუ შემოივლი, თორემ, აბა ნუ გეშინია, ჩემსას არ ჩამოიხედო ეზოში... შე კაცო, მართლა ტრიფოლიატის ეკლებით კი არ მაქვს შემოღობილი ოჯახი. ჩემს ეზოს ჭიშკარიც აქვს კაცის მისასვლელად...

იორდანე სახტად დარჩა.

ამას სულ არ მოელოდა მტრადმიჩნეულ კაცისაგან. არ თვალთმაქცობდესო, გაიფიქრა და ორი ნაბიჯით უკან ჩამორჩა უტუს.

უტუ ენაწყლიანობდა: სასოფლო კრებაც მოიგონა. არტელის დაარსებაც.

— კომუნა დავაარსოთ მეთქი, ძალიან ვთქვი, არა? ნამდვილი „დავბასე“ იყო, მე ნუ მოგიკვდე... — გაიმეორა უტუმ იორდანეს იმდღინდელი მოსწრებული თქმა და გესლიანად ჩაიქირქილა.

ნაძალადევი სიცილით რომ გული იჯერა, უკან მიიხედა, ხომ არავინ მოგვდევსო, და დაბალი ხმით განაგრძო:

— შენ ძალიან წამომეშველე, ჩემო იორდანე. შენ რომ არ გეყვირა, რად მინდა ბერულავას ზიარი კომუნაო, ვინ იცის, როგორ გათავდებოდა საქმე. მაგრამ... ჭკუაა, იორდანე, საჭირო, ჭკუა. ჭკვიან კაცს ზღვა ვერ დაახრჩობს. ცეცხლში რომ ჩავარდეს, გასავალს მოძებნის...

იორდანე ხმას არ იღებს. გულმოდგინედ ისმენს ბერულავას ქარაგმებს, მაგრამ ჯერ კიდევ ვერაფერი გაუგია, მუქარას ნიშნავს ეს ქარაგმა, თუ დაცინვასა და აბუჩად აგდებას.

— შენ ჭკუა-გონება არ გაკლია, ჩემო იორდანე. ჯანსაღ-ლონეზეც საყვედურს ვერ იტყვი, მაგრამ... ნუ გეწყინება, მიუკარებელი კაცი ხარ და... განდეგილობით ჩვენს დროში შორს ვერ წახვალ. ვილაცას უნდა ედგე გვერდით, თუ გინდა, რომ ჭერეხზე გავარდნილი თევზივით არ ამოგხდეს სული.. ვილაც უნდა გედგეს გვერდით, და საერთო ძალღონით, ხომ იცი, ხეს მოხეთქავს კაცი. რომ ამბობენ, ძალა მთლიანობაშიაო, განა ტყუილს ამბობენ? მთლიანობა ის კი არ არის, ყაზარმაში შელაგდეს მთელი სოფელი და ასმეტრიან საბანს ქვეშ ათიოს ღამე... სხვანაირი შეკავშირებაა საჭირო... ამეიღე ხმა, შე კაცო! რამ დაგამუნჯა? — მიუბრუნდა უტუ იორდანეს, როცა შეატყო, რომ იორდანეს დუმილი უფროსი კაცის მოსმენის თავაზიანობით არ იყო გამოწვეული.

— რა ვთქვა, უტუ-პატენი!? მეც ვიცი, განდეგილობას შეკავშირებული ცხოვრება სჯობია, მაგრამ ხელმოკლე კაცი ვის ეშმაკს შევუკავშირდე. აკი, ახლა მოგახსენებდი, — თავადიშვილურად შეუქცია იორდანემაც: — მთელი სოფელი მოვიარე და ხარ-ურემი ვერ ვიშოვნე მეთქი. ლატაკი კაცის ბედი მუდამ ასეთი იყო...

— და იქნება მომავალშიაც, — დაუმატა უტუმ: — თუ ღარიბები მარტო ღარიბების გვერდით ამჯობინებენ დგომას... ლაპარაკი ერთია, ჩემო იორდანე, საქმე კი სულ სხვა გზით მიდის... ხომ ძალიან ყვიროდენ სოფლის კრებაზე, კულაკები გავასახლოთო... შენც იმათი მომხრე იყავი... რა გამოვიდა? რაიონმა დაადგინა ჩვენი გადასახლება, ქონების კონფისკაცია... გადამასახლეს? ვერ მივართვი... გოგუაძისა და ბონდოს თავს ჩემი არჩიეს... ის თქვენი რაიკომის მდივანი ძალიან ეცადა, ვილაც ვაშალომიძე რომ იყო, ისიც წამოეხმარა, მაგრამ რაიკომის მდივანს სადღაც ბორჩალოში ამოაყოფინეს თავი... უტუ ბერულავა კი... ხომ მიყურებ... თავის ეზო-მიდამოზე ცხოვრობს. ასეა, ჩემო იორდანე!

— მეც ვიცი, რომ ასეა, — უხალისოდ ჩამოართვა სიტყვა იორდანემ. — წინათ ქრთამი ანათებდა ჯოჯოხეთს, ახლა ნაცნობობასა და მიდგომ-მოდგომას აქვს გასავალი. პურმარილიც არ არის დავიწყებაში.. ჩემისთანა კაცმა რა უნდა ქნას... მე არც ნაცნობი გამაჩნია, არც მიდგომ-მოდგომის შნო და ლაზათი მაქვს, პურმარილით კი... აბა, ვინ უნდა გავაკვირვო? იმ დღეს, გახსოვს, — სოფლის კრება მოაგონა უტუს იორდანემ: — რაიალმასკომის თავმჯდომარე დაპატიმრებას მიპირებდა. მეც დავლუნე თავი და ველოდი, როდის წამიყვანენ მეთქი, კიდევ კარგი, თვითონ მოიგუნება თუ სხვა ჩაერია, ეს აღარ ვიცი, და მითხრეს, წადი შინო, თორემ... ჩამსვამდა და ის იქნებოდა. ვისაც მიდგომ-მოდგომა შეუძლია, სამართალს ყოველთვის იპოვნის. ერთი დაჩაგრავს, შეორე გამოუჩნდება დამცველი და ქომაგი. მე ვინ მიცნობს მივიწყებულ ღარიბ-ლატაკს?

იორდანე გაჩუმდა. უტუ ყურებ-აცქვეტილი უსმენდა, რაც იტყვის იორდანე, როგორ განწყობილებას გამოამჟღავნებსო, მაგრამ იორდანემ სწორედ იქ გასწყვიტა საუბარი, სადაც, უტუს ფიქრით, მოვლენების საყვედურები უნდა დაეწყო ღვამიჩავას. უტუ იმასაც მოელოდა, თუ გულწრფელად არა, პირფერობით მაინც მომილოცავს იორდანე, გადასახლებას რომ გადავრჩი და ქონება ხელუხლებელი დამრჩაო.

იორდანემ უყურა.

კარგა მანძილი განვლეს გამგუნებულებივით. ბოლოს ისევ უტუმ დაარღვია მყუდროება.

— მაშ ხარ-ურემი ვერ იშოვე, იორდანე, არა?

— ვერ ვიშოვე, — ცალყბად უპასუხა იორდანემ. ამოიოხრა და დადუმდა.

— თუ არ იბრძნი ჩემს მეზობლობას... მე გათხოვებ ხარ-ურემს, — ეშმაკურად შეაპარა უტუმ. — გუშინ ჩამომიყვანეს იალაღიდან... ავ თვალს არ ენახება.

იორდანემ თავი ასწია. თვალები გაუბრწყინდა უტუს მოულოდნელი თავაზიანობისაგან.

— გამაკეთებ და ის იქნება, უტუ-პატენი!

— წეიყვანე, ბატონო. რამდენი დღის საზიდი გექნება?

— შვიდი საჟენი შეშაა!

— არაფერია. სამ-ოთხ დღეს გამოზიდავ. წეიყვანე, ბატონო! — გაუმეორა უტუმ და ღიმილით გადახედა.

იორდანემ მთვარის შუქზედაც ადვილად ამოიკითხა, რომ ეს ღიმილი შემპარავი იყო, ორაზროვანი.

ისევ დადუმდნენ.

იორდანე ძალას ატანდა თავს, მოდი, უარს ვეტყვიო, მაგრამ მოაგონდებოდა ოდა-სახლი... გადამალული ექვსასი მანეთი და... ხმა უწყდებოდა.

— რას გადამახდევინებ, უტუ-პატენი? — უხეშად ჰკითხა იორდანემ, იქნებ ძვირად დამიფასოს და თავიდან მოვიშორებო.

უტუმ ხელები გაშალა: არა გრცხვენია, იორდანე, რომელ ქირაზე მელაპარაკებიო.

ამან სულ მთლად გააოცა იორდანე. უთუოდ რამე მახეს მიგებსო, გადასწყვიტა მან ერთბაშად და აღარც ავი უთხრა, აღარც კარგი.

უტუც აღარაფერს ამბობდა.

იორდანე თავის ეზოს მიუახლოვდა. ჭიშკართან ნაბიჯი შეანელა და „ღამე მშვიდობისა“ უსურვა ბერულავას.

— ხომ მეიკითხავ? — მოაგონა უტუმ გამოთხოვებისას.

— უქირაოდ ვერა, უტუ-პატენი! თუ მოვრიგდებით, გიახლები.

უტუმ იაზრა, რას ნიშნავდა იორდანეს ასეთი პასუხი, მაგრამ ჯერ-ჯერობით ესეც კმარაო, — გაივლო გულში და აღარ დააყოვნა: თუ ძალიან გინდა, შე კაცო, ქირის გადახდა, შენი ნება იყოსო.

ახლა იორდანემ ქირის ოდენობაზე ჩამოაგდო სიტყვა.

— გინდა ფულად მომეცი, გინდა შეშა დამიწყე სანაოზე, შეშა კი მირჩევნია, უმცროსმა სიძემ შემომიკვეთა, და თუ ნახევარ ფასენ ... ვაზებ, მადლობელი ვიქნები, — ამოიღერღა უტუმ.

— დიდის კმაყოფილებით! — მადლობის ნიშნად ყაბალახი მოუხადა იორდანემ უტუ ბერულავას და ჭიშკარში შევიდა.

უტუ შარას გაჰყვა ქვალონისკენ.

ქირა რათ მინდაო, თუ ჩემს მეზობლობას არ იბრძნიო, — აეკვიატა იორდანეს და მიმავალ ბერულავას თვალი გააყოლა.

— დიდი გაქნილი ვინმე ხარ, ვინც კარგად გიცნობს... — თავის კანტურით წაიბურტყუნა იორდანემ და ფაცხისკენ წაფრატუნდა.

7.

მთელი ღამე ბურანში გაატარა იორდანემ. ყოყმანობდა: ვიქირაო ხარები ბერულავასაგან თუ არაო. შიშობდა: რას იტყვის ხალხი? თვალთმაქცობას არ შემწამებენ? არ იტყვიან, რა პირით გამოვიდა კრებაზე ბერულავას წინააღმდეგ, თუ მის ოჯახთან ასეთი კეთილმეზობლობა ჰქონდაო?

უარის თქმა მაინც გაუძნელდა. თავი იმით ინუგეშა: ქირას ვაძლევ, მუქთად ხომ არ მომყავსო.

ალიონზე წამოხტა და საღვამიჩაოში გაექანა.

სოფელი ჯერ კიდევ განთიადის ბინდბუნდში იყო გახვეული. ისმოდა მამლების ყივილი, ძაღლების ყეფა, ფრინველთ ჟრიამული. რიონის ნაპირებზე მთაგრეხილებივით გაწოლილიყო ნესტიანი ნისლი. (ეს იყო ერთი ღამის ამონასუნთქი ნოტიო). კრიალა ცის ტატნობს აჭარის ქედებიდან აწვებოდა ვარდისფრად შეღებილი ღრუბლების ფიორები.

ვარდისფერი ღრუბლები დარის ნიშანიაო, ფიქრობდა იორდანე და ზავშვივით შენატროდა ზაფხულის ცინცხალ დღეებს.

ბერულავას ჭიშკარს მიადგა. ეზოში უცხო სტუმარივით შეიხედა. ბაიბური არ ისმოდა. იორდანე ეზოს მიაშტერდა. ზღვასავით იდგა ჩაცვარული სიმინდის ყანა, რომლის სიმაღლე კურტნიან ცხენს დაფარავდა. ეზოს სიღრმეში ტრედისფრად შეღებილი ორსართულიანი ოდა იდგა. ოდის წინ — კოინდრით ამწვანებული ბაღი. ბაღში კაკლისხე, ირგვლივ ხეხილნარი. ჭიშკრამდე — ტანწერწეტ კვიპაროსების ფართო ხეივანი.

„დადიას სასახლეს გავს", — გაიფიქრა იორდანემ და მასპინძელთან, დაიძახა.

არავინ გამოხედა, ალბათ, ხმა ვერ მიაწვდინა ამსიშორეზე.

ხელმეორედ დაიძახა იორდანემ, მესამედაც.

სამზადისის წინ ქოფაკმა დაიღლოფინა, აიბურძგლა და ღრენით გამოექანა ჭიშკრისაკენ.

— ჩუმად, ქელეშა! — წამოეწია ბამბურა ძაღლს უტუს ბოხი ხმა. ჩქარა უტუც გამოჩნდა ხეივანში. ახალოხის ღილკილოებს იბნევდა გზადაგზა. ჭიშკარს მოადგა და თავმომწონედ შეუძღვა იორდანეს.

— სტუმრები მყავდა და კინაღამ თავზე დამათენდა! — თავის ეფერებლების კილოთი სთქვა უტუმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩუმად გაიარეს გრძელი ხეივანი.

. უტუმ ქოფაკი სამზადისის წინ მიიტყუა ლაქუცით და მოფერებით. უზარმაზარი ჯაჭვით დაბა. გამობრუნდა და იორდანესთვის არაფერი უთქვამს, პირდაპირ გასწია კრამიტით გადახურულ ბოსლისაკენ.

ცხენის სიმაღლე ნისლა ხარები გამოიყვანა უტუმ. თავაღერილი მოდიოდნენ, კოინდარს ერთხელაც არ წაეპოტინენ, თითქო განზრახ უსწავლებიათო. მოთეთრო დრუნჩები ისეთი სიკეკლუცით გაეშვირათ წინ, კაცი იფიქრებდა, საკოცნელად მიიწევენო. ორორი წყრთა რქები ნათალი სადაფივით ბრჭყვიალებდნენ სინათლეზე.

უტუმ შეუბა ხარები და იორდანეს მათი სახელები გააცნო. სახრე არ სჭირდებაო, გააფრთხილა წინასწარ.

სამზადისში ქათამი ააკრიახეს.

იორდანემ მოწუხული თვალები მოავლო „საათივით აწყობილ“ ეზონადგამობას. მანდარინებისა და ფორთოხლების შეხურხლულ ბუჩქებს. დახერხილი მესრებით შემოღობილ ბოსტანს.

„ამ ბოსტნისოდენა ეზო მაინც გამაჩნდეს“, — გაუელვა იორდანეს და ხარებს წინ გაუძღვა.

— საკვებს ნუ მოაკლებ, ჩემო იორდანე, — გააფრთხილა უტუმ იორდანე და ჭიშკარი გამოიხურა.

თემშარაზე წელში გასწორდნენ ხარები და ბუმბულივით გააქროლეს ცარიელი ურემი. იორდანე კოფოზე ჩამოჯდა. ღარდასმულ ხარებს ნატვრის თვალი შეავლო და ფიქრებში ჩაიძირა.

— აგაშენებენ ამისთანა ვეშაპები, აბა რა იქნება! — წაიბუტბუტა იორდანემ და ლომას გაუწყრა: წინ ნუ უსწრებო.

სოფლის ბოლოს როსტომი შემოხვდა იორდანეს. მის დანახვაზე ერთი ქართლ-კახური თქმულება მოაგონდა იორდანეს. ხარებს შეუძახა და გარინდდა.

როსტომმა თვალი გააყოლა გავეშებულ ხარებს. იცნო. ბრაზი მოერია და ერთბაშად ვეღარ გადასწყვიტა, სად წასულიყო — საქმეზე თუ უკან, არტელში.

არტელში ცნობის მიტანა ამჯობინა ბოლოს როსტომმა.

*

* *

უდიერი ტვირთი დაუდო იორდანემ. გვალვის გამო გზა კარგი იყო და ურემი ჭაობიან ადგილებშიც აღარ ეფლობოდა. ხარები აინუნშიც

არ იგდებდნენ მძიმე ჭაპანს. ოლრო-ჩოლრო ადგილებშიც არ ინერდნენ ქედს, არც ერთიმეორეს რჩებოდნენ ნაბიჯში.

ორი გზა რომ გაიტანა, ჭაობის ამომშრობლებს შეერევა ორდანე.

ხორავამ თვალი დაატანა ხარებს. ვისიაო, გამოჰკითხა, და ლობის კუროსავით ჩამოშვებულ ლაბაბზე ხელი მოუთათუნა.

— მესმის, ხარები! — ჩაილაპარაკა თავისთვის.

იორდანემ ურემს კონკილა გაუკეთა, ხარებს აპეურები შეუშვა და ურმის დატვირთვას შეუდგა.

— უტუ ბერულავას ზიარი კომუნა არ გინდა, იორდანე, არა? — ჰკითხა მოულოდნელად.

იორდანეს ჭვალი გაჭკრა გულმკერდში. ცუდად ენიშნა ხორავას ასეთი შეკითხვა. არ დავვიწყნივარო, გაიფიქრა და ნაცემი ძაღლივით შეხედა ხორავას.

— დღეს ქირას გახდევინებს უთუოდ, კომუნაში საერთო საკუთრებად გეყოლებოდათ ეს ხარები.

— რა ვიცი, ბატონო: ჩემი მოკლე ჭკუით რომ ვფიქრობ, თვითონ ბერულავაც არ იყო კომუნის მომხრე.

— აბა ტყვილა შეიტანა წინადადება?

— რა ვიცი, ბატონო, ენას ძვალი არ აქვსო, ძველთაგან გამიგონია...

— მაკვარანცხი ენის პატრონი ხარ, იორდანე... მე მშურს შენი მოსწრებული სიტყვა-პასუხი... მოზრდილი ტვირთი მიგაქვს, თუ ამინდმაც ხელი შეგიწყო, ადრე გაიტან ამ საყადლებს, — შეუბრუნა სიტყვა ხორავამ.

— ღვთისა და თქვენი წყალობით...

— ჩვენი წამოხმარება აღარ დაგჭირდება მეთქი, სწორედ ეს მინდოდა მეთქვა.

გაულიმა ხორავამ და თავისიანებს გადახედა.

მერაბ მერაბიჩმა ხელი დაუქნია. გაღმა ჭანჭრობზე ანიშნა და რაღაც ხმადაბლა ჰკითხა.

— მთავარი ინჟენერი თქვენა ხართ, მერაბ მერაბიჩ, პასუხს თქვენ აგებთ...

იორდანემ ჯირკი ურემზე შეაგდო და მერაბ მერაბიჩს მალულად დააკვირდა. „ეს არის მთავარი ინჟენერი?“ — ეუცნაურა იორდანეს. მისი გარეგნობა თვალში არ მოუვიდა. ჩაცმა-დახურვა მით უფრო ვერ შეუფარდა მთავარი ინჟენერის საკადრის ტანჩაცმულობას.

კიდევ დააკვირდა: კახაბერს ფეხთ ეცვა მთამსვლელის ნალებიანი ბოტინკები. წვივებს ინგლისური გეტრები უფარავდა. შარვლის ფასონს ვერვინ გამოიცნობდა, რალაც საშუალო იყო ბრიჯსა და გალიფეს შორის. ვერც მატერიას გაარჩევდა კაცი. საჯდომსა და მუხლისთავებზე ყვითელი მეში ჰქონდა გადაკერებული, ლაჯებში ხაკი დიაგანალი. ერთბორტიანი ტურისტული ფრენჩი ეცვა. ფრენჩის ღილები გახსნილი ჰქონდა. თვალს ხვდებოდა უზარმაზარი ბრტყელი ქამარი, რომლის ბრჭყვი-

ალა აბზინდა ნახევარ კილოს მაინც აიწონიდა. შარვლის სათავეს გაგონებდათ ბრტყელი ქამარი. ალმოსავლური ყაიდის ჭრელი ჯემპერი მოუჩანდა ფრენჩის შიგნით. იასამნისფერ პერანგს კაკტუსის ენასავით ხორკლებიანი ჰალსტუკი ელამუნებოდა. ხამის საყელო ბროლის ცხვირსაღილვით მიბჯენოდა ყბის ძვლებს. ისედაც მაღალი კისერი [illegible] მოსჩანდა. თავზე ბუდიონოვკა ეხურა. გულისკოვზთან დურბინდი ეკოფსიალებოდა. მარცხენა სადოინჯესთან — ფოტო-აპარატი „ლეიკა“, მარჯვნივ — ტყავის აბგა (სამხედრო პირები ატარებენ ასეთ აბგას). აბგის პირმხარეს ცელულოიდი ეკერა, რომლის ქვეშ გარკვევით მოსჩანდა კოლხეთის რუკა. მხარზე ქღალი ყაბალახი ჰქონდა გადაგდებული...

— კიდევ არაფერი ჰქონდა, რომ ჩაეცვა ნეტავი? — გაიფიქრა იორდანემ და დამცინავი თვალები მოავლო მეგრულ ყაბალახსა და შვინდისფერ ჰალსტუკს. — რავა, ეს კაცი უპირებს ჭაობს ამოშრობას? ეს შეხმუმი ფიქრობს ბუნების კანონების დარღვევას? თავში რა უდევს, არ ვიცი და გარეგნულად... ერთი ბასილა ბარამიძე იყო გურიაში, იმას მაგონებს. იმანაც ასე იცოდა გამოწყობა: ახირხლავდა თუ რამე იარაღი და წელსაკიდი გააჩნდა, ეს ქამარ-ხანჯალიო, ეს ფიშტოებიო, მათარა, დრამი, დანგი, ბაწარი და საპირისწამლე და რა ვიცი, მთელი იარაღების მაღაზია ეკიდა წელზე. არა, ბატონო, — ცოტა ხნის დუმილის შემდეგ სთქვა იორდანემ: — ეს კაცი ჭაობს ვერ დააშრობს. ბოლშევიკებს კაცის ცნობას ვერვინ ასწავლის, მაგრამ... აქ კი ტყუვდებიან, როგორც ვატყობ.

იორდანემ ურემი დატვირთა. საიდანღაც ხიტი მალანია გაჩნდა ჭაობში. ოფლი გადახეთქოდა. ხორავა დაიმარტოვა და რაღაც სასწრაფო ამბავი მოახსენა. ლაპარაკის დროს ხელებს იქნევდა, ჩაწითლებულ თვალებს უცნაურად ატრიალებდა. ეტყობოდა გაბრაზებული იყო და ხორავას გაბრაზებასაც ლამობდა.

იორდანემ გაოცებული თვალები მიაპყრო მალანიას... ნუთუ მალანიაც გადარჩა გადასახლებასო, — ამოიკითხავდით მის სახეზე.

— გავსრესავ მაგ გველის წიწილს! — ყველას გასაგონად დაიღრიალა ხორავამ და მარჯვენა თეძოზე იტაცა ხელი, თითქო რევოლვერი უნდა იშიშვლოსო. მოაფათურა და დოინჯი შემოიდგა. — ვაშალომიძე ვინ ოხერია, რომ ჩემს საქმეში ეჩხირება! — ღრიალით განაგრძო ხორავამ და ახალგაზრდა მხლებელს ხელი დაუქნია, ჩქარა ცხენი მომგვარეო. მობრუნდა და ხიტი მიწასთან გაასწორა: არ ვარგიხარ, თავის სიმაღლეზე ვერ დგეხარო.

ხიტი ხმადაბლა აძლევდა ახსნა-განმარტებას. ხან ისეთ გამომეტყველებას მიიღებდა, თითქო თავს აცოდებს ხორავასო.

ხორავა არა ცხრებოდა.

— არ ვარგიხარ, ნაცარ-ქექია ხარ! — ბორგავდა შეშლილივით.

ცხენი მოგვარეს. ხორავა ჩიტივით შეფრინდა ოქროსფერ ბედაურზე და თოხარიკით გააქანა.

თემ-შარაზე რომ გავიდა, ფოთისკენ მიაბრუნა იორდანე და თავალს მიეფარა. მალანია მერაბ მერაბიჩს უამბობდა ახლა იმ ამბავს.

იორდანემ ასეთი დასკვნა გამოიტანა: ალბათ, კიდევ კარკალობენ ვაშალომიძე და ხორავაო, ხარებს შეუძახა და დატვირთული ურემი ჭრიალით დაიძრა ადგილიდან.

ხორავას გაფიცხებამ და თეძოზე ხელის მოვლებამ ერთი შორეული ამბავი მოაგონა იორდანეს.

ეს იყო 1919 წელს. ჟამის წელიწადი დაარქვა ხალხმა ამ წელიწადს. ომებსა და აჯანყებებს მოუსავლიანობა დაემატა. ქალაქებში პური აღარ ცხვებოდა. ფურნეები ჭადის თორნეებად გადააკეთეს, მაგრამ საკმარია ფქვილს რომ ვეღარ შოულობდნენ, ცოცხობას მარცვლის ფქვილითა და ქატოთი ახვავრიელებდნენ ცომს. დამშეულ სოფლებს მაჯლაჯუნასავით დააწვნენ თავს დამშეული ქალაქები, და გაზაფხულზე ათ ოჯახში ერთს აღარ გააჩნდა საშუალება სავახშმო ცეცხლი გაეჩაღებინა სამზადისში. ბევრმა საუზმე და სადილიც „შეამცირა“ უფქვილობის გამო. გარეულ მხალსა და ძირტკბილა ბალახებს „სამეფო კერძის“ მოწონება მოუვიდა. ლობიოსა და პანტა-მსხალის ჭადი სანატრელი გახდა. ბედნიერი იყო ის ოჯახი, ვისაც მარილი მაინც ჰქონდა ხელშემონახული. მარილი სომხეთიდან შემოჰქონდათ „დამოუკიდებელ საქართველოს“ ბატონ მინისტრებს. ბოლო დროს ამ ორ სახელმწიფოს შორის მდგომარეობა გამწვავდა და მარილის იმპორტიც შესწყდა. ნავთი რახანია აღარავის უნახავს. ცარიელი ჟესტის ჭურჭლები ჟანგმა დაცხრილა. ახალ ტანფეხსაცმელის შეძენაზე ფიქრიც კი არავის მოსდიოდა თავში. წუღები ბაწრის წუღებითა და ოჩაფეხებით შეიცვალა. ჩექმები და მესტები — ჯარისკაცთა ტოლაღებით, პალტოები — ბუშლატებითა და იტალიურ-გერმანული ფარაჯებით.

ტანფეხშიშველობას ადვილად იტანდნენ, მაგრამ ცარიელ კუჭს ვეღარაფერი მოუხერხეს სანუგეშო და სულისჩამდგმელი... საიდღანაც გაჩნდა უცხო სიტყვა „პელაგრა“. მსუქანი კაცი რომ ვინმეს ენახა, იმასაც პელაგრიანს ეძახოდნენ და დღეს-ხვალ თვითონ ელოდნენ გასივებასა და უეჭველ სიკვდილს.

იორდანეს ოჯახს ტანფეხიც აკლდა, ნავთი, მარილი, საპონი და ქვეშსაგებ-ზესახურავიც. ნაახალწლევს საფქვილე კოთხოც გამოირეკა. შიმშილი მკვიდრად დაბინავდა იორდანეს ფაცხაში. ჯიბრზე ქარბუქიც ატყდა. რიონს სიახლოვეს ვეღარ მიეკარებოდა კაცი.

გამოდარებას რომ აღარ ეშველა, ყიამეთ ამინდში დატვირთა იორდანემ კარჭაპა და ფოთს გაემგზავრა. ალალბედზე მიჰყავდა ნავი, სად აყარავდებოდა, თვითონაც არ იცოდა. თვალწინ ნინოშვილის მოთხრობის გმირები — ივანე და ნიკო ედგა. რამდენს კარჭაპა შეირხეოდა, ვილუპებიო, ჩიფჩიფებდა იორდანე და ოფლგადამსკდარი აწვებოდა ნიჩბებს.

ძალიან რომ გაუჭირდა, შიშის გრძნობა დაჰკარგა. ნეტა მოვკვდებოდეო, — გაიფიქრა და ოფლი შეაშრა. ახლა სიცივემ შებორკა იორდანე.

ხელფეხდაკვარჩხული ჩავიდა ფოთში. დეპოს საკვამურს რომ შეხედა, გული მოეფონა. სთქვა: აწი აღარაფერი მიჭირსო, და ნაპირს მიეძალა. წითელ ხიდს ზემოთ შეიარაღებული ბუშლატიანი ხალხი დაინახა რიონის ნაპირზე. ორ-სამ კაცს გერმანული ფარაჯა ეცვა. თავით-ფეხამდე შეიარაღებულნი იყვნენ. იორდანე რომ დაინახეს, ნაპირს მოაცვივდნენ.

იორდანეს გააჟრჟოლა. იფიქრა, აქ რაღაც ამბავიაო, მაგრამ შემოსავლელი არსაით იყო და გზა განაგრძო.

თოფიან ხალხს რომ გაუსწორდა, შეჩერდიო, მოესმა. მიიხედა. ფარაჯიანი ჯარისკაცი თოფს უმიზნებდა. მეორე ხელს უქნევდა, — ნავი აქეთ მოაბრუნეო.

იორდანემ იაზრა, ალბათ, შეშას მართმევენო და თავგანწირვის გზას დაადგა. კარჭაპა შუამდინარისკენ წაიყვანა. ორჯერ ვერც კი მოასწრო ნიჩბების მოსმა, თოფმა იჭექა. ტყვია ასცდა იორდანეს, მაგრამ ყურები ახლაც უჟრიალებდნენ.

— მოაბრუნე მეთქი, შენი მკვდარი და ცოცხალი!

მოესმა ნაპირიდან და თოფი კვლავ გავარდა.

აკანკალებულმა იორდანემ ნიჩბები ველარ დაიმორჩილა და კარჭაპა ნაფოტივით ათამაშდა რიონის ტალღებზე. ნაპირიდან ისევ ის ხმები ისმოდა: მოაბრუნე, თორემ პირდაპირ გესვრითო.

იორდანემ იკადრა მობრუნება, მაგრამ ჩქერი ვერ დასძლია და ალალბედზე გაქანებული კარჭაპა ხიდის ქვემოთ ძლივს მიაყენა.

თოფიანები ჯგროდ მოგროვდნენ ნაპირზე. წინ ოცდაოთხი-ოცდახუთი წლის ულვაშებ-აპრეხილი დარდიმანდი მიუძღოდა ბუშლატიანებს. გერმანული ფარაჯის ზემოდან მაუზერი ეკიდა. წელზე ქამრის ნაცვლად პატრანტაში ერტყა. დაკოდილი მხეცივით აბრიალებდა თვალებს. ხან ისე დაიმიჯებოდა, თითქო ეს არის უხსენებელს მისჩერებია და თავი უნდა გაუჭყლიტოსო. იორდანეს რომ შეხედა, ერთხელ მაშინ დაიმიჯა ასე საოცრად.

— ამოდი ზევით! — თითის დაქნევით უბრძანა იორდანეს და ულვაშები შეიგრიხა.

იორდანემ ნავი დაბა და ფარაჯიანს ეახლა.

— გაქცევას აპირებდი, ბოლშევიკო!

— რა დავაშავე, რომ გაქცევა მეფიქრა, — მოუჭრა იორდანემ.

პასუხად ლაწანი გაისმა და იორდანემ ჩაიკეცა. ბუშლატიანებს შორის ერთი შავგვრემანი ბიჭი შეწრიალდა. თვალები მოწუხა და თოფი ხელიდან ხელში გადაინაცვლა — გაუმჟღავნებელი სიბრაზისაგან.

— სურენ! — მიმართა მაუზერიანმა შავგვრემან ჯარისკაცს. — წაიყვანე ბიჭები და ახლავე დასცალეთ ნავი.

იორდანემ თვალი გაახილა. მარცხენა საფეთქელი სისხლით ჰქონდა შეღებილი. წარბის ბოლო გახეთქოდა და სისხლი წვეთ-წვეთად მოდინავდა.

ფარაჯიანმა ფეხზე წამოაყენა იორდანე. თვალებში ჩახედა.

— სად მიგქონდა შეშა?

— ბაზარში.

— შენ მთავრობის დადგენილება არ წაგიკითხავს? რკინისგზა გაჩერებულია უშეშობით, შენ კი სპეკულიანტობას ეწევი?

— აბა, დავხოცო ცოლშვილი? — შეუბრუნა იორდანემ და თვალები მუშტისოდენა გაუხდა.

— გადმოცალეთ მეთქი! — მიუბრუნდა მაუზერიანი ჯარისკაცებს.

— რა უნდა გადმოცალოთ... ფული?

— აი ფული! — მაუზერზე ანიშნა ფარაჯიანმა, რომელიც გვარდიელად შეიცნო იორდანემ. — სურენ, რას უყურებთ?! — შეტრიალდა გვარდიელი ჯარისკაცებისაკენ.

იორდანე კარჭაპას ჩამოუდგა მოღეღილი გულმკერდით.

— ჯერ მე მესროლეთ... ცოლშვილს რა ვუყო?

წაქეზებულმა ჯარისკაცებმა ნავს მიაშურეს დასაცლელად.

— არ მომეკარით მეთქი! — დაიგმინა იორდანემ და შეშის ნაპობს წამოავლო ხელი.

გვარდიელი იორდანესკენ წავიდა. წინ დაუდგა და თვალებში ჩახედა.

— ვის უწევ წინააღმდეგობას, თუ იცი? — ხმადაბლა შეეკითხა, თითქო სისინებსო.

— არ მომეკაროთ მეთქი! — ხელმეორედ იბღავლა იორდანემ და შეშის ნაპობი ჰაერში შეათამაშა.

— უჰ, შენი... — კბილებს შორის დაისისინა გვარდიელმა და მაუზერზე გაიკრა ხელი, — გაგცვეთავ, შე გველის წიწილო!

იორდანემ თვალის დახაფვა ვერ მოასწრო, მაუზერის ტუჩი კბილებში მიაბჯინა გვარდიელმა.

სურენ მამულოვი ამრეზილი უცქეროდა თავიდანვე ამ სცენას. ჯერ უფროსის ბრძანებას არ დაემორჩილა. განზე გადგა და სხვებსაც ანიშნებდა, შეშას ნუ გადმოსცლითო. გვარდიელმა რომ მაუზერი იშიშვლა, მამულოვი აჩრდილივით აეტუზა იარაღმომარჯვებულ გვარდიელს და სანამ მაუზერის ჩახმახი აწკაპუნდებოდა, კომშისოდენა მუშტი ჩაქუჩივით ჩაარტყა კეფაში.

გვარდიელი უგრძნობლად გაიშხლართა.

შეწრიალდნენ ჯარისკაცები. ნავის გადმოცლაზე ხელი აიღეს და ერთმანეთს შესცქეროდნენ, როგორ მოვიქცეთო.

მამულოვი განზე გადგა, თოფს დაეყრდნო და მოუთმენლად ელოდა: რა ამბები დატრიალდებაო.

გვარდიელი გონწასული ეგდო. წყალი მოარბენინეს მათარით, შუბლი დაუსველეს. ბოლოს საკინძი გაუხსნეს და ფიქალი გულმკერდი სველი ცხვირსახოცით დაუზილეს.

იორდანემ თვალი დაატანა საკინძმოღელილ გვარდიელს. გულზე ფინ-ჯანისოდენა სვირანგი[1] შენიშნა: თეთრი გიორგი გველეშაპს ებრძვა-და ლახვარბოძალით.

გვიან გაახილა თვალი გვარდიელმა. კინჩხის ძვალზე ხელი მიიდო, ჩატეხილი ხომ არა მაქვსო. მიბრუნდა და მამულოვს დაუწყო ძებნა ცოფიანი თვალებით.

განზე გამდგარი რომ დაინახა, თავი დააკანტურა, ძირს დაგდებული მაუზერი აიღო და ბუდეში ჩაგო.

— ბოლშევიკებს ემხრობი, არა? — სურენის გასაგონად ჩაილაპარაკა და დასველებული შუბლი მოიწმინდა. — შტაბში მოვილაპარაკოთ...

გვარდიელმა იორდანესაც შეუბღვირა. ბუშლატიან ჯარისკაცებს საჩვენებელი თითი დაუქნია მუქარის ნიშნად.

— შეშა დასცალეთ და პატრონი შტაბში მოიყვანეთ, გესმით! — უბრძანა ჯარისკაცებს გვარდიელმა და რკინისგზის სადგურისაკენ წავიდა. გზადაგზა ორსამჯერ მოივლო ხელი გაბუქებულ კეფაზე.

— გაამოს! — დაცინვით გააყოლა თვალი სურენ მამულოვმა და თოფი მხარზე გადაიგდო.

თვითონაც კვალდაკვალ აედევნა შტაბში დასასმენად წასულ გვარდიელს.

იორდანე ღვამიჩავა სიცივის და სიბრაზისაგან ყბის ძვლებს ვეღარ იმაგრებდა. კბილები მორზეს ამუშავებულ აპარატივით ტიკტიკებდნენ.

— ეს არის სამართალი?! — ყრუდ დაიგმინა იორდანემ და მიწას დასკდა გულშემოყრილი...

ეს ამბავი გუშინდელივით ახსოვს იორდანეს. ისიც კარგად ახსოვს, როგორ აწამეს გვარდიის შტაბში. ხუთი დღე მშიერ-მწყურვალი დილეგში რომ აყურყუტეს და განთავისუფლებისას ხელწერილი რომ დაადებინეს: ამიერიდან არც შეშა ვზიდო სასპეკულიაციოდ და არც ბოლშევიკებთან ვიქონიო რაიმე კავშირიო.

პარტიების „სახსენებელი“ სულ მთლად შესძულდა იორდანეს. ამიტომ ეს უკანასკნელი პირობა იმდენად ალარ აწუხებდა, რამდენადაც შეშით ვაჭრობაზე ხელის აღება.

— რა დრო იყო?! — თავის კანტურით წამოიძახა იორდანემ და უკან მოიხედა, არავინ მიყურებდესო (შერცხვა, თავისთავს რომ ხმამაღლა ესაუბრებოდა). ხარებს შეუძახა. რიონის პირას ურემი მოაბრუნა და შეშის გადმოცლას შეუდგა.

თვალწინ შორეული ამბავი უტრიალებდა.

„გაგსრესავ, გველის წიწილო!“

ოო, როგორ წააგავდა ხორავას დღევანდელი გაცოფება და მხეცური ღრიალი იმ ვილაც გვარდიელის იმდროინდელ ღრიალს!

---

[1] სვირანგი — ტატუიროვკა

გესლად და შხამად ჩარჩა მახსოვრობაში იორდანეს წითელ ხიდთან შემთხვეული ამბავი, მაგრამ მას შემდეგ აგერ თორმეტმა წელმა განვლო და მხეცი გვარდიელი ერთხელაც ვერსად იხელთა სამაგვრეს გადასახდელად.

აწი, შეიძლება ვერც კი იცნოს იორდანემ თავგასული ბანდიტი, თორმეტი წლის წინათ მათრახივით რომ ათამაშებდა შემართულ მაუზერს.

ეს შხამიც მძიმე ლოდად აწვა გულზე უმართებულოდ შეურაცხყოფილ იორდანეს. მუშაობაში ისე გაერთო, დალამება ვეღარ შეიტყო. დაბინდებისას ნამუშევრის ბარაქას რომ გადახედა, ბავშვივით აკუყლოპინდა. სამუშაოზე ხელი აიღო და ხარებს აპეურები გამოხსნა.

იორდანეს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. სიხარული ბერულავას ხარებმა მოგვარეს განსაცდელში ჩავარდნილ მეშეშეს. ლომა-ხარს თავი აუწია და მადლობის ნიშნად მოთეთრო დრუნჩი დაუკოცნა. ალერსით გული რომ მოიჯერა, წინა ფეხებთან დაუცუცქდა ლომას და ჯორჯალებად დაკეცილი ღაბები მოფხანა. ლომამ თავი მაღლა ასწია, კისერი წაიგრძელა და ისე გაინაბა, ეს არის ფეხად მიიძინებსო. იორდანე კისერს ფხანდა... თანაც ენას უჩლექდა თვინიერ პირუტყვს, თითქო შვილებს ეალერსებაო.

ალერსით განებივრებული ლომა ხანდახან ჩვილხბოიან ძროხასავით დაზმუოდა თავს იორდანეს, თითქო პასუხს აძლევს აბუტბუტებულ მეხრესო.

ბოლოს თვითონაც მოვიდა ლომა ალერსის გუნებაზე, იორდანეს დრუნჩი წაჰკრა, თავი გადააწევინა და ოფლიანი საფეთქელი ჭობოსანივით ხორკლიანი ენით აუსლიქა. ლომა ზმუოდა, თვალებს ხშირად აფახურებდა, შიშობდა, იორდანე არსად გამექცესო. დედა-ძროხა სლექავს ხოლმე ასე გახელებული ახლადმოგებულ ხბოს.

იორდანე თავდავიწყებას მიეცა. ლომას ხავერდივით ფაფუკ ღაბაბს ლოყა მიაბჯინა და გარინდდა.

ადუღებულ ქვაბივით ქშინავდა ლომა. მჯიღისოდენა ნესტოებიდან ცხელი ოხშივარი ამოსდიოდა.

დღედალამის გაყრისას მთვარე ამოკურდა ბახმაროს მთების მწვერვალზე. ბინდბუნდში გახვეულ კოლხეთს მორცხვად დახედა. იორდანემ ახლა იგრძნო შემოღამება, ზანტად წამოდგა და დაცალრქული ხარები შინ გარეკა. უტუსაგან დასტური ჰქონდა: სანამ სამუშაოს მოათავებ, ხარები შენსას დაიტოვეო. ამიტომ აღარ მიეჩქარებოდა იორდანეს.

ზანტად მირეკავს იორდანე ნატვრისთვალ ხარებს. ხან ერთს მოუთათუნებს ხელს გარგვალებულ გავაზე, ხან მეორეს. ვერა ძღება მათი ცქერითა და ალერსით. ხანდახან ისეთ თავდავიწყებამდე მიდის, ხარები თავისი ჰგონია და სიხარულს გულში ვეღარ იტევს. უცებ მოაგონდება უტუ ბერულავა და წამიერი სიხარული ერთბაშად ჰქრება. „რა ბედნიერი ვიქნებოდი, უღლად ხარები ან ერთი ცხენი მღირსებოდა“, გაუელვებს

იორდანეს და დიდხანს იმის ბჭობაშია, რა სჯობია მისთანა კაცისთვის: ოდა-სახლი თუ ხარები.

— ამისთანა ხარების პატრონი სახლის დადგმას ყოველთვის მოასწრებს, — ხმამაღლა დაასკვნა იორდანემ და ხარებს ჭიშკარში ... ხარებმა იუცხოვეს შეუჩვეველ ეზოში შესვლა.

ლომამ მიწას დაყნოსა და ჭიშკართან გაიბიჯგა.

— შეძლებული კაცის ხარებიც კი აღარ კადრულობენ ჩემს ეზომიდამოზე ღამის გათევას, — წაიბურტყუნა იორდანემ და გაჯიუტებულ ლომას სახრე შემოჰკრა. დიდის ვაგლახით შერეკა ხარები ეზოში. იორდანემ ფაცხის წინ დააბა ხარები. თითონ ბახჩისოდენა ყანაში შევიდა. ტაროიანი სიმინდები აჩეხა და ეზოში მიიტანა ხარების დასაპურებლად. მარინემ ტაროები დაამტვრია, ფუჩეჩი შემოაცალა და იორდანე გააფრთხილა, ნავახშმევს ჭყინტი სიმინდი მოვხარშოთო.

იორდანემ ძუნწის თვალებით შეხედა შალაფ ტაროებს, თითქო შესაჭმელად არ ემეტებაო. მოვხარშოთო, ძლივს გააგონა ცოლს.

მადიანად ივახშმა იორდანემ. ვახშამს ჭყინტი სიმინდიც მიაყოლა. მარინეს ახალმოწეული ნიგოზი ეშოვნა სადღაც და ნატვრის თვალივით ჩამოდგა სუფრაზე ერთი ჯამი დამტვრეული ნიგოზი.

— მაჭარი გვაკლია! — გულდაწყვეტით სთქვა იორდანემ, თითქო ცოლს ესაყვედურებაო. ტარო გატეხა და მარილი წაუსვა.

— გახსოვს, მარილი რომ არ იშოვებოდა? — ჰკითხა მარინეს.

— როდის, ბეჩა? — გაიკვირვა მარინემ.

— როდის და... ჟამობისას... უმარილო მხალს რომ ვჭამდით ერთი თვის განმავლობაში, დაგავიწყდა? — ცალყბად მოაგონა იორდანემ „ჟამის წელიწადი“.

— უიმე, რავა არ მახსოვს... რამ მოგაგონა ადამიწლის ამბავი?

— მომაგონდა...

იორდანეს უნდოდა ეთქვა, დღეს მთელი დღე მაგ ამბებს ვიგონებდიო, მაგრამ დუმილი ამჯობინა. რა კაი ამბავი ის არის, ცოლშვილს გუნება რად მოვუშხამოო.

ახლა გოჩა ჩააცივდა: ბაბაია, რაფერ ჭამდით უმარილო მხალს, მუცელი არ გტკივოდათო.

— შიმშილობა იყო, შვილო! — მოკლედ მოუჭრა იორდანემ და ამბის შესაწყვეტად მარინეს მოუბრუნდა, — დამიგეო.

იორდანე წამოდგა. ხარები მოაგონდა და დასახედავად გავიდა ეზოში. ჩქარა ჯალაბიც თან გაჰყვა იორდანეს.

— რა კაი ღამეა! — გაიხარა მარინემ კაშკაშა მთვარის დანახვაზე და ხარების მახლობლად ბალახზე მოიფთხნა. ბავშვები მწოლიარე ხარებს შემოეხვივნენ. ყური წაუგდეს, საჭმელს როგორ იცოხნიანო. გოჩა გაოცებული იყო, პირში რომ არაფერს იდებენ, ნეტა რას ღეჭავენო.

იორდანემ ყველაფერი დაწვრილებით აუხსნა გოჩას. ნუნუმ დასცინა: ამოდენა ბიჭმა ისიც არ იცის, საქონელი საკვებს როგორ ცოხნისო.

გოჩა გაფიცხდა. ნუნუს შენიშვნა ითაკილა, მაგრამ წაჩხუბება ველარ გაუბედა. შენ კი ბევრი იცი,—ეს უთხრა და დატუქსულივით გაჩუმდა. შიშობდა, მშობლები არ გავაბრაზოო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუხარებელმა ცხოვრებამ ცვალებადი გუნებისა [illegible] ... მარინესაც გადაედო ქმრის სენი. როცა იორდანე მოჟამულ გუნებაზე იყო, მარინესაც ცხვირპირი ჩამოსტიროდა, მის გამხდარ პირისახეზე იალბუზის მწვერვალივით იდგა დანის პირივით თხელი კეხიანი ცხვირი. წარბები მოღუშული ჰქონდა. შუბლზე ნაოჭებს დაითვლიდა კაცი. თუ იორდანე გამხიარულდებოდა, მარინეს სიხარულსაც საზღვარი აღარა ჰქონდა. ცხვირი უპატარავდებოდა, წარბები გაფრენილ თოლიას სილუეტს ემსგავსებოდა. იცინოდა, ზოგჯერ ხუმრობდა კიდეც.

მხოლოდ ბავშვები არ ექცეოდნენ მშობლების განწყობილებათა ტყვეობაში. ისინი მუდამ იმის ზრუნვაში იყვნენ, როგორმე ხალისიანად გაეტარებინათ ზაფხულის ცხელი, მაგრამ კეკლუცი და თვალწარმტაცი დღეები. თუ კარგი დარი იდგა, დღისით მუდამ რიონის პირად ცელქობდნენ. მეთვალყურე და ხელისშემშლელი არავინ ჰყავდათ. საღამოხანის დროსტარება ძმობლებზე იყო დამოკიდებული. თუ ისინი მოღუშულნი ისხდნენ, გოჩა და ნუნუ მუნჯად კრტიმლობდნენ. ფეხს ფეხზე აჭერდნენ ან გვერდებში ჩქმეტდნენ ერთმანეთს. ზოგჯერ ნუნუ ტკივილებს ველარ იტანდა და მოულოდნელად მორთავდა ღრიალს. გოჩას ფხუკუნი აუტყდებოდა და ქურდობაზე წასწრებული ძაღლივით აცეცებდა თვალებს, ოთახელ კარში გავარდეო.

გოჩა ცელქი და მოუსვენარი ბავშვი იყო. ციებ-ცხელებამ და-ძმა ფეხად ჩამოადნო და გააფერმკრთალა, მაგრამ როცა ციებას მოიხდიდნენ, გოჩა „მიწაზე აღარ აკარებდა ფეხს“. რომ გარბოდა, გეგონებოდა — მიფრინავსო. ვერც დამჯდარი ისვენებდა. თვითონაც ფხაკურობდა და თავისი მოუსვენრობით სხვებსაც აწუხებდა. ნუნუ ცდილობდა, დინჯად ყოფილიყო მშობლების დასანახავად, მაგრამ დაუდეგარი გოჩა ჩუმ-ჩუმად ნუნუსაც აიყოლებდა და სიცილს რომ ველარ შეიმაგრებდა, ხან თითზე იკბენდა, ხან მკვდარ ძმებს მოიგონებდა, იქნება მოწყენა დამეტყოსო.

მაშინ იორდანეს რისხვა გოჩას თავზე გადაივლიდა. თავის მხრივ გოჩა ნუნუს სთავაზობდა მალულ მუჯლუგუნებს.

— რათა მცემ? — აღრიალდებოდა ზოგჯერ ნუნუ.

— ლობიო... ცამეტი წლის ქალს ტირილის არც კი გცხვენია. ი-ი-ი! — აჯავრებდა გულამომჯდარ ნუნუს.

— რა დაგიშავე! — იპოპრებოდა გაანჩხლებული ნუნუ.

— რა დაგიშავე! როცა მე ვიცინი, შენც ამოღე ხმა. შენც ხომ მეთამაშები? შენ რატომ არ გცემენ?

იორდანეს სიცილი წასკდებოდა, და ხშირად მოფერებითა და თავზე ხელის მოსმით თავდებოდა მამაშვილის წაჩხუბება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს მხიარულ გუნებაზე იყო იორდანე, მაგრამ მაინც ვერ გაბედა გოჩამ ნუნუსთვის სამაგიეროს გადახდა. გულში კი ასე გაიფიქრა: დამაცა, შე ალაპის ჩოგანო, ხვალ გაგისწორდებიო.

იორდანე და მარინე ხარებზე საუბრობდნენ.

— სახლი არ მინდა, ოღონდ ამისთანა ხარებს შევხედო ეზოში, — ნატრობდა მარინე.

— რომ წაგვართვან? კოლექტივში შესვლა რომ დამაძალონ?

— რა ვიცი... ბერულავას არ წაართვეს და რაღა ჩვენ წაგვართმევენ.

იორდანეს ჭკუაში მოუვიდა ცოლის შენიშვნა. მთვარეს შეხედა და წარმართივით შეეხვეწა ქვეყნის მანათობელს: ერთი სიხარული მეც მაჩუქეო.

ბალახს ცვარი მოეკიდა.

მარინემ ხელი მოაფათურა და ბავშვები გააფრთხილა, სახლში შედით, არ გაცივდეთო.

— კაი გვიანია, ჩვენც დავწვეთ, — ტკბილი მთქნარებით დაატანა იორდანემ და ფაცხაში შევიდა.

*
* *

როსტომის დაბრუნებამ გააკვირვა გამგეობის წევრები. ბონდომ სხვებს დაასწრო: როსტომ, რატომ დაბრუნდიო.

როსტომი ადუღებული ქვაბივით ქშინავდა, ეტყობოდა, ნარბენი იყო. სანამ სულს მოიბრუნებდა — ბონდო ხელმეორედ შეეკითხა: მარცხი ხომ არაფერიაო.

როსტომმა მოკლედ მოსჭრა: ბერულავას ხარები იორდანე ღვამიჩავას მიჰყავდა საქირაოდ, აქ ჩვენ მუშა-ხელი გვიცდებაო.

საველე სამუშაო შეთავხელებული ჰქონდა არტელს და ამჟამად ფარდულებს აშენებდნენ. ბოსელიც საძირკველჩაყრილი იყო. საშენი მასალა აკლდათ და მუშები მართლაც სცდებოდნენ. ამიტომ მიაქციეს სასწრაფო ყურადღება როსტომის შენიშვნას. ფიცხლავ კაცი აფრინეს ბერულავასთან — გამგეობაში დაიბარეს.

— ხარები სად გყავს? — ჰკითხა ბონდომ უტუს, თვალებში არც კი შეუხედავს.

უტუმ გადაფიცვა ველარ გაბედა. ღვამიჩავას ვათხოვეო, — უპასუხა უყოყმანოდ.

— დადგენილება ხომ იცით? — ასწია თავი ოჩიგავამ.

— ვიცი. გუშინ გავიგე.

— მერე? რა უფლებით გააქირავეთ არტელის საკუთრება ხარები? დადგენილებაში ხომ ნათლად ეწერა: ჩამოერთვას უტუ ბერულავას ერთი უღელი ხარი და ერთი ულაყი ცხენიო.

— ეწერა... მაგრამ უნდა მოგახსენოთ, ხარები არ გამიქირავებია. მიჭირსო, შემეხვეწა და ვათხოვე... ქირა არ მითხოვნია. რაც შეეხება დადგენილებას... გასაჩივრებული მაქვს და ვნახოთ... რა გეჩქარებოთ.

— საჩივარს არავინ გიკრძალავს, — ცივად მოუჭრა ბონდომ, ხარებს კი ჩვენ მოვუვლით. ცხენები არ ჩამოურეკიათ საბალახოდან?

— საღვთიშობლოდ ჩამორეკენ, — იცრუა ბერულავამ.

— თავისუფალი ხართ... ხარებს ჩვენ წამოვიყვანთ ღვამიჩავადან, — დაასრულა ბერულავასთან საუბარი ბონდომ და კარზე ანიშნა, შეგიძლია წახვიდეო.

უტუმ სცადა „ფეხის შემოთრევა", დადგენილების კანონიერებაუკანონობაზე სიტყვის ჩამოგდება. რა გეჩქარებათ, თუ ცენტრი თქვენ სასარგებლოდ გადასწყვეტს, ხარების წაყვანას ყოველთვის მოასწრებთო, — აიღერღა უტუ, მაგრამ ბონდო ახლა გოგოლაძეს ეთათბირებოდა ფოთიდან სამუშაო იარაღის გადმოტანის შესახებ. ბერულავას ყურს აღარავინ უგდებდა.

გოგოლაძესთან თათბირს რომ მორჩა ბონდო, როსტომი იხმო, ამაღამვე გააფრთხილე იორდანე ღვამიჩავა, ხვალ დილით გამგეობაში გამოცხადდესო. შემდეგ გვახარიას მიუბრუნდა: წაიყვანე საში კაცი და სოია გაფშვენითო.

როსტომმა თავის დაქნევით უპასუხა და წავიდა. გვახარიამ არტელის წევრებს გადახედა, ვინ წავიყვანოო.

იმ დღეს ველარ მოახერხა როსტომმა იორდანეს გაფრთხილება. მეორე დილით ალიონზე ჩაირბინა და გამოუცხადა — გამგეობაში გიბარებენო.

იორდანე ის იყო სამუშაოდ წასვლას აპირებდა. ხარები დაცალრჭული ჰყავდა.

— რაზე მიბარებენ, ბიძიკო? — ჰკითხა როსტომს. — იქნებ უბრალო რამეა და სამუშაოს რომ მოვათავებ, შემდეგ წავალ, — ძალიან ეძნელებოდა დროს გაცდენა.

როსტომმა თავი მოიკატუნა, არაფერი ვიცი. ისე დიდი სასწრაფო საქმე აქვთ, თვითონ ბონდომ გამომგზავნაო, — დასძინა როსტომმა ცოტა ხნის შემდეგ.

იორდანემ ხარები დაბა. მარინე გააფრთხილა, ხარებს მიხედე, არ აიწყვიტონო და როსტომს გაჰყვა.

თუ ჩქარა გავთავისუფლდი, ნოქარმა რომ რაღაც ფართალი შემომითვალა, ბარემ იმასაც ქე წამოვიმძღვარებო, — გაივლო გულში და ფაცხაში შებრუნდა ფულის გამოსატანად.

იორდანე შურდულივით გაქანდა. გარიჟრაჟზე მიადგა არტელის გამგეობას. გამგეობის ოთახში ლამპა ბჟუტავდა. სახლის წინ არტელის წევრები ირეოდნენ. ზოგი ბელურებივით ჩამწკრივებულიყო გაუკუთხავ საფიცრე ხეებზე, ზოგი ფეხზე იდგა. ვილაც ბიჭი თავდავიწყებით რეკდა ზარს. არტელის წევრებს მოუხმობდა სამუშაოზე.

დიდი ხანია თემსაბჭოში არ ყოფილა იორდანე. მხარი ყინულამ ეცვალა. ეკლესიის შენობა გამგეობისთვის გადაეკეთებინათ კოლმეურნეებს. გვერდით უზარმაზარი საწყობი. ცოტა მოშორებით საძირკველი ჩაეყარათ რაღაც შენობისათვის. ირგვლივ უწესრიგოდ ეყარა [illegible] კირისა და ცემენტის კასრები: ზოგი სავსე, ზოგი ფსკერგამოგლეჯილი. მოშორებით აგურები ელაგა, კრამიტი და გაუცრელი ხრეში.

ხის მორებზე ჩამომსხდარი არტელის წევრები ცხარედ დაობდნენ ურთიერთ შორის. იორდანეს მისვლა ვერც კი შენიშნეს. არც იორდანემ შეუშალა ხელი, შორიახლო დადგა და ყური წაუგდო.

— მუშა-ხელზე გაყოფენ და ვიღაც-ვიღაცეებს თავიც გაეყოფათ შუაზე! — მუქარით წამოიძახა ბოკუჩა ჯალალანიამ. — თუ ამხანაგობაა, სულადობაზე უნდა გავყოთ წლის მოსავალი.... გესმით, სულადობაზე.

ბოკუჩა უტუ ბერულავას შორეული ნათესავი იყო. მისი ერთგული და გამგონე. უტუს რჩევით შევიდა ბოკუჩა არტელში. თუ რამე აწუხებდა, რჩევა-დარიგებას ჯერ უტუს ჰკითხავდა. რასაც უტუ გაუპირდებოდა, ბოკუჩაც იმ გზას ადგებოდა. ამას წინათ თითონ ბერულავამ იხმო ბოკუჩა თავის ოჯახში. ჩაკეტილ ოთახში დასხდნენ და ცოლიკოურს შეექცეოდნენ. ბოკუჩა ნელნელა წრუპავდა, იქნებ მეტი გემო ჩავაყოლოო. უტუმ ხელადა ხელმეორედ მოატანინა. კარგა რომ შეხურდნენ, არტელის ავკარგი მოიგონეს. უტუმ დრო უხელთა: მოსავლის გაყოფის დრო მოახლოვებულია, აიყოლიე შენისთანა მრავალოჯახიანი კოლმეურნეები და დაჟინებით მეითხოვეთ მოსავლის სულადობის მიხედვით გაყოფაო, — ჩააწვეთა ყურში უტუმ.

ბოკუჩა ცარიელი წისქვილივით არახრახდა: სულადობის მიხედვით... გენაცვალე ჭკუის კოლოფში... აი მესმის ბრძენი კაცი...

ჭკუაში მოუვიდა ბოკუჩას უტუს გაფრთხილება. ბოკუჩას ექვსი სული ჰყავდა სარჩენი, ბონდო, როსტომი და სხვები მარტოხელნი იყვნენ. მრავალოჯახიანები უმრავლესობას შეადგენდნენ. ბოკუჩამ აიმედა ბერულავა: ღმერთი რავა გამიწყრება, უმრავლესობა არ მოვიმხროო.

იმდღიდანვე შეუდგა ბოკუჩა არტელის წევრების „დამუშავებას". თანამოაზრენი საკმაოდ გაიჩინა და დღეს ხმამაღლა მოჰყვა დავასა და კამათს მოსავლის გაყოფის წესების გამომუშავებისათვის.

— ჯერ მოსავალი არ აგვიღია... გაყოფაზე რა თავს იტეხთ? — ჩაერია კამათში ძიკი გვახარია.

— არ აგვიღია რომელია!.. როცა ავიღებთ, გაყოფის წესიც მზად უნდა გვქონდეს, — არა ცხრებოდა ბოკუჩა.

— ბოკუჩა, მივანდოთ ეს საქმე გამგეობას... ისინი ჩვენზე უკეთ გადასწყვეტენ.

— გამგეობას? გამგეობაში თითქმის ყველა მარტოხელა ხალხია. მაგათ გადაწყვეტილებას, თუ გნებავთ, ახლავე გეტყვით, — გამოიდო თავი ბოკუჩამ.

— სთქვი, ბოკუჩა! — წააქეზა ვილაცამ.

— მუშა-ხელის მიხედვით გავყოთო, იტყვიან.

— აბა, როგორ გინდა, ბოკუჩა: როსტომმა შენს გვერდით თანაბრად იმუშაოს, გაყოფაზე ხუთჯერ ნაკლები მიიღოს? — შენიშნა ოსტომმა.

— რამდენი მუცელი გაქვს, შენ, ბიძი? — გამომწვევი კილოთი შეეკითა ბოკუჩა.

ზოგიერთს გაეცინა.

— რა გაცინებთ? — გაწყრა როსტომი. — რა არის აქ სასაცილო?

— არა, მიპასუხე, რამდენი მუცელი გაქვს?

— ერთი, — გამომწვევი კილოთივე მიუგო როსტომმა.

— მე შვიდი... შვიდი მუცლისა და ერთის პატრონმა თანაბრად მივიღოთ?

— ვისაც რამდენი გვიმუშავნია, იმდენი მივიღოთ...

— ბრანწი! ამას იცნობ? — სამი თითი უჩვენა ბოკუჩამ. — გავაერთიანოთ ყველაფერიო, რომ იძახდით, ა, ბატონო, გაერთიანებული ვართ... მე შვიდი სული მყავს სარჩენი, მეორეს ოთხი, მესამეს ორი, ჩამოვწეროთ საერთო სია და გავყოთ... ერთობა და ამხანაგობა ასე უნდა... თუ ასე არ გინდოდათ, მე, ავად იყო თუ კარგად, ქე ვარჩენდი ჩემს ცოლშვილს, რას მეპატიჟებოდით?

— დღესაც შეგიძლია გახვიდე! — გაცეცხლდა როსტომი და ბოკუჩას შეუტია, წყალს ნუ ამღვრევო.

იორდანემ ამოიოხრა.

„აგაშენოსთ ღმერთმა! — დააკანტურა თავი იორდანემ. — ვამბობდი, გაყოფაზე დაუხეთქენ თავს ერთმანეთს მეთქი და, ისე ყველაფერი კაი აგიხდეს, ა, ბატონო!“ — გაიფიქრა იორდანემ და გამგეობის ოთახის კარი შეაღო.

ბონდოს ყაბალახი მოუხადა.

— ო, კაი დროს მოხვედი, იორდანე. დაჯექი! — პირდაპირ საქმეზე დაიწყო ბონდომ. — ბერულავას ხარები 'ძენ გყავს?

— გუშინ ვიქირავე!

— აკი, ქირას არ ვახდევინებო, ბერულავამ... ნამდვილად აძლევ ქირას?

— მას არ უთხოვნია, მე შევპირდი თვითონ.

— კარგი. ხარები არტელის საკუთრებაა. ღმერთი არ გაგიწყრეს, ქირა არაფერი მისცე. რამდენი დღის სამუშაო გაქვს?

— თუ არ მოვცდი, ხვალ გავათავებ.

— ხელმოკლე კაცი ხარ, არ დაგაღალატიანებთ... მოათავე სამუშაო და ხარები ჩვენ მოგვიყვანე.

იორდანე შეყოყმანდა. უხერხულობის უფსკრული აღიმართა მის თვალწინ.

— ხომ გესმის? — გაუმეორა ბონდომ, როცა შეატყო იორდანეს, როგორ უძნელდებოდა პასუხის გაცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენ? უხერხულია რაღაც... — აიღერღა იორდანე.

— თუ სიტყვას არ იძლევი, ახლავე კაცს გაგატანთ და ჩვენ თითონ წამოვიყვანთ. როსტომ! — გასძახა გარეთ ბონდომ.

როსტომი ბონდოსთან გაჩნდა.

— საწყენად კი არ მითქვამს... უხერხულია მეთქი, — გამოაკეთა იორდანემ.

— დადგენილებაა... ხარები ჩვენია. ხომ გესმის?

— რაზე მეძახდი, ამხანაგო ბონდო?

— წადი, საჭირო აღარ ხარ, — მოკლედ მოსჭრა ბონდომ და იორდანეს მიუბრუნდა: — მოათავებ და მოგვიყვან, ხომ გესმის?

— კაი, ბატონო!

— თავისუფალი ხარ!

გაოგნებული გამოვიდა იორდანე გამგეობის ოთახიდან. შესიტყვებაც ველარ მოახერხა. იორდანე თვითონაც გაოცებული იყო. ენა როგორ ჩამივარდა, ეს ბონდო რა ცეცხლი ვინმე ყოფილაო... ხელმოკლე კაცი ხარ, ან დაგაღალატიანებო... ქირა არ მისცეო.... ჰაი გიდი, ოცი ამისთანა ფხიანი ბიჭი ერთ სოფელს ააშენებს, — გამოყვა იორდანეს გადაუბმელი აზრები.

ეზოში ისევ დაობდნენ.

— მტრის სისინი ისმის შენს სიტყვებში, ბოკუჩა, მტრის! მარცხენა ფეხზე ხარ ამდგარი, — წამოიწია წიფლის ჯირკიდან კოსტაია ჩაჩუამ და სანამ წელში გაიმართებოდა, ფეხმოტეხილი ძალლივით წაიკოჭლა.

კოსტაია ხანშიშესული კაცი იყო და წელის ტკივილს უჩიოდა ხშირად. დღეს ადრე ამდგარიყო და დილის სინესტე წელში გასდგომოდა. ჯირკზე იჯდა და კამათში არ ერეოდა, მაგრამ როცა ბოკუჩამ მეტისმეტად გადაამლაშა, გულმა აღარ მოუთმინა. წამოდგა და პირში მიახალა, — შენს უკან ვიღაც ეშმაკი იმალებაო.

ბოკუჩა გაცბა, მაგრამ თავგასაძრომი ჩქარა მოიძებნა.

— შენ რაღა გალაპარაკებს, კოსტაია, მთვრალი კაცივით დაბანცალობ.

— თუ შენ დაგიჯერებს კაცი, — შეუტია კოსტაიამ: — მთვრალი ვარ თუ ფხიზელი, მეც ბარე ხუთი სული მყავს ოჯახში. არც მე მაწყენს ხუთი წილი.. მაგრამ კანონ-სამართალი კი არ მოსპობილა ქვეყანაზე: მე ხუთი წილი და ბონდოს, როსტომს, გივი გვახარიას თითო ან ორ-ორი? კიდევ მეტს გეტყვით: მეც და იმ ვეშაპივით ვაჟკაცებს თანაბარი წილი? არ ივარგებს, შვილებო. კაცი აღარ გააქანებს ხელს. ყველა გაზარმაცდება...

— ერთი შენ, მოყვები სოლომონ ბრძენობას! — აღარ დააცალა ბოკუჩამ, როცა შეატყო რომ კოსტაია ბრძნულად მსჯელობდა.

— მართალი თუ გინდათ, ეს არის, შვილებო, და თქვენ როგორც გინდათ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოეთიშა მოკამათეებს კოსტაია და ისევ ჯირკზე ჩამოჯდა.

იორდანემ ხელი ჩამოართვა კოსტაიას. მოეწონა მისი ... სამართლიანი კაცი იყო თავიდანვეო, — გაივლო გულში.

ბოკუჩა არ ისვენებდა. ახლა თვითონ ჩამოხტა ერთმანეთზე შეწყობილი ფიცრის მორებიდან, კოსტაიას წინ დაუდგა და ისევ გაყოფა-განაწილებაზე დაიწყო ხმამაღალი ლაპარაკი.

— ღარიბების არის ქვეყანაო, რომ იძახდენ აი ჩვენი თავკაცები, ღარიბი და ღატაკი მე ვარ სწორედ... ჩემს ცოლშვილს რჩენა არ უნდა? მუშა-ხელის მიხედვით რომ მოხდეს გაყოფა, ზოგიერთებს გასასყიდი ექნება სიმინდი, მე კი ზამთარს არ დამალევინებს წლის მოსავალი. დანაკლისი რომელი თანხებით ვიყიდო? ასეთ დღეშია სხვებიც, ვისაც სარჩენი ბევრი ჰყავს ოჯახში და მოსწრებული არ გააჩნია.

— ბოკუჩა! — გაჩნდა საიდანღაც ბონდო არტელის წევრებს შორის. ბოკუჩას მხარზე ხელი დაჰკრა, თავისკენ მიაბრუნა და წყნარად უთხრა: — შენზე ამბობენ, უტუ ბერულავას მოკეთე კაციაო, იმასაც ამბობენ, მის პურმარილზე ზშირი სტუმარიაო... ფრთხილად იყავი, გირჩევ ამხანაგურად.

ბოკუჩას ხმა ჩაუწყდა. ორჯერ-სამჯერ ახედ-დახედა ბონდოს, ნერწყვი ჩაყლაპა და უხმოდ გაიძურწა იქიდან.

დარაბების რახრახი მოისმა.

იორდანემ ყურები სცქვიტა და კოოპერატიულ დუქნისაკენ გაიხედა. ნოქარმა დუქანი გააღო.

იორდანე არტელის წევრებს გამოეთხოვა და კოოპერატივისკენ წავიდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანა ხახუტაშვილი

იოსებ ლალიაშვილი

პირველი შეხვედრა [1]

მაროს გული უფრიალებს, ხელები უკანკალებს, ძალიან ეჩქარება. ყველაფერი უნდა ნახევარ საათში მოასწროს.

დღეს მხოლოდ ოთხი გაკვეთილი ჰქონდა, ადრე დაბრუნდა და ეხლა შინაურ საქმეს შეუდგა. ოო, როგორ უცბათ შეუყვარდა მაროს ანჩხატის არემარე, თავისი პატარა ჩიხით, სადაც მუდამ სარეცხის ჭოჭი დგას და ყოველთვის ცუდი სუნი ტრიალებს.

აქ მუდამ ღარიბი და საწყალი ხალხი ბინადრობს.

მთელი ქვეყნის ბავშვები მუდამ აქ იყრიან თავს და ბინდამდე საშინელი ჟრიამული გააქვთ.

ამ უბნის თითო ოჯახს ოთხი-ხუთი ბავშვი ჰყავს, ბევრს ექვსიც. მეტადრე იქ უფრო მომრავლებულან, სადაც ხელმოკლეობას და სიღარიბეს მოუკიდია ფეხი.

თავმოყრილი ბავშვები ხან ჩილიკა ჯოხს თამაშობენ, ხან ბურთაობენ, ხან ოთურმას გადადიან და განუწყვეტლივ ზარებივით წკრიალებენ. ხან კი ისე გაჰკივიან, ყურთა სმენაა მათგან წაღებული. მათ რბენას და ბღლაძუნს ბოლო არ უჩანს. უსწორ-მასწოროდ მოკირწყლულ ქვაფენილზე მათ ფეხსაცმელებს შუაღამემდე განუწყვეტლივ გააქვს ბრაგი-ბრუგი.

აი ამ ჩიხში დგას სოფლელი დიაკვნის ქალი მარო. მაროს ბებერი მამიდა ჰყავს, ჯარიაშენიდან ქალაქს გამოთხოვილი. ქმრის სიკვდილის შემდეგ ქალი სოფელს აღარ დაუბრუნდა, ქალაქს შეუთვისდა და მოხუცებულობის ჟამს მოწაფეებით ირჩენდა თავს. ღარიბი „ნახლედნიკები" (როგორც მამიდა ეძახდა) იყვნენ მისი მარჩენალნი. ამ უკანასკნელ ორ წელიწადს კი თავისი ძმისწული მარო სოფლიდან ჩამოიყვანა, რამდენიმე ფუთი ფქვილი, ლობიო, კაკალი, ხახვი, დალალკავებივით კოხტად ჩაწნული გამხმარი ღოლო, გაუფცქვნელი მსხლის შავი ჩირი ძმის ოჯახში მიხვეტ-მოხვეტა და თურაშაული ვაშლივით ლოყებ-დაკვერებული მარო თავის ყალამქრის ბოღჩით თან წამოიყვანა. მარომ ეპარქიალური

---

[1] გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 1

სასწავლებლის მეოთხე კლასში მშვენივრად დაიჭირა გამოცდები და აქედან იმ სიშორეზე, ანდრეევის ქუჩაზე, ხშირად ქუსლ-გავარდნილი ფეხსაცმელით, თხელი და გახუნებული პალტოთი დაიარებოდა.

მაროს ბარე ძალზე რცხვენოდა, გული მეტად ეჩაგრებოდა, მაგრამ რა ექნა? ღარიბი დედ-მამის შვილი იყო და ყველაფერს მოთმენა უნდოდა.

— აი, შვილო, რაღა დაგრჩა? წელიწად-ნახევარიც და კურსოვნიცა გვეყოლები. მასწავლებელი გამოხვალ და მერე თუ გინდ ექვსმანეთიანი შევრონის პოლტაპოჩკი ჩაიცვი, პეროიანი შლაპკა დაიხურე, ვინ გაგიხდება წინააღმდეგი? ეხლა კი, გენაცვალოს მამიდა, აბა რა ვქნა? მე არაფერი არა გამაჩნია რა, შვილო, და შენი დედ-მამის გარემოება ხომ შენც კარგად იცი?!

ასე აშოშმინებდა ვარდივით გაშლილ თხუთმეტი წლის გოგონას, როცა მას გულდაჩაგრულს ხედავდა.

მწუხარება მაროს უფრო დღესასწაულში ემჩნეოდა, რიცა მოპრანჭულ-მოქარგული ქალაქელები ფერად ტანსაცმელში ქუჩებს ნერვიული მხიარულებით ავსებდნენ.

იქ თეატრები, აქ სადამოები. ყველა ახლადჩამოსულ, გამოჩენილ მომღერალზე აღტაცებით ლაპარაკობდა.

მაროს ეს საინტერესო ამბები გიმნაზიელ გოგონებისაგან ესმოდა და გული სტკიოდა.

— ლიდა, გაიგე? წუხელის იტალიელ ბონაჩიჩს გადაურევია ხალხი. ეს მშვენიერი მომღერალი თანაც თურმე ისე ლამაზია, რომ გაგიჟდება კაცი იმის გულისთვის. მარმარილოს მსგავსი ყელი თურმე აქვს. ისე მღერის, ისე, რომ ცრემლები მაფრქვევინა, კინალამ ბალკონიდან პარტერში გადავვარდიო, ასე ამბობდა ჩემი უფროსი და. მთელი ღამე არც დაგვიძინია. ახლა უფრო ახალგაზრდა და უკეთესი მომღერალი — მედვედიევი თურმე მოდის და ლამის სიხარულით გადავირიო. დედამ ეხლა ექვსი ბილეთი იყიდა და ორჯერ მაინც წავალ. ღმერთო, ღმერთო, ჩქარა მაინც მოვიდეს ეს ოხერი ხუთშაბათი! — სიხარულით ცმუკავდნენ და წიოკობდნენ გოგონები.

ამისთანა ამბები ხშირად მაროს მათი სახლის ზემო სართულის აივნიდან ესმოდა.

გიმნაზიიდან დაბრუნებული გოგონები ხელად რკინის აივანზე გამოცვიოდნენ და იყო ერთი ტრაბახი და კვეხნა.

ამ დროს მარო ბევრჯერ თავიანთ ანჯამა-ჩამოვარდნილ ალაყაფის კარებთან იდგა და ულიმლამო სახით ქუჩაში იცქირებოდა.

მარო იმასაც ხედავდა, რომ ხშირად კვირა-უქმე დღეს პრიალა-ღილებიანი და წითელ-ეპოლეტებიანი, თავით ფეხამდე გაკრიალებული „კადეტები“ ეწვევოდნენ ლიდას, და მაროს გული ეჩაგრებოდა, როცა ხედავდა, რომ ეს ყმაწვილები ისე თავაზიანად და ყურადღებით ეპყრობოდნენ გათამამებულ გოგონებს.

ერთ ბედნიერ დღეს (ოო, მაროს არასოდეს არ დაავიწყდება ის დღე) ლიდას ვიღაც მაღალ-მაღალი კადეტი სტუმრად ეწვია. აივანზე ლაბარაკის დროს კადეტმა ძირს ჩამოიხედა და ლიდას ხმამაღლა მიმართა:

— Слушайте, Лида, смотрите, какая хорошенькая епархиалка... скажите, кто она такая?

ლიდა აიმრიზა, უკმეხად პირი ფანჯრისაკენ მიიბრუნა და ამაყად წამოიძახა:

— А черт ее знает! Это будущая попадья, какая нибудь деревенская кекелка!

მაროს გულში ეს სიტყვები ლახვარივით ეძგერა, ლოყები უფრო დაებრაწა, მან წყრომით ზევით აიხედა და ალაყაფის კარებს მიეფარა.

— О-о рассердилась, видели какие у нее чудные глазенки?..

მაროს ეს სიტყვებიც აშკარად შემოესმა. გული ახლა სხვანაირად შეუთამაშდა და უცბათ სახლისაკენ შეტრიალდა.

ლიდას ბოროტებამ მაროს გული ცეცხლით აუვსო, მაგრამ შემდეგ კადეტის ამ სიტყვებმა ისეთი სიხარული და სიამოვნება აგრძნობინეს, რომ ეს ბოლმა მთლად გაუქარწყლეს.

— ვენაცვალე ღმერთს, ცხვირაპრეწილ ლიდას გულის გასახეთქად კადეტს ხომ მოვეწონე...

აღელვებულმა მარომ ფარდა-ჩამოფარებულ თახჩიდან ძაფით შეკერილი თავისი დღიური გადმოიღო, მაგიდას მიუჯდა და მოღიმარი სახით ჩაწერა:

„დღეს ძალიან ბედნიერი ვარ. ყველა ეპარხიელისტკებს პირმოღუშული ბურსაკები უარშიყდებიან და მე კი ლამაზი კადეტი გამიარშიყდა: Какая хорошенькая епархиалка-ო. ოო, ეს არასოდეს არ დამავიწყდება. თექვსმეტი ღვინობისთვე“.

ბარემ კადეტი ლამაზი არ იყო, ცხვირი პაპას გოჭივით ზემოთ აფხეკოდა, თვალები მოხარშულ თევზს უგავდა და ქვემოთა ტუჩიც ბოლჩასავით ეკიდა და როგორიღა ლამაზი უნდა ყოფილიყო? არა, ლამაზი არ იყო. ქერათმიანი ყმაწვილი წითელკანტებიან მუნდირში ისე იყო გამოკანკლული, თითქოს კორსეტი აცვიაო. თანაც მომავალ ოფიცერს ვარჯიშობით გაწვრთნილი ელეგანტური მიხვრა-მოხვრა ჰქონდა, და გათავდა... უკვე მოსაწონად იცქირებოდა. და განა ამგვარად გაპრიალებული ყმაწვილის ყურადღება ეპარქიალური სასწავლებლის ღარიბი მოწაფისადმი მართლა ბედნიერება არ იყო?

ეს ამბავი შემოდგომაზე მოხდა, დღეს კი დეკემბრის თორმეტია. ხანი გავიდა და მაროს გუნებაც, როგორც .ახალგაზრდობას სჩვევია, მთლად შეიცვალა. დღეს მაროს გულში სულ სხვა და უცნაური რამ გამოიკვანძა და დღეობით კი არა, საათობით იფურჩქნება. ოთხი დღის წინათ დილით გოლა ჩიტაძემ, რომელიც იმ უბანში ცხოვრობდა, ჩვეულებრივად მამიდას თავისი სარეცხი მოუტანა გასარეცხად, თანაც ვიღაც სემინა-

რიელზე ელაპარაკებოდა, ძალიან კარგი ყმაწვილია და თქვენ არ შეგაწუხებთო.

ამას მოჰკრა მარომ ყური, თასმებით შეკრულ წიგნებს ხელი დააკლო, რადგან სასწავლებელში უგვიანდებოდა, და სწრაფად გაეცალა.

მარო სკოლიდან ორ საათზე დაბრუნდა და ნახა, რომ მამიდას პაწია ოთახიდან ზედმეტი ნივთები გამოეტანა: გიდელა მატყლის ფთილებით და თითისტრებით იქვე კუთხეში მიედო, დანჯღრეული ლომბერის მაგიდა მაროს საწოლთან მიედგა და თუნუქის კოლოფში ჩარგული წითელ-ყვავილიანი ბალბა ზედ დაედგა. ბებერს ეს მორთულობა ახალ „ნახლედნიკისათვის“ ვერ გაემეტებინა და თავის ოთახის მოსართავად გამოეტანა.

მარო მიხვდა, რაშიაც იყო საქმე და გული აუფანცქალდა.

„ვინ იცის, მართლა რა ბიჭი იყოს და მერე... მერე მე რა? არაფერი! ერთი ვინმე ჩლარტიანი სემინარისტი იქნება, მორჩა და გათავდა. ამ ქალაქში ცოტა სემინარიელები დადიან!“ — გაიფიქრა მარომ.

მაგრამ გული რაღაც მოუსვენრობას გრძნობდა. მამიდა რომ გარეთ გავიდა, ის დაჭორფლილ სარკის წინ მიდგა, თავზე ხელი გადაისვა, მშვენიერი ნაწნავები ზურგზე მძიმედ გადაიყარა, წინსაფარი რამდენჯერმე დაიწია და დაძაგრა, რომ ისედაც ნორჩი ყლორტივით აზიდული წელი უფრო კოხტად გამოსჩენოდა.

თუმცა დაკერებულმა იდაყვებმა დააღონეს, მაგრამ რა ქნას, სხვა კაბა რომ არა აქვს?

ან რომ ჰქონდეს კიდეც, სირცხვილით ხომ ვერ ჩაიცვამს. მამიდა ხომ მიუხვდება ეშმაკობას. იმისიც კი ეშინიან, რომ მან თავის ბოღჩიდან დღესასწაულებისათვის შენახული შაურიანი გახამებული საყელო ამოიღო და სწრაფად გაიკეთა. საყელო კოხტად დაადგება და თეთრი პრიალა ზოლი ალუბლისფერ ქიშმირის კაბაზე ლამაზად გამოჩნდება...

მარო ღელავს, ოთახში შემოსულ მამიდას არ უცქერის, რაღაცას ბუდარაობს. ეშინიან, მოწონების განზრახვა არ შეამჩნიოს.

— შვილო, რატომ კაბას არ გაიხდი, ხომ შემოგაცვდა! რაღა თქმა გინდა, აქამდე ვერ მიეჩვიე, გოგო?

— არა, მამიდა, ექვსი საათისათვის ბიბლიოთეკაში მივდივარ და რაღათ გავიხადო, დღეში სამჯერ ხომ არ გავიხდი და ჩავიცვამ! — უკმაყოფილო კილოთი უპასუხა მარომ და სახეში ალმური ეცა...

კარებს ვიღაცა აკაკუნებდა.

მარომ ვითომ არაფერი არ იცოდა. სანამ მამიდა ყურს მოჰკრავდა, სწრაფად კარები გააღო და დერეფანში გავიდა.

გოლა ჩიტაძემ სალამი მისცა. უკან მდგომმა ყმაწვილმაც თავი დაუკრა და ისეთი გამომეტყველებით შეხედა, რომ მაროს სული შეეკრა. უცნაურად იგრძნო თავი და კარებში ისევ შემოტრიალდა.

— მამიდა, გეძახიან, მამიდა!

მამიდა კი იქვე იყო და ახლად მოსულთ უკვე გამზადებულ რიგისკენ იპატიჟებდა.

„ნეტა რათა აქვს ეგრე დაღონებული, ეგრე მწუხარე სახე? ღმერთო, როგორ შემომხედა, როგორ!“ — ეკითხებოდა მარო თავის [illegible] საფრის კალთას მოუთმენლად სრესდა.

შემდეგ აღარ გამოსულა. არც სამკითხველოში წავიდა, კაბა გაიხადა და თავის წიგნებს ჩაუჯდა. დაწოლამდე მაროს თავი აღარ აუღია.

მეორე დილით დერეფანში ერთმანეთს შეეფეთნენ, ურთიერთს სალამი მისცეს და თავთავიანთ სასწავლებლებში წავიდნენ.

„პირველ შემწიფებულ მარწყვსა ჰგავს, მზის სხივებზე მწვანე ფოთლებში წითლად რომ კრთის!“ — რაღაც სიხარულით ფიქრობდა იოსები.

მაროს ქალწულებრივმა სათნოებამ და დამფრთხალი შველივით გაოცებულმა მისმა თვალებმა იოსების ბოლმა დასძლიეს და ყმაწვილს უნებური სიამოვნება აგრძნობინეს.

„არა, ეს ბრმა და ბოროტი ცხოვრება წუთით მაინც ძლიერ კარგია“, — ფიქრობდა გულში ნაბიჯ-აჩქარებული ლალიაშვილი და ლამაზ გოგონას ისევ გონების თვალით სჭვრეტდა.

იოსები სემინარიას მიუახლოვდა. ეს ამოძულებული სასწავლებელი დღეს ისე დაბღვერილი აღარ ეჩვენა. არც გრძელწვერა, ენატანია დარაჯს გამოუწვევია მასში კვლავინდებურად ბოროტი გრძნობა.

ეს დარაჯი ინსპექტორის ჯაშუშად იყო მიჩნეული და მას მხოლოდ რამდენიმე მოწაფე აძლევდა სალამს. დანარჩენები პირს არიდებდნენ და როცა დალაპარაკება აუცილებელი იყო, მაშინაც ხეირიანად ხმას არა სცემდნენ.

„ნეტა რათა აქვს ისე დაღვრემილი სახე?“ — კიდევ აღეძრა ეს კითხვა მაროს და სასწავლებლამდე ისე მივიდა, არ გაუგია.

მარო გაკვეთილების გათავებას მოუთმენლად მოელოდა. სახლისაკენ გული ისე ეწეოდა, შინ წასვლას ისე ესწრაფებოდა, თითქოს სახლში რაღაც განძი დაუტოვებიაო. უცნაურია, უცნაური, არც ლამაზია. პირიქით, ამგვარი სახის ადამიანს უსახურიც დაერქმეოდა. მაშ რამ მოხიბლა, რამ გაუთანგა გული და სული?!

რა არის ეს, ნუთუ მართლა ბედია? გოგონას გულზე ჭიასავით რაღაც შეაღოღდა, მოუსვენრობამ მოიცვა მისი არსება. როცა იოსების თვალები პირველად მაროს თვალებს შეხვდნენ, მას ეჩვენა, რომ მის თვალებში სევდასთან ერთად რაღაც ვედრება და შეწყნარება იხატებოდა. ერთის სიტყვით, მის გამოხედვაში რაღაც იყო, რომელმაც ისე უცბათ გაგმირა გოგონას გული.

„მე რა ვიცი... გული ამიფორიაქდა, გული მითრთის... ღმერთო, მიშველე!“ — ჩუმად ბუტბუტებს მარო და სამოსწავლო კათედრის ერთ წერტილს ჩაგონებულივით მისჩერებია.

„Чуден Днепр при тихой погоде“, — მარცხნივ წკრიალა ხმით ამბობს გოგოლის თეთრ ლექსს ერთ-ერთი მისი ამხანაგი. კუთხეში გულ-

ხელდაკრებილი მაღალი და გამხდარი მასწავლებლის გულში ალთრთოვანებით წარმოთქმული ლექსი სიამოვნებას იწვევს. ლიტერატურის მასწავლებელი ალბოვი პოეზიის დიდი მოყვარულია და [illegible] მოწაფის წასაქეზებლად თავს ნელა აქნევს და გოგოლის [illegible] მოქმედების გაგონებაზე აციცინათებულ სახეებს სიამით ათვალიერებს.

დეკლამაცია შესწყდა.

— Хорошо! — ეუბნება მოკლედ ალბოვი და ახლა ყველას მიმართავს: — გთხოვთ, გაამზადოთ რვეულები.

კლასი უმალ აშრიალდა, ახმაურდნენ პარტები და წუთში ყველაფერი მზად იყო.

ალბოვმა კლასს პენსნეს ქვეშ გახედა და წყნარად მიმართა:

— ამ ლექსის მიხედვით თქვენ გაეცანით სამხრეთ რუსეთის ლამაზ ბუნების და, კერძოდ, დნეპრის აღწერილობას. ახლა გაიხსენეთ თქვენი ქვეყნის უფრო ლამაზ ბუნება, მისი მაღალი მთები, ხეები, ბალ-მინდვრები და მდინარეები და ექსპრომტად დამიწერეთ პატარა აღწერილობა თქვენი ქვეყნისა.

კლასი ისევ აშრიალდა.

ყველამ კალამს ხელი წამოავლო. ზოგი გაშტერებული თვალებით ჩაფიქრდა, ზოგმა შუბლი ხელით ჩამოიჩრდილა, თითქოს გონებას იკრებსო. სხვამ კიდეც ააწრიპინა კალამი ქაღალდზე. მაგრამ არიან ისეთებიც, რომელნიც შეძრწუნებული სახით ერთმანეთს უცქერიან და მთელი სევდა გაწოლილა მათ თვალებში. რუსული კარგად არ იციან და გულს ვარამი შემოსწოლიათ.

პირველ პარტაზე ყველაზე უმცროს გოგონას საშინლად გასჭირვებია: იგი რამდენჯერმე შეიშმუშნა, თავი ასკილივით დაიქნია და კალამი მაინც ააწრიპინა.

მეორე ადგილას სულ სხვანარი სურათია: ხუჭუჭთმიან ფერმკრთალ მოწაფეს თვალები ცრემლებით ავსებია, კალამი ხელში გაჰყინვია და ჩუმად გმინავს.

— ოო, ღმერთო, ღმერთო, შენ გაუხმე იმას თავი, ვინც ჩვენ ქართულ გაკვეთილებზე მხოლოდ ჟამნის კითხვას გვასწავლის! არა სჯობია ქართული ლექსების კითხვა გვასწავლონ და ქართულადვე გვაწერინონ. მაშინ ხომ ასე არ დავიტანჯებოდით. კალამს ისე გავაქროლებდი, როგორც გაჭენებულ ცხენს. აბა ეხლა რა უნდა ვუყო? თუ კი რუსული არ მეხერხება? რა წყალს მივეცე მე უბედური?

მაროს მასწავლებლის წინადადება არც გაუგონია: კლასში ხელების ფათური და რვეულების ფურცვლა რომ გაისმა, მიხვდა, რაშიაც იყო საქმე. იმანაც ამოიღო რვეული, თავი ჩაქინდრა და ვითომ ისიც სწერს, ჩუმად წრიპინებს მისი კალამი... ოღონდ სიტყვების მაგივრად შორეული პერსპექტივა მაღალი მთით და წყალვარდნილით თეთრ ქაღალდზე ამოცურდა. ახლო ტყეა, ბილიკი და რაღაც სილუეტი...

მარო თავის შემოქმედებას უცქერის და ქვემოთ წარწერას უკითხავს:

„მითხარ, ვინა ხარ? რად შემიშფოთე გულის სამშვიდე? ეხლა რაღა ვქნა! როგორ ვისწავლო, როგორ განვლო გზა სამშვიდობოსაკენ!

მაროს თვალები ცრემლით აევსო. მაგრამ გარეთ ზარმა დარეკა და ოცნებით გატაცებული გოგონა გამოერკვა. კლასი ქარისაგან აშრიალებულ ტყესავით ახმაურდა.

რვეულები მორიგე მოწაფეებმა შეკრიბეს და საყვარელ მასწავლებელს მოკრძალებით კათედრაზე დაუწყეს. ალბოვი აღიმართა, რვეულებს ხელი წამოავლო, ერთ წუთს ფეხზე დამდგარ კლასს თავი დაუკრა და გავიდა.

უკან ფეხაკრეფით და ეშმაკური ღიმილით გამოედევნა მისი თაყვანისმცემელი რამდენიმე გოგონა. ისინი ცეცხლებივით აგიზგიზებული თვალებით უშნოდ აწოწილ კაცს ზურგთ უკან ჩურჩულით მისძახოდნენ: „შენ გენაცვალე, შენა... დუშკა, დუშკა!.. ალექსანდრ პავლოვიჩ“. ერთ-ერთმა მათგანმა ის იყო კოკორივით მოკუმშულ პატარა ტუჩებზე ხელი მიიდო და ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა, რომ უცებ აფთარივით აღრენილ ბებერ კლასის დამრიგებელ ქალს შეეფეთა.

— Ах ты, дура несчастная! Стыда нет совсем, растаяла перед мужчиной!

გოგონას შერცხვა, თავში ჩაკრულივით სწრაფად უკან გატრიალდა და ერთი მაგრა შეუკურთხა:

— აი შენ გაგიხმეს თავი, შენა! რაღა ახლა მომასწრო ამ ქოფაკმა, ამან!

მოწაფეებს სიცილი აუტყდათ.

უხვად პუდრ-შეყრილმა დამრიგებელმა კლასში ფარჩა შეაშრიალა და თან სურნელებით აავსო იქაურობა.

— რას იცინით, სულელებო, რა არის აქ სასაცილო? არც კი გრცხვენიათ, ახალგაზრდა მასწავლებელს ციგნებივით უკან ედევნებით, მოსვენებას არ აძლევთ, ველურებო!..

— ოჰო, ახლა კი აყეფდა... ვაი ჩვენი ბრალი! — წაიბუტბუტეს გოგონებმა.

— ალექსანდრ პავლოვიჩმა ყურადღება არ მიაქცია მაგ უბედურს და ახლა ჯავრს ჩვენზე იყრის... ვაი მაგის გაძლებას!

— მართლა, გოგოებო, შეხედეთ, როგორ მოპრანჭულა!

— ამ საცოდავს, ჩვენ იმიტომ ვეჯავრებით, რომ ჩვენში მეტოქეს ხედავს.

— ოო, შენ გამოგვიწყდი, შე ბებერო. შენა! — პირზე ღიმმომდგარი გოგონები ერთმანეთს ებუტბუტებოდნენ.

— Замолчать! Что вы там на собачьем языке переговариваетесь?!

მთელ კლასს უცებ სახე შეეცვალა. ბევრს თვალებში მრისხანება გამოუკრთა. ზოგმა შუბლი შეიკრა და მოუთმენლად თავი ჩალუნა, რომ

საშინელი რამ უფროსისათვის არ ეკადრებინა, ბევრს სახე წამოუწითლდა და მრისხანე გამომეტყველება მიიღო. რამდენიმე [illegible] გაინაბა და დათრთვილული ყვავილივით თავი მძიმედ დახარა.

სადღაც პარტამ დაირახუნა.

— Это не собачий, а наш родной грузинский язык, как можно... — წამოიძახა უკმეხად გაალმასებულმა მარომ და დამრიგებელს თვალი ბოროტად თვალში გაუყარა.

— Замолчать, наглая! Я сейчас начальницу позову! — დაიქუხა დამრიგებელმა და კლასის კარები გაიჯახუნა.

ბავშვები შეჩოჩქოლდნენ და ჩუმად ახმაურდნენ.

— რა ქენი, მარო, შენც რა მოუთმენელი ხარ?! ძაღლს რა ყურადღებას აქცევ — უსაყვედურეს შეშინებულებმა აქეთ-იქიდან.

— სირცხვილი თქვენთვის! — წამოვარდა გაცეცხლებული მარო: — განა ეს მოსათმენია? ყველას ძაღლებად გვნათლავს, ჩვენ, ჩვენს მშობლებს და ჩვენს ქვეყანას და სადამდის უნდა ვითმინოთ? ეს ხომ პირველი არ არის?!

— ჰო-და აბა ნახე მაგ პასუხიდან რა გამოვა, ახლა ნაჩალნიცა გეზელქორივით თავს დაგვეცემა და მთელ კლასს დააფორიაქებს.

— უკაცრავად, თქვენ თავს ნუ შეიწუხებთ. პასუხისმგებელი მე ვარ. მე ვერ მოვითმენ მაგ შეურაცხყოფას და თქვენ, თუ გნებავთ, წითელი კვერცხები გაუგორეთ წინ.

კლასი უარესად ახმაურდა. ყველას საშინლად გაუკვირდა, რომ მუდამ წყნარი და მშვიდი მარო საერთო შეურაცხყოფას ასე გმირულად გაუმკლავდა.

— არიქა, მოდის... შ შ შ შ!.. — გულის ფანცქალით წამოიძახეს გოგონებმა და მთელი კლასი უცებ ჩაჩუმდა.

კარები ზათქით გაიღო და გააფთრებული, ბულდოგის მსგავსი სახით უფროსი ქალი შურდულივით შემოიჭრა. მატყლის ტომარასავით თავით ფეხამდე ერთნაირად ჩასქელებულ, ხანში შესულ ქალს შეშუპებულ თვალებზე ლორნეტი მიეფარებინა, ხოლო სამად დაკეცილი ღაბები ჯიშიან ძროხასავით უთამთამებდა. უკან წივასავით გამხმარი კლასის დამრიგებელი ფეხდაფეხ მოჰყვებოდა და გესლიანი ღიმილი გაყვითლებულ სახეზე ალმაცერად დასთამაშებდა.

— ზურაბიშვილი! აბა გაეთრიე აქედან! — შემოსვლისთანავე დაიქუხა უფროსმა და მრისხანედ კარებზე მიუთითა: — დერეფნის კუთხეში... პირუკულმა... მარდად!

მარომ შუბლი უარესად შეიკრა და კარებისაკენ უკმეხად გაემართა.

— Стой, дерзкая! повернись сюда!

მარო გაჩერდა, ძირს იცქირება, შეუპოვრობას შუბლის კოპებით ხატავს.

— შუბლი გაშალე, სწორედ დადექ, თავი მაღლა! პირდაპირ შემოხედე მეთქი! — ლრიალებს უფროსი ქალი და ერთნაირად ირხევს თავზე დაკეცილ ათარშინიან შავი აბრეშუმის ბანტს და დაკიდულ ლაბებს.

მარო წელში იგრიხება. ბოლმა აღრჩობს და პირდაპირ შემოხედვა ვერ მოუხერხებია.

კლასი კი სდუმს. ნორჩ სანერგესავით წელში სწორად აყრილი გოგონები უფროსს თვალებში შესცქერიან.

რაკი მარომ არ შეხედა, უფროსმა ლორნეტი ოქროს ძეწკვით ძირს დაუშვა და მაროს მივარდა. ნიკაპში ხელი აჰკრა და კბილები აუწკაპუნა, სახე მაღლა აუწია. მაგრამ მაროს შუბლი მაინც ვერ გაახსნევინა. უფროსმა ორი ცერი ლამაზ წარბებზე ლურსმებივით დაატაკა და ხავერდის მსგავსი ნაოჭი ძალით გადაუძაგრა, თან უყვიროდა:

— შუბლი გახსენ, შუბლი მეთქი, შე საზიზღარო!

მაროს დახრილ ქუთუთოებიდან წყვილი ცრემლი მარგალიტად გადმოეკიდა.

— მე შენ გიჩვენებ სეირს, შე ურჩო აზიელო, შენა! — ერთხელ კიდევ დაულრიალა, შემდეგ მხრებში ეძგერა, მოხრილი მხრები ძალით გადაუწია, მერე უცებ ჩიკორივით შემოატრიალა, ზურგში ერთი ზორბა მუჯლუგუნი კრა და გაღებულ კარებში ბურთივით გაისროლა.

თითონ კარებში ჩადგა, მარცხნივ ხელი გაიშვირა და წატორტმანებულ გოგონას მიმართა:

— პირუკუღმა, დერეფნის კუთხეში, კუთხეში, მარშ!

უფროსი ახლა კლასში შეტრიალდა, კარები ისევ შეარახუნა და ფეხზე გაშეშებულ თავდახრილ მოწაფეებს გრიგალივით დაატყდა:

— ეს რასა ჰგავს, რაებს სჩადიხართ, უმადურებო? ურჩობას ბედავთ და ხმის ამოღებას? თქვენ ნუ გავიწყდებათ, რომ სოფლელი მღვდლისა და დიაკვნის შვილები პატიოსან პანსიონში იზრდებით. გზასა და კვალს გიხსნით, მთავრობისა და უწმინდესი სინოდის წყალობით თქვენს ადამიანად ქცევას ვცდილობთ, თქვენ კი მასწავლებლებს და კლასის დამრიგებლებს მასხარად იგდებთ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ დიდმა რუსეთმა თავისი წმინდა სისხლი დაღვარა, რათა ერთმორწმუნე კავკასიელები ველური ოსმალებისა და თათრების კლანჭებიდან დაეხსნა. თორემ ეხლა, იცით, რა იქნებოდით? მათ ურდოებში ეხლა უკმეხ სახეებზე ბინძური ჩადრები გექნებოდათ ჩამოფარებული და სკოლის მაგივრად ჰარამხანაში მონურად გაიხრწნებოდით.

ეს იყო ბურთი, რომელსაც უფროსი ყოველ ამგვარ შემთხვევაში მოწაფეებს პირში სჩრიდა.

— რუსის ხელმწიფემ უპატრონოდ დატოვებული თქვენი ქვეყანა თავის მყუდრო ფრთის ქვეშ შეაფარა და განადგურებისაგან დაიცვა და თქვენ კიდევ კრინტსა სძრავთ?

„ჩვენ მაინც ძაღლები არა ვართ, რომ ჩვენს ენას ძაღლის ენას უწოდებენ“, — უნდა წამოეძახა ერთ-ერთ სუსტ და ფერმკრთალ მოწაფეს,

მაგრამ ბავშვმა ველარ გაბედა და ხმამაღლა აქვითინდა. გამარჯვებულმა უფროსმა ეს ტირილი გულის ხმაში ჩავარდნად და პატივის გამოთხოვის ნიშნად მიიღო და კლასის დამრიგებელს მიუტრიალდა.

— შემდეგ რომელი გაკვეთილი აქვთ?

— დღეს ორი გაკვეთილის მეტი არა აქვთ, — გაპარული ხმით მოახსენა კლასის დამრიგებელმა და თვალებში მლიქვნელურად შეხედა.

— მაშ მეხუთე გაკვეთილი ისევ ფეხზე დგომით გაატარონ და სადილის დროს შავ მაგიდასთან ფეხზე დგომით დაჰყონ, ეგება შერცხვეთ და ჭკუა ისწავლონ.

— ეს დღეს — მიუბრუნდა ისევ კლასს და ქორის თვალებით ყველანი შეათვალიერა, — ეს დღეს ასე იყოს და კვლავ მაგის მსგავსი რამ თუ გაგიბედნიათ, მთელ კლასს დავხურავ და სოფლებში გავისტუმრებთ. Смотрите вы у меня, бессовестные неблагодарные свиньи..

ჩასუქებული უფროსი დიდი ტურნულით და ავი ძაღლის სახით სწრაფად გატრიალდა და კარები უარესად გაიჯახუნა.

მარო კი კუთხეში პირუკუღმა დგას და ჩუმად, უხმოდ იმდუღრება. ზარი უკვე დარეკეს, მთელი სასწავლებელი ეხლა გარეთ გავიდა, და სირცხვილი აწუხებს, ბოღმა აღრჩობს.

დღეს სახლში კი ისე ძლიერ ეჩქარებოდა, მისი გულისყური იქითკენ მიისწრაფოდა და მოულოდნელად თავზე მეხივით ეს შეურაცხყოფა დაატყდა. გაკვეთილებიდან განთავისუფლებული ბავშვები კი მიდიან. კუთხეში აყუდებულ ქალს მოჰკრავენ თუ არა თვალს, უცებ ხმას დაუმდაბლებენ და თანაგრძნობით აჩურჩულდებიან. ეს თანაგრძნობა მაროს გულს დანასავით უსერავს, ზურგი ეწვის მათი ცქერით. მაგრამ რა ქნას, ნომ ვერაფერს ვერ ეტყვის, ვერც მათკენ მიტრიალდება და ბოღმა უფრო უმძიმდება, სირცხვილი სწვავს და გული ყელში ეჩრება. მხრები ზლუქუნით აუდის და დაუდის.

მეხუთე გაკვეთილი ჯერ არ გათავებულიყო. მეზობელ კლასიდან გალობის ხმა შორეულ გუგუნად შემოესმა მაროს და გული უარესად აუდუღდა.

მარო თვალებ-დახუჭული დგას და თვალწინ იოსების სილუეტი სვეტივით აღმართვია. იოსები ისევ იმ გამომეტყველებით უცქერის, როგორითაც პირველად მოეევლინა. უცქერის, უცქერის, თითქოს რაღაცას ეედრებაო.

ოო, რა საშინელ მწუხარებას ხედავს იმ თვალებში... მხოლოდ წუთით ნახა მარომ ის თვალები და ვერასოდეს ველარ დაივიწყებს.

სრულ სამ საათზე ვაემართა მარო სახლისაკენ. თვალები უკვე მოკრიალებული ჰქონდა. დაღლილობას გრძნობდა, მაგრამ სახლისაკენ ნიავივით მიჰქროდა.

უეჭველია, ისიც დაბრუნდებოდა სემინარიიდან და ნახავს. თვალიც რომ ვერ მოჰკრას, არაფერია. ერთ ჭერ ქვეშ ხომ იქნებიან? მათ მხო-

ლოდ ერთი პაწია თხელი კედელი ჰყოფთ. მიდის, მიდის და მთელი ქალაქი სულ სხვანაირად ეჩვენება.

ზამთრის მზეზე თითქოს ყველაფერი გაფურჩქნულია, ხალხიც კეთილად ეჩვენება და ყველა უყვარს, ყველა, გარდა კლასის დამლაგებლისა და საძაგელი უფროსი ქალისა.

— საზიზღრებო! გინდათ თუ არა, თქვენი ენა მუცელში ჩაიგდეთო, ძაღლის ენაოო და თქვენი ყველაფერი დაივიწყეთო. ისემც გაწყდებით!

მაროს დამუქრებული ნიშანი აშინებს, უფროსმა რომ ყოფაქცევისათვის აღუთქვა. უბრალო ცელქობისათვის კი არ დასჯიდა, სამართლიანი სიტყვა სთქვა და სამართალი ხომ უსამართლოებს თვალსა სთხრის.

მარომ ავჭალის ქუჩა ჩაიარა და კუკიის ხიდისაკენ დაეშვა.

სწორედ ხიდის ყურზე თავჩაღუნული იოსები დაინახა და მთლად აენთო. იოსებმაც ზევით მაშინ აიხედა, როცა მარო დაუპირდაპირდა. მან ქუდზე ხელი წაივლო, მოკრძალებით თავი დაუკრა და ჩაიარა.

მაროს ეწყინა... ვინ იცის, სახლში როდის დაბრუნდება? — გაიფიქრა მან, რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა და უკან მიიხედა. იოსებს თავი უფრო დაბლა დაეხარა და მხრებში მოხრილი დინჯად მიაბიჯებდა.

— ნეტა რა გაწუხებს, ბიჭო, რა?! ცოტა დამაცადე, ჯერ გავიგო შენი ვითარება და თუ მკურნალად არ მოგევლინე, მარო მოკვდეს და ნულარ იცოცხლოს, — მტკიცედ გადასწყვიტა მარომ და ნაბიჯს უფრო უმატა. — საღამოზე ხომ მოვა? — სიხარულით გაიფიქრა მან და ხიდიდან ქალაქს რომ გახედა, ასე ეჩვენა, თითქოს ყველაფერი უდასტურებდა: მოვა, მოვა, მოვაო.

ᲛᲝᲚᲐᲚᲐᲢᲘᲡ ᲨᲔᲠᲘᲡᲮᲕᲐ

შამადავითის მთას თხელი ნისლი გამჭვირვალე მარმაშივით ჩამოჰფარებოდა და მთვარის ნაზ სხივებზე მეტად შვენოდა. ვარსკვლავებით მოქათქათებული ლურჯი ცის ზოლი მწვერვალს სარტყელივით გადაჰკროდა.

იოსებს სიამოვნებით გაელიმა. კრებიდან მრავალი ფიქრით და გრძნობით დატვირთული დაბრუნდა, მაგრამ ეს სილამაზე მაინც არ გამოეპარა.

მოდის იოსები და საშინლად უკვირს: რა უცნაური გარდატეხა მოხდა მის არსებაში. გულიდან სარწმუნოება მთლად ამოერეცხა და მასთან ერთად ის ზედმეტი სირბილე, რომლისაგანაც იგი მუდამჟამს იჩაგრებოდა, — თითქოს გულიდან სადღაც გაეპარაო.

— ჰმ... რა ჰქნა დღეს კრებაზე, — უკვირს იოსებს. ცამეტი სემინარიელიდან ყველაზე უწინ მან შეაფურთხა შარშან კურსდამთავრებულ ამხანაგს, რომელიც დიდ რევოლუციონერად და მეტად სანდო პირად ითვლებოდა. ამხანაგებს უხაროდათ და კიდეც სწამდათ, რომ პავლე ჩანგიშვილი პროვინციაში წასვლით დიდ საქმეს გააკეთებდა. მასწავ-

ლებლის ნიღაბქვეშ ცეცხლით აღსავსე ხალხოსანი მალე ბოიერი ნიადაგს ჰპოვებდა და ხალხს მისი სიწრფელე, მჭერმეტყველება და თავგანწირული მუშაობა თვალს აუხელდა. მაგრამ მალე გამორკვეულ-ჩანგიშვილი მღვდლობას აპირებდა და ქალაქში საკურთხებლად ჩამოსულიყო. გოლას ჩანგიშვილი დროზე ეპოვა და კრებაზედაც მიეწვია. გოლა ჩიტაძეს სემინარიელები წინასწარ მომზადებული ჰყავდა და დღის პროგრამაში ამ მასწავლებლის გაწბილებაც მორიგ საკითხად იყო შეტანილი.

— აბა, პავლე, — მიმართა გოლა ჩიტაძემ მასწავლებელს, — ჩვენ შევიტყეთ, რომ შენ პროვინციაში არა თუ დაპირებული და მონდობილი საქმე არ გაგიკეთებია, არამედ ცოლიც სასწრაფოდ გითხოვია და აქ თურმე იმისათვის ჩამობრძანებულხარ, რომ მღვდლად ეკურთხო.

შავად გაბანჯგლული, გამხდარი და უშნო მასწავლებელი სკამზე უხერხულად შეირხა და ამხანაგებს მკვახედ შეეკითხა:

— ვინ მოგახსენათ ეგ ამბავი? მე აქ სახელმძღვანელოებისათვის ჩამოვედი და არა ანაფორის მოსაპოვებლად. სანამ ადამიანს დანაშაულს წარუდგენდეთ, მანამდის ხომ საბუთები ხელთ უნდა გქონდეთ.

— მაშ შენ არქიელისათვის თხოვნა არ მიგიცია? — ჩაეკითხა გოლა ჩანგიშვილს და გამომცდელი თვალით მიაშტერდა.

უეცრად წახდა ჩანგიშვილი, სახე აემღვრა და ირგვლივ ირონიულად მოლიმარ ამხანაგებს გადახედა.

— კაცო, იქნებ სხვა ჩანგიშვილი იყო, ამისი შორეული ნათესავი ან ვინმე მოგვარე? — ცოტა შერბილებული კილოთი იკითხა უზნაძემ.

— აი, თვითონა სთქვას, ვინც იყო, მაგის შეტყობა გვსურს თვითონ პავლესაგან, — გამოეხმაურა შამათავა.

— არა... მე... მართალი გითხრათ, ამ სამი თვის წინათ ისე უეცრად რაღაცამ მომიარა, მამა მომიკვდა და სულ დედაჩემის გლოვითა და ზარით იყო ეს ამბავი გამოწვეული, — გაუბედავად აღიარა მან და ხელად ყველა ახმაურდა, — დამაცადეთ, დამაცადეთ, გითხრათ ბოლომდე ყველაფერი: დედაჩემი თავს იკლავდა, კინაღამ სახლიდან გამომაგდო, გვარს ნუ ამოგვიწყვეტავ, სახლში მადლს ნუ გაგვიქრობო...

— ო..ო... სირცხვილი, უფრო დიდი სირცხვილი შენთვის! ფუი, ფუი შენს ვაჟკაცობას! — მიაფურთხეს აქეთ-იქიდან.

— ჰო, სწორეა, რაღა, სწორე... ტაბლისა და კორკოტის ჭამა ტრადიციულ ოჯახში როგორ უნდა შეწყვეტილიყო?! არა, პავლე? ალბათ, დედაშენთან ერთად ამან შენც შეგაშინა, ხომ?

— არა, კაცო, ყური დამიგდეთ... დედაჩემის გულის დასამშვიდებლად დავწერე თხოვნა და ვითომ სამრევლოც დავასახელე. მაგრამ ამ ქალალდის გამოგზავნა არც მიფიქრია. ჩემმა ცოლმა თურმე თავის ძმას უჩემოდ გამოატანა... და...

— სუ, კაცო, ჩუმად, სირცხვილია! მაგას როგორ ამბობ?! — ისევ მისცვივდნენ აქეთ-იქიდან.

— ფუი, შეგარცხვინა ღმერთმა! ეგრე როგორ წახდი, შე საწყალო, რომ სიმართლეც ვერ გითქვამს. ფუი, ფუი! — მიაფურთხა დოვლათიანად იოსებმაც და მასწავლებელს ზიზღით ზურგი უჩვენა.

— აფსუს, ჩვენო ნდობავ, — სთქვა გოლა ჩიტაძემ გესლიანად და ჩანგიშვილს პირდაპირ შეხედა. — ჩემო ძმაო, იქნებ შენ იმ აზრზედაც დადექი, რომ ჩვენი წრეების არსებობა ბოროტად გეჩვენა?

ეს მეტად სასტიკი თქმა იყო. ყველა გაჩუმდა, ჩანგიშვილი კი უცებ ზეზე წამოვარდა. წვერიანი ნიკაპი თხასავით აუცანცარდა.

— არა, გრცხვენიან, გოლა, ასე მიმეტებ? გეფიცებით ჩემს სინდისს, დედიჩემის დასამშვიდებლად დავწერე და წავუკითხე, და მერე წიგნში შევინახე... თორემ მართლა რა ბალღივით მიტატანებთ. დრო და მომავალი აქ არ იქნება, მეც ხომ არსად დავიმალები და მომავალი ყველაფერს დაგვანახვებს. აღდგომა და ხვალეო...

— ერთი სიტყვით, — სასტიკი კილოთი სთქვა გოლამ და ჩანგიშვილს სიტყვა შეაწყვეტინა, — ჩვენ ეს ამბავი გავიგეთ, ამაზე ბევრი ლაპარაკის დრო აღარა გვაქვს და თუ შენი თავის გამართლება გსურს, შენ მაშინ ისევ პროვინციაში წახვალ და დავალებისამებრ იმუშავებ. თუ შენ ამას არ აასრულებ, იცოდე, ჩვენ დარწმუნებული ვიქნებით, რომ გადაგვიდექი და სამაგიეროდ ჟანდარმებს დაუახლოვდი....

ხმა არავის ამოუღია. გოლა მიშტერებული თვალით ჩანგიშვილს ჩასცინებოდა.

მასწავლებელს სახეზე მკვდრის ფერი ედო და მორჩილებით თავს იქნევდა.

გოლა წამოდგა და სხვებიც წამოიშალნენ.

— მაშ ჩვენი სიტყვა გახსოვდეს და თუ მაგგვარი რამე მოხდა... — შესდგა ისევ გოლა და საცოდავად ატუზულ ჩანგიშვილს მიმართა: — მაშინ, მაშინ... ჩვენი ბრალი აღარ იყოს.

სხვებს კრინტი აღარ დაუძრავთ. გოლა პირველი გავიდა. მას კანტიკუნტად ორიოდე მოწაფე გაჰყვა. სხვებიც ნელ-ნელა სხვადასხვა გზით სემინარიისაკენ გაემართნენ.

ლამაზი ხიფათი

იოსებს ჩანგიშვილის დაბნეული სახე და კრების აურზაური კუკიის ხიდამდე მიჰყვა. იქ კი ნაზად მიბნედილმა მთვარემ და გაცრიაგებულ ნისლში მთვლემარე მთამ ყველაფერი დაავიწყა. გული სხვანაირად შეუტოკდა, რაღაც სხვა გაახსენდა და ნაბიჯს მოუმატა.

ალექსანდრეს ბაღში შევიდა და გატკეპნილ ბილიკს დაადგა. გაშიშვლებული ხეების ჩრდილები უცნაურად ჰქარგავდნენ იქაურობას. იოსებმა განვლო პატარა გზა და უეცრად შეკრთა, გაიღიმა და გაჩერდა. გაახსენდა, რომ იგი ძველებური გზით ისევ სემინარიისკენ მიემართებოდა.

იოსები სწრაფად მოტრიალდა და ალექსანდრეს ბალის გასწვრივ ანჩხატის ქუჩისაკენ წავიდა.

— ჰმ, — ჩაეცინა ხელმეორედ იოსებს, — იმ გოგონამ ფიქრობდი, თვალწინ ის მიდგა და იმ დასაქცევ სემინარიისაკენ კი მივისწრაფოდი... ახ, რა კარგი გოგონა სჩანს, ნორჩ და უმანკო თვალებში უსაზღვრო ლმობიერება ეხატება. მზის პირველ სხივს ჰგავს, ადამიანის გულში სიხარულს რომ ჰბადებს...

ფიქრობს იოსები და მართლაც რაღაც აღფრთოვანებით მიეშურება ახალი ბინისაკენ.

ალაყაფის პირმოლრეცილი ძველი კარები ღია დაუხვდა. იქიდან მამიდას ფანჯრებს გახედა. მიტკალ-აფარებულ ფანჯრებიდან გამომკრთალმა ლამფის შუქმა იოსებს ტკბილად შემოსცინა. ფარდის თეთრ ფონზე ფანჯარაზე დაგორებულ გორგლის და თუნუქის ყუთში ჩარგული ბალბის ჩრდილი კოხტად იხატებოდა.

იოსები სახლის კარს მიადგა და ოდნავი ხელის წაკვრით დერეფნის პაწია კარები შეაჭრიალა. იოსების ზურგს უკან მთვარის შუქი ფართო სვეტად შეიჭრა და იატაკსა და კედელზე აბრეშუმივით გაეკრა.

ამ დროს უცებ დიასახლისის კარებიც გაიღო და წატორტმანებული მარო კედელ-კედელ ბარბაცით გამოვიდა.

— მიშველეთ... — ოდნავ ჩაიკვნესა მან და კედელზე მიყრდნობილი ძირს დასაცემად გადმოიღუნა.

იოსებმა ანგარიშმიუცემლად ხელი მიაშველა და მჩვარივით მოდუნებული ქალი ორივე ხელით აიტაცა.

ქალი ოთახში შეიყვანა. სახლში არავინ სჩანდა. ოთახი უხვად გაჟღენთილიყო დაუწვავი ნახშირის სუნით. ზეწარ-დაფენილ მაგიდაზე უთოს ვარვარი გაუდიოდა.

გონება-მიხდილი მარო იოსებმა ისევ უკანვე გამოატრიალა და თავის ოთახის კარებს მიადგა. გასაღები გარედან ჰქონდა გაკეთებული. იოსებმა ფეხი ჰკრა, რომ გაეღო. კარი დაკეტილი აღმოჩნდა. იოსები დაიხარა. ცალი მუხლი წინ გამოსწია და მარო ზედ დაისვენა. ცალი ხელი ზურგიდან გამოაცალა, გასაღები სწრაფად გადაატრიალა, და გააღო. იოსებმა მაროს დახედა და სწრაფად თავის საწოლისაკენ გააქანა. გულწასულ მაროს თვალები დახუჭული ჰქონდა. რკალივით მოზიდული წარბები და სწორი ლამაზი ცხვირი გაფითრებულ ქალს მარმარილოს ქანდაკებას ამსგავსებდა. სახეზე მკვდრის სიმშვიდე გადაჰკროდა. იოსებმა ქალი თავის ლოგინზე დააწვინა და იმ წამსვე ფანჯარას მივარდა, გააღო და ისევ ქალისაკენ გაექანა.

იოსები სწრაფად ამუშავდა: ქალს საყელო შეუხსნა, შუბლისა და მკლავების ზელა დაუწყო. ჩვილი ბალღის მსგავსი სახის სირბილე და ხავერდივით ნაზი პირის კანი იოსებს ხელებზე ცეცხლს უკიდებდა. მაგრამ როდესაც მან პაწია ყურებზე ხელი წაავლო, რომ დაესრისა, თითო-

ნაც გული კინალამ წაუვიდა. იოსებმა თავის თავს შეუტია და ისევ სწრაფად გახაგრძო საქმე.

ქალი განსაცდელში იყო და მას ხსნა ესაჭიროებოდა. იოსებმა მარო მკლავებს დასწვდა და რამდენჯერმე აუწ-დაუწია. შემოქმედმა ცოცხალ ჰაერმა და უკანასკნელმა ზომამ, რომელიც მან შარშან გულშეწუხებული სემინარიელის მობრუნების დროს დაინახა, თითქოს გასჭრა. მარომ ჯერ ნაზად ამოიკვნესა, მერე ღრმად ამოისუნთქა და თვალები ოდნავ გაახილა. შემდეგ ისევ დახუჭა და აკანკალდა. იოსებმა სწრაფად თავისი პალტო გაიძრო და ქალს დაახურა.

— ნუ გეშინიანთ, ნუ გეშინიანთ, არაფერია, „უგარი" მოგსვლიათ და მალე სულ კარგად გახდებით.

ახლა კი აღელდა იოსები. თითქოს შერცხვა და გონებამოსულ ქალს მოერიდაო, განზე გადგა და იქიდან გამოეხმაურა.

იოსების ხმაზე მარომ ფართოდ გააღო თვალები, დამფრთხალი შველივით ერთი კი გადახედა იოსებს და უეცრივ წამოიწია. თავს რომ ვერ მოერია, ისევ დაეცა, ჩუმად ატირდა და ცრემლები უხვად გადმოაბხია.

იოსები კი მთლად დაიბნა. აღარ იცოდა, რა ექნა. ჯერ არც ერთ მეზობელს არ იცნობს, თუნდაც იცნობდეს, ეხლა დაძახება სირცხვილია: რას იფიქრებენ? უცხო, ვილაც მდგმურის ოთახში გულგაღეღილი გოგონა წევს. ვინ დაიჯერებს, რომ ეს ყველაფერი მაღრჩობელა გაზების შედეგი იყო.

ქვეყანა ხომ ხმამაღლა აყაყანდება და უმანკო ქალს ათასი ზნის დედად გახდიან. იოსებს შეეშინდა, უფრო უკან დაიწია და მოკრძალებით უთხრა:

— რათ სტირით? ამ ოთახში იმიტომ შემოგიყვანეთ, რომ, სანამ თქვენ ოთახში ჰაერი გაიწმინდებოდა, შეეშინდა, არ დაგვიანებულიყო. თქვენთვის საჭირო იყო სასწრაფო შველა, დროზე მოგისწარით, თორემ...

იოსებმა სიტყვა ველარ დაათავა. მარომ ისევ ზეზე წამოდგომა სცადა, მაგრამ თავბრუ დაეხვა, თვალთ დაუბნელდა და ისევ ბალიშზე მიწვა.

— მარო, ჯერ დაისვენეთ, ღონე მოიკრიფეთ და შემდეგ სცადეთ ფეხზე დადგომა. მე რას მერიდებით, რისა გეშინიანთ? მგელი ხომ არა ვარ? ეხლა მე თქვენი ძმა ვარ და თქვენი ექიმიც.

იოსებმა ეს სიტყვები ისე მტკიცედ და ამავე დროს ისეთი ლმობიერებით წარმოსთქვა, რომ უზომო შიშით შეპყრობილი მარო დამშვიდდა. გულმაც ახლა ისე მაგრა შემოჰკრა, თითქოს წამალი შეუშხაპუნეს. გონება მოიკრიბა, ყველაფერი გაიხსენა და ახლა სირცხვილმა აიტაცა.

რა მოუვიდა? რა საშინელი უხერხულობა დაატყდა თავს... მამიდამ რომ შემოუსწროს, ხომ გადირია, ხომ გული გაუსკდა...

ახალგაზრდა ქალი უცხო ვაჟის ოთახში... ღმერთო, ღმერთო, ეს რა უბედურება დაატყდა, რას იტყვიან, რას? ქვეყანა რას იფიქრებს?

მარო შიშის და სირცხვილის ზარმა შეიპყრო, მესამედ-ჯერად წამოდგომა, წამოიწია, კიდეც წამოჯდა, მაგრამ გულის ფანცქალმა და უფრო შეეშინდა.

ისევ მიწვა, რომ უხერხულობა და მარცხი არ განეცადა.

იოსები გამოვიდა, დიასახლისის ფანჯარას ეცა, ფართოდ გააღო კარი და ფანჯარა, უთოც გარეთ გაიტანა, აივნის აგურზე დადგა. ორპირმა ნიავმა დაჰბერა, ზამთრის სიცივე უხვად შეიჭრა ოთახში და შეხუთული ჰაერი გაჰფანტა.

იოსები აივანზე იდგა და უცდიდა. მოერიდა, რომ მაროს უფრო თავისუფლად ეგრძნო თავი და მალე ჯანზე მოსულიყო. თან იმისაც ეშინოდა, საშინლად რცხვენოდა, რომ ბებერს ამ სურათისათვის არ მოესწრო.

ათი წუთის შემდეგ ისევ ბებრის ოთახში შეტრიალდა, ფანჯარა მიხურა და მერე თავის ოთახისაკენ გაემართა.

მარო ლოგინზე იჯდა და ძირს ჩამოსვლას ლამობდა. იოსები მიეშველა, მარომ ჩამოდგა ფეხი და ისევ წატორტმანდა.

იოსებმა ახლა კი გაბედულად მოხვია ხელი, ჰაერში ბავშვივით მსუბუქად აიტაცა და ძვირფასი განძივით ფრთხილად და მორიდებით მეორე ოთახში გაიყვანა.

საბანს ხელი აუკრა, გვერდზე მიაგდო, მარო ფრთხილად დააწვინა და საბანი დაახურა.

ორივეს გული მძლავრად უცემდა. იოსები შიგნი-შიგან თრთოდა. მარო კი უხერხულობასთან ერთად უზომო ბედნიერებას განიცდიდა და ის წუთი იყო, რომ ორივენი ერთი გრძნობით აინთნენ, ურთიერთისადმი რაღაც სიახლოვე იგრძნეს და გაიბა მათ შორის ძაფი ნაზი და ღრმა გრძნობისა.

ის იყო იოსებმა შეიხურა თავისი ოთახის კარი, რომ ბებერიც აივანზე აბაკუნდა.

— ყოჩაღ, ბედო, რა კაი დროს შევიყვანე, თორემ, ვინ იცის, რა ამბავი დატრიალებულიყო. — გაიფიქრა იოსებმა და ორივე ხელზე დაიხედა: — აი, ამ ხელებით ვატარე ნაზი, ნარნარი გოგონა! ოო, ნეტავი შორი გზა მქონოდა გასავლელი, ოლონდ ხალხს კი ვყოფილიყავით მოწყვეტილი, თუგინდ შორეულ კუნძულზე, მარტოდ-მარტონი, ჭექა-ქუხილში და ქარ-ბუქში მოვხვედრილიყავით. მაშინ უფრო ღრმად მივიხუტებდი გულზე, უბეში ჩავისვამდი და სათუთ განძს მთელი ჩემი არსებით სტიქიონისაგან დავიცავდი. ახ, ნეტავი ხანგრძლივი ყოფილიყო ის წუთები... მერე რა ნაზი, რა სათუთი ღაწვები ჰქონდა. კალმით მოხატულს უგავდა მშვენიერი გადაძაგრული წარბები. ახ, მარო, პატარა მარო...

იოსები დიდხანს ბორგავდა, წინ და უკან დადიოდა პაწია ოთახში. თითქოს კიდეც სცხელოდა. უცბათ შეჭრილ უშუალო გრძნობას შეეპყ-

რო ახალგაზრდა. სიხარულის და მოუთმენლობის ცეცხლი დანთებოდა იოსებს გულში.

— აბრეშუმივით მოდუნდა. მძინარე ბავშვივით ჰქონდა თვალები ჩახუჭული, ოო, რა კარგი იყავი, მარო, პატარა მარო! — ჩურჩულებდა თავისთვის იოსები და ფანჯარას მიმდგარი ერთ მოკაშკაშე ვარსკვლავს გასცქეროდა. — რა გასაოცარი, რა ცვალებადი და უსაზღვრო ყოფილა ადამიანის გული, — ფიქრობდა ფანჯარასთან იოსები: — ჩემი გული დაუსრულებელი ზიზღით იყო იმ წყეული ჩუდეცკისადმი სავსე. მე მეგონა, ეს ბოროტება გულს შემიჭამდა და ნახეთ, დღეს რა მოხდა? ჩემი გული ახლა მთელ ქვეყანას დაიტევს. ლამის ცაში ავფრინდე. ყოველი ძარღვი ცალკე ხმით ყღერს და ბოროტებას ეხლა ჩემთან რა საქმე აქვს? ჰმ, რა მიყავ, მარო, პატარა, ცქრიალა მარო...

იოსები ტკბილად იღიმება. ლურჯ სივრცეს თვალს აშორებს და გულზე იხედება, თითქოს კიდევ სჭვრეტს იმ უცნაურად გამოკვანძულ ლამაზ სურათს. ტანისამოსზე ღიმილით ხელს ფრთხილად ისვამს და სტკბება თავისი განცდით.

მეორე ოთახში კი ბებერი დაფორიაქებულიყო.

— შენ გენაცვალე, მოუსვენარი რამე ხარ, რა დროს კაბის გაუთოვება იყო, სკოლიდან დაღლილ-დაქანცული მოხველ. შეჭამე პური, შე დალოცვილო, დაწექი და დაიძინე. რომელ ტრიატრსა და ქორწილში მიცდებოდი, რომ ეგ საცოდავი კაბა ლამის უთოში გამოსწვი.

უსაყვედურებდა მოხუცი და გულგახეთქილი ფუსფუსებდა: მან ბუხრიდან სპარსული სპილენძის ქეთლი გადმოიღო, წყალი ჩაასხა და ვიმ-ვიშით გარეთ გავიდა.

უთოში ცეცხლი ისევ ვარვარებდა. დალრეჯილი სამ-ფეხიანი მაყალი გამოდგა, უთოდან ნაკვერჩხალი გამოყარა, ნახშირი უხვად დააყარა და ახალი ცოცხით დაუბერა.

— ამ ჩემი ცოდვით სავსეს, ნეტა რა რჯიდა, რა აცოდვილებდა? რაზე აიტკივა აუტკივარი თავი? ხომ შესაძლებელი იყო გული წასვლოდა და გამოძღრჩვალიყო... უიმე, გენაცვალეთ, რაღა პასუხი უნდა გამეცა მაგის საცოდავი დედ-მამისათვის, ხომ თვალები უნდა დამდგომოდა, მე უბედურს და უკეთურსა.

მოთქმის ხმით ბზუის ბებერი და თან უკვე ჩამობნელებულ აივანზე ხელებს აქნევს, ცოცხს აშრიალებს და ნაპერწკლებს ჰფანტავს ყოველ მხრივ.

მოცისფრო ალი გაღვივებული ნახშირიდან ხანდახან ბურთივით ამოვარდება და დაკუზული მოხუცის მოკაუჭებულ ცხვირსა და პირს წუთით ანათებს. მოხუცი ინძრევა, ხელებს აქნევს და ზოგჯერ ცეცხლის შუქით განათებული შავი სილუეტი ზღაპრულ კუდიანს მიაგავს.

ცეცხლი გაღვივდა. მამიდამ თუნგი შედგა, დაცარიელებული უთო ოთახში შეიტანა და მაროს პირდაპირ კედელთან მიდგა. თვითონ ისევ გარეთ გატრიალდა.

მარომ თვალები გაახილა და უთოს გადახედა.

— შენ გენაცვალე, ჩემო უთოვ, რომ იცოდე, რა რიგ ბედნიერი ვარ... როგორ მიყვარხარ... ერთი კარგად გავხდე... მაგ ... ...

ტარას შევჩენკო

ზარას შევჩენკოს დაბადების 125 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ' კაჭახიძე

ზარას შევჩენკო

შერჩა მხნეობა, გზნება ქებული,
არ შეეერცხლია თმები ჭალარით...
ისევ სიცოცხლით ამღერებული
მიდის ბილიკზე და დნეპრს დაჰხარის.
სანახაობა მისი აკვირვებს,
მდინარის გასწვრივ შორს იყურება.
ჰსურს: რამე უთხრას დნეპრის ნაპირებს,
გაუზიაროს ფიქრი ბუნებას.
მაგრამ წარსულის გმინვა და ცრემლი,
სისხლის წვიმები ხომ ახსოვს დნეპრსაც!
ბარაქიანი ტრამალი ვრცელი
გმირთა საფლავებს ინახავს დღესაც.
ღელდება... მღერის: „გულმა დამალოს
სევდა იმ დღეთა...
თქვენ კი დიდება,
განახლებულო ვრცელო ტრამალო
და მშობლიურო დნეპრის დინებავ!
სიკვდილს რომ გფენდათ წარსული კრული,
მე სიცოცხლეზე გიმღერდით მუდამ.
განა გასძლებდა უთქვენოდ გული?!
ოდესმე მაინც მენახეთ უნდა.
თქვენით დავლეწე საფლავის ბჭენი,
ფართოდ შევხედე სიცოცხლის კარებს...
მოველ და გნახეთ...
სალამი ჩემი,
შენ, უკრაინავ, მშობელო მხარევ“!
მღერის პოეტი... სიო ეხება,
ვით სიყვარული ლაღი, გვიანი.
მიდის... ასწიეს მხრები ვერხვებმა
და აცილებენ ტაშის გრიალით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეცა დანათის გაუცვეთელი,
პურის ყანები ფეხზე დგებიან.
დალუპულ გმირთა სისხლის წვეთები
წინ ყვავილებად ეგებებიან.
შორ-შორს ფრიალებს ქალთა მანდილი,
დოლში გასულა ცხენი ჭიხვინა...
შესრულებულა მგოსნის წადილი:
ბედნიერება თვალით იხილა.
ამ ალტაცებით ლაჟვარდს გასცურავს,
არც მოედება ჭირხლი ჭალარის.
თვალი უბრწყინავს და დევკაცურად
ვრცელ, ბარაქიან ტრამალს დაჰხარის.

1939 წ.
13 მარტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა რადიანი

ტარას შევჩენკო

ტარას შევჩენკო დიდი სახალხო პოეტია. ასეთად ცნობდნენ მას სიცოცხლეშივე რევოლუციურ-დემოკრატიული აზროვნების საუკეთესო წარმომადგენლები. დობროლუბოვი სწერდა ტარას შევჩენკოს შესახებ: „შევჩენკოს ფიქრებისა და თანაგრძნობათა მთელი რკალი სავსებით შეფარდებული აქვს ხალხის ცხოვრების აზრსა და არესთან. იგი გამოვიდა ხალხიდან, სცხოვრობდა ხალხთან, და არა მარტო აზრით, არამედ ცხოვრების გარემოებებით მტკიცედ და განუყოელად იყო მასთან დაკავშირებული. იგი ახლოს სდგას ხალხურ სიმღერასთან, ხოლო ცნობილია, რომ ხალხურ სიმღერაში მოცემულია უკრაინის მთელი წარსული ბედი, მთელი მისი ახლანდელი ხასიათი; სიმღერა და ფიქრი უკრაინაში ხალხის წმიდათა წმიდაა, უკრაინის ცხოვრების საუკეთესო საუნჯეა; უკრაინის სიმღერებში ჟღერს სიყვარული სამშობლოსადმი, ბრწყინვალებს წარსულ დროთა ვაჟკაცობის დიდება და სახელი; ამ სიმღერებში გამოსჭვივის ქალის სიყვარულის, განსაკუთრებით დედობრივი სიყვარულის წმინდა და ნაზი გრძნობა“...

ტარას შევჩენკოს შემოქმედების ეს ხალხური ხასიათი მთელი ბრწყინვალებით გამოჩნდა ჩვენს ეპოქაში, სოციალისტური კულტურის მშენებლობის ეპოქაში. დიდი პროლეტარული მწერალი მაქსიმ გორკი განსაკუთრებით გამოჰყოფს შევჩენკოს პოეზიის ხალხურ ხასიათს. „შევჩენკო პირველი სახალხო პოეტია“, — ამბობს იგი. გორკისათვის სახალხო მწერალი ის არის, ვინც გამოხატავს თავისი დროის უმაღლეს იდეურ მოთხოვნილებას, ვინც ახლოა ეპოქასთან, მასებთან, ვისაც იცნობს ხალხი, ვინც უყვარს ხალხს. გორკიმ ტარას შევჩენკო უყოყმანოდ ჩარიცხა სახალხო მწერალთა რიგებში. იგი შევჩენკოს პირველ სახალხო პოეტად აღიარებს. გორკი ტარას შევჩენკოს გვერდში უყენებს რუსეთის ლიტერატურის დიდებას — ალექსანდრე პუშკინს.

მაქსიმ გორკი აღნიშნავს ტარას შევჩენკოს პოეზიის ერთ ნიშნეულ მხარესაც: ობიექტური და სუბიექტური მომენტის მთლიანობას. გორკი სწერდა: „შევჩენკო ღირსია მაღალი შეფასებისა, როგორც პირველი და ნამდვილად სახალხო პოეტი, რომელიც სუბიექტური დამატებებით არ

ამახინჯებდა ხალხის გულისთქმასა და გრძნობებს. მის ჩივილში პირად ბედზე მოისმის მთელი უკრაინის ჩივილი, მის მოგონებაში კაზაკურ თავისუფლებაზე იგრძნობთ მთელი ხალხის მოგონებას".

და მართლაც, ტარას შევჩენკო იყო პირველი უკრაინელი პოეტი, რომელიც დამონებული ერის ჩაგრული მასების წრიდან გამოვიდა, რომელმაც უშუალოდ განიცადა კლასობრივი და ნაციონალური მონობის მთელი საშინელება, პოეტი, რომელიც ჩასწვდა გლეხური რევოლუციური მოძრაობის შინაარსს, რომელმაც შეიცნო და გამოხატა გლეხობის სოციალური და ეროვნული მისწრაფებანი.

ტარას შევჩენკო ხედავდა თავისი ხალხის მძიმე ცხოვრებას. — ხალხის, რომელიც გმინავდა მეფისა და მემამულეების მძიმე უღლის ქვეშ. ამიტომ იყო მისი სიმღერები გამსჭვალული მრისხანებითა და ზიზღით მჩაგვრელთა მიმართ, ამიტომ იყო, რომ იგი მოუწოდებდა ხალხს ბრძოლისაკენ მჩაგვრელთა ბატონობის მოსასპობად.

ხალხის მტრები ცდილობდნენ გაევრცელებიათ აზრი, თითქოს შევჩენკო იყო მხოლოდ სევდიანი მომღერალი ხალხის მდგომარეობაზე და არა მებრძოლი. ეს სიყალბე იყო. ძველებური კობზა, უკრაინელი სახალხო მომღერლების პოეტური საკრავი, დიდი კობზარის, ტარას შევჩენკოს ხელში გამოსცემდა არა მარტო მწარე სიმღერებს მძიმე ცხოვრების შესახებ, არამედ მოუწოდებდა ხალხს ბრძოლისაკენ, თავისუფლების მოპოებისაკენ.

მთელი თავისი ცხოვრებით ტარას შევჩენკო დაკავშირებული იყო უკრაინელ, რუს, კაზახ ხალხებთან და ყველგან იგი ხედავდა ხალხის მძიმე ცხოვრებისა და უბედურების ერთსა და იმავე სურათს. მოლდაველთა მინდვრებიდან ფინეთამდე ყველას ენა დადუმებულიაო, — სწერდა პოეტი „კავკასში".

ტარას შევჩენკოს პოეზია არის რევოლუციური გლეხობის მიერ წარმოთქმული პირველი სიტყვა, ბატონყმური წყობილების, თვითმპყრობელობის — ხალხთა ამ საპყრობილის — დამხობისაკენ მომხმობი, სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის საბრძოლველად მომწოდებელი მგზნებარე სიტყვა.

ტარას შევჩენკო ეძიებს გამოსავალ გზებს იმ ცხოვრების პირობებიდან, რომელშიაც ბატონობდნენ ბატონყმური ინსტიტუტისა და ნაციონალური ჩაგვრის საშინელი წესები. იგი ამ გზებს პოულობდა გლეხური რევოლუციის იდეიაში.

ტარას შევჩენკომ კარგად იცის, რომ ხალხის თავისუფლება თავისთავად არ მოვა, რომ საჭიროა მისი ბრძოლით მოპოვება. მას სჯერა, რომ დადგება დრო ანგარიშის გასწორებისა, როდესაც ხალხი დაანგრევს მეფის ტახტს და მთელი თავისი შემოქმედებით მოუხმობს ამ დროს.

მშრომელი ხალხის ბედნიერებას ტარას შევჩენკო უკავშირებდა პოლიტიკურ თავისუფლებას, ხალხის განთავისუფლებას მებატონეთა უღლისაგან.

ტარას შევჩენკოს სჯეროდა ხალხის ნათელი მომავალი, მას სჯეროდა განხორციელება ხალხის იდეალებისა თავისუფლების და ბედნიერების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკრაინელი ხალხის გენიალურ შვილს თავდადებულად უყვარდა თავისი სამშობლო, თავისი ხალხი და ამიტომ მთელი თავისი ცხოვრება და შემოქმედება მას მიუძღვნა. მართებულად ამბობს თვითონ შევჩენკო თავის თავზე, რომ ჩემი ცხოვრების ისტორია ჩემი სამშობლოს ისტორიის ნაწილია.

ტარას შევჩენკოს ცხოვრება ერთ-ერთი შემაძრწუნებელი ეპიზოდია იმ ბიოგრაფიებს შორის, რომლებსაც მსოფლიო ლიტერატურის ისტორია იცნობს. აუღელვებლად შეუძლებელია წაიკითხოს კაცმა შევჩენკოს მოთხრობა თავისი ცხოვრების შესახებ.

აკვნიდანვე მეტად უსიხარულოდ შეხვდა ტარას შევჩენკოს ცხოვრება. მრავალრიცხოვანი ოჯახი ღატაკი ყმისა, რომელიც ეკუთვნოდა მდიდარ მემამულეს ენგელგარდტს, ღარიბი ძველი ქოხი, ჩაშავებული სახურავითა და გამჭვარტლული საკვამლურით სოფელ მორინცაში, კიევის გუბერნიის, ზვენიგოროდის მაზრაში, — აი, სად დაიბადა ტარას შევჩენკო. ბავშვს ადრე გაეღვიძა სწავლის სიყვარული, განსაკუთრებით ხატვის სიყვარული. პატარა ტარასის ეს უნარი შენიშნა მამამ, რომელსაც, ალბათ, ესმოდა სწავლის სარგებლიანობა იმ ხანაში, როცა გარშემო თითქმის ყველანი წერა-კითხვის უცოდინარნი იყვნენ, — და შვილი მოხეტიალე მასწავლებელს — მედავითნე სოვგირს მიაბარა. ცნობილია, რომ იმ დროს სკოლა ძალდატანებას ემყარებოდა, ცემა-ტყეპას, როზგს (რაც ასე მძაფრად აგვიწერა აკაკი წერეთელმა თავის „ჩემ თავგადასავალში“). მით უმეტეს ასეთი იყო მოხეტიალე ლოთი მედავითნის უპატრონო სკოლა. ამ სკოლაში თვით მოსწავლენი ვალდებულნი იყვნენ ყოველ შაბათობით თავიანთ გასაროზგავად გამოეჭრათ ალუბლის წკეპლები. „გვცემდნენ ხშირად და მაგრა“, — იგონებდა შემდეგში პოეტი. „გაულახავი რჩებოდა მხოლოდ ის მოსწავლე, რომელსაც არ მოუწევდა რიგი, რადგან მასწავლებელი იქანცებოდა ცემით და ხშირად წვებოდა დასასვენებლად“. განსაკუთრებით ხვდებოდა ტარასს, რადგან იგი დაქირავებული ჰყავდა მედავითნეს და სწავლის შემდეგ უნდა ეზიდნა წყალი მედავითნისათვის, დაეჩეხა შეშა და საერთოდ შეესრულებინა მრავალი საოჯახო სამუშაო. უარესი აღმოჩნდა ტარასის მეორე მასწავლებელი — ბუგორსკი, რომელთანაც მან ორ წელიწადს დაჰყო და რომლის შესახებ ავტობიოგრაფიულ წერილში აღნიშნულია: „ეს იყო პირველი დესპოტი, რომელსაც გადავეყარე ჩემს ცხოვრებაში; მან ჩემში დანერგა ულრმესი ზიზღი და სიძულვილი ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრისა“. ამ მასწავლებლის მიმართ შევჩენკომ შური იძია: „ერთხელ დავინახე ის უგრძნობლად მთვრალი, — იგონებს შევჩენკო, — და მის წინააღმდეგ მისი საკუთარი იარაღი — როზგი ვიხმარე“.

ასე თანდათანობით გროვდებოდა და იზრდებოდა შევჩენკოს პიროვნებაში მოძალადეებისადმი შურისძიების წყურვილი და შეურიგებლობა თვითმპყრობელურ-მემამულური წესწყობილებისადმი.

თხუთმეტი წლის ტარასი ჯერ მზარეულად იყო, შემდეგ ბატონის ოთახში ფარეშად გადაიყვანეს. 1831 წელს შევჩენკოს მებატონე ენგელგარდტი გადავიდა პეტერბურგში. ტარასი სხვა შინაყმებთან ერთად თან წაიყვანა ბატონმა.

იმ მიზნით, რომ კარის მხატვარი ჰყოლოდა, ენგელგარდტმა შეიწყნარა შევჩენკოს დაჟინებითი თხოვნა და 1832 წ. მიაბარა იგი საამქროს მღებავს შირიაევს, რომელიც, პოეტის მოგონებათა მიხედვით, აერთიანებდა წინანდელ მასწავლებელ ტირანთა ყველა უარყოფით თვისებას.

შევჩენკო დიდ წარმატებას იჩენდა ფერწერაში, ტრიალებდა იმ დროის განათლებული საზოგადოების წრეში და ხარბად იძენდა ყოველნაირ ცოდნას, მაგრამ... იგი კვლავინდებურად მონა იყო, ყველას შეეძლო მისი შეურაცხყოფა, მისი გამათრახება.

ყველაფერი ეს, რასაკვირველია, მეტად აწუხებდა თავისუფლების მოყვარე ჭაბუკს, და მისმა მფარველებმა და მეგობრებმა, რომელნიც გულწრფელად ცდილობდნენ შეემსუბუქებინათ მისი ბედი, გადასწყვიტეს, რადაც უნდა დასჯდომოდათ, გამოესყიდათ იგი ყმობისაგან. მაგრამ მდიდარმა ენგელგარდტმა შევჩენკოს ფასად მოითხოვა იმ დროის ყმის საფასურად თითქმის გაუგონარი თანხა — 2.500 მანეთი. ახალგაზრდა პოეტს მძიმე მდგომარეობაში ძმური დახმარება აღმოუჩინა რუსმა მწერალმა ვ. ა. ჟუკოვსკიმ. სხვა მეგობრებთან ერთად მან ლატარეაში გაითამაშა ბრიულოვის მიერ დახატული თავისი სურათი. ლატარეადან შემოსული 2.500 მანეთით 1838 წლის 5 მაისს ყმობიდან გამოისყიდეს მაშინ უკვე 24 წლის ტარას შევჩენკო.

გასაგებია თუ როგორის აღტაცებით, როგორის სიხარულით განიცდიდა ტარას შევჩენკო ცნობას თავისუფლებაზე, თუ როგორ აღაფრთოვანებდა ეს ამბავი. შევიდა რა ახლა უკვე ოფიციალურად სამხატვრო აკადემიაში, გასამკეცებული ენერგიით მოჰკიდა შევჩენკომ ხელი მეცნიერების შესწავლას. ხელოვნების, ისტორიისა და თეორიის გარდა, სწავლობს იგი მსოფლიო, ანტიურ და რუსეთის ლიტერატურას.

ჯერ კიდევ ყმობიდან გამოსყიდვამდის შევჩენკომ ყველასაგან საიდუმლოდ იწყო ლექსების წერა. განთავისუფლების შემდეგ არაჩვეულებრივის თავგამოდებით შეუდგა იგი პოეტურ შემოქმედებას.

1838 წელს, მრავალი ლექსის გარდა, დასწერა პოემა „კატერინა", რომელშიაც აღწერა გლეხი-ქალის ცხოვრება. ყველასაგან უარყოფილი, მიჯნურისაგან მიტოვებული კატერინა ბედის ანაბარად სტოვებს ულრან ტყეში თავის პირმშოს და ეთხოვება წუთისოფელს — თავს იკლავს. „კატერინაში" შევჩენკომ დასვა თავისუფალი სიყვარულის პრობლემა, რომელსაც წინ დაუძლეველ დაბრკოლებად ეღობებოდა ბატონყმური საზოგადოება, ეკლესიის წყევლა და შეჩვენება. ამ პოემაში შევჩენკო პირველად გამოჩნ-

ასე თანდათანობით გროვდებოდა და იზრდებოდა შევჩენკოს პიროვნებაში მოძალადეებისადმი შურისძიების წყურვილი და შეურიგებლობა თვითმპყრობელურ-მემამულური წესწყობილებისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხუთმეტი წლის ტარასი ჯერ მზარეულად იყო, შემდეგ ბატონის ოთახში ფარეშად გადაიყვანეს. 1831 წელს შევჩენკოს მებატონე ენგელგარდტი გადავიდა პეტერბურგში. ტარასი სხვა შინაყმებთან ერთად თან წაიყვანა ბატონმა.

იმ მიზნით, რომ კარის მხატვარი ჰყოლოდა, ენგელგარდტმა შეიწყნარა შევჩენკოს დაჟინებითი თხოვნა და 1832 წ. მიაბარა იგი საამქროს მღებავს შირიაევს, რომელიც, პოეტის მოგონებათა მიხედვით, აერთიანებდა წინანდელ მასწავლებელ ტირანთა ყველა უარყოფით თვისებას.

შევჩენკო დიდ წარმატებას იჩენდა ფერწერაში, ტრიალებდა იმ დროის განათლებული საზოგადოების წრეში და ხარბად იძენდა ყოველნაირ ცოდნას, მაგრამ... იგი კვლავინდებურად მონა იყო, ყველას შეეძლო მისი შეურაცხყოფა, მისი გამათრახება.

ყველაფერი ეს, რასაკვირველია, მეტად აწუხებდა თავისუფლების მოყვარე ჭაბუკს, და მისმა მფარველებმა და მეგობრებმა, რომელნიც გულწრფელად ცდილობდნენ შეემსუბუქებინათ მისი ბედი, გადასწყვიტეს, რადაც უნდა დასჯდომოდათ, გამოესყიდათ იგი ყმობისაგან. მაგრამ მდიდარმა ენგელგარდტმა შევჩენკოს ფასად მოითხოვა იმ დროის ყმის საფასურად თითქმის გაუგონარი თანხა — 2.500 მანეთი. ახალგაზრდა პოეტს მძიმე მდგომარეობაში ძმური დახმარება აღმოუჩინა რუსმა მწერალმა ვ. ა. ჟუკოვსკიმ. სხვა მეგობრებთან ერთად მან ლატარეაში გაითამაშა ბრიულოვის მიერ დახატული თავისი სურათი. ლატარეადან შემოსული 2.500 მანეთით 1838 წლის 5 მაისს ყმობიდან გამოისყიდეს მაშინ უკვე 24 წლის ტარას შევჩენკო.

გასაგებია თუ როგორის აღტაცებით, როგორის სიხარულით განიცდიდა ტარას შევჩენკო ცნობას თავისუფლებაზე, თუ როგორ აღაფრთოვანებდა ეს ამბავი. შევიდა რა ახლა უკვე ოფიციალურად სამხატვრო აკადემიაში, გასამკეცებული ენერგიით მოჰკიდა შევჩენკომ ხელი მეცნიერების შესწავლას. ხელოვნების, ისტორიისა და თეორიის გარდა, სწავლობს იგი მსოფლიო, ანტიურ და რუსეთის ლიტერატურას.

ჯერ კიდევ ყმობიდან გამოსყიდვამდის შევჩენკომ ყველასაგან საიდუმლოდ იწყო ლექსების წერა. განთავისუფლების შემდეგ არაჩვეულებრივის თავგამოდებით შეუდგა იგი პოეტურ შემოქმედებას.

1838 წელს, მრავალი ლექსის გარდა, დასწერა პოემა „კატერინა", რომელშიაც აღწერა გლეხი-ქალის ცხოვრება. ყველასაგან უარყოფილი, მიჯნურისაგან მიტოვებული კატერინა ბედის ანაბარად სტოვებს ულრან ტყეში თავის პირმშოს და ეთხოვება წუთისოფელს — თავს იკლავს. „კატერინაში" შევჩენკომ დასვა თავისუფალი სიყვარულის პრობლემა, რომელსაც წინ დაუძლეველ დაბრკოლებად ეღობებოდა ბატონყმური საზოგადოება, ეკლესიის წყევლა და შეჩვენება. ამ პოემაში შევჩენკო პირველად გამოჩნ-

და, როგორც რევოლუციონერი-დემოკრატი, როგორც ხალხის მესაიდუმლე პოეტი. შევჩენკოს მთელი თანაგრძნობა კატერინას მხარეზეა. კატერინა განზოგადოებული სახეა ქალისა, რომელიც იტანჯებოდა ძველი დროის სოციალური უსამართლობისაგან.

1840 წ. გამოვიდა „კობზარი". ამ პირველს „კობზარში" მოთავსებული ნაწარმოებებით პოეტი ჯერ კიდევ ხარკს იხდის რომანტიზმის წინაშე, მაგრამ თავის დიდ პოემაში—„გაიდამაკები", რომელიც დაიბეჭდა 1842 წ., რომანტიზმის ნაშთებთან ერთად მოცემულია ღრმა რეალისტური სახეები. ესაა, უწინარეს ყოვლისა, უკრაინის ხალხის მტრებისა და მჩაგვრელების — პოლონელი პანებისა და მაგნატების წინააღმდეგ უშიშარი მებრძოლის იარემა გალაიდას სახე.

„გაიდამაკები" მკითხველს იტაცებს მხატვრული სიცხოველით და გამოსახვითი ხერხების სიუხვით. პოემა განირჩევა მრავალხმიანობით, მუსიკალობით, რიტმიული და ინტონაციური სიმდიდრით. პოემაში გზა და გზა თხრობას სცვლის დიალოგი, დრამატურგიული ეპიზოდები. „გაიდამაკების" ცენტრალური ფიგურაა ყველასაგან დევნილი და შეურაცხყოფილი მოჯამაგირე იარემა. იგი იზრდება ხალხური მოძრაობის ზრდასთან ერთად და ხდება პოემის ნამდვილ გმირად, რომელიც შურს იძიებს იმ ჩაგვრისათვისაც, რომელიც მან პირადად განიცადა, იმ შეურაცხყოფისათვისაც, რომელიც მის სატრფოს ოქსანას მიაყენეს, და ამ ქალის მამისთვისაც, რომელიც აწამეს და მოჰკლეს პოლონელმა კონფედერანტებმა. პოემა „გაიდამაკები" ხალხის განუსაზღვრელი რისხვის გამოხატვაა მჩაგვრელთა მიმართ.

უფრო მეტის რეალიზმით სწერს შევჩენკო მძაფრ სატირას ცარიზმზე — „სიზმარს". ამ პოემაში ავტორი გვიხატავს უკრაინის ბუნების სრული სხვადასხვაობისა და ყმების კატორღული ცხოვრების გასაოცარ სურათებს, იგონებს აგრეთვე დეკაბრისტთა წამებას ციმბირში, და უჩვეულო ექსპრესიით და სარკაზმით თავს ესხმის ცარიზმს ნიკოლოზ „პალკინისა" და მისი მეუღლის სახით, მიუთითებს, რომ ამ ჟანდარმის მთელი რეჟიმი დაყრდნობილია განსაკუთრებით მუშტის უფლებაზე, სასტიკ და ველურ ძალადატანებაზე.

1845 წელს ტარას შევჩენკომ დაამთავრა აკადემია და მიიღო თავისუფალი მხატვრის წოდება. იგი მიემგზავრება უკრაინაში ხანგრძლივი ვადით. იქ, მრავალი ლექსისა და პოემის გარდა, სწერს სახელგანთქმულ პოემას „კავკასს". ამ პოემაში კვლავ გმობს იმავე ნიკოლოზ პირველს, რომელიც „უმაღლესი კულტურისა და ქრისტიანობის" სახელით იმონებდა თავისუფლების მოყვარე კავკასიელებს.

საუცხოო პოემა „კავკასი" წარმოადგენს მახვილ და მრისხანებით აღსავსე პამფლეტს თვითმპყრობელობის, მისი ველური დამპყრობელობითი პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ პოემაში შევჩენკოს ხმა დაუნდობლად ამხელს ცარიზმის კოლონიალურ პოლიტიკას. ამ პოემაში შევჩენკო გვევლინება არა მარტო უკრაინის ხალხის, არამედ მეფის იმპერიის უღელქვეშ მგმინავი ჩაგრული ერების გულწრფელ მოსარჩლედ და ქომაგად.

„კავკასში“ შევჩენკო ლაპარაკობს პრომეთეს ხანგრძლივ ტანჯვაზე. პრომეთეს სახეს შევჩენკოს გაგებაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო სახე მონობის მძიმე უღელში ჩაჭედილი, მაგრამ მაინც ცოცხალი თავისუფლებისა, რომელიც ცარიზმმა ... ხალხებს. ლეგენდარული პრომეთეს სახით შევჩენკომ აღბეჭდა თავისი რწმენა ხალხის უძლეველი ძალისადმი.

შევჩენკო, ურყევი მებრძოლი მშობლიური უკრაინელი ხალხის პოლიტიკური და ნაციონალური განთავისუფლებისათვის, თავის პოეზიაში გამოხატავს ღრმა თანაგრძნობას ძმური ხალხებისადმი, რომლებსაც ძალით იპყრობდა და უზოგველად სჩაგრავდა ცარიზმი:

„თქვენ დიდება, არ დანებდეთ მოძალადე სვავებს,
იბრძოდეთ და გაიმარჯვებთ, შორეულო ძმებო“.

შევჩენკოსათვის უცხო იყო ნაციონალური შეზღუდულობა. თვითმპყრობელობაში იგი ხედავდა იმ ხალხების საერთო მტერს, რომლებიც იტანჯებოდნენ მძიმე უღლის ქვეშ. „კავკასში“ შევჩენკომ გვიჩვენა, რომ მეფის რუსეთი ერთნაირ სატუსაღოს წარმოადგენდა მასში შემავალი ხალხებისათვის.

„კავკასში“ ყველაზე უფრო აქტუალურია შევჩენკოს პროტესტი თვითმპყრობელობის კოლონიურ-დამპყრობელობითი პოლიტიკის წინააღმდეგ. შევჩენკო ამ საკითხში უპირისპირდება თავის დროზე თავადაზნაურულ ლიტერატურაში გამეფებულ შეხედულებას. ცნობილია, რომ თავადაზნაურული ლიტერატურა ხოტბას ასხამდა თვითმპყრობელობის დამპყრობელობითს პოლიტიკას კავკასიელ ხალხებისადმი. თავადაზნაურული პოეზია ჰქმნიდა ეგზოტიკური კავკასიის კულტს.

შევჩენკო მოუწოდებს მთიელებს — იბრძოლონ ბოლომდე იმიტომ, რომ „თქვენს მხარეზეა სიმართლე, დიდება და წმინდა თავისუფლება“. მან იცის უკრაინის მაგალითზე, თუ როგორი ბედი მოელის დაპყრობილ კავკასიას. შევჩენკო მოუწოდებს, რომ დამონებული ერები დაეხმარონ ერთმანეთს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში. მხოლოდ ამ გზით მიაღწევენ ისინი გამარჯვებას.

1847 წლის 18 ივნისს მთავრობის განკარგულებით შევჩენკო დააპატიმრეს. მის ქალალდებში იპოვეს ჯერ კიდევ დაუბეჭდავი „სიზმარი“, „კავკასი“ და სხვა ნაწარმოებები. მესამე განყოფილებამ აცნობა მეფეს, რომ შევჩენკოს ლექსებში „ლაპარაკია ტანჯვაზე, დაღვრილ სისხლზე, მათრახზე, ციმბირზე და ასეთებზე. ეს ნაწარმოებები გამსჭვალულია ზიზღით მთავრობისადმი და, როგორც სჩანს, დაწერილია იმ მიზნით, რომ გამოიწვიოს ხალხში უკმაყოფილება მთავრობისადმი“. სურათები, რომლებიც დატუსაღებისას ჩამოართვეს შევჩენკოს, აღმოჩნდა არა ნაკლებ მიუღებელი თვითმპყრობელობის მსახურთათვის: „მათი უმრავლესობა შეადგენდა კარიკატურებს მეფის გვარეულობის წარმომადგენლებზე“.

მეფე მთელი სისასტიკით გაუსწორდა შევჩენკოს. მისი გადასახლების განაჩენზე წააწერა: „უსასტიკესი მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნით, წერისა და ხატვის აკრძალვით“.

ტარას შევჩენკო სამუდამოდ გადაასახლეს ორენბურგის ტერიტორიებში ჯარისკაცად, სადაც არა მარტო ოფიცერს, არამედ თვით ზემდეგსაც დაუსჯელად შეეძლო ეცემა მისთვის მცირეოდენი დანაშაულისათვისაც-კი.

დესპოტი მეფის განკარგულებით წერისა და ხატვის აკრძალვა შევჩენკოს აყენებდა აუტანელ ტანჯვას: „მე რომ ვიყო გაიძვერა, სისხლის მსმელი, — სწერდა იგი თავის „დღიურში“, — მაშინაც კი ჩემთვის შეუძლებელი იქნება ისეთი სასჯელის გამოგონება, როგორიც არის ჩემი გადასახლება ორენბურგის განსაკუთრებულ კორპუსში ჯარისკაცად. აი რაშია ჩემი აუწერელი ტანჯვის მიზეზი. და ყველაფერ ამასთან ერთად მე აკრძალული მაქვს ხატვა. წართმეული მაქვს ჩემი საწყალი არსებობის უკეთილშობილესი ნაწილი. ტრიბუნელი თვით სატანის თავმჯდომარეობით ვერ შესძლებდა ამაზე უფრო საშინელი არაადამიანური გადაწყვეტილების გამოტანას. ხოლო უსულგულო ამსრულებლებმა განაჩენი სისრულეში მოიყვანეს აღმაშფოთებელი სიზუსტით“. მაგრამ შევჩენკო არ დაცემულა სულით. მან ძალღონე მოიკრიბა და ქედი არ მოუხარა საშინელ პირობებს. შევჩენკო თავის გადასახლებას უყურებდა, როგორც ბრძოლას ადამიანის ღირსებისათვის.

მთელი ათი წელიწადი დაჰყო შევჩენკომ მძიმე გადასახლებაში. მას სასტიკად ადევნებდნენ თვალყურს, მაგრამ იგი მაინც განაგრძობდა წერას და ხატვას. ცარიზმის მიერ მკაცრი, არაადამიანური წამებისათვის განწირული შევჩენკო არა სთმობს თავის პოლიტიკურ იდეალებს. სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი, იგი უმცირეს შესაძლებლობასაც კი იყენებს, არღვევს „უმაღლეს ბრძანებას“ და სწერს მებრძოლ, რევოლუციური სულისკვეთებით გაჟღენთილ ლექსებს.

მხოლოდ რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის ზრუნვის შედეგად ათი წლის საშინელი ტანჯვის შემდეგ გაანთავისუფლეს შევჩენკო გადასახლებიდან.

თავისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში ტარას შევჩენკო მჭიდროდ იყო დაკავშირებული რევოლუციურ-დემოკრატიული აზროვნების საუკეთესო წარმომადგენლებთან — ჩერნიშევსკთან, დობროლუბოვთან, ნეკრასოვთან: მიდიოდა მათი გზით და თავისი მგზნებარე ნაწარმოებებით მოუწოდებდა მეფის რუსეთის ყველს ხალხს ამბოხებისაკენ, თავისუფლებისა და უკეთესი ცხოვრებისათვის ბრძოლისაკენ. ხატავდა რა თავის ნაწარმოებებში ყმების ცხოვრების საშინელ სურათებს, მეფის სატრაპებისა და მემამულეების მიერ ჩადენილ ძალადატანებისა და თვითნებობის ამაზრზენ სურათებს, პოეტი ამით ნერგავდა ხალხში მძაფრ სიძულვილს თვითმპყრობელურ-მემამულურ რეჟიმისადმი და მოუწოდებდა ხალხს ამ წყობილების დამხობისაკენ.

ნაწარმოებებში „სუბოტოვი“, „ცივი იარი“, „დავითის ფსალმუნები“, „ანდერძი“ შევჩენკომ გამოხატა მასების რევოლუციური მისწრაფება. ხედავდა რა გლეხთა მოძრაობის ზრდას, შევჩენკო თავის ლექსებსა და პოემებში დაუფარავად მოუწოდებდა — დაეწყოთ მათ რევოლუციური გამოსვლები. „დავითის ფსალმუნში“ პოეტი ლაპარაკობს აჯანყებული ხალხის გამარჯვებაზე. მას სჯეროდა ხალხური რევოლუციის აუცილებლობა:

„როს წალეკოს უკრაინის
მტრების სისხლი ცისფერ ზღვაში,
მე დავტოვებ მშვიდად მაშინ
გორაკებს და მწვანეს ბარში...
. . . . . .
მაშ დამმარხეთ, წამოდექით,
ბორკილები დაამსხვრიეთ,
მტარვალების სისხლის ჩქეფი
თავისუფლად მოაფრქვიეთ“.
(„ანდერძი“)

ისტორიულ წარსულში ტარას შევჩენკო ხედავდა მჩაგვრელებზე ხალხის გამარჯვების წინათგრძნობას, ხოლო თავის პოემებში „ტარასის ღამე“, „ივან პოდკოვა“, „გაიდამაკები“ და „გამალეია“ იგი უმღეროდა ხალხის ბრძოლას თავისუფლებისათვის. პოეტი ხატავდა წარსულში სახალხო მოძრაობის ბელადების — ივან პოდკოვას, ტარას ტრიასილოს, ჟელეზნიაკის, გონტას და იარემას — სახეებს, როგორც უშიშარი მებრძოლებისა ხალხის უფლებისათვის.

ტარას შევჩენკოს „სიმღერები“ და „ფიქრები“ უკრაინის ხალხის ფიქრები და სიმღერებია. შევჩენკო უკრაინის ხალხის განთავისუფლების მომღერალი იყო, მას სწამდა, რომ მონობის ჯაჭვები დაიმსხვრეოდა, მას სწამდა, რომ უკრაინა აღსდგებოდა, და სწორედ ამის შესახებ სწერდა:

„წამოდგება უკრაინა
და სიმართლეს გაშლის“.

შევჩენკო ღრმად იყო დარწმუნებული, რომ დადგებოდა თავისუფლების უბრწყინვალესი ეპოქა, და ამ შთაგონებით მოხიბლული უკრაინის ხალხის მომავალი ცხოვრების ნათელ სურათებსაც კი ხატავდა:

„ირგვლივ მშვიდობა — ძველისძველ მთებში
ქვეშ გაწოლილი ისეა დნეპრი,
თითქოს ჩვილი ყრმა ნებივრობს რძეში,
წყნარი დუდუნით ლამაზობს, ეტრფის,
მთელს უკრაინას... ნაპირს მოფენილს,
ამწვანებული მოსჩანს მთა-ბარი,
იქ მრავალია ფართო სოფელი,
მხიარულ ხალხის თავშესაფარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო! ეს იქნება სიმართლე მაშინ,
მართლაც იქუხებს სიმღერის ძალა,
თუ რომ სამშობლო-უკრაინაში
მთლად წაიშლება პანების კვალი".
(„მე გავიზარდე უცხო მხარეში")

ტარას შევჩენკოს ეს დიადი ოცნება ახდა. ხალხის სიმართლემ, რომლისათვის მას სდევნიდნენ, გაიმარჯვა. სამუდამოდ აღიკვეთა მჩაგვრელთა კვალი, და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად უკრაინის ველები და ბაღები აყვავდნენ, ხალხის ცხოვრება ბედნიერი და საამური გახდა.

ტარას შევჩენკოს მთელი შემოქმედება გამსჭვალულია ხალხთა ძმობის მაღალი იდეებით. შევჩენკოსათვის უცხოა ნაციონალური შეზღუდულობა. ეს ნათლად დავინახეთ „კავკასში", მაგრამ, გარდა ამ პოემისა, შევჩენკომ სხვა ნაწარმოებებშიც გამოხატა ინტერნაციონალური თანაგრძნობა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ხალხებისადმი, რომლებიც იბრძოდნენ თავიანთ ნაციონალურ-პოლიტიკურ განთავისუფლებისათვის. პოემაში „ივან ჰუსი" შევჩენკომ უმღერა ჩეხელ ხალხს, რომლებიც მე-15 საუკუნეში გმირულად ებრძოდნენ კათოლიკურ-კლერიკალური რეაქციის თავდასხმას. გალიციის 1846 წ. რევოლუციას შევჩენკო გამოეხმაურა ლექსით „სიჩი", რომელშიაც გამოხატა გლეხობის გამარჯვება თავის მჩაგვრელებზე. ტაიპინგების აჯანყებასთან დაკავშირებით მან თანაგრძნობა გამოუცხადა ჩინელ ხალხს.

ტარას შევჩენკოს შემოქმედების რევოლუციური შინაარსის სიმდიდრეს ემთხვევა მის ნაწარმოებთა მხატვრული ფორმების მრავალფეროვანება. ენის სიმდიდრით, ოსტატობით, პოეტური კულტურით შევჩენკოს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტარას შევჩენკო სიცოცხლეში დევნილი იყო თვითმპყრობელობისაგან. მაგრამ თვითმპყრობელობას შევჩენკოს გარდაცვალების შემდეგაც არ შეუწყვეტია მისი სახელის დევნა. ცნობილია, რომ 1914 წელს თვითმპყრობელობამ აკრძალა შევჩენკოს დაბადების ასი წლისთვის აღნიშვნა. სწორედ ამის შესახებ სწერდა მაშინ ლენინი; „შევჩენკოს ხსოვნის აღნიშვნის აკრძალვა მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციის თვალსაზრისით იყო ისეთი საუცხოვო და დიდებული, იმდენად იშვიათი და მოხერხებული ზომა, რომ უკეთესი აგიტაციის წარმოდგენა შეუძლებელია. მე ვფიქრობ, რომ მთავრობის წინააღმდეგ მომქმედი ჩვენი საუკეთესო სოციალ-დემოკრატიული აგიტატორები ესოდენ მოკლე დროში ვერასოდეს ვერ მიაღწევდნენ ისეთ თავბრუდამხვევ წარმატებას, როგორსაც მთავრობის საწინააღმდეგო აზრით ამ ზომამ მიაღწია. ამ ზომის შემდეგ მრავალი მილიონი „ობივატელი" შეგნებულ მოქალაქედ გადაიქცა, ისინი რწმუნდებოდნენ იმ სიტყვების სისწორეში, რომ რუსეთი „ხალხთა საპყრობილეა".

ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და მწერლობის წარმომადგენლებს შორის ტარას შევჩენკო ყოველთვის სარგებლობდა განსაკუთრებული პოპულარობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევჩენკოსადმი სიყვარული პირველად მეცხრამეტე საუკუნის დიდმა ქართველმა მწერლებმა ჩაუნერგეს ჩვენს ხალხს. აკაკი წერეთელი პირადად შეხვედრია ტარას შევჩენკოს და ამ უკანასკნელს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ქართველი ხალხის მომღერალზე. გადაჭარბებული არ არის აკაკის განცხადება შევჩენკოს შესახებ, რომ „პირველად გავიგე მისი სიტყვებიდან, როგორ უნდა მიყვარდეს სამშობლო და ხალხი". მთელი სიცოცხლე იგონებდა აკაკი შევჩენკოს და მისი პოეზიისადმი უდიდესი სიყვარულით იყო გამსჭვალული.

ასეთივე სიყვარულით და პატივისცემით გამსჭვალული იყვნენ შევჩენკოს პოეზიის მიმართ ნიკო ნიკოლაძე და დიმიტრი ყიფიანი.

შემდეგში უფრო გაძლიერდა და გავრცელდა შევჩენკოს პოეზიისადმი სიყვარული და ინტერესი. მისი ლექსები სთარგმნა და გამოაქვეყნა ნ. ლომოურმა, მამია გურიელმა, სილოვან ხუნდაძემ.

უნდა გავიხსენოთ აგრეთვე ცნობილი პედაგოგი და მწერალი ალ. გარსევანიშვილი, რომელმაც სთარგმნა მთელი რიგი შევჩენკოს ლექსები და რეაქციის მძვინვარების დროს დადიოდა დაბა-ქალაქებში და კითხულობდა ლექციას: „უკრაინის ხალხის მომღერალი ტარას შევჩენკო". 1911 წელს ეს მოხსენება ცალკე წიგნადაც დაიბეჭდა.

ქართველმა მოწინავე და რევოლუციურად განწყობილმა ინტელიგენციამ ფართოდ აღნიშნა შევჩენკოს გარდაცვალებიდან ორმოცდაათი წლის შესრულების თარიღი. 1911 წელს თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთმა მოათავსა მისი ლექსების თარგმანი. მათვე მოათავსეს შევჩენკოს პიროვნებასა და პოეზიასთან დაკავშირებული მრავალი მასალა. ქართველი პოეტების, ი. ევდოშვილის, ს. შანშიაშვილის, ი. მჭედლიშვილის, განდეგილის და სხვების თარგმანები იბეჭდებოდა „განათლებაში", „ცნობის ფურცელში" და სხვაგან. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც თვითმპყრობელობის რეჟიმი ანტაგონიზმს სთესავდა ერთა შორის და ანადგურებდა მის მიერ დაპყრობილი ხალხების კულტურას.

შევჩენკოს ასეთი პოპულარობა საქართველოში იმით აიხსნება, რომ იგი იყო ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის მომღერალი, მისი მძლავრი ხმა სწვდებოდა უკრაინის მსგავსად ცარიზმის მიერ ჩაგრულ სხვა ხალხებსაც.

მხოლოდ დღეს, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, ტარას შევჩენკოს მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა გახდა თავისუფალი ხალხის საკუთრება. მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი პატივისცემით იგონებს ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლს დიდ შემომქმედს.

უკრაინელი ხალხის მომღერალი ტარას შევჩენკო ძვირფასია საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისათვის. ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ენაზე ადიერენ მისი საუცხოო სიმღერები. დღეს ჩვენ ქართულ ენაზე ეძღვნებ მოგვეპოვება ზოგიერთი ნაწარმოების გამოკლებით ტარას შევჩენკოს მთელი „კობზარი", რომლის თარგმანი ოსტატურად შესრულებულია ქართველი საბჭოთა პოეტების მიერ.

ქართველი საბჭოთა პოეტების მუშაობის მიზანი იყო — შეძლებისდაგვარად გაეხმიანებინათ შევჩენკოს ლექსების დიდშინაარსობრივ სიმძაფრესთან ერთად მისი მეტრიული და რიტმიული თავისებურებანი, გაეხმიანებინათ ეს ლექსები ისე, რომ არ მსგავსებოდნენ უბრალო თარგმანს, რომ ისინი ქართულად აეღერებულიყვნენ, როგორც ორიგინალური პოეტური ნაწარმოებნი. ტარას შევჩენკოს ლექსებისა და პოემების თარგმანი მოგვცეს თანამედროვე ქართველმა პოეტებმა: ს. ჩიქოვანმა, ი. მოსაშვილმა, კ. ლორთქიფანიძემ, ვ. გაფრინდაშვილმა, ა. აბაშელმა, ი. აბაშიძემ, კ. კალაძემ, ხ. ვარდოშვილმა, დ. გაჩეჩილაძემ, ვ. გორგაძემ, იასამანმა, გრ. ცეცხლაძემ, მ. პატარიძემ, ვ. გაბესკირიამ, ა. ქუთათელმა, შ. აფხაიძემ, მ. მრევლიშვილმა, კ. ბობოხიძემ და სხვებმა.

შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა პოეტების მუშაობამ საგრძნობი ნაყოფი გამოიღო. თარგმანების უმრავლესობა აკმაყოფილებს დღევანდელი მკითხველის გაზრდილ მოთხოვნილებას და შევჩენკოს ქართულად ახმიანებამ სასურველ შედეგს მიაღწია.

შევჩენკო ვერ მოესწრო თავისი მშობლიური უკრაინის განთავისუფლებას და აყვავებას, ვერ იხილა მან თავისუფალი და ბედნიერი სოციალისტური უკრაინა, მაგრამ შევჩენკოს სჯეროდა, რომ ასეთი დღე უნდა დამდგარიყო. ეს დღე უკვე სინამდვილედ იქცა.

და ეხლა თავისუფალი, ბედნიერებით აღსავსე უკრაინის ხალხი, ისევე, როგორც ჩვენი დიადი ქვეყნის ყველა ეროვნება, სიყვარულით და პატივისცემით აღნიშნავს ხალხთა მეგობრობის მომღერლის, მშრომელი ადამიანის განთავისუფლებისათვის მებრძოლი პოეტის ნათელ ხსოვნას.

საბჭოთა სინამდვილემ გაანთავისუფლა და უდიდესი გასაქანი მისცა ხალხების შემოქმედებითს ენერგიას. რუსთაველისა და პუშკინის იუბილე შესანიშნავი დემონსტრაცია იყო ხალხთა მეგობრობისა და ერთმანეთის კულტურისადმი სიყვარულის და პატივისცემისა. უკრაინელ ხალხთან ერთად ტარას შევჩენკოს იუბილეს იხდის საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი, რომლისთვისაც საყვარელია ხალხთა ძმობის ეს სახელოვანი მომღერალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აპ. წულაძე

ეთნოგრაფიული გურია

გურულების გასართობი

გართობა, თამაშობა, სიმღერა, ლხინი, გალობა, დროსტარება, შექცევა, სიამოვნება, სულისა და გულის დატკბობა, სხეულისა და გონების ვარჯიშობა, მწუხარებისა და დუხჭირი ცხოვრების შემამსუბუქებელ-მანუგეშებელი რისიმე გამონახვა გურულისათვის ყველაფერი იყო. ყველგან, ყოველდროს და ყოველგვარ მდგომარეობაში გურული ცდილობდა სიამოვნება ენახა და მით თავისი შრომა იოლი გაეხადა, მწუხარება შეემსუბუქებინა. გურულმა იცოდა ყოველგვარი შრომის შესაგუებელი სიმღერა. სიმღერითვე ერთობოდა იგი ყოველგვარი ნაბიჯის გადადგმის დროს ცხოვრებაში.

სტუმართმოყვარე გურული სტუმრის შესაქცევად, უცხო იყო ის თუ ნათესავ-მოყვარე, აუცილებლად მოიწვევდა მეზობელს. მომლხენს, ჩონგურის დამკვრელს და დამღიღინებელს, ენაწყლიან მოსაუბრეს, კარგ თამადას. ვინც ასე არ მოიქცეოდა, „პურშავის“ სახელით მოინათლებოდა. თუ მასპინძელი მხიარულობდა, სტუმარიც კმაყოფილი იყო და ისიც მხიარულობდა. ლხინიც მასპინძლის წასაქეზებელ-გასამხიარულებელი სიმღერით იხსნებოდა:

მასპინძელსა მხიარულსა
ჰყავს სტუმრები საყვარლები,
ღმერთო, ნურას ნუ მოუშლი,
რაც რომ ყავდეს საყვარლები.

ზამთარი თუ იყო, მასპინძლის მაგიერ ბუხარს, ცეცხლს მიმართავდნენ:

გამხიარულდი, ბუხარო,
გულჩათხრობილი ნუ ხარო!

ეს იყო შესავალი. როცა თამადა აირჩეოდა და სმა დაიწყებოდა, მაშინ მომლხენნი ჩაარაკრაკებდნენ გაეროვნებულ საეკლესიო სძლისპირს— „მონასიპს“:

დღეს სამლრთო მადლმან
შეგვკრიბნა ჩვენ.....

ანდა მეორე ამგვარსავე: „მოვედით და ვსვათ სასმელი ახალი“.

ვიმეორებ, როგორც სუფრაზე, ისე იყო ყოველგვარი შრომისა და ყოველნაირი საყოფაცხოვრებო საქმის დროს. გურულს სიმღერა, მოლხენა, გალობა ისე შეესისხლხორცა, იმდენად გადაექცა ის მოთხოვნილებად, რომ გლოვის დროსაც კი ერთობოდა გლოვა-ტირილის შესაფერი გალობით — ზარით.

სიმღერა იცოდნენ (და დღესაც იციან) შრომაში, გზაში, ომში, მინდორში და, საზოგადოდ, ბუნების ვრცელ წიაღში.

გალობა ითქმოდა აგრეთვე სალოცავ ადგილას, ღვთის საქებ-სადიდებლად, სულის საოხად.

მოლხენა, ლხინი იყო სუფრის ჭამა-სმის ლაზათი, სუფრის სამკაული, მისი მშვენება და გვირგვინი.

ზარი

ზარი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ტირილის, მოთქმა-გოდების აკომპონიმენტი გახლდათ. სამგლოვიარო ხმაა — სამი გალობს. ამ ორმოცი წლის წინათ ტირილი იცოდნენ ზარით და უზაროდ. ყველა ტირილი ზარით იცოდნენ, მაგრამ უზარო და ზარით ტირილს შორის განსხვავება იყო. თუ მიცვალებულის ჭირისუფალი ნათესავს „ტირილის წიგნით“ ატყობინებდა — უზაროდ მიტირეო, ეს იმას ნიშნავდა, რომ მოტირალს თან არ უნდა წაეყვანა თავისი მოზარე. ასეთი ტირილი იყო უფრო სადა, ღარიბული, „თავისწინაი“. მოტირალს, მოზარეს თვით დაახვედრებდა ჭირისუფალი. თავმომწონე კი თავის მიცვალებულს ზარით იტირებდა და მოსაწვევი ბარათით გაფრთხილებას არ იძლეოდა — თავისწინაი მიტირეო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მოტირალს თან უნდა ხლებოდა თავისი მოზარე.

ხშირი იყო შემთხვევა, მოტირალს იმერეთ-სამეგრელოდან წაუყვანია თავისი მოზარე. აგრეთვე პირუკუ: გურიიდან იმერეთში, სამეგრელოდან გურიაში წაუყვანიათ. ზოგჯერ არა თუ ერთი, ორი პირი მოზარეც ჰყოლიათ. მოტირალი რიგში ჩამდგარი ელოდა თავის დროს. წინ მოზარე ნელის ნაბიჯით გაუძღვებოდა, ნელის ხმით ზარს დაიწყებდა და მოტირალიც ხმას ზარს შეუწყობდა ისე, როგორც ჩონგურს ხმას შეუწყობს დამღიღინებელი. ამრიგად, მოტირალს კუბოსთან მიუძღვებოდა და ატირებდა, უკან გამობრუნდებოდა და ახლა სხვას გაუძღვებოდა.

ზარით ტირილი მიცვალებულის დიდ პატივისცემად ითვლებოდა. ახლა რომ გვირგვინებით, სასულე ორკესტრით და დეპეშებით ფასდება პატივისცემა, წინათ ამისი მაგიერი ზარი იყო. ოცი-ოცდახუთი ცხენოსანი მოზარე იყოო, იტყოდნენ. როგორი ზარი იყოო, იკითხავდნენ. უზარო ტირილი მიცვალებულის ხსოვნის აბუჩად აგდება იყო. ზარს ტირილის მშვენებად სთვლიდნენ. ამიტომ ზოგი ავადმყოფი ანდერძს დასტოვებდა — ზარით მიტირეთო.

წინანდელი ტირილი სავსებით თეატრალური იყო, განსაკუთრებით კი ზარით ტირილი. „მსახიობ-მოთამაშეთა“ როლებს ასრულებდნენ თვალ-ცრემლიანი და ლოყა-დასისხლიანებული, ძაძით მოსილი ქალები, თავ-ჩაქინდრული, გულზე და შუბლზე მჯიღისმცემელი მგლოვიარე კაცები. მგლოვიარენი თავიანთი მოთქმა-გოდებით, სიტყვების შერჩევით, მისი კარგი კილოთი, ზარზე შეწყობით სხვებს, გარეშეებს ართობდნენ. ზოგს სიცილის გუნებაზე აყენებდნენ, ზოგსაც გულს უჩუყებდნენ. იქნებ არ ეტირებოდა, გული არ ეწვოდა, მაგრამ მაინც ააცრემლებდნენ. ხშირი იყო ისეთი ხელოვანი მოტირალი, როგორც ქალი, ისე კაცი, რომლის შესახებაც იტყოდნენ: ისეთი ხელოვანი მოტირალია, „ჯირკი“ რომ იტიროს, ქვასაც აატირებსო.

მე თვით არ მოვსწრებივარ, მაგრამ მომსწრეთაგან გამიგონია, რომ წინათ, მოზარეს გარდა სცოდნიათ კიდევ „ჩამკივლებელი“. ამ როლს ასრულებდნენ დაქირავებული ქალები. მათი მოვალეობა იყო, რაც შეიძლებოდა ხმამაღლა და გულმოწვით ეკივლათ, სხვისი მიცვალებული ეტირათ. შეიძლება აქედან წარმოიშვა დიდად გავრცელებული ანდაზა: ყველას სატირალს ცენტერაძის მოლოზანი ტიროდაო.

დიდკაცების ქალები ნაკლებად იტკივებდნენ თავს და თავიანთ მიცვალებულის ტირილს და ლოყის დაკაწვრას ყმა-გოგოებს ავალებდნენ. ინებეთ მაგალითი: თავ. თავდგირიძის კნეინას ძმა გარდაეცვალა. გოგოს უბრძანეს, გადი კარში და ყოველი მხრივ გადიკივლეო. გოგო გავიდა ეზოში, შეტრიალ-შემოტრიალდა და დაცინვით „გადაიკივლა“:

— გოგოვ, გუგუნავასკენ გადაიკივლე, გოგოვ, შალიკაშვილებისაკენ გადაიკივლე — ქალბატონის ძმაი მოკვდა. მარა არ მეკივლება, არ მეკივლება, არც მეტირება! უი, უი, უი! — და დაკეცილი თითები ჩამოისვა ლოყაზე.

1907 წელს, მძვინვარე რეაქციის დროს, ტერორისტების მიერ მოკლული რუსი სტრაჟნიკის ჩვეულებრივი „ძმური ტირილი“ დაავალა ლანჩხუთელ ქალებს სატრაპმა გენერალმა ტოლმაჩოვმა. ქალებმა გაციმბირებას ტირილი ამჯობინეს. ერთმა მოხერხებულმა ქალმა დაიწყო და სხვებმაც ბანი მისცეს:

ძმაო რუსო,
ივან რუსო,
რათ გიტირო, რომ არ მსურსო.

თმაგაშლილი ქალების ასე „გულმოწვით“ ტირილმა გენერალი აღტაცებაში მოიყვანა.

კარგი მოზარე იშვიათი იყო. ზოგჯერ მეორე სოფლიდანაც იწვევდნენ მოზარეს, გასამრჯელოს აძლევდნენ. შორს წასასვლელი თუ იყო, ცხენს უქირავებდნენ და ერთს ან ორ დღეს ყანაში მიეშველებოდნენ. ზარს სწავლობდნენ ტყეში ან ეკლესიის სადარაჯო სახლში, ოჯახში არ შეიძლებოდა (ზარი გავიგონე მისასო — წყევლა გახლდათ). ზარის მასწავ-

ლებელს გასამრჯელოს აძლევდნენ, უფრო ხშირად ნატურით: ჩოხას, ახალუხს, ჩექმას, ღვინოს, სიმინდს და სხვას.

ბევრს სწამდა, რომ ცეცხლ-მოკიდებულ თავლიდან ცხენ-ჯვარედინარი საშუალებით ვერ გამოიყვანდა, თუ ზარს არ ეტყოდა. შეიძლება დამფრთხალ პირუტყვს ზარი ამშვიდებს, აწყნარებს. განმარტებისაგან თავს ვიკავებ, მაგრამ ვიტყვი, რომ უცდიათ და ცხენები გადაურჩენიათ. ასახელებდნენ მაგალითებს.

გალობა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გალობა სულის საოხი, სულის „საცხოვნებელი" იყო და არა ხორციელი სიამოვნება-დატკბობა. მაგრამ, დროთა ვითარების გამო, გალობამ სულიერ-საიქაო მნიშვნელობა სავსებით თუ არა, ნაწილობრივ მაინც დაჰკარგა, და მან ხორციელი სიამოვნების სახეც მიიღო. ბევრი იმ ეკლესიაში, საცა კარგი მგალობლები იყვნენ, დადიოდა არა სალოცავად, არამედ კაი გალობის მოსასმენად. 1890 წლიდან, როცა ხუცესსა და ეკლესიას გათვითცნობიერებულმა ხალხმა ზურგი უჩვენა, ხუცები მლოცავთა მიზიდვას გალობით ლამობდნენ, მგალობლები დაიქირავეს და ამით მლოცავ-მორწმუნენი თუ ვერ მიიმატეს, თვალის ასახვევ ეფექტს მაინც მიაღწიეს: ეკლესია ივსებოდა გალობის მოყვარული ხალხით, რომელიც გალობით ერთობოდა. გალობის მოსმენა ბევრს მოთხოვნილებად გადაექცა, და ძალიან ბევრი გალობის მოსასმენად ეკლესიაში ისევე ხალისით დადიოდა, როგორც ოპერის თეატრში. და ეს არც საკვირველია, რადგან ზოგიერთი გალობა მართლაც ისეთი წარმტაცი მოსასმენი იყო, რომ ხელოვანი მუსიკოსის ნაწარმოებს თუ არ აჯობებდა, არ ჩამოუვარდებოდა. ალბათ, ამით აიხსნება, რომ ზოგიერთმა გალობამ ხალხური სახე მიიღო. ლხინისა და დროსტარების დროს გალობდნენ და პირჯვრის წერის მაგიერ სავსე ჭიქას ან ყანწს სცლიდნენ. კარგი გალობა სმა-ჭამის მადის გამაღიზიანებელი იყო, სახალისო და გასართობი.

როგორც სიმღერა იყო შეგუებული შრომა-მუშაობასა და მდგომარეობასთან, ისე იყო გალობაც დროსა და გარემოებასთან შეგუებული და მათი დამამშვენებელი. მაგალითად, ჯვრის წერის დროს, როცა ნეფე-დედოფალს გვირგვინით თავზე ხუცესი ანალოის გარშემო შემოატარებდა, მაშინ მგალობლები გალობდნენ: „ისაია მხიარულ იყავ, ქალწულმან მიუდგა და შვა ძე ემმანუილ". სიტყვები და მეტადრე გალობის კილო სქესობრივი ვნების აღმძვრელი გახლდათ: ეს იყო სიცოცხლის, სიამოვნებისა და გამრავლების ხალისიანი ჰიმნი. სამაგიეროდ სულ სხვა კილოს გალობა იყო წესის (ანდერძის) აგების საგალობელი — „სულთათანა განუსვენე". ეს იყო ცხედრის უკანასკნელი გამოთხოვება. მსმენელს სევდა ეუფლებოდა. საგალობელი „წუთისოფლის სტუმრობის" ხანმოკლეობას აგრძნობინებდა და თვალს ცრემლით უვსებდა.

ვალმოხდილი მიცვალებულის დამარხვის დღეს ტრაპეზი (ტურის ჭამა) ქორწილს არ ჩამორჩებოდა, მეტადრე, თუ მიცვალებულს პატივისმცემელი ჭირისუფალი დარჩებოდა. ყველა ჭიქას შესაფერი ბალობა მოჰყვებოდა, მრავალჟამიერის მაგიერ — „საუკუნოდ იყოს ხსენება მისი“. არ დაითვრებოდნენ, მაგრამ კარგა შეჭიკჭიკდებოდნენ.

გალობა ხალხს ძალიან უყვარდა, მაგრამ ხალხური არ იყო. ზოგჯერ ეკლესიას თავისი მგალობლები (სამი კაცი სჭიროდა) არა ჰყავდა და ეკლესიის დღეობაზე მეორე სოფლიდან საგანგებოდ იწვევდნენ. სამაგიეროდ ისეთი ეკლესიაც იყო, საცა გალობა ორპირად ითქმოდა. გალობის მცოდნეთა უმეტესობას თავად-აზნაურები და მღვდლის ოჯახის წევრნი შეადგენდნენ. გალობის შესწავლას, გარდა ბუნებრივი ნიჭისა, სჭიროდა წერა-კითხვის ცოდნა და დიდი დრო და მოცალეობა. ყველა ამისთვის კი მაშინდელ გლეხს არ ეცალა, ამიტომ მგალობელი გლეხი იშვიათი იყო და თუ იყო, მას გააზატებულს, ნახევრად აზნაურს ეძახდნენ. სხვებთან შედარებით იგი კარგ პირობებში იმყოფებოდა.

გალობის მასწავლებელს, როგორც ზარის მასწავლებელს, გასამრჯელო ეძლეოდა. ზოგიერთ მემამულე თავადს ეზოში საკუთარი ეკლესია ჰქონდა და კარისმღვდელი ჰყავდა. მგალობლები კი თვით თავადები (ზოგჯერ ქალები) იყვნენ. ამ თავადებს ჰყავდათ შერჩეული ახალგაზრდები, რომლებსაც გალობას ასწავლიდნენ, სამაგიეროდ სწავლის გათავებამდე 6—12 თვეს ხელზე იმსახურებდნენ.

საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით გალობა გურიაში ყველაზე მეტად იყო გავრცელებული. ბევრი პირდაპირ პროფესიონალი მგალობელი იყო, გალობის სწავლება მის საარსებო წყაროს შეადგენდა. ბევრი მათგანი იმერეთსა და სამეგრელოში მიდიოდა და იქ ასწავლიდა. ბევრისათვის გალობა ყველაფერი იყო. ჩვენში ერთი ცნობილი მგალობელი იყო — მაქსიმე წეროძე. ერთხელ იგი სასამართლოში მოწმედ დაიბარეს. მოსამართლე ეკითხება: მაქსიმე, შენ რას იტყვიო. — შენ თუ დაიწყებ, მე ბანს გეტყვიო, — მოახსენა წეროძემ.

მგალობელი, მოზარე და მომლხენი უნდა ყოფილიყო ზრდილი, დარბაისელი, კარგი სიტყვა-პასუხის პატრონი, კარგად ჩაცმულ-დახურული, ნაზი მჭამელი, ღვინო უნდა დაელია „სამწყურვალოდ“, არ უნდა დამთვრალიყო. სუფრაზე ეძლეოდა უპირატესობა — რჩეულ ადგილას დაჯდომა. ალავერდს არ ეტყოდნენ და ღვინოს თავის ნება-სურვილზე მიართმევდნენ.

კარგ მგალობელს, თუ იგი იმავე დროს გადამცემი-მასწავლებელიც იყო, დიდი დაფასება ჰქონდა. ყველას უყვარდა, პატივს სცემდა და საზოგადო მოღვაწედ ითვლებოდა. 1932 წელს გურიაში გარდაიცვალნენ ცნობილი მგალობელ-მომლხენ-მომღერალნი (ჩონგურზე დამკვრელებიც): ნესტორ კონტრიძე, სამუელ ჩავლეშვილი (მთავრობამ იუბილე გადუხადა რუსთაველის თეატრში) და გიორგი ბაბილოძე. ამათი გარდაცვალების გამო საერთო მწუხარება-დანაკლისი მათმა მოწაფემ, ახალგაზრდა მომ-

ლერალ-მასწავლებელმა არტემ ერქომაიშვილმა საკუთარი ლექსით გამოხატა. ეს ლექსი მანვე სამღერლად ააგო. ამ გალობისებურ სიმღერას-ლეს ხალისით მღერიან გურიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავკარგეთ სამი მომლხენი,
მსმენელთა დამატკბობელი,
გურიის ღვიძლი შვილები,
ჩაგრულთა გამართობელი.
პირველ ხმაში ჩავლეშვილი
კაკანებდა, ვით ბულბული,
წვრილს ეტყოდა ბაბილოძე,
სხვაფრივ ენამოქარგული,
ბანს კონტრიძე შესძახებდა,
დასტკბებოდა სული, გული.
სიხარულით აგავსებდა
სამივეს ხმა, ერთად თქმული.
სამუელ, გიორგი, ნესტორი —
არ არს ჩვენთვის დაკარგული.
ხშირად ვტკბებით სიმღერებით,
მათი ენით წარმოთქმული.
ისტორიაც არ ივიწყებს,
მიზნათა აქვს დასახული,
რომ გადასცეს მომავალ ერს
მათი ქება, ხალხის თქმული.

ღილინი

ღილინი ერთპიროვნული იყო. აღილინებდნენ საკრავზე — ჩონგურზე ან ჭიანურზე, ან მარტოდ, ტლუდ ღილინებდნენ მუშაობის ან მგზავრობის დროს. „ვეფხის-ტყაოსანს“ და „დავითიანს“ ღილინით კითხულობდნენ. ჩონგურის დამკვრელს არასოდეს არ ეტყოდნენ, დაამღერეო, არამედ — დააღილინეო.

ერთ ქალათ მარტუაი იგი ღირს, რომ ჩონგურზე დააღილინებსო, — იტყოდნენ.

მისი დაღილინება მკვდარს გააცოცხლებსო.

კრიმანჭული

კრიმანჭული ან კირკანტული, სიმღერის ერთი წამყვანი ხმაა, მაგრამ როგორც ღილინი, ისე კრიმანჭული ზოგჯერ ერთპიროვნულია. მარტოდ დარჩენილი ახალგაზრდა კრიმანჭულობდა ტყეში, ყანაში და გზაში. კრიმანჭულს იწვევდა მარტოობა ან შიში. კრიმანჭულობდა — შიში უქრებოდა, არ მოიწყენდა, არ ჩაეძინებოდა. კრიმანჭული უფრო ხშირად ჭაბუკის საქმე იყო. ღამით მოზარდს სადმე წასვლას რომ დაავალებდნენ, ეტყოდნენ: წეიკრიმანჭულე და ისე წადიო. კრიმანჭულობდა ძროხის და თხის მწყემსი ახალგაზრდა. მას მოპირდაპირე მხრიდან მეორე ტოლი გამოეკრი-

მაჭულებოდა. ეს მოგაგონებდათ ორი მწყემსის სოინარით ან საღამურით შეჯიბრებას. ზოგიერთი კრიმაჭული დიდად სასიამოვნო მოსასმენი იყო, მეტადრე მყუდრო, მთვარიან ღამეში. ზოგჯერ კრიმაჭული შეყვარებულთა პაემანიც იყო.

სიმღერა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გურული მღეროდა ყოველგვარ საქმიანობასა და მდგომარეობაში, მაგრამ ყველა სიმღერა შეგუებული, შეხამებული, მისადაგებული, შეხმატკბილებული იყო შრომასთან, გარჯილობასთან, მდგომარეობასთან. იგი წარმოადგენდა შრომის განუყოფელ ნაწილს, ადვილებდა, არაქაფებდა და უფრო ბარაქიანს ხდიდა შრომას, აძლევდა მას შინაარსს და ხალისს: ზარმაცს აბეჯითებდა, ლაჩარს ამხნევებდა, დაღლილს ძალღონეს მატებდა.

სიმღერას სწავლობდნენ ყურის დაგდებით, ბუნებაში, მოქმედების დროს, ამასთან აღსანიშნავი და საყურადღებოა, რომ სიმღერა გლეხობისა იყო და არა „ბრწყინვალე“ წოდებისა. გალობა და მოლხენა თავად-აზნაურობის საქმე გახლდათ და ძალიან ბევრი იშვიათი მგალობელ-მომლხენის ჩამოთვლაც შეიძლებოდა მათი წრიდან. სამაგიეროდ ვერავინ ვერ დაასახელებს ამ ცნობილ და მართლაც ხელოვან მგალობელ-მომლხენებიდან ვინმე ყოფილიყო კარგი მომღერალი.

თავ. დათა გუგუნავა, გურიის გარეშეც ცნობილი მგალობელი და მომლხენი და ამავე დროს სხვების ბეჯითი მასწავლებელი, ერთ ლექსში თავის თავს „ლხინის დედას“ უწოდებს. მისი მოწაფეები და მომსწრე პირები ადასტურებენ, რომ სიმღერა ამ თავადს სხვებთან შედარებით არ სცოდნია და ეს არც გასაკვირია, რადგან სიმღერა უმთავრესად თან სდევს შრომა-გარჯილობას, შრომა და გარჯილობას-კი ეს წოდება არ მისდევდა.

ყანური ანუ ნადური

ყველა სიმღერაზე რთული, ყველაზე ძველი და ამავე დროს ყველაზე საყვარელი სიმღერა იყო ყანური ანუ ნადური სიმღერა. სიმღერა ორპირი იყო და რვა კაცი სჭიროდა: ორი დამწყები (ანუ მთქმელი), ორი გამყივანი (ანუ გადამძახებელი) და ორ-ორი ბანი (შემხმობი). მღეროდნენ ყანის თოხნისა (დათესვის) და მარგვლის (გაბარვის) დროს, ამიტომ დაერქვა მას ყანური, და რადგან იგი უნადოდ არ ითქმის, ამიტომ ნადურსაც ეძახიან. დამტკიცებულია, რომ ნადი ნადური სიმღერის დროს ორჯერ მეტს მუშაობს ხალისით და დაუღლელად, ვიდრე უსიმღეროდ. სიმღერა იწყება მეტად ნელი ტემპით, თანდათან მუხლიდან მუხლზე გადადის, მუხლი მოკლდება და მის შესაფერად სიმღერის ტემპი ვითარდება, ცხოველდება, და როცა (სიმღერის დაწყებიდან 20—30 წუთის შემდეგ) ის ი-ო-ი-ო-ი-ოზე გადადის, თოხის დარტყმაც სიმღერას ჰყვება, ამას-

თან იმდენად სწრაფად, რომ თოხს თვალს ძლივს მოჰკრავ. თოხს სიმღერის ტემპს აყოლებს როგორც მომღერალი, ისე არა მომღერალი. ეს სრული ჰარმონიაა. თუ ვინმემ თოხი სიმღერას არ ააყოლა, ან გაუსწრო, ან ჩამორჩა, ის სიმღერას არღვევს ისევე, როგორც ცეკვის დროს უბედურად და ურიგოდ ტაშის დაკვრა. ყველამ უნდა დაიცვას ტაქტი. დამრღვევს ცალკე ნაპირს (სვრელს) მიუჩენენ, არ გაირევენ.

ყანური სიმღერა არსებითად თითქმის ყველა ერთნაირია, მაგრამ სხვადასხვა კუთხის ყანურს შორის განსხვავება მაინც არის. განსაკუთრებით ნაქებია საჯაოხურაი, ქობლეთურაი, გურიანთულაი და შემოქმედურაი.

თითოეული ამათგანი თავისი კუთხური ხასიათ-ტემპერამენტით განირჩევა. საჯაოხურაი უფრო დინჯია, დარბაისლური, მოზომილი. გურიანთულაი სწრაფი, აფეთქებული — ცოფი, შლეგი, იერიშით შემტევი. ქობლეთურაიც გურიანთულაის ენათესავება, მაგრამ უფრო მხედრულია. შემოქმედურაის ახასიათებს მეტი სიტკბო და მოქნილობა.

შემოქმედურაის შესახებ ხელოვანმა მომღერალმა, 89 წლის მოხუცმა ივლიანე კეჭაყმაძემ (კვირიკეთის მცხოვრები) გადმომცა, რომ შემოქმედურაის მთქმელი იყოო შემოქმედელი გლეხი გიორგი ლომჯარია. ასი კაცი რომ ვყოფილიყავით, უგიორგიოდ შემოქმედურაის ვერ ვიტყოდითო. გიორგი ამ სიმღერის უზომოდ მოყვარული იყო, ორი ჯოხით რომ დადიოდა, მაშინაც კი ჩაგვიდგებოდა ნაპირში და მღეროდაო. ერთხელ, როცა გიორგი უკვე ღრმა მოხუცი იყო, კვირიკეთიდან შემოქმედში გიორგის მეზობელს ნადი მიგვარეს. ნაშუადღევს ერთმა მომღერალმა სთქვა, მოდი გიორგის პატივსაცემად მისი საყვარელი შემოქმედურაი ვთქვათო. გიორგის ნადურის ხმა შემოესმა თუ არა, ორი ჯოხით ჩვენთან მოვიდა, სახე გაუბრწყინდა, ჯოხები გადააგდო, თოხს მოჰკიდა ხელი და შემოსძახა: ჰო, ჰო, ჰოო, ბიჭებო, გენაცვალეთ ყიაში, აწი თუ მოკვდები, რა მიჭირსო.

ყანურ სიმღერაში არის სხვა განსხვავებაც. დილის ანუ ხელმოსაკრავი (მუშაობის დაწყების) ყანური, სადილობის, შუადღის (ზოგან „წეროდიას“ ეძახდნენ), ზამლობის (აღ. გურ. „შექცეულა“-ს ეძახდნენ) და ყანის გათავების. ეს ყანურები შემოკლებული იყო, მთლიანი ყანური კი ითქმოდა ამათ შორის, ჩართვით.

თუ რომელი დროის ყანურს მღეროდნენ, ამას მოთაღრეები და შორიდან მსმენელებიც არჩევდნენ და იტყოდნენ: ნადი ზამლობისას მღერის — ზარმელს ითხოვსო. ამრიგად, ყანური სიმღერა დროს საზომიც იყო. ნადის „წეროდია“ იქნებოდა სწორეთ იმ დროსო, — იტყოდნენ. ყანას თუ გაათავებდნენ, მთელ სამუშაოს თუ მორჩებოდნენ, მაშინ ყანურ სიმღერას მოაყოლებდნენ მეორე სიმღერას — „ელესას“. ელესას ბოლო სავსებით მოგაგონებთ სამხედრო იერიშს. გმირული, მამაცური შეტევის მარშია და გამარჯვების ყიჟინით თავდება.

ყანური სიმღერა რთულია და მისი კარგი მომღერლებიც იშვიათად მოიპოვებოდნენ, ამიტომ კარგ მომღერალს დიდად აფასებდნენ. მომღერ-

ლის ერთ დღეს მოხმარება ორ დღედ ღირდა. ხშირად შეხვდებოდით ისეთ გლეხს, რომელიც სხვას ვერც სიმღერაში მოეხმარებოდა და ვერც ლხინში, მაგრამ მარტო ყანურის ან მთქმელი, ან გამყივანი, ან [illegible] მაგ., ასკანელი გლეხი ლომინ ნაცვალაძე ნადურის იშვიათი [illegible] იყო, სხვა სიმღერა კი არ იცოდა. ლომინი საბჭოთა ხელისუფლებას მოესწრო, დაესწრო ასკანაში კლუბის საზეიმო გახსნას, იმღერა თავისი საყვარელი ნადური, და როცა რამდენიმე ხნის შემდეგ გარდაიცვალა, ზარის ნაცვლად ნადური უღერეს და მით დიდი პატივი სცეს.

სამაგიეროდ ისეთებიც იყვნენ, რომლებმაც ყველაფერი კარგად იცოდნენ: სიმღერაც, მოლხენაც, გალობა-ზარიც. მაგ., იმავე ასკანის მცხოვრები ანტონ ჩხაიძე ყველაფერში ქებული იყო. ასევე იყვნენ ქებულნი ჭანჭაიელი გლეხები: პავლე და ისიდორე ჩიჩუა და საბა გოგვაძე, ეს მართლაც იშვიათი ტრიო გახლდათ, მთელს გურიაში ცნობილი.

ნადური სიმღერა ძველია, ისტორიულია, შეთხზულია ბატონყმობის დროს ყმა გლეხების მიერ, მასში ცხადად სჩანს ბატონების წინააღმდეგ შეთქმულება — ჯანყი, შეტევა, იერიში და გამარჯვება, ბატონების განადგურება და მათი „მოთხრა“. ვეცდები დავასაბუთო.

სიმღერას იწყებდა ერთი მთქმელი, იწყებდა დაბალი ხმით, გაუბედავად, წუწუნით. არ მოსწონდა თავისი ვაგლახი ცხოვრება, უჩიოდა ცხოვრებას; სწორედ იმ ლექსებს, იმ სიმღერის ტექსტებს, რაც კი ყანურში იყო, საჩივარს ეძახოდნენ. არც ერთ გურულ სიმღერას არა აქვს იმდენი ტექსტი, რამდენიც აქვს ნადურს. ძალიან ხშირად მთელი სიმღერა ერთი ან ორი საჩივრით თავდება. ხშირად გამიგონია ნადურზე 20, 25 საჩივარი. ამ საჩივარ-ლექსებში, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, აშკარად მოსჩანს გლეხთა მაშინდელი ყოფა-ცხოვრება და უუფლებობა.

ერთ მთქმელს, ერთ მომჩივანს მეორე, მის ბედშივე მყოფი აჰყვებოდა, გამოეხმაურებოდა, პირველის საჩივარს კვერს დაუკრავდა და იმეორებდა.

ამ ორ მომჩივანს შეუერთდებოდა გამყივანი ანუ გადამძახებელი და მაღალი ომახიანი ხმით უყიოდა, უძახოდა, უხმობდა სხვებს, მოუწოდებდა ამხანაგებს. სხვებიც, ტანჯულები, არ აყოვნებდნენ, უერთდებოდნენ, ებანებოდნენ — ბანს ეუბნებოდნენ. ბანი სიმღერის კილო როდია მარტო, იგი ნიშნავს თანხმობას, აყოლას, აზრის გაზიარებას, ხშირად იტყვიან: ბანი დამაწია, მომებანა, ბანი მითხრა, ბანი დამძინა. ბანს შემხმობასაც ეძახიან, შემხმობი ნიშნავს შემხმელებელს — ცეცხლში ხმელი საწვავის შემკეთებელს, ცეცხლის ამაგიზგიზებელს, დამაღალადურებელს, ამაპრიალებელს. ამრიგად, შემხმობი, ბანი, ცეცხლს აგიზგიზებს, ყმებს აჯანყებისა და ბრძოლისაკენ მოუწოდებს.

ამრიგად, მთქმელი მოთავეა, ორგანიზატორი, დამწყები. გამყივანი ხმა მკვეთრია, შორს მიდის, ამღერებული ყიჟინია. ბანი კი მასაა და გამარჯვებაც ამ მასაზეა დამოკიდებული. სიმღერა სწორედ ბანზე არის დამყარებული: ბანი თუ ძლიერია და სწორი, სიმღერაც გამართული იქნება.

ძველმა და დახელოვნებულმა მომღერლებმა გადმომცეს, რომ თუ სიმღერას სხვები (მთქმელი და გამყივანი) გაამრუდებდნენ, ბანს უნდა გამოესწორებინა. კარგი ბანი სიმღერის ბურჯი იყო.

ნადურის თავისებურება ის არის, რომ მხოლოდ და მხოლოდ ამ სიმღერას ჰყავს გამყივანი-გადამძახებელი. გამყივანი და კრიმანჭული ნურავის ეგონება ერთი და იგივე, მათ შორის დიდი ზღვარია.

სიმღერის ტექსტი — ლექსი — საჩივრის სახელით მხოლოდ ყანურშია.

დაწყების პირველ „კანში" სიმღერა უიმედოა, მომღერალთა სახეც ნაღვლიანია. მეორე კანის სიმღერაში გაცხოველებული კამათია — ბჭობა-თათბირი, ჭოჭმანი. თანდათან მომღერლებს გამოცოცხლება, ხალისი და გამარჯვების იმედი ეტყობათ. მესამე კანში კი არა თუ ყველა მომღერალი, არამედ არამომღერალიც ამაყი, შეუპოვარი ხდება, ხოლო თვით სიმღერა შეტევა-იერიშზე გადადის.

სიმღერის პირველსა და მეორე მუხლში ბანების ხმა ისე ძლიერი, ჩქარი და შემტევი არ იყო, როგორც ახლა:

ჰეი!. . . . . ჰოი!
ჰეი!. . . . . ჰოი!

გარდა ამისა სიმღერის ამ სტადიაში დიდად საყურადღებოა მომღერალ-მომუშავეთა წყობა-დარაზმულობა. ახლა მათი დარაზმულობა ციხის ამღებთა მხედრულ-სტრატეგიული წყობისაა, მხედრული დისციპლინის დაცვით. წყობას წინ უძღვიან მოთავენი — შეთქმულების მომწყობნი, მათ მიჰყვებიან ბანები, მუშები — თანამგრძნობნი და თანამებრძოლნი.

1. მთქმელი	1. მთქმელი
2. გამყივანი	2. გამყივანი
3. ბანები	3. ბანები

ჩამყოლი ბანები და სხვა მუშები.

სიმღერის ადგილის მახლობლად მყოფი მომუშავე გლეხები თუ მგზავრები გაიგონებენ თუ არა სიმღერას, აღფრთოვანებულნი შესძახებენ, თითქოს გამარჯვებას ულოცავენ — ჰო, ჰო, ჰო! ჰო!..

იმის დასამტკიცებლად, რომ ეს სიმღერა ბატონების საწინააღმდეგო იყო, უნდა დავსძინო შემდეგი.

ნადი მუშაობის გათავების შემდეგ ვახშმის საჭმელად მიდიოდა მასპინძლისას. წასვლის წინ ბევრი ჭალანგარი ქვით თოხს მოპირავდა. მასპინძლისას მივიდოდნენ ნადური სიმღერით და თოხებით მიადგებოდნენ ეზოში რომელიმე ხეს: ეს ხე უნდა მოეჭრათ თოხებით, და რაც უფრო დიდ ხეს (ზოგჯერ ვაზიანსაც არ დაინდობდნენ) წააქცევდნენ, მით უფრო სასახელო იყო. ეს იყო უსათუოდ ბატონების მოთხრის დამახასიათებელი მოსაგონარი.

ნადური სიმღერა გურულს იმდენად უყვარდა, რომ კალანდა (ახალწელს) დღეს, გურულისათვის ყველაზე უფრო ბედობა დღეს, წირვის გა-

მოსვლისას და „შელულის“ შემდეგ, ეკლესიის გალავანში აუცილებლად უნდა ემღერათ ყანური და ამით შრომა და მტერზე გამარჯვება „დაებედნიერებიათ“.

ყანის დასამუშავებლად შეიძლება ნადი არც კი, სჭიროდა, გურულს, თითონაც მოერეოდა, მაგრამ თუ მგლოვიარე არ იყო გურული, იგი მოხარული იყო ყანა სიმღერა-ნადურით დაემუშავებინა, თუ გინდ ეს ნადი და მისი გამასპინძლება ნაშრომზე მეტად დასჯდომოდა. ნადი და ნადური სიმღერა მუშურ-გლეხური გართობა იყო, მეჯლისი, გლეხური ბანკეტი, გაზაფხულის მიგებებასთან დაკავშირებული შრომისა და გამარჯვების ჰიმნით. ნადი და მისი გამასპინძლება ამავე დროს ქეიფისა და გართობის ერთი მიზეზთაგანი იყო. ნადი თუ გყავდა და მეზობელს არ დაპატიჟებდი, იწყენდა, კაცად არ ჩამაგდოო, იტყოდა. ზოგს დაპატიჟებაც არ სჭიროდა, შემოესმოდა თუ არა ყანური, „სული წასძლევდა“, თავის ყანას მიატოვებდა და ნადს შეუერთდებოდა.

ნადზე ისევე სიამოვნებით მიდიოდნენ, როგორც ქორწილში. ყანურის გაგონება (კაი ყანური 4 კილომეტრზე მოისმოდა) ყველა მშრომელს უხაროდა, მოხუცები მომღერლებს ლოცავდნენ. მოთაღრეები — მახლობლად მომუშავეებიც მადლიერნი იყვნენ, რადგან იმ დღეს მეტის ხალისით მუშაობდნენ.

თუ დაემთხვეოდა ისე, რომ ერთს და იმავე დღეს მოთაღრეებსაც ნადი ჰყავდა, მაშინ სიმღერა რიგით იყო — ერთი ისვენებდა, მეორე მღეროდა. სიმღერას ერთიმეორეს გადააბამდნენ არა მარტო მოთაღრეები, არამედ ერთი სოფელი მეორეზე.

ხშირად ნადში საჭიროზე მეტი ხალხი მოიყრიდა თავს. მაშინ მასპინძლის ყანას რომ მორჩებოდნენ, მოთაღრის ყანაში გადადიოდნენ სიმღერით — ოღონდ კი ემუშავნათ და ყანა ვისი იყო, არ დაგიდევდნენ.

ნადი მეგობრობა-ნათესაობა-მოყვრობის გამოცდაც იყო. მეგობარი თავის მეგობარს ან ნათესავ-მოყვარეს დაავალებდა, ამა და ამ დღეს ნადი მომგვარეო. ნადის რიცხვი ისაზღვრებოდა მომღერლების მიხედვით: ერთპირ ნადში 8 — 12 კაცი იყო, ორპირში — 16 — 24 კაცი და ასე.

მდ. სუფსის პირად და ნაგომრის მახლობლად კარგა მოზრდილი სახნავ-სათესი ჭალაა, რომელსაც დღესაც „კორძაიას სვრელს“ ეძახიან. ჭალის სიგრძე 5 — 6 კილომეტრია, სიგანე 1 — 2 კილომეტრი.

ერთდროს ეს ჭალა თავ. შალიკაშვილისა ყოფილა. შალიკაშვილს ნადი შეუკვეთია საჭილოელ აზნაურ კორძაიასთვის და იმასაც იმდენი ნადი მოუყვანია, რომ მთელი ჭალა ერთ სვრელად (ერთ ნაპირად) გაუტანიათ. აი ამის შემდეგ დარქმევია ამ ჭალას კორძაიას სვრელი.

ეს ძველი ამბავია. ამაზე უფრო ახალს მოგახსენებთ, რომლის მონაწილენი ‘დღესაც მღერიან ნადურს.

მაისია. კვირა დღე. წირვა გამოსულია. ბახვის ეკლესიის გალავანში ხალხი ჯგუფ-ჯგუფად მუსაიფობს. გალავანთან ცხენი მიაგდო დვაბზუელმა აზნაურმა ზურაბ დათუნაიშვილმა და იკითხა, აზნ. მელქის მახარა-

ძე თუ ბრძანდება აქო... გალავნის შიგნიდან მელქის გამოეხმაურა — აქ გახლავარო.

— აბა, მელქის, ხვალ რომ ორშაბათია, თუ შეგიძლია, ნადი მომგვარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიდის სიამოვნებით, რამდენი გნებავს?

— რვა ქცევა ყანა მაქვს გასამარგლი ტალაკვანში. შენ სად შეგიძლია, მე რომ მინდა, იმდენი მომგვარო. მარა შენ რამდენიც შესძლო, იმდენი მომიყვანე.

— ბაშუსტა, მოგიყვან. მარა სირცხვილი არ მაჭამო.

— ზურაბ დათუნაიშვილს როდის უჭამია სირცხვილი, ახლა რომ ჭამოს, — მიაბრუნა ცხენი და წავიდა.

მელქის მახარაძე გავლენიანი აზნაური იყო, უფროსი ძმა პავლეც დიდი თავმომწონე გახლდათ. ითათბირეს და სადილის შემდეგ ორივემ ცხენით ჩამოიარეს მახლობელი სოფლები და სოფლის თავკაცებს დაავალეს ზოგს 50, ზოგს 60 კაცი. მეორე დღეს დილით პირველი წყება — ასი კაცი — მიადგა დათუნაიშვილს სიმღერით. ზურაბმა საუზმე აჭამა და სამუშაოზე წაუძღვა... ეზოს ორი კილომეტრით რომ მოშორდა, დაინახა, რომ მეორე ასეულიც მოიმღერის. ყანაში რომ ჩავიდა (ეზოდან 8 კილომეტრზე), მესამე ასეულიც მიემატა ცხენზე მჯდომი მეთაური აზნაურებითურთ.

ზურაბს წყენა არ დასტყობია. დააფაცურა თავის სოფლის აზნაურები და შინაური გლეხები, აფრინა იქეთ-აქით, ბაზარში თუ ოჯახებში, საუზმეც ჩინებული აჭამა და სადილადაც ხუთი ძროხა დაჰკლა. გაჩაღდა მუშაობა და სიმღერა. ზურაბის რვა ქცევას სხვისი რვა ქცევა მიუმატეს.

ცხადია, „ნაუცფათევ“ სადილზე თუ 5 ძროხა დაიკლა, ვახშამს უფრო მეტი დასჭირდებოდა: ძროხებს ინდოურ-ქათმები წააკლეს, ჭურები დასცალეს და თოხით რვა ხე წააქციეს.

ნადის გამასპინძლება ქორწილის მასპინძლობას არ ჩამოუვარდებოდა. დილით ერთი სვრელის გატანის შემდეგ, საუზმე, ადრეული სადილი იქვე ყანაში, ხის ჩეროს ქვეშ. ზოგან ასეთი ხე განგებ იყო ამოზიდული, ზოგან კი გაკაფვის დროს დასტოვებდნენ და მას სასადილო ხეს ეძახდნენ. სუფრის მაგიერობას სწევდა რცხილის, კოპიტის ან წაბლის ფოთლოვანი შტოები. უწვენო საჭმელიც ამაზე ეწყობოდა. ზარმელსაც აქვე მიირთმევდნენ. ზარმელი თუ შეიგვიანებდა, სიმღერით ჩამოარაკრაკებდნენ:

ხარი დავკალ კაბელაო,
სად ხარ ჩემო ზარმელაო.

ყანაში „გასუფრავება“ — ხანგრძლივი ჯდომა და შექცევა არ იცოდნენ, არც სადღეგრძელოები ითქმოდა. რამდენიმე ჭიქას დალევდნენ, ერთიმეორესთან გამარჯობა-გაგიმარჯოს გადავიდოდნენ, შიმშილს მოიკლავდნენ და მუშაობას განაგრძობდნენ. სუფრიდან პირველად ხელისმომკრავი წამოდგებოდა, მას მიჰყვებოდნენ მონაპირეები და სირბილით გა-

ეშურებოდნენ ნაპირისაკენ. მას სხვები მისდევდნენ. პირველი თოხი ხელისმომკრავს უნდა დაეკრა, ხელისმომკრავი მუშაობის ბელადი იყო. თუ სამუშაო გათავდებოდა, ზევით შეისვრიდნენ, — თუ არ გათავდებოდა, თავდაყირა დაჰკიდებდნენ.

ბიბლიოთეკა

სამაგიეროდ ვახშამი ხანგრძლივი და საჭმლის მხრივ მრავალფეროვანი იცოდნენ. ეზოში სიმღერით მისულ ნადს, თოხით ხის მოჭრის შემდეგ, ზოგს ხელს კი არა, ფეხსაც დააბანიებდნენ. სუფრაზე თამადას ირჩევდნენ და სმაც შეჯიბრებით იწყებოდა, მაგრამ უზომო თრობა მაინც არ იცოდნენ — მეორე დღეს კიდევ უნდა „ვარგებულიყო კაცათ“...

გურულის თქმისა არ იყოს, „რადგან ხარჯი ნაქნარი იყო“, ნადის ვახშამს გურული ზოგჯერ სხვა რამესაც შეუფარდებდა, სხვა რამესაც „გამოათანიებდა“, ნათლობას, ახალმოყვანილის დაპატიჟებას ან ვისიმე უცხო და სასიამოვნო სტუმრის მოწვევას.

როგორც მუშაობა, ისე სიმღერა პრინციპით კოლექტიური გახლდათ.

ნადი და ნადური რომ კოლექტიური იყო, ამას, სხვათა შორის, ისიც ამტკიცებს, რომ სოფელში ყანის მუშაობის დროს თუ მუშაკაცი ავად გახდებოდა, კვირას ეკლესიაზე მოითათბირებდნენ, დანიშნავდნენ დღეს და ავადმყოფის ყანას ნადური სიმღერით დაამუშავებდნენ.

რეაქციის ხანაში პოლიტიკური გადასახლებულის (ან პოლიტიკურ ნიადაგზე მოკლულის) ყანას ნადურით დაამუშავებდნენ.

იმპერიალისტური ომის დროს სათადარიგო ჯარისკაცის ყანასაც ასევე კოლექტიურად ამუშავებდნენ. ზოგჯერ (სამივე შემთხვევაში) გამასპინძლებას ყანის პატრონს არ ავალებდნენ — თავიანთი ხარჯით მუშაობდნენ. ისეთი შემთხვევაც ყოფილა, რომ ყანის დამუშავება ყანის პატრონს მეორე-მესამე დღეს გაუგია.

ნადურის საჩივარი

1

ქალი ვიყავ აზნაური,
გლეხის შვილმა მითხუაო,
ჩემი ნებით არ მივყობი,
ძალით თუ არ მომიტაცა.
მომიტაცა, წამიყვანა,
ცხრაი მთაი ზურგით მზიდა,
მეათეზე დამსვა ზედა.
გლეხის შვილი ეუბნება:
ქალო, ასე დამიფიცე,
შენსა ჩემსა ჩახოვნასა
არაფერი არ გერჩიოს!
ქალი ესე უფიცებდა:
შენსა ჩემსა ჩახოვნასა
რიონს ჩაჭრა მირჩევნია.
სტაცა ხელი, წაიყვანა,
რიონს პირად მიიყვანა.
დაშნა-ფარი ხელში მისცა,
მოაბრუნა, კიდევ უთხრა:
ქალო, ასე დამიფიცე,
შენსა ჩემსა ჩახოვნასა
არაფერი გირჩევნია.
ქალი ასე უფიცებდა,
შენსა ჩემსა ჩახოვნასა
რიონს ჩაჭრა მირჩევნია.
სტაცა ხელი, შიგ გადუშვა,
მობრუნვალეთ აბრუნებდა.
ტანსა მისსა ბროლისასა,
რიონს ბიდეთ უკეთებდენ,
ხელსა მისსა ბროლისასა
ვირხიდათა აკეთებდენ,
თმასა მისსა გიშრისასა
სახელურათ უკეთებდენ.

2

მთას ხოხობი დაფრენილა,
დაბლა მერე ტკარცალებდა,
ჰიჰვობაზე ჰიჰვსა სჭამდა,
მოლობაზე მოლასაო.
ბაზიარი გამოსულა
ქორითა და მეძებრითა,
იხვს იჭირავს გეზელითა,
ნამთავარით ხოხობსაო.
ბაზიარი თავს მოიცემს,
ქორი ავად გახდენია;
გამჩენელ ღმერთს აღთქმას აძლევს,
თუ რომ ქორი მომიკვდება,
სამ წელიწადს ასე ვიგლოვ,
ხორცს არას ვჭამ ალაფრისას,
იხვისა და ხოხბის მეტსო,
უშობელი ძროხის მეტსო.
ტანზე არას არ ჩავიცვამ,
სკალატის მაუდის მეტსო,
თავზე არას დავიხურავ,
ქუთათური ქუდის მეტსო,
ფეხზე არას არ ჩავიცვამ,
წაღა-წუღა ჩექმის მეტსო.

3

აგერ მოვა წყალი შავი,
მას მოჰქონდა გველი შავი,
გავუწვდინე ვაშლის ჯოხი,
მოვითრიე კოდმიდანა,
დავდევ ქვასა, დავკარ შუბი,
ვაქცევიე სისხლი-შხამი,
იგი ავსა, მაწყენარსა.
გეგუთისა მინდორშია
სისვი ცხენი მოგოგავდა,
ზედა იჯდა ვაჟიკაცი,
უკან მოსდევს კოჭლი ქალი.
— შენ, ვაჟკაცო, მომიხედე!
— შენ რა გინდა, კოჭლო ქალო?
— შენი საძრახი არ ვარო...

სამწუხაროდ, ნადურის საჩივარი-ლექსები დავიწყებულია. ძალიან ბევრია დაკარგული. იყვნენ ისეთი მომღერლები (მაგ., დვაბზუელი დათა შაფაქიძე), რომელნიც მთელ დღეს სულ ახალ-ახალ საჩივრის ლექსებს მღეროდნენ თურმე.

გარდა საჩივრისა, ყანურში მღეროდნენ სახუმარო ლექსებსაც. ეძახოდნენ „ყბა მოსაქცევს".

(ყბას ნუ მიქცევ — ნუ დამცინი, სამასხროდ ნუ მხდი).

ხანისი

1

სამი ბატონის ყმა ვიყავ,
ხან ის მირტყამდა, ხან ისი,
სამივე ერთ დღეს მომიკვდა,
ხან ის ვიტირე, ხან ისი.
სამივეს დარჩა ცოლები,
ხან ის მიყვარდა, ხან ისი.
სამივეს დარჩა ქონება,
ხან ის შევჭამე, ხან ისი.

2

ჩიტსა ვდევდი მაბზაკუნსა,
შემოვსტყორცნე ხელ-კოდალი,
დავამტვრიე ფხარ-ბარკალი,
ავჩარიქე, ფორს მივკიდე,
თავ-თავ რიგად დავარიგე.
ორყურ ქვაბში რომ ჩავდევი,
ურო ვცემე, არ ჩავიდა.
მეზობლიდას ვინათხოვრე
პაიწალაი წუკალაი.
რომ ჩავდევი, არჩანდიყო.
ასი კაცი ვერ შეჭამდა,
დიდ ვაჭარმა ლუკმათ იგდო.

3

ქალსა ჰკითხეს, რამან შეგქმნა
ასე დიდი, მუცლათ სისხო.
ცერცვი ვჭამე უხარშავი,
მე მან შემქნა მუცლათ სისხო.

4

შარაზედა კვალი ვნახე
პატარაი ნადირისა,
მივყევ კვალსა, დავედევნე,
გზას იქიდან გადუხვია,

ჩასულიყო წყაროზედ,
წყალსა სმიდა, უხარიდა,
რომ შევხედე შემეშინდა.

5

ქალო, შენი ციცახოცი
წყალს მიჰქონდა, მდინარესო,

ჩავკარ ხელი, ამოვიღე,
ჩაგეხუტე მძინარესო.

6

ზეცას ვიყავ, ზეცა ვნახე,
ვარსკვლავებსა დავენახე.

მთვარემ კაცი მომიგზავნა,
აქ თუ იყავ, რათ არ მნახე.

ნადს თუ წყალი უნდოდა, სიმღერაში ლექსით მოითხოვდნენ:

მასვი წყალი, ჩაფით წყალი,
გაშრა ყორყა, — კაცი მოკვდა.

ყანაში სადილის მიმტანი რომ გამოჩნდებოდა, ნადი მხიარულად წაუმღერებდა:

შემოსძახე, ბიჭო, ოსა,
მესადილეც ქე გამოჩნდა.

დადგი, გოგო, კალათაო,
ჩვენც ჩამოვალთ ბარათაო.

ზოგჯერ მასპინძელი ან ნადის მეთაური ნადს დაჰპირდებოდა, ამ ნაპირს (სვრელს) რომ გაიტანთ, მაშინ საჭმელს მოგართმევთო. როცა ნადი სვრელს გაიტანდა, სიმღერაში გაურევდა:

აიტანეთ ჩვენ ნაპირი,
შევასრულეთ დანაპირი,

მოგვიხარშე ძროხის ბეჭი,
მასპინძელო, რაღას გვერჩი.

როცა მასპინძლის ყანას მორჩებოდნენ, მიწვევით ან მიუწვევლადაც მეზობლის ყანაში გადავიდოდნენ და თან იმღერებდნენ:

ჩვენ არ გვეყო შენი ყანა,
მეზობელმა წაგვიყვანა.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლეო ქიაჩელი — „გვადი ბიგვა“. რომანი. გამ-ბა „ფედერაცია“, 1938 წ.

ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში თანამედროვე სინამდვილის ამსახველ ნაწარმოებთა შორის ერთი პირველ ადგილთაგანი მართებულად დაიკავა ლეო ქიაჩელის ახალმა რომანმა „გვადი ბიგვამ“. რომანში ასახულია ჩვენი საბჭოთა სოფლის ცხოვრება, საკოლმეურნეო მშენებლობის პირველი წლების პერიოდი. ავტორის ამოცანას შეადგენს გვიჩვენოს ახალი ეკონომიკისა და სოციალური ურთიერთობის ზეგავლენით ჩვენი მშრომელი გლეხობის იმ ნაწილის გარდაქმნა, რომელიც თავის შეგნებაში ჯერ კიდევ ატარებდა ძველი ცხოვრების, კაპიტალისტური მსოფლმხედველობის ნარჩენებს. ღარიბი გლეხი გ ვ ა დ ი ბ ი გ ვ ა — აი, მთავარი გმირი რომანისა, რომლის სახითაც ავტორმა წარმოგვიდგინა ჩვენი გლეხური მასების ჩარჩენილი ნაწილი, რომელიც პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ, თავისი სწორი პოლიტიკის შედეგად საბოლოოდ გაანთავისუფლა ძველი სამყაროს, კლასობრივი მტრების გავლენისაგან და დააყენა ახალი სოციალისტური ცხოვრების დროშის ქვეშ. ავტორმა გვადი ბიგვასთან ერთად დაგვიხატა აგრეთვე წარმომადგენელი საშუალო გლეხობისა, მშრომელი მასების იმ ნაწილისა, რომელზედაც დიდი გავლენა ჰქონდათ ჩვენი სოფლის ცხოვრების გარკვეულ პერიოდში კულაკებს, სოფლის ბურჟუაზიას. გ ო ჩ ა ს ა ლ ა ნ დ ი ა ს სახით ლეო ქიაჩელმა გვიჩვენა საშუალო გლეხობის მსოფლმხედველობითი გარდაქმნა, საბოლოო განთავისუფლება კულაკების ბრჭყალებისაგან და მშრომელ გლეხობასთან მჭიდრო დაკავშირება. ის ფრთხილი, აღმზრდელობითი მუშაობა, რომელიც აქ მხრივ ჩაატარა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ სოფელში, მეტად დამაჯერებლად აქვს ასახული ავტორს. რომანში ვხედავთ აგრეთვე მოწინავე ადამიანებს ბოლშევიკებს, ადამიანებს, რომელთა საშუალებით ატარებდა პარტია თავის დიდ გარდამქმნელ, აღმზრდელობითს მუშაობას სოფლად. ესენი არიან კოლექტივის თავმჯდომარე გ ე რ ა ბ ი გ ვ ა, კომკავშირელი ქალი ნაია, მოწინავე კოლმეურნე ქალი მარიამი და სხვ.

ავტორმა რომანში დაგვიხატა აგრეთვე კლასობრივი მტრის, ძველი სამყაროს წარმომადგენლის, ყოფილ აზნაურის ა რ ჩ ი ლ ფ ო რ ი ა ს სახე. იგი ახერხებს თავისი მტრული, კონტრრევოლუციონური გავლენის ქვეშ მოაქციოს სოფლის ჩამორჩენილი ნაწილი; პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ ნიღაბახდილი, იგი მსხვერპლი ხდება იმავე გ ვ ა დ ი ბ ი გ ვ ა ს ი, რომელიც ხანგრძლივად განიცდიდა ფორიას დამღუპველ გავლენას, მაგრამ ბოლოს, ახალი საზოგადოებრივი შეგნებით აღჭურვილი, სავსებით შეიცნობს მასში თავის კლასობრივ მტერს და მავნებელს.

ეს სოციალური კოლიზია, რომელსაც თავისი გამოვლინება ჰქონდა ჩვენი საბჭოთა სოფლის ცხოვრებაში გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე, სავსებით სწორად და მხატვრულად დამაჯერებელ ფორმებში აქვს ავტორს მოცემული.

რომანი დაწერილია მეტად მახვილი სიუჟეტური კომპოზიციით, იგი იკითხება შეუნელებელი ინტერესით.

„გვადი ბიგვა“ წარმოადგენს ლეო ქიაჩელის სულ უკანასკნელს შემოქმედებითს პროდუქციას. ამ ნაწარმოებში განსაკუთრებულის სიმკვეთრით იჩინა თავი მწერლის მხატვრულმა მეთოდმა. ლეო ქიაჩელს ახასიათებს სიტყვის უდიდესი ეკონომია, სათხ-

რობის მკაცრი შემოფარგვლა პერსონაჟის მოქმედების ან ამ მოქმედებასთან დაკავშირებული გარემოს დახატვით. ავტორს არ უყვარს გადახვევა თავისი ფაბულის ძირითადი გეზიდან, არ მიმართავს სხვადასხვა აღწერილობებს, არც [illegible] სურათებს, როგორც ერთგვარ სამკაულს სიუჟეტის გასამდიდრებლად. ეს [illegible], [illegible], მეტს სიმძაფრეს და დინამიურობას აძლევს სიუჟეტის განვითარებას, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ვნებს ნაწარმოების ენის მხატვრულობას, მის პოეტურ საღებავებს.

ლეო ქიაჩელს ემარჯვება ტიპის მოხაზვა ფართო ყალმის მოსმით, სახის მოცემა მცირე რაოდენობის, მაგრამ მეტად მსუყე და ძლიერი ფერადებით. ასეთი მანერით არიან მოცემულნი „გვადი ბიგვაში“ მაგალითად გოჩა სალანდიას და ქვრივი მარიამის სახეები. ავტორი ერიდება ერთფეროვანი ხასიათების დახატვას, ერიდება იმ უბრალო და სავსებით სწორი შეგნებით, რომ ასეთი ხასიათები ბუნებაში არ მოიპოვებიან, ხოლო ხელოვნებაში ისინი იქცევიან სქემებად, ხორცშეუსხმელ მანეკენებად. რომანის მთავარი გმირი გვადი ბიგვა. არა მარტო ზარმაცია და ქურდი, იგი იმავე დროს კეთილშობილი გრძნობებით დაჯილდოვებული ადამიანია, მის შინაგან ბუნებაში მოიპოვება ყველა ის საუკეთესო ადამიანური ღირსებები, რომლებიც დროთა-განმავლობაში მიჩქმალულია უკულმართ სოციალურ გარემოში შენაძენი ზნითა და ჩვევებით.

წიგნი დიდი სითბოთია დაწერილი. ეს სითბო მოსჩანს როგორც გვადი ბიგვას სახის დახატვაში, ისე სხვა დადებითი პერსონაჟების ჩვენებაშიც. „გვადი ბიგვა“ ოპტიმისტური წიგნია. იგი მკითხველში სტოვებს სიხარულის შთაბეჭდილებას, რწმენას ადამიანის ძალაში, რწმენას ნათელის და გონიერი საწყისის საბოლოო გამარჯვებაში.

დასასრულ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ზოგიერთი მომენტი, რომელიც არ შეიძლება თვალში არ ეცეს მკითხველს, განსაკუთრებით წიგნის ბოლო ნაწილების გაცნობის დროს. გაჭიანურებულია და მეტად ბუტაფორული ის სცენა, სადაც გვადი ბიგვა თავისი ბავშვების წინ იმოსება საქორწინო ჩოხით; ქვრივი მარიამის და გვადის ურთიერთობის სიყვარულით დაგვირგვინება ნაწარმოებში წინასწარ არ არის მოტივირებული და მომზადებული, — განსაკუთრებით მარიამის მხრივ, — ამიტომ იგი მოულოდნელობის შთაბეჭდილებას სტოვებს. ბუნდოვანია აგრეთვე სცენა რევოლვრით შეიარაღებულ ფორიას მოკვლისა სუსტი და ნაცემი გვადის მიერ.

ენა რომანისა სადაა, სუფთა, დამუშავებული, მაგრამ აქა-იქ, თუმცა ძალიან იშვიათად, მაინც გვხვდება ყურისთვის სახამუშო გამოთქმები, როგორც, მაგ.: „მუხლების თავები“, „ტასიამ.. ხელფეხი მაღლა შეისროლა“ და სხვ.

მიუხედავად ამ ცალკეული მომენტებისა, რომანი მაინც წარმოადგენს ლეო ქიაჩელის უდავო შემოქმედებითს გამარჯვებას, ამ ნაწარმოების სახით ქართულ საბჭოთა ლიტერატურას შეეძინა ერთი მეტად მნიშვნელოვანი წიგნი, რომელიც დარჩება ჩვენი დღევანდელი სინამდვილის ამსახველ მხატვრულ დოკუმენტად და ჩვენი მწერლობის ერთ საუკეთესო ნიმუშად.

ნ. ი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კორექტურული შეცდომების გასწორება

	არის	უნდა იყოს
გვ. 26, მე-7 სტრ. ზევ.	რამდენამდე	რამდენადმე
გვ. 35, მე-2 სტრ. ზევ.	VXIII	XVIII
გვ. 49, მე-22 სტრ. ქვ	ფიზიონიომია	ფიზიონომია
გვ. 54, მე-54 სტრ. ქვ.	განუწყვეტილი	განუწყვეტელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

გვ.

ი. ბ. სტალინი — საანგარიშო მოხსენება პარტიის XVIII ყრილობაზე საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ 3
კ. ნ. ჩარკვიანი — სიტყვა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე . . 54
საქართველოს საბჭოთა მწერლები — საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობას 65

მხატვრული ლიტერატურა

ვიქტორ გაბესკირია — ბაღი (ლექსი) 68
გაბრიელ ჯაბუშანური — ოთხი ლექსი 69
კონსტანტინე გამსახურდია — დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა (რაინდული რომანი) 73
ალექსანდრე ქუთათელი — მზის ჩასვენება. სატევრები (ლექსები) . 106
პანტელეიმონ ჩხიკვაძე — ახალი ხმელეთი (რომანი) 108
ანა ხახუტაშვილი — იოსებ ლალიაშვილი (რომანი) 149

ტარას შევჩენკოს დაბადების 125 წელი

გ. კაჭახიძე — ტარას შევჩენკო (ლექსი) 164
შ. რადიანი — ტარას შევჩენკო (ცხოვრება და შემოქმედება) . . 166

ეთნოგრაფიული წერილები

აპ. წულაძე — ეთნოგრაფიული გურია 177

ბიბლიოგრაფია

ა — ვი — ლეო ქიაჩელი — „გვადი ბიგვა“ 191

ფასი 2 მან. 50 კაპ.

39 145
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ